
განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

საქართველოს ისტორია 10

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი



ჯაბა სამუშია, გიორგი კალანდია,
ალექსანდრე ბოშიშვილი

საქართველოს ისტორია 10

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

საქართველოს ისტორია

X კლასი, I ნაწილი

მოსწავლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026

ავტორები:
ჯაბა სამუშია
გიორგი კალანდია
ალექსანდრე ბოშიშვილი

სამეცნიერო რეცენზენტი: როინ მეტრეველი
ფსიქოლოგ-მეთოდისტი: მზია წერეთელი
რედაქტორი: ნათელა დვალი
რუკების ავტორი: მანანა შეყილაძე
რუკების დიზაინერები: ალექსი კახნიაშვილი
რატი შოთაშვილი
ილუსტრატორი: მარიამ ებრალიძე
დამკაბადონებელი: თამარ სტეფნაძე

სახელმძღვანელო განკუთვნილია მეათე კლასის მოსწავლეებისთვის და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის; საქართველოს ეროვნული მუზეუმი: სიმონ ჯანაშიას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლა), ვანის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის, დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის; საქართველოს სასახლე-მუზეუმების გაერთიანების: ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმის, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის, დავით და გიორგი ერისთავების ოძისის სასახლე-მუზეუმის, ზვიად გამსახურდიას ზუგდიდის საპრეზიდენტო ცენტრის; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის; ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის; აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის; გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის; ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის; თელავის ისტორიული მუზეუმის; ლეონარდო შაშას სახელობის პალერმოს მუნიციპალური ბიბლიოთეკის; ბრიტანეთის ეროვნული მუზეუმის ექსპონატები, ფოტოები და საარქივო მასალა, ასევე, ფოტოები ჯაბა სამუშიას, გიორგი კალანდიას, ალექსანდრე ბოშიშვილის, ნიკა ახალბედაშვილის, არჩილ გელოვანის პირადი არქივებიდან.

ცალკეული ფოტოილუსტრაციები შექმნილია/დამუშავებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი I, II, III და IV ნაწილები.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8932-5

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები - დროშა, გერბი და ჰიმნი



თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

მოუსმინეთ ჰიმნს

ლექსი დავით მაღრაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეკელიძემ

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები

სახელმძღვანელოს შინაარსში მარტივად გასარკვევად გაეცანით მის სტრუქტურას.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი მოიცავს ერთ თემას, რომელიც დაყოფილია პარაგრაფებად. ყოველ პარაგრაფში შეხვდებით შემდეგ რუბრიკებს, შესაბამისი ნიშნებით:



წყარო

სიმბოლო – მახარებელი, გელათის ოთხთავი, XII ს. ხელნაწერი, სტილიზებული ვერსია

რუბრიკაში თქვენ გაეცნობით ისტორიულ ცნობებს ისტორიული დოკუმენტებიდან, ძველი ავტორების თხზულებებიდან, ეპიგრაფიკული ძეგლებიდან, ფოლკლორიდან და სხვ. თანამედროვე ისტორიკოსები ამ სახის წყაროების საფუძველზე წერენ სამეცნიერო ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებს.



მეცნიერის თვალსაზრისი

სიმბოლო – ივანე ჯავახიშვილი სამუშაო კაბინეტში, XX ს. სურათი, სტილიზებული ვერსია

რუბრიკაში თქვენ იხილავთ ისტორიული წყაროებისა თუ წარსულში მომხდარი ამბების შესახებ ცნობილი ისტორიკოსებისა და ისტორიის სამეცნიერო დარგის წარმომადგენლების მოსაზრებებს.



ლექსიკონი

სიმბოლო – სულხან-საბა ორბელიანი თავისი ლექსიკონით, XVIII ს. მინიატიურა, სტილიზებული ვერსია. რუბრიკაში განმარტებულია მოსწავლეებისთვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ტერმინები, რომლებიც სახელმძღვანელოშია გამოყენებული.



ეს საინტერესოა

რუბრიკაში თქვენ გაეცნობით წარსულში მომხდარ საინტერესო მოვლენებს, რომლებიც კონკრეტულ პარაგრაფში მოცემულ ისტორიულ ეპოქას უკავშირდება.



კითხვები

რუბრიკაში წარმოდგენილია კონკრეტულ პარაგრაფში მოცემული შესაბამისი სასწავლო მასალის კითხვები.



დავალებები

სიმბოლო – კლიო, ისტორიის მუზა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. სტილიზებული ვერსია

რუბრიკაში წარმოდგენილია კონკრეტულ პარაგრაფში მოცემული სასწავლო მასალის დავალებები.

სარჩევი

თემა 1 — პიროვნება და ისტორია

1.1. ფარნავაზი. ქართული მიწების პირველი გამაერთიანებელი 8
1.2. ფარსმან I-ისა და ფარსმან II-ის ეპოქა. ქართლის სამეფო რომისა და პართიის დაპირისპირებაში 16
1.3. ვახტანგ გორგასალი. არჩევანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის 24
1.4. აფხაზთა მეფეები. დიდი ქართული საქმის დასაწყისი 34
1.5. დავით III დიდი. ბაგრატ III. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის 40
1.6. დავით IV აღმაშენებელი – ერთიანი კავკასიის შემქმნელი 48
1.7. თამარ მეფე. საქართველო „ოქროს ხანაში“ 64
1.8. დემეტრე II თავდადებული 78
1.9. გიორგი V ბრწყინვალე. ძველი დიდების დაბრუნება 86
1.10. ალექსანდრე I დიდი. აღმშენებლობის ეპოქა 96
1.11. ქართლის მეფე ლუარსაბ I, იმერეთის მეფე ბაგრატ III და კახეთის მეფე ლევანი. ბრძოლა საქართველოს საერთო ინტერესებისთვის 104
1.12. სიმონ I – „მეფე, რომელმაც ქართლს ხმალი შეარტყა“ 112
1.13. გიორგი სააკაძე. „დიდი მოურავი“ 122
1.14. ქეთევან წამებული — სამშობლოს შეწირული დედოფალი 128
1.15. ქართლის მეფე ვახტანგ VI – კანონმდებელი და რეფორმატორი 134
1.16. სოლომონ I – „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლთმჩქეფე, იმერთ მეფე“ 144
1.17. ერეკლე II 150
1.18. ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები 160
1.19. ივანე ჯავახიშვილი — განათლებისა და მეცნიერების უპირველესი კერის ფუძემდებელი 168
1.20. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები 174

რუკების საძიებელი

1. საქართველო ძვ. წ. IV-III საუკუნეებში 10
2. დიადოხოსების ეპოქის დასასრული. ელინისტური სახელმწიფოები ძვ. წ. III საუკუნეში 12-13
3. საქართველო ახ. წ. II საუკუნის I ნახევარში, მეფე ფარსმან II ქველის დროს 20-21
4. რომის იმპერიის გაყოფა 395 წელს. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა 476 წელს 24
5. საქართველო V საუკუნის II ნახევარში, მეფე ვახტანგ გორგასლის დროს 26-27
6. აფხაზთა სამეფო IX საუკუნეში 35
7. საქართველოს გაერთიანება მეფე ბაგრატ III-ის დროს 44-45
8. საქართველო მეფე დავით IV აღმაშენებლის დროს (1089-1125 წწ.) 62-63
9. ტრაპიზონის იმპერიის შექმნა 1204 წელს 68
10. ქართველთა 1210 წლის ლაშქრობა ირანში 70
11. საქართველო XIII საუკუნის დამდეგს, მეფე თამარის დროს 76-77
12. საქართველო XIV საუკუნის I ნახევარში, მეფე გიორგი V ბრწყინვალის დროს 94-95
13. საქართველო ალექსანდრე I დიდის დროს (1412-1442 წწ.) 102-103
14. დასავლეთი საქართველო XVIII საუკუნის 50-იან წლებში 145
15. ქართლ-კახეთის სამეფო მეფე ერეკლე II-ის დროს, XVIII საუკუნის II ნახევარში 155

თემა 1

პიროვნება და ისტორია

ალბათ ერთხელ მაინც დაგისვამთ საკუთარი თავისთვის კითხვა: პიროვნებები ქმნიან ისტორიას თუ ისტორია აყალიბებს პიროვნებებს? რატომ ახსოვს ისტორიას ზოგიერთი ადამიანი საუკუნეების განმავლობაში, ზოგი კი დავიწყებას ეძლევა? ამ თემის შესწავლისას სწორედ ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე იპოვით პასუხებს.

ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია მჭიდროდ უკავშირდება გამორჩეულ პიროვნებებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქართული სახელმწიფოსა და ეროვნული ერთიანობის განვითარებაში.

პიროვნება და ისტორია – ამ თემის გაკვეთილებში თქვენ გაეცნობით გამორჩეული პიროვნებების როლს, რომლებმაც ისტორიული მეხსიერება ჩამოაყალიბეს და ქვეყნის ბედი განსაზღვრეს.

სახელმწიფოებრიობის, კულტურის, ტერიტორიული საზღვრებისა და მთლიანობის დაცვა თითოეული ეპოქის ლიდერის დამსახურებაა. მათი მაგალითი მომავალ თაობებს ეროვნული და მორალური ორიენტირების ჩამოყალიბებაში ეხმარება. სწორედ ამიტომ მათი ცხოვრება და საქმიანობა დღესაც ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობას.



ბაგრატ III, დავით IV აღმაშენებელი, თამარ მეფე. მხატვრული ილუსტრაცია ბედიის, გელათისა და ბეთანიის ტაძრების ფრესკების მიხედვით.





I.I. ფარნავაზი. ქართული მიწების პირველი გამაერთიანებელი



ოქროს დისკო.
კავთისხევი-ციხიაგორა, კასპი,
ძვ. წ. IV საუკუნე. ეროვნული
მუზეუმი

ქართული ტომების უძველესმა სახელმწიფოებრივმა გაერთიანებებმა ძვ. წ. VIII საუკუნეში არსებობა შეწყვიტა. ამის შემდეგ თანამედროვე საქართველოს სამხრეთით განვითარებული პროცესების გამო, ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოს, მესხური ტომები ჩრდილოეთით წამოვიდნენ და აქ ისინი ადგილობრივ, ასევე ქართულ ტომებს შეერივნენ. დაიწყო ბრძოლა პირველობისთვის. მესხებმა მოიტანეს სახელწოდებები – მესხეთი, სამცხე (სამესხე). მათი შექმნილი პოლიტიკური ცენტრი იყო მცხეთა, ანუ მესხთა ქალაქი.

ამავე პერიოდიდან უნდა გაჩენილიყო ქართველების თვითსახელწოდება „ქართი“, საიდანაც მოგვიანებით წარმოიშვა ტერმინები – „ქართლი“, ქართლიდან – „ქართველი“, ხოლო ქართველიდან – „საქართველო“. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სიტყვა „ქართი“, თავისი თავდაპირველი შინაარსით, აღნიშნავს დაცულ, გამაგრებულ, შემოსაზღვრულ ადგილს. სახელწოდება თავიდან მცხეთას, უფრო ზუსტად, მის მოპირდაპირედ არსებულ ქართლის მთას დაერქვა. ამ ადგილს ჩვენი სამშობლოს უძველეს პერიოდში, პოლიტიკურთან ერთად, საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა.

მოგვიანებით ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა პოლიტიკური ერთეული – ქართლის სამეფო. ამის შესახებ ვრცლად გვიყვებიან ქართული და უცხოური წყაროები.

მცხეთა, მტკვრისა და არაგვის შესართავი.
მცხეთის მოპირდაპირე მხარეს ჩანს ქართლის მთა



XI საუკუნის ისტორიკოსი, ლეონტი მროველი, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების შესახებ

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარმა ძვ. წ. IV საუკუნეში დაიპყრო აქემენიანთა იმპერია, საქართველოშიც მოვიდა და ქვეყანა დაიკავა. მათთან ბრძოლაში მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა დაიღუპნენ. დამპყრობელმა მმართველად აქ თავისი სარდალი – აზონი – დანიშნა.

მამასახლისის ოჯახიდან სიკვდილს გადაურჩა სამარას ძმისშვილი, სამი წლის ფარნავაზი, რომელიც დედამ, უსაფრთხოების მიზნით, კავკასიის მთებში გადამალა.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, აზონი მკაცრი და სასტიკი მმართველი აღმოჩნდა. იგი ქვეყანას 24 წლის განმავლობაში ედგა სათავეში. აზონის ბრძანებით, მოთხარეს და დაანგრიეს ადგილობრივი ციხეები. დამპყრობლები ქართლის ყველა მცხოვრებს, რომლებსაც შეეძლოთ იარაღის ტარება, ხოცავდნენ, რადგან ეშინოდათ, მომავალში მათ წინააღმდეგ არ აჯანყებულიყვნენ. ქართლის მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გარკვეული დროის შემდეგ მცხეთაში დაბრუნდა სამარა მამასახლისის ძმისშვილი – ფარნავაზი. უფლისწული ჭკვიანი ახალგაზრდა, შესანიშნავი მხედარი, მოისარი და მონადირე იყო.

ფარნავაზის შესახებ ამბებმა აზონის ყურამდეც მიაღწია. დედა აფრთხილებდა ფარნავაზს, რომ აზონს მორიდებოდა, რათა მისი წარმომავლობა არ გაეგო და სიკვდილით არ დაესაჯა. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული ლეგენდის თანახმად, ერთხელ, ნადირობის დროს, ფარნავაზმა ირემი მოკლა, მაგრამ შემოაღამდა და ცუდი ამინდის გამო ერთ გამოქვაბულს შეაფარა თავი, სადაც დიდძალი სიმდიდრე აღმოჩნდა. ფარნავაზი და მისი ოჯახის წევრები ხუთი დღის განმავლობაში ეზიდებოდნენ განძს.

ფარნავაზმა გადაწყვიტა, რომ ნაპოვნი განძი სამშობლოს გათავისუფლებისთვის გამოეყენებინა. ის დაუკავშირდა დასავლეთ საქართველოს (ეგრისის) ერისთავს, ქუჯის, და მასთან ერთად აზონის წინააღმდეგ აჯანყება დაგეგმა. მათ შეიძინეს საომარი იარაღი და დაიხმარეს ჩრდილოეთ კავკასიელებიც (ოვსები და ლეკები). აჯანყების წინ აზონის ჯარიდან მომხრეების ნაწილი ფარნავაზისა და ქუჯის მხარეს გადავიდა. დამარცხებული აზონი კლარჯეთში გაიქცა და იქ დაიწყო მზადება გადამწყვეტი შეტაკებისთვის. აზონს ბერძნების დახმარების იმედი ჰქონდა, ფარნავაზს კი სელევკიდების მეფე უჭერდა მხარს. გადამწყვეტი ბრძოლა არტაანში, ჰურის ციხესთან გაიმართა, სადაც აზონი დამარცხდა და დაიღუპა.

სამშობლოს გათავისუფლების შემდეგ ფარნავაზმა თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა. აზონის შვილები და მისი მომხრეები თავის სამსახურში აიყვანა. ფარნავაზის მეფობა სელევკიდების მეფე ანტიოქოსმა ცნო და სამეფო ნიშნებიც გამოუგზავნა.

ფარნავაზმა ერთი და ცოლად მიათხოვა ეგრისის ერისთავს – ქუჯის, მეორე და კი თავის მოკავშირეს, ოვსების მეფეს შერთო ცოლად. ამით უახლოეს მოკავშირეებთან ურთიერთობები განიმტკიცა. შემდგომ გაატარა ადმინისტრაციული რეფორმა და სამეფო დაყო რვა საერისთავოდ. ცალკე გამოყო შიდა ქართლი, რომლის სათავეშიც



ფარნავაზ მეფის ძეგლი თბილისში. ავტორი – ელგუჯა ამაშუკელი



ოქროს სასაფეთქლე საკიდები ცხენის გამოსახულებით. ახალგორი. ძვ. წ. IV საუკუნე, ეროვნული მუზეუმი



„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი გვერდი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



ზიარჭურჭელი. შავსაყდრის სამაროვანი. თეთრიწყარო. ძვ. წ. IV-III საუკუნეები. ეროვნული მუზეუმი

სპასპეტი, ანუ მთავარსარდალი დააყენა. ერისთავებად კი ყველგან თავისი ერთგული პირები დანიშნა. ფარნავაზ მეფის მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად შექმნილი საერისთავოები მოგვიანებითაც, საუკუნეების განმავლობაში, სახელმწიფოს მოწყობის სისტემას წარმოადგენდა. ფარნავაზმა ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა. ლეონტი მროველის მიხედვით, მცხეთაში მანამდე სხვადასხვა ენაზე (მათ შორის, ქართულად) საუბრობდნენ. ფარნავაზის რეფორმის შემდეგ კი ქართული სახელმწიფო ენა გახდა. ეს სამეფოს ცენტრალიზაციისა და განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. ლეონტი მროველი ფარნავაზ მეფეს მიაწერდა ქართული დამწერლობის შექმნასაც.

ფარნავაზმა ააშენა მცხეთის ზღუდე და სხვა ციხე-ქალაქები. მან ქართლში მთავარ და უზენაეს ღვთაებად არმაზი გამოაცხადა, მაგრამ არ აუკრძალავს სხვა კერპების თაყვანისცემაც. ეს პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რადგან ამით დამარცხებული აზონის მომხრეთა კეთილგანწყობა მოიპოვა. ოქროთი, ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით შემკული არმაზის ქანდაკება მცხეთის პირდაპირ, მაღალ მთაზე აღმართა. აქვე ააშენა დიდი ციხე, არმაზის ციხე ეწოდა.

ფარნავაზი 27 წლის ასაკში გამეფდა და 65 წელი იმეფა. გარდაცვალების შემდეგ ის არმაზის ქანდაკებასთან დაკრძალეს.

კითხვები

1. რუკის მიხედვით, რა ტერიტორიებს მოიცავდა ქართლის სამეფო?
2. რუკის მიხედვით, რომელი მიმართულებით შეიძლებოდა განვითარებულიყო საქართველოს კავშირები ანტიკურ სამყაროსთან?

რუკა 1. საქართველო ძვ. წ. IV-III საუკუნეებში



კითხვები

3. რა მნიშვნელობა ჰქონდა მმართველ დინასტიებს შორის ქორწინებებს ძველ სამყაროში და რა სარგებელს აძლევდა ფარნავაზს ეს ქორწინებები?
4. რატომ გაატარა ფარნავაზმა ადმინისტრაციული რეფორმა და რა მიზანს ისახავდა ქვეყნის დაყოფა რვა საერისთავოდ?
5. როგორ წარმოიშვა ქართლის სამეფო ლეონტი მროველის მიხედვით?

ქართლის პირველი მეფის შესახებ „მოქცევაი ქართლისაის“ ვერსია

მეორე გადმოცემის მიხედვით, რომელიც დაცულია IX საუკუნის ქართულ მატიანეში „მოქცევაი ქართლისაი“, მაშინ, როდესაც ალექსანდრემ ქართლი დაიპყრო, მას თან ახლდა არიან-ქართლის (ირანის მიერ დაპყრობილი ქართლის) მეფის ძე აზო და მცხეთა მას უბოძა. აზომ არიან-ქართლიდან წამოიყვანა ხალხი და წამოიღო იქაური კერპები – გაცი და გაიმ. ის გახდა ქართლის მეფე და მის შემდგომ გამეფდა ფარნავაზი.

ეს ვერსია განსხვავდება ლეონტი მროველის გადმოცემისგან. აქ აზო დამპყრობელი სარდალი კი არ არის, არამედ ქართული წარმოშობის მეფეა, რომელიც ალექსანდრემ დანიშნა.



ვერცხლის საბეჭდავი ბეჭედი.
ყანჩაეთი, ახალგორი.
ძვ. წ. IV საუკუნე.
ეროვნული მუზეუმი



საყურე. შავსაყდრის სამაროვანი,
თეთრიწყარო.
ძვ. წ. IV-III საუკუნეები.
ეროვნული მუზეუმი

კითხვები

6. როგორ წარმოიშვა ქართლის სამეფო „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით?
7. რით განსხვავდება ერთმანეთისგან „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაის“ ინფორმაციები?

ლეგენდები და სინამდვილე

ზემოხსენებული ამბები ქართულ წყაროებში ისეა გადმოცემული, რომ ზოგიერთი მონაკვეთი თითქოს დაუჯერებელი ჩანს. მაგრამ მოცემული ისტორიის დიდი ნაწილი სინამდვილეა, რადგან სხვა, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალებიც ამასვე ადასტურებს.

ქართლის სამეფო, მართლაც, ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე წარმოიქმნა და მის სათავეში ფარნავაზიანების დინასტია იდგა; რეალურია საერისთავოებად დაყოფის შესახებ ინფორმაციაც, ერთიანი სახელმწიფო რელიგიის შექმნაც და სხვ.

თვითონ ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში არ ულაშქრია, მაგრამ მის მიერ ვრცელი ტერიტორიების დაპყრობის შესახებ ცნობებმა, ბუნებრივია, დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ მსოფლიოზე და ადგილობრივი ხალხების ისტორიულ ამბებშიც სხვადასხვაგვარად აისახა. ამიტომ არის ქართულ წყაროებში მისი სახელი მოხსენიებული. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მის სარდლებს, ანუ დიადოხოსებს, შორის მემკვიდრეობის განაწი-



საკიდი. ახალგორის განძი.
ძვ. წ. IV საუკუნე.
ეროვნული მუზეუმი

ლექსიკონი

სელევკიდების სირიის სამეფო – ალექსანდრე მაკედონელის სარდალ სელევკე I-ის მიერ დაარსებული სახელმწიფო.

ლისიმაქე – ალექსანდრე მაკედონელის სარდალი, თრაკია-მაკედონიის მეფე.

პონტოს სამეფო – ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დანგრევის შედეგად წარმოქმნილი სამეფო მცირე აზიაში.


პართია – ალექსანდრეს იმპერიის დაშლის შემდეგ, ძვ. წ. III საუკუნეში, ირანის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეფო.

ლებისთვის დაიწყო ხანგრძლივი ომები. ალექსანდრეს იმპერია რამდენიმე ნაწილად დაიშალა. ამ დროს საქართველოზე თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობდნენ სელევკიდები, ლისიმაქე, პონტოს სამეფო. პარალელურად, მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისთვის აღმოსავლეთქართულ და სამხრეთქართულ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის. ეს ბრძოლა კი დასრულდა აღმოსავლეთქართული პოლიტიკური გაერთიანების, ქართლის, გამარჯვებით, რომელსაც სათავეში ფარნავაზი ედგა. ფარნავაზმა თავისი პოლიტიკური გავლენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაავრცელა.

კითხვები

8. როგორ აისახა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები იმდროინდელი მსოფლიოს ხალხების გადმოცემებში?
9. რატომ შემოგვინახა ალექსანდრე მაკედონელის მიერ საქართველოში ლაშქრობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ქართულმა წყარომ?
10. რუკაზე დაყრდნობით იმსჯელეთ, რატომ ვერ შეინარჩუნა ალექსანდრე მაკედონელის იმპერიამ ერთიანობა მისი გარდაცვალების შემდეგ?
11. რომელი ელინისტური სახელმწიფოები მდებარეობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ გზებზე? რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ მდებარეობას?

რუკა 2. დიადოხოსების ეპოქის დასასრული. ელინისტური სახელმწიფოები ძვ. წ. III საუკუნეში.



წყარო

„მოქცევაი ქართლისაი“:

„და თანა ჰყვანდა ალექსანდრეს... აზოი, ძე არიან ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი... ხოლო აზოი წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი... და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმერთად – გაცი და გაიმ.

და ესე იყო პირველ მეფე მცხეთასა შინა, აზოი, ძეი არიან ქართველთა მეფისაი, მოკუდა. და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ...“.

ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“:

ცხოვრება ფარნავაზისი, რომელი იყო პირველი მეფე ქართლისა, ქართლოსიანი

„...მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართველი, ნათესავი უფლოს, მცხეთოსის ძისა, და დედულად სპარსი ასპანელი. და იყო იგი ძმის-წული სამარისი, რომელი... მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო... ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი... ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა (ეგრისსა) ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი... მოზღუდა ქალაქი მცხეთაი მტკიცედ, და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოოხრებულნი ალექსანდრესგან, ამან აღაშენნა...

და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი... არმაზი. ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა და სამეოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ... და ყოველნი დღენი მისნი, რაი დაჯდა, მშვიდობით დაყვნა და აღაშენა და განავსო ქართლი. ხოლო თუენი გაზაფხულისა და სთულისა არისანი დაყვნის მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა; ხოლო თუენი ზაფხულისა – წუნდას. და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი.

და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენაი ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუაი ენაი ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობაი ქართული. და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“.





ალექსანდრე მაკედონელის მონეტის ქართული მინაბაძი. ეროვნული მუზეუმი

ლექსიკონი

სთულისა – შემოდგომა.
არისანი – წელიწადის დრო, სეზონი.
ქართლოსი – ქართველთა ლეგენდარული წინაპარი.



თავსაბურავის სამკაული. ვანი.
ძვ. IV საუკუნის დასასრული.
ეროვნული მუზეუმი

დასავლეთ საქართველო ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში

კოლხეთში (ქართული წყაროებით – ეგრისში) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში სამეფო ხელისუფლების არსებობას სხვადასხვა წყარო ადასტურებს. განსაკუთრებით საინტერესოა ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. IV-III საუკუნეების კრამიტი, რომელზეც ბერძნულ ენაზე შესრულებული დამღაა – „ბასილიკე“, ე.ი. „სამეფო“. ასევე შემონახულია ბრინჯაოს ფირფიტა, რომელზეც იკითხება „სამეფო ხელისუფლება“ ან „სამეფო“. მეცნიერთა აზრით, ამ დროს კოლხეთი უკვე უნდა ყოფილიყო დაყოფილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად – სკეპტუხიებად. არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფს, რომ კოლხეთში კარგად იყო განვითარებული რკინის მეტალურგია, ოქრომჭედლობა; საზოგადოება მისდევდა მიწათმოქმედებას, მევენახეობა-მეღვინეობას.

კოლხეთს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა საბერძნეთთან და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქალაქებთან, შავი ზღვის სანაპიროებზე აქტიურ სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს ავითარებდა ბერძნული ახალშენები: ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), გიენოსი (ოჩამჩირე) და სხვ.



საკიდები. დაბლაგომი,
სამტრედია.
ძვ. წ. IV საუკუნე.
ეროვნული მუზეუმი



ღვინისა და წყლის გასაზავებელი ჭურჭელი
– კრატერი, ქობულეთ-ფიჭვნარიდან.
ძვ. წ. V საუკუნე. აჭარის მუზეუმი



ყელსაბამი. ვანი.
ძვ. წ. III საუკუნე. ეროვნული მუზეუმი





ანტიკური ვანი.
რეკონსტრუქცია

ეს საინტერესოა

ლეონტი მროველი ქუჯის შესახებ წერს, რომ მან „ააშენა ციხე-გოჯი“. ეს გადმოცემა არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. ციხე-გოჯის, ანუ არქეოპოლისის, ნოქალაქევის, გათხრებმა აჩვენა, რომ იგი ძვ. წ. IV-III სს. საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. ქართულ წერილობით წყაროებში დაცულია ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ ციხე-გოჯის აგება უძველესი დროიდანვე ქუჯის სახელს უკავშირდება. „დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობის“ ავტორი წერს, რომ „მურვან-ყრუ აღიძრა (დაიძრა) და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხან-ქუჯისასა, ქვეყანასა მეგრელთასა“. „ჯიხან-ქუჯისა“ ქართულად ქუჯის ციხეს ნიშნავს და სწორედ ამ ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს დასახელება – ციხე-გოჯი. არქეოპოლის-ნოქალაქევის ასე მოხსენიება გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რადგან ეს ციხე, მართლაც, ქუჯის აშენებული ჩანს.

კითხვები

12. რა სახის წყაროები ადასტურებს დასავლეთ საქართველოში სამეფოს არსებობას?

დავალებები

1. დააჯგუფეთ ფარნავაზის მიერ გატარებული ღონისძიებები სამხედრო, ადმინისტრაციული, კულტურულ-რელიგიური და დიპლომატიური მიმართულებების მიხედვით; ახსენით, რატომ გაატარა ფარნავაზმა თითოეული და რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ სახელმწიფოს გაძლიერებისთვის.



1. 2. ფარსმან I-ისა და ფარსმან II-ის ეპოქა. ქართლის სამეფო რომისა და პართიის დაპირისპირებაში



ასპარუგ ერისთავის ოქროს ინსიგნია (ძალაუფლების ნიშანი), წარმოდგენილი ქარქაშის სახით. II-III საუკუნეები. არმაზი, ეროვნული მუზეუმი

რომისა და პართიის დაპირისპირება

I საუკუნის I ნახევარში, წინა აზიაში, ერთმანეთს დაუპირისპირდა რომის იმპერია და პართიის სამეფო. პართიის მეფე არტაბან III და რომის იმპერატორი ტიბერიუსი ცდილობდნენ, სომხეთში გაბატონებულიყვნენ. სომხეთს სტრატეგიული მდებარეობა ეჭირა ამ ორ ქვეყანას შორის. ამიტომაც როგორც ერთი, ასევე მეორე სახელმწიფო ცდილობდა მასზე კონტროლს. სომხეთი მათ სჭირდებოდათ პლაცდარმად უფრო ფართომასშტაბიანი ომის დაწყებისთვის. ამ პერიოდში რომს ბევრი საგარეო თუ საშინაო სირთულე ჰქონდა და ამიტომაც პართიის შეჩერება უჭირდა. იმპერატორმა ტიბერიუსმა გადაწყვიტა, ქართლის მეფე მითრიდატე I-ისთვის ეთხოვა, თავისი ვაჟი, უფლისწული მითრიდატე – გაემეფებინა სომხეთში. 36 წელს ქართლის სამეფოს ჯარმა უფლისწულ ფარსმანის სარდლობით მოახერხა სომხეთის დედაქალაქის დაკავება და მითრიდატეს გამეფება. ეს პართიის სახელმწიფოსა და სომხეთში მისი მომხრეების დიდი მარცხი იყო.

არტაბან III არ შეეგუა ამ მარცხს და დიდი ჯარი გაგზავნა სომხეთში უფლისწულ ოროდის სარდლობით. გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს პართიელები. ოროდი ბრძოლის ველზე დაიჭრა, ჯარში კი ხმა გავარდა, სარდალი მოკლესო და პართიელთა არმიამ გაქცევით უშველა თავს. ეს წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა. რომში არსებული ვითარების გამო პართიამ სომხეთის დაკავება მოახერხა.

წყარო

სომხეთის ტახტზე ქართლის მეფის ძის, მითრიდატეს, გამეფება (ახ. წ. I ს.)

„ახლა ვინაიდან (იმპერიის) აღმოსავლეთის ძალები დაქსაქსული იყო და ბუნდოვანი ჩანდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა, მითრიდატეს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა არმენიის დასაპყრობად – რომაელთა სამხედრო ძალით ხელთ იგდო მთის ციხესიმაგრეები, ხოლო იბერიელთა ჯარი კი ბარად დათარეშობდა... მთელი (არმენია) მითრიდატეს ხელთ გადავიდა, რომელიც უფრო სასტიკად იქცეოდა, ვიდრე ეს მის ახალ ხელისუფლებას შეშვენოდა“.

კორნელიუს ტაციტუსი. რომაელი ისტორიკოსი. I-II საუკუნეები




ქართლის მეფე ფარსმან I და სომხეთის საკითხი

ქართლის მეფე მითრიდატე I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტი მისმა უფროსმა ვაჟმა, ფარსმან I-მა, დაიკავა. ამ პერიოდში სომხეთი კვლავ პართიის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, ხოლო სომხეთის მეფე, ქართველი უფლისწული მითრიდატე, სამშობლოში იმყოფებოდა. ქართლის მეფე ფარსმან I კიდევ ერთხელ დაეხმარა თავის ძმას, მითრიდატეს, და, დაახლოებით, 43 წელს იგი სომხეთის მეფედ დასვა. ამჯერად მითრიდატეს მმართველობა სომხეთში სიმკაცრით გამოირჩეოდა. ამგვარმა პოლიტიკამ მას მრავალი მტერი გაუჩინა სომეხ წარჩინებულთა შორის. ამასობაში ქართლის სამეფო კარზეც დიდი დაპირისპირება მოხდა. ფარსმან I-ს ჰყავდა ვაჟი – რადამისტი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. როგორც მემატიანეები მოგვითხრობენ, ახალგაზრდა რადამისტი ხშირად საუბრობდა მამის სიბერეზე და იმაზეც, რომ მეფის უმოქმედობით ქართლი „უმნიშვნელო სახელმწიფოდ“ რჩებოდა. ეს ამბავი ფარსმანის ყურამდეც მივიდა. მეფემ ტახტის დაკარგვის საფრთხე იგრძნო და პატივმოყვარე რადამისტს სომხეთში გამეფების იდეა მიაწოდა. ფარული შეთანხმების მიხედვით, მამასა და დედინაცვალზე განაწყენებული რადამისტი ბიძასთან, სომხეთის მეფე მითრიდატესთან, უნდა ჩასულიყო და ნდობა მოეპოვებინა. მართლაც, რადამისტი ეწვია სომხეთის მეფეს, რომელმაც ძმისწული დიდი პატივით მიიღო.



ოქროს აბზინდა არმაზის სამარხიდან. II-III საუკუნეები
ეროვნული მუზეუმი



კითხვები

1. რამ განაპირობა რომის იმპერიის მიერ სომხეთის დაკარგვა?
2. ჩანს თუ არა წყაროში მოვლენებისადმი რომაული ხედვა და როგორ შეიძლება ავტორის რომაული წარმომავლობა გავლენას ახდენდეს რომის სამხედრო ძალისა და იბერიელთა როლის აღწერაზე? რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს მოვლენების ასეთი გადმოცემა?
3. წყაროს მიხედვით, როგორ აღწერს ავტორი იბერიელთა როლს?

რომაული ლეგიონის წყობა. ფოტორეკონსტრუქცია





ვერცხლის თასი არმაზის სამარხიდან. II-III საუკუნეები. ეროვნული მუზეუმი

სომხეთში ყოფნისას რადამისტმა შეთქმულების ქსელი გააბა სომეხ წარჩინებულთა შორის და, როდესაც მიზანს მიაღწია, ქართლში დაბრუნდა. საჭირო დროს რადამისტმა ქართლის სამეფოს ჯარით მითრიდატეს შეუტია. სომეხი დიდებულების დიდი ნაწილი ქართველი უფლისწულის მხარეს გადავიდა. სომხეთის მეფე იძულებული გახდა, გარნის ციხისთვის შეეფარებინა თავი. რადამისტმა ცრუ ფიცით გამოიყვანა ბიძა ციხიდან და შემდეგ ღალატით მოკლა.

წყარო

ქართლის მეფის ძე რადამისტი და სომხეთის მეფე მითრიდატე

„იბერებზე ფარსმანი მეფობდა ძველთაგანვე, არმენიელები მის ძმას, მითრიდატს, ეპყრა ჩვენი შეწევნით. ფარსმანს ჰყავდა ძე, სახელად რადამისტი... იგი ისე გაცხარებით და ხშირად ლაპარაკობდა, მამის მოხუცებულობის წყალობით იბერია უმნიშვნელო სახელმწიფოდ რჩებაო, რომ გულის წადილის დაფარვას ვერ ახერხებდა. ამიტომ უკვე თავისი ხანში შესულობით შეფიქრიანებულმა ფარსმანმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე და ხალხის მხარდაჭერით შეგულიანებულ ჭაბუკს სხვა იმედი შთააგონა და არმენიისაკენ მიუთითა, გაიხსენა რა, პართების გაძევების შემდგომ თვით მანვე რომ მისცა იგი მითრიდატეს. ოღონდ (შვილს ურჩია), ძალის ხმარებისაგან თავი შევიკავოთ, უფრო მზაკვრობა გამოვიყენოთ, რათა უდარდელად მყოფი (მითრიდატე) ანაზდეული (თავდასხმით) დავამარცხოთო. ამგვარად რადამისტი, რომელსაც, ვითომდა, მამასთან უთანხმოება მოუვიდა, რადგან დედინაცვლის სიძულვილს ველარ გაუძლო, ბიძას მიაშურებს. მითრიდატემ დიდი ალერსით მიიღო იგი, როგორც საკუთარი შვილი, ამან კი არმენიელთა წარჩინებულებს დაუწყო შეგულიანება სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად ისე, რომ მითრიდატემ არათუ ვერაფერი შეატყო, არამედ კიდევ უფრო მეტი პატივითაც ეპყრობოდა“.

კორნელიუს ტაციტუსი. რომაელი ისტორიკოსი. I-II საუკუნეები

კითხვები

4. ტაციტუსი წერს, რომ ფარსმანმა თავის ვაჟს ურჩია: „ძალის ხმარებისაგან თავი შევიკავოთ, უფრო მზაკვრობა გამოვიყენოთ“. რას გვეუბნება ეს ფრაზა მეფის საგარეო პოლიტიკასა და მმართველობის სტილზე?
5. რადამისტმა ცრუ ფიცით მოატყუა და მოკლა საკუთარი ბიძა. რამდენად გამართლებულია მისი ქმედება და იყო თუ არა ეს გადაწყვეტილება სახელმწიფოსთვის სასარგებლო?
6. რამდენად სანდოდ მიგაჩნიათ ტაციტუსის მონათხრობი? რა გარემოებები უნდა გაითვალისწინოს ისტორიკოსმა ამ წყაროს შეფასებისას?

რომაელი ჯარისკაცი. ფოტორეკონსტრუქცია



რადამისტის მმართველობა სომხეთში

52 წელს რადამისტი სომხეთის მეფედ აკურთხეს, თუმცა მისმა გადადგმულმა ნაბიჯებმა ადგილობრივ წარჩინებულთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ფარულად დაუკავშირდნენ პართიის მეფეს, რომელიც რომაელებისა და მათი მოკავშირე ქართველებისათვის სომხეთის დათმობას არ აპირებდა. ცალკეული სამხედრო წარმატების მიუხედავად, პართიელებმა ვერ მოახერხეს სომხეთის დაპყრობა. ამ მოვლენების შემდეგ რადამისტმა კიდევ უფრო გაამკაცრა თავისი პოლიტიკა სომხეთში, რამაც სომეხი წარჩინებულების აჯანყება



რადამისტი, ფრანჩესკო ალბერი.
ნახატი შესრულებულია 1812 წელს



დიდებულის ბეჭედი. ფირუზი,
ოქრო. III-IV საუკუნეები.
ხელოვნების სასახლე

გამოიწვია. რადამისტი ტახტიდან ჩამოაგდეს. მან ქართლს შეაფარა თავი. სამშობლოში დაბრუნებულ უფლისწულს მალე კონფლიქტი მოუვიდა მამასთან და ქართლის მეფე ფარსმან I-მა ის მოაკვლევინა.

რომისა და პართიის დაზავება

63 წელს რომსა და პართიას შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ძალით, სომხეთის ტახტს დაიკავებდა პართიელი უფლისწული არშაკიდების დინასტიიდან, ხოლო სომხეთი რომს დაექვემდებარებოდა. ამ შეთანხმებით, სომხეთის საკითხი ქართლის სამეფოს გარეშე გვარდებოდა. ფარსმან I-ის შემდეგ ტახტი დაიკავა მითრიდატე II-მ, რომელმაც რომის იმპერიასთან მშვიდობიანი პოლიტიკა აირჩია. ამის დასტურია 1867 წელს მცხეთასთან აღმოჩენილი სტელა (შესრულებული 75 წელს) ძველი ბერძნული წარწერით. მასში მოთხრობილია, რომ იმპერატორმა ვესპასიანემ (69-79 წწ.) არმაზის ციხე-გალავნის კედლები გაუმაგრა ქართლის მეფეს.


კითხვები

7. ვესპასიანეს წარწერის მიხედვით, რომელი რომაელი იმპერატორი დაეხმარა იბერთა მეფეს და რა საქმეში?
8. წარწერაში მოხსენიებულია ქართლის მეფე მითრიდატე II, როგორც „კეისრის მეგობარი და რომაელთა მოყვარული“. რას ნიშნავს ეს ფორმულირება?
9. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება წარწერის მიხედვით რომის იმპერიასა და იბერიის სამეფოს ურთიერთობის შესახებ?

წყარო

იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა სტელაზე (75 წელი) არმაზისხევიდან:

„თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა, დიდმა ქურუმთმთავარმა, შვიდჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ თვითმპყრობელად (არჩეულმა), ექვსჯერ უპატოსმა, მეშვიდეჯერ გამოცხადებულმა, სამშობლოს მამამ, ცენზორმა და თვითმპყრობელმა ტიტე კეისარმა, სებასტოსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ უპატოსმა, მეხუთედ გამოცხადებულმა, ცენზორმა და დომიციანე კეისარმა, სებასტოსის ძემ, სამჯერ უპატოსმა, მეოთხედ გამოცხადებულმა, იბერთა მეფეს, მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და ამაზასპუჰის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს ეს კედლები გაუმაგრეს“.



კითხვები

10. რუკის მიხედვით, რომელი რეგიონები შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში II საუკუნის I ნახევარში?



პუბლიუს ელიუს ტრაიანუს ადრიანე (117-138 წწ.)

ფარსმან II ქველი და რომი

II საუკუნის 20-50-იანი წლებში ქართლში ფარსმან ქველი მეფობდა. ამ დროს რომის იმპერია თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. მისი რამდენიმეწლიანი დაპირისპირება პართიასთან იმით დასრულდა, რომ მახლობელ აზიაში მეტ-ნაკლებად მყარი სასაზღვრო ზოლი ჩამოყალიბდა. ამას ვერ ვიტყვით კავკასიაზე, სადაც პართიასა და რომს შორის დაპირისპირება პირველობისათვის კვლავ გრძელდებოდა. თავის მხრივ, ქართლის მეფე ფარსმან II ცდილობდა პართიასა და რომის გავლენისაგან გათავისუფლებას და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას.

130 წლის ახლო ხანებში რომის იმპერატორმა ადრიანემ აზიაში ყოფნისას ქართლის მეფეს ელჩები გამოუგზავნა და ძვირფასი ძღვე-



რუკა 3. საქართველო II საუკუნის I ნახევარში, მეფე ფარსმან II ქველის დროს



ლომისა და ვენატორის (ცხოველებთან მებრძოლი ადამიანი) შერკინება, I-II საუკუნეების მიჯნა. აღმოჩენილია 1998 წელს თბილისში, წარჩინებულის სამარხში. ეროვნული მუზეუმი

ნი აახლა. იმპერატორმა აღმოსავლეთის სხვა მმართველებთან ერთად ფარსმანიც დაიბარა თავისთან. ქართლის მეფემაც, საპასუხოდ, მდიდარი ძღვენით გაისტუმრა ელჩები, თუმცა თავად იმპერატორს არ ეახლა. ამან ადრიანეს რისხვა გამოიწვია. იმპერატორმა დამცირების მიზნით ქართლის მეფის მიერ გაგზავნილი ოქროს ქსოვილით შეკერილი მოსასხამები სამას დამნაშავეს ჩააცვა და საბრძოლველად არენაზე გაიყვანა. იმპერატორის ეს საქციელი ქართლის მეფემ შეურაცხყოფად მიიღო. ამან ქართლსა და რომს შორის ურთიერთობა დაძაბა. ფარსმანმა კავშირი გააბა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ალან-ოსების ტომთან და ისინი რომის პროვინციებს შეუსია. ამ ლაშქრობის მასშტაბები საკმაოდ დიდი იყო. მან მოიცვა ალბანეთი, მიდია, სომხეთი და კაბადოკია. ქართლის მეფის საქციელმა დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ფარსმანმა რომს აჩვენა, ჩრდილოეთ კავკასიის გადასასვლელებით რა ძალას ფლობდა ქართლის სამეფო.

კითხვები

11. რუკის გამოყენებით იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა მცხეთის მდებარეობას ქართლის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერებისთვის? განსაზღვრეთ, რომელ სახელმწიფოებსა და რეგიონებს აკავშირებდა ქართლის სამეფოზე გამავალი სავაჭრო გზები?
12. რატომ თქვა უარი ფარსმან II-მ რომში ჩასვლაზე? რა პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად მის გადაწყვეტილებას?
13. ფარსმანმა ალანებს დარიალის კარი გაუხსნა, სამხრეთ კავკასიაში გადმოიყვანა და რომის პროვინციები მოაოხრებინა. რის მიღწევას ცდილობდა იბერიის მეფე?
14. ფარსმან II ცდილობდა „დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას“ რომსა და პართიას შორის. რა შესაძლებლობებს და რა საფრთხეებს უქმნიდა ასეთი პოლიტიკა იბერიის სამეფოს?



ანტონინუს ტიტუს ავრელიუს ფულვუს პიუსი (138-161 წწ.)

ანტონინუს პიუსი და ფარსმან ქველი

138 წელს იმპერატორი ადრიანე გარდაიცვალა. იმპერატორი გახდა ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.). მან კარდინალურად შეცვალა პოლიტიკა ქართლის სამეფოს მიმართ. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მნიშვნელოვნად დათბობამ თავისი შედეგი გამოიღო. დაახლოებით, 141-144 წლებში ფარსმან ქველი ოჯახთან ერთად რომს ეწვია. ეს ფაქტი დაფიქსირებულია რომის იმპერიის ყოველწლიური ამბების ნუსხაში, რომელიც მარმარილოს ქვაზე იკვეთებოდა და იმპერიის ნავსადგურებისა თუ ქალაქების შესასვლელებთან იდგმებოდა. ერთ-ერთი ასეთი დაზიანებული ქვის ფრაგმენტი აღმოჩნდა მდინარე ტიბრის შესართავთან. მასში აღნიშნულია „ფარსმანის, იბერთა მეფის“ და მისი ოჯახის რომში სტუმრობა.

ანტონინუს პიუსმა ფარსმანს ახალი სამფლობელოები დაუმტკიცა და ნება დართო, კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, ხოლო მისი ცხენოსანი ქანდაკება ქალაქ რომის ცენტრალურ ადგილზე, მარსის მოედანზე, დაადგმევინა.

რომის იმპერიასთან დამყარებული მშვიდობის მიუხედავად, ქართლის სამეფოსათვის საგარეო საფრთხის პრობლემა არ მოხსნილა. ამჯერად ფარსმან II-ს ურთიერთობა დაეძაბა პართიასთან. პართიელებმა მზაკვრული გეგმა შეიმუშავეს, მათ ფარსმან ქველს მკვლელი მიუჩინეს. ეს იყო მეფის მზარეული, რომელმაც ფარსმან ქველი მოწამლა. მეფის სიკვდილი დიდი ტრაგედია იყო ქვეყნისათვის. ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფოში პოლიტიკური ვითარება კვლავ დაიძაბა.



ანტონინუს პიუსის მონეტა

რომის ფორუმი. რეკოსტრუქცია



წყარო

ფარსმან II ქველის რომში ვიზიტი

„როცა ფარასმან იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, (ანტონინუს პიუსმა) გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო, კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე დაადგმევინა და უყურებდა (ფარასმანს), მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშობას“.

დიონ კასიოსი. რომაელი ისტორიკოსი. II-III საუკუნეები

წყარო

„ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხვად გამცემელი და შემნდობი, აღნაგობით მშვენიერი, ტანით დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და მამაცი ბრძოლაში, უშიში ვითარცა უხორცო და ყველაფრით უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა“.

ლეონტი მროველი, XI საუკუნის ქართველი მემატიანე

კითხვები

15. რა გავლენა იქონია ფაარსმან ქველის რომში ვიზიტმა ქართლის საერთაშორისო პრესტიჟზე დიპლომატიურ ურთიერთობებსა და სამხედრო პოლიტიკაზე?
16. როგორ ასახავს ფარსმან II-ის მოქმედებები ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს ძლიერი სახელმწიფოს წინაშე?

დავალებები

1. იმსჯელეთ, ფარსმან I-ისა და ფარსმან II ქველის საგარეო პოლიტიკის შესახებ ოთხი კრიტერიუმით: ა) დამოკიდებულება რომის მიმართ; ბ) დამოკიდებულება პართიის მიმართ; გ) საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიღწევები; დ) წარუმატებლობები.
2. იმსჯელეთ, როგორ განსხვავდებოდა მათი სტრატეგია რომსა და პართიასთან ურთიერთობისას და რომელი მათგანის პოლიტიკა აღმოჩნდა უფრო ეფექტიანი ქართლის სამეფოს გაძლიერებისთვის?
3. იმსჯელეთ, რომის, პართიისა და ქართლის სამეფოების პოლიტიკაზე სომხეთის მიმართ, რატომ იყო სომხეთი მნიშვნელოვანი სამივე სახელმწიფოსათვის?



ირმის თავის ფორმის ოქროს სასმისი. ძვ. წ. I-ახ. წ. II საუკუნეები. თაგილონი. დადიანების სასახლე



I.3. ვახტანგ გორგასალი. არჩევანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის




რომის იმპერატორი თეოდოსიუს I (379-395 წწ.)

დიდი ცვლილებების ეპოქა – საქართველოს მეზობლები IV-V საუკუნეების მიჯნაზე

IV საუკუნის მეორე ნახევარში რომის იმპერიასა და სასანურ ირანს შორის დაპირისპირება ახალ, აქტიურ ფაზაში შევიდა. 338 წელს დაირღვა მანამდე ნისიბინში გაფორმებული სამშვიდობო ზავი, რასაც ორ დიდ იმპერიას შორის ახალი ომის დაწყება მოჰყვა.

ეს სამხედრო კონფლიქტი, მცირე შესვენებებით, თითქმის ოცდახუთ წელი (363 წლამდე) გაგრძელდა. ომში წარმატებას ირანმა მიაღწია – სასანიანებმა დაიბრუნეს იმ ტერიტორიების უდიდესი ნაწილი, რომლებიც ადრე ნისიბინის ზავით ჰქონდათ დაკარგული. სპარსელებმა კავკასიაში კვლავ მყარად მოიკიდეს ფეხი, თუმცა ქართლის (იბერიის) სამეფო ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. ვითარება კარდინალურად შეიცვალა 387 წელს, როდესაც რომსა და ირანს შორის ახალი ხელშეკრულება გაფორმდა. მხარეებმა კავკასიაში გავლენის სფეროები შუაზე გაიყვეს. აღმოსავლეთ სომხეთი, ალბანეთი და ქართლი ირანელებს ერგო, ხოლო დასავლეთ სომხეთი და ეგრის-ლაზიკა – რომს. ამ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში ქართლიის სამეფო იძულებული გახდა ეღიარებინა ირანელთა უზენაესობა.

საერთაშორისო ვითარებაც მეტად ხელსაყრელი იყო სასანიანებისათვის. რომი საშინაო პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული და მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიისათვის არ ეცალა. დასავლეთიდან


პირობითი აღნიშვნები
დედაქალაქი
ქალაქი
რომის იმპერიის საზღვრები IV ს. ბოლოს
რომის იმპერიის გაყოფის ხაზი 395 წ.
დასავლეთ რომის იმპერია
აღმოსავლეთ რომის იმპერია (ბიზანტია)
ბარბაროსთა თავდასხმები რომის იმპერიაზე
395 წ.
რომი
კონსტანტინოპოლი (კონსტანტინუპოლი)
არტაქსატა
ვართანის
ჯვარის
ქ. ჯვარი
ქ. ძველი ციხე
ქ. ბორი
ქ. ურბნისი
ქ. ხაშური
ქ. ატენი
ქ. გორი
ქ. ქსანი
ქ. ქარელი
ქ. ხაშმი
ქ. ბაზალეთი
ქ. ბოდბე
ქ. ნინოწმინდა
ქ. ახალქალაქი
ქ. ახალციხე
ქ. ასპინძა
ქ. ბორჯომი
ქ. ახალციხე
ქ. ახალქალაქი
ქ. ნინოწმინდა
ქ. ბოდბე
ქ. ბაზალეთი
ქ. ხაშმი
ქ. ქარელი
ქ. ქსანი
ქ. გორი
ქ. ატენი
ქ. ხაშური
ქ. ურბნისი
ქ. ძველი ციხე
ქ. ბორი
ქ. ჯვარი
ქ. ბორჯომი
ქ. ასპინძა

რომს ვესტგოთები უტევდნენ. ამას დაემატა ისიც, რომ 395 წელს რომის უკანასკნელმა იმპერატორმა თეოდოს I-მა ანდერძით ქვეყანა თავის ორ ვაჟს გაუყო. ასე ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ რომის იმპერია, იგივე ბიზანტია, და დასავლეთ რომის იმპერია. ეს უკანასკნელი 476 წელს დაეცა ჰუნების შემოსევის შედეგად. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამ მთლიანად შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. ამ პროცესმა სათავე დაუდო დასავლეთ ევროპაში ახალი ფეოდალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. აღმოსავლეთ რომის იმპერიამ – ბიზანტიამ კი ათი საუკუნე იარსება. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ირანელებმა და V საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო გაამკაცრეს თავიანთი პოლიტიკა. სასანიანებმა მცირე ხნით ქართლში მეფობაც კი გააუქმეს, მაგრამ ქართველებმა მალე მოახერხეს სამეფო ხელისუფლების აღდგენა.



ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი, XIX საუკუნის გრავიურა

ეს საინტერესოა

ცეცხლთაყვანისმცემლობა, იგივე მაზდეანობა, სასანური ირანის ოფიციალური რელიგია იყო. სარწმუნოების მიხედვით, სამყაროს განაგებს ორი საწყისი, ორი უზენაესი ღმერთი – კეთილი აჰურამაზდა (ორმუზი) და ბოროტი აჰრიმანი. უმაღლეს ქურუმებს ერქვათ დასტური, ჩვეულებრივ მოგვებს – მობედი. ძველ ქართულ ენაში სწორედ მაზდეანობის გავლენით უნდა შემოსულიყო სიტყვა „დასტური“, რომელიც ჭეშმარიტს, ნამდვილს ნიშნავს. ასევე, ცეცხლთაყვანისმცემლობის გავლით უნდა იყოს საქართველოში დამკვიდრებული ჭიაკოკონობა. ცეცხლით განწმენდის მსგავსი რიტუალი დღესაცაა შემონახული მაზდეანურ რელიგიაში.

კითხვები

1. რატომ ცდილობდნენ ირანი და რომი ქართლის სამეფოზე გავლენის მოპოვებას?
2. რატომ იყო IV-V საუკუნეების საერთაშორისო ვითარება ხელსაყრელი სასანური ირანისათვის?
3. როგორ აისახა რომის იმპერიის გაყოფა ქართლის პოლიტიკურ მდგომარეობაზე?

ქართლი V საუკუნის შუა ხანებში

სასანური ირანის პოლიტიკა V საუკუნის შუა ხანებში კავკასიის ხალხების მიმართ კიდევ უფრო გამკაცრდა. შაჰ იეზდიგერდ II-ის (438-457 წწ.) დროს ახალი გადასახადები დაწესდა. ქართველების, სომხებისა და ალბანელებისათვის ყველაზე მძიმე მაინც ირანის მიერ წარმოებულ ომებში მონაწილეობის ვალდებულება იყო. სამშობლოდან თვეობით მოწყვეტილ ჯარისკაცებს ირანის აღმოსავლეთ საზღვრებთან მომთაბარე ტომებთან უხდებოდათ ბრძოლა. ამას დაემატა ისიც, რომ ირანელები აქტიურად ცდილობდნენ კავკასიაში მაზდეანობის გავრცელებას. ეს მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ქართლის სამეფოში, V საუკუნის შუა ხანებში, მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო შექმნილი. 440-იანი წლების ბოლოს გარდაიცვალა ქართლის მეფე მირდატი, რომელსაც მცირეწლოვანი (შვიდი წლის) ტახტის მემკვიდრე ვახტანგი დარჩა. ქვეყანას, ფაქტობრივად, განაგებდა მეფის ქვრივი, დედოფალი საგდუხტი, რომელიც კავკასიაში ირანული ადმინისტრაციის მმართველის, ბარზაბოდის, ასული იყო. იმისი შიშით, რომ ირანელებს, სომხეთის მსგავსად, ქართლში



ირანის შაჰის, იეზდიგერდ II-ის, მონეტა



მეფე ვახტანგ გორგასლის სვეტიცხოვლის დაკარგული ფრესკის ასლი.
ავტორი – პიოტრ როსი. ხელოვნების სასახლე



მეფობა არ გაეუქმებინათ, საგდუხტი მამამისს ეწვია ბარდავში და შვილისთვის ტახტის შენარჩუნება სთხოვა. ბარზაბოდმა შეიწყალა შვილის თხოვნა, ოღონდ, სანაცვლოდ, ქართლში ქრისტიანობასთან ერთად მაზდეანობის ოფიციალურ რელიგიად დაშვებაც მოითხოვა, ქართლის დიდებულები იძულებული იყვნენ, ამ დათმობაზე წასულიყვნენ. ქართლში მაზდეანური რელიგიის გასავრცელებლად, შაჰის ბრძანებით, მოგვები ჩამოვიდნენ. მთავარი კერპის მსახური, რომელსაც ქართული წყარო „ეპისკოპოსს“ უწოდებს, ბინქარანი იყო. მეფის მცირეწლოვნებით ისარგებლეს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე

ეს საინტერესოა

ქართლის სამეფო ოჯახი V ს-ის ბოლოსა და VI ს-ის დასაწყისში

არჩილი (ქართლის მეფე V საუკუნის დასაწყისში) + მარიამი

↓

მირდატ (ქართლის მეფე V საუკუნის 30-40 წლებში) + საგდუხტი

↓


ვახტანგ გორგასალი (ქართლის მეფე V საუკუნის II ნახევარში) + 1. ბალენდუხტი 2. ელენე

→ დაჩი – ქართლის მეფე VI საუკუნის დასაწყისში

→ ლეონი

→ მირდატი

→ ერთი ვაჟი და ორი ასული – სახელები უცნობია



რუკა 5. საქართველო V საუკუნის II ნახევარში, მეფე ვახტანგ გორგასლის დროს

კითხვები

4. რუკის მიხედვით, რა ტერიტორიებს მოიცავდა ქართლის სამეფო ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში?
5. რუკის მიხედვით, რომელ მეზობელ სახელმწიფოებთან ან პოლიტიკურ ერთეულებთან ჰქონდა ქართლს საზღვარი? რა გავლენას ახდენდა ეს ქართლის პოლიტიკაზე?
6. რა მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ გორგასლისთვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების შემოერთებას?
7. რატომ იყო მნიშვნელოვანი უღელტეხილების კონტროლი ქართლისთვის?
8. რა მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგის საგარეო პოლიტიკაში ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობას?
9. ვინ იყო საგდუხტი და რა გადაწყვეტილება მიიღო შვილისთვის ტახტის შენარჩუნების სანაცვლოდ?
10. რატომ ცდილობდა ირანი მაზდეანობის გავრცელებას ქართლში?



სპარსელი მეომარი. რეკონსტრუქცია

ქვეყნის გარეთ არსებულმა ძალებმა. ირანელთაგან წაქეზებული ქვემო ქართლის პიტიახშები ქართლის მეფის ძალაუფლებას აღარ ცნობდნენ და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ მმართველებად ჩამოყალიბდნენ. ამავე პერიოდში ქართლს ალანები შემოესივნენ და მთელი შიდა ქართლი მოაოხრეს. იმდენად მასშტაბური იყო ეს ლაშქრობა, რომ ალანებმა ვახტანგის და ტყვედ წაიყვანეს.

ვახტანგ გორგასლის მმართველობის დასაწყისი

ვახტანგ გორგასალი დამოუკიდებელ მმართველობას თხუთმეტი წლიდან შეუდგა. პირველი დიდი ღონისძიება, რომელიც მან განახორციელა, იყო ალანების წინააღმდეგ ლაშქრობა და დარიალის კარზე კონტროლის დაწესება. ქართლის მეფე ამ დროს ირანელების მოკავშირე იყო. ალანების წინააღმდეგ ლაშქრობაში ვახტანგის ბიძაც (დედისძმა) იღებდა მონაწილეობას, ვინაიდან ირანი დაინტერესებული იყო კავკასიის გადმოსასვლელების ჩაკეტვით. ამ შემთხვევაში ქართველებისა და ირანელების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა.

ჩრდილოეთ კავკასიის დალაშქვრის შემდეგ ვახტანგმა ირანელთა დამხმარე ჯარი უკან გაისტუმრა. თავად ქართველთა ლაშქრით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ციხეგოჯამდე (არქეოპოლისი, დღევანდელი ნოქალაქევი) ტერიტორია ქართლს შემოუერთა. ვახტანგ გორგასალმა ჩრდილოეთი საზღვრის გამაგრებისა და დასავლეთ საქართველოში თავისი გავლენის გაზრდის შემდეგ მთელი ყურადღება გადაიტანა ზემო ქართლში (სამხრეთ საქართველოში) ბიზანტიელთა მიერ მიტაცებული ტერიტორიების შემოერთებაზე. მან ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციები დალაშქრა და ქართლს კლარჯეთი შემოუერთა. ვახტანგმა იქ საერისთავო დააარსა და ააგო არტანუჯის ციხე. ამავე პერიოდში შევიდა ქართლის შემადგენლობაში ჰერეთიც.

ვახტანგ გორგასალი ირანში

V საუკუნის 50-60-იან წლებში ქართლის სამეფოში ვითარება იცვლება. ვახტანგ გორგასალი ველარ ურიგდებოდა ირანელთა გავლენას და ცდილობდა, დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინა. ამ დროს ქართლის სამეფო ფორმალურად ჯერ კიდევ ირანის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ამიტომაც ცეცხლთაყვანისმცემელ მოგვებს დიდი გავლენა ჰქონდათ. პირველი, რაც

ლექსიკონი

ალბანეთი – სახელმწიფო თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. დაარსდა ძვ.წ. II ს. იარსება ახ. წ. VII ს-მდე.

მოგვი – მაზდეანური რელიგიის მსახური.

პიტიახში – ირანში, ქართლსა და სომხეთში ერთერთი უმაღლესი მოხელე. ქართლში ამ ტიტულს „ერისთავის“ აღმნიშვნელად ხმარობდნენ.

მეცნიერის თვალსაზრისი



„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო შემოიერთა. ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის ერისთავთა შორის ასახელებს „სამნაღირს, ერისთავს შიდა ეგრისისა და სუანეთისა და ბაკურს ერისთავს მარგვისა და თაკუერისა“. არ გვაქვს საფუძველი არ ვერწმუნოთ ამ მოწმობას. რამდენადაც ვიცით, რომ ვახტანგ გორგასალი დასავლეთ საქართველოში 466 წელს უნდა გადასულიყო და იქ სამი წლის განმავლობაში ომობდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველო მას 469 წელს შემოუერთებია.

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი

კითხვები

11. როგორ ცდილობდა ვახტანგ გორგასალი ქართლის სამეფოს გაძლიერებასა და ირანის გავლენისგან გათავისუფლებას?
12. როგორ იყენებდა ვახტანგ გორგასალი ირანის მოკავშირის სტატუსს მმართველობის პირველ წლებში საკუთარი სამხედრო და პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად? როგორ შეაფასებდით მის დიპლომატიას?



მაზდეანური ტაძრები. ირანი

ვახტანგმა განახორციელა, იყო ქართლის მთავარი ქურუმის – „ეპისკოპოსი“ ბინქარანისა და მასთან ერთად ჩამოსული მოგვების დაპატიმრება. მეფემ ისინი ქვეყნიდან გააძევა. ამან დაძაბა ურთიერთობა ირანთან. საქმე სამხედრო დაპირისპირებამდეც კი მივიდა. ქართლში ირანელთა ლაშქარი შემოიჭრა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, სწორედ ამ დროს გამართული შეტაკებებისას შეარქვეს ირანელებმა ვახტანს „დურ აზ გორგასალ“. ეს ნიშნავდა: „მოერიდეთ მგლისთავსო“. ჯუანშერის ცნობით, ამის შემდეგ „სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალი“. ირანს ამ პერიოდში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა ჰქონდა აღმოსავლეთ საზღვარზე, სადაც დროდადრო თავდასხმებს აწყობდა ჰეფტალიტების (იგივე თეთრი ჰუნების) ტომი. ირანის შაჰს არ აწყობდა ქართლის მეფესთან ხანგრძლივი დაპირისპირება, ამიტომაც იგი დათანხმდა ვახტანგ გორგასლის საზავო პირობებს. ირანი არ უნდა ჩარეულიყო ქართლის სამეფოს რელიგიურ საკითხებში და აღარ უნდა გამოეგზავნა ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვები. სანაცვლოდ, ვახტანგი ცნობდა ირანელთა უზენაესობას. ამ შეთანხმებით, ქართლის სამეფო ჯერ კიდევ ირანის გავლენის ქვეშ რჩებოდა და მას გარკვეული სამხედრო ვალდებულებები ეკისრებოდა. სწორედ ამ დროს დადებული ზავის პირობით ვახტანგი იძულებული გახდა, რამდენიმე წელი ირანელთა დასახმარებლად სალაშქროდ წასულიყო.

ირანში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ ვახტანგი ქართლში დაბრუნდა და მთავარ საზრუნავად შაჰის ქვეშევრდომობისგან ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება დაისახა.



სასანური ვერცხლის თასი ირანის შაჰის, პეროზ I-ის (459-484 წწ.) გამოსახულებით

საეკლესიო რეფორმა

სამშობლოში დაბრუნებულმა ვახტანგ გორგასალმა გადაწყვიტა ქართული ეკლესიის რეფორმის ჩატარება. ირანელთა გავლენით, ქართლის მოსახლეობის ნაწილი მაზდეანობაზე იყო გადასული. მეფემ გადაწყვიტა, სასულიერო პირები ბიზანტიიდან მოეწვია, ეპარქიათა რაოდენობა

კითხვები

13. რატომ იყო მნიშვნელოვანი, რომ ქართულ ეკლესიას ჰყოლოდა საკუთარი მეთაური, რომელიც სხვა ქვეყანას აღარ დაემორჩილებოდა?

მეცნიერის თვალსაზრისი

საეკლესიო თვალსაზრისით, მოსახლეობა IV-VII საუკუნეების საქართველოში ორ ნაწილად იყოფებოდა: ერთს, უმცირეს ნაწილს, „მღვდელთაგანნი“ შეადგენდნენ, მეორეს, უმრავლესობას კი, „ერისკაცნი“. მღვდელთაგანნი, ანუ სამღვდელოება ეკლესიის მსახურნი იყვნენ... ყველაზე უფროსი ეპისკოპოსები იყვნენ. ეკლესიას საერთო უფროსი და ხელმძღვანელი ჰყავდა. უძველეს ხანაში მას ეწოდებოდა „თავი ეპისკოპოსთაი, ანუ „მთავარეპისკოპოსი“, ვახტანგ გორგასლის მეფობაში კი ქართული ეკლესიის უფროსად და საჭეთმპყრობლად „კათალიკოსი“ შეიქმნა.



აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

გაეზარდა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისთვის მიეღწია და კათოლიკოსობა დაეწესებინა. ვახტანგს მომავალი კათოლიკოსიც კი შერჩეული ჰყავდა. მეფის ამ განზრახვას წინ აღუდგა მთავარეპისკოპოსი მიქაელი. მან ვახტანგს შეურაცხყოფაც მიაყენა. ქართლის მეფემ მიქაელი ბიზანტიაში გააძევა. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელშეწყობით, ქართულმა ეკლესიამ V საუკუნის 70-იან წლებში ავტოკეფალია მოიპოვა და მას ამიერიდან, მთავარეპისკოპოსის მაგიერ, კათალიკოსი მართავდა. პირველი კათალიკოსი გახდა პეტრე.

ლექსიკონი

ქულბაქი – სავაჭრო ნაგებობა
განასრულნა – დაასრულა.
ზღუდე – გალავანი.
სახლი სამეუფო – სატახტო ქალაქი.

წყარო

ვახტანგი ქართლში წამოვიდა, წინ მისი ძე დაჩი, სპასალარები და მათთან ერთად ეპისკოპოსები მიეგებნენ. როცა მთავარეპისკოპოსმა (მიქაელმა) გაიგო, რომ მეფემ მოციქული გააგზავნა (ბიზანტიაში) კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მოსაყვანად, ეწყინა ეს, აღშფოთდა და გაბრაზდა, მეფესთან (მოციქული) გააგზავნა და უთხრა: „შენ ქრისტე დაგიტოვებია და ცეცხლს თაყვანსა სცემ“. ხოლო ვახტანგმა დაუბრუნა: „ქრისტეს ძალით შევედი და ქრისტეს ძალითვე სიმართლით გამოვედი, ღმერთმა იცის, რომ უბრალო ვარ. მოციქული გავაგზავნე კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მოსაყვანად“. მთავარეპისკოპოსმა ეს რომ გაიგო, სინამდვილეში დარწმუნდა. ეგონა, არეულობით დავაყოვნებო იმ საქმეს (ბიზანტიიდან სასულიერო პირების ჩამოყვანას) და მათ მოსვლას. დაწყევლა მეფე და მთელი მისი ლაშქარი. მაშინ მეფემ თქვა: „თუმცა უბრალო ვართ, მაგრამ თავმდაბლობა შეგვეფერება“. მეფე მივიდა, ცხენიდან ჩამოხტა, რათა ფეხებზე მთხვეოდა მთავარეპისკოპოსს. მან ფეხი აღმართა, ქუსლი ჰკრა მეფეს სახეზე და კბილი ჩაუმტვრია. მეფემ თქვა: „ამპარტავნობის ეს თავხედობა ეშმაკის საცთურებაა. თუ ჩემი ცოდვების სიმრავლემ შეგძრა, ბოროტების (ჩადენის) უფლება კი არ გაქვს, არამედ შენდობისა... ვერცხლისმოყვარე ხარ, რადგან შენც ქრისტეს ფულის შემკრები ხარ. ახლა მიგავლინებ შენ პატრიარქთან კონსტანტინეპოლში და როგორც საჭირო იყოს, განგიკითხოს.“

ჯუანშერ ჯუანშერიანი, ვახტანგ გორგასლის ცხოვრება

კითხვები

14. წყაროს მიხედვით რამ გამოიწვია მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი?
15. რა მიზეზების გამო დასაჯა სიკვდილით ვახტანგ გორგასალმა ვარსქენი?



ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში. ავტორი – ელგუჯა ამაშუკელი

ბრძოლა შაჰის მომხრე დიდებულთა წინააღმდეგ და ირანელთა წინააღმდეგ აჯანყება

V საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ირანის შაჰმა გადაწყვიტა, დიდი ლაშქრობა დაეწყო აღმოსავლეთში მცხოვრები მომთაბარეების წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასალს შესაძლებლობა მიეცა, ამ ვითარებით ესარგებლა და მან ირანელების მოკავშირე დიდაზნაურებს შეუტია. ასეთი იყო ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი, რომელიც ცნობილი იყო თავის ანტიქრისტიანული პოლიტიკით. მან საკუთარი მეუღლე შუშანიკ დედოფალი დაატუსაღა და წლების განმავლობაში გამოკეტილი ჰყავდა დილეგში, სადაც წამებით გარდაიცვალა. მეფის ბრძანებით, 482 წელს მოკლეს ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი, რაც სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა. ქართველებთან ერთად ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ სომხებიც. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა ცნობილი სომეხი მხედართმთავარი ვაჰან მამიკონიანი. ორი წლის განმავლობაში კავკასიის ხალხები ერთობლივად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. ირანელებმა აჯანყება ჩაახშეს. ვახტანგ გორგასალი დროებით დასავლეთ საქართველოში გადავიდა. სპარსეთმა ვერ მოახერხა ქართლის მთლიანად დამორჩილება. საბოლოოდ, შაჰი იძულებული გახდა, გარკვეულ დათმობაზე წასულიყო კავკასიის ხალხებთან.

მეცნიერის თვალსაზრისი



482-484 წლების აჯანყება ირანელების წინააღმდეგ კავკასიის ხალხის სამხედრო დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ თვით ირანში დატრიალებულმა მოვლენებმა (შაჰის დაღუპვა, ბრძოლა ტახტისათვის) და იმ წინააღმდეგობამ, რასაც ირანი აქ წააწყდა, აიძულა ახალი შაჰი ვალარში (ბალაში) (484-488 წწ.) მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო... შაჰის ხელისუფლება ხელს იღებს ქრისტიანობის დევნაზე. ალბანეთში აღდგენილ იქნა მეფის ხელისუფლება, სომხეთის აჯანყების მეთაური ვაჰან მამიკონიანი შაჰმა სომხეთის მარზპანად დანიშნა. ამ აჯანყებას, როგორც ვხედავთ, სომხეთისა და ალბანეთისათვის დადებითი შედეგი ჰქონია. აღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს ვარაუდი, რომ აჯანყების შედეგად ქართლშიც გაუმჯობესდა მდგომარეობა, აქედან გაწვეულ იქნა სპარსთა ჯარი, ეგრისში გახიზნული ვახტანგ მეფე ქართლში დაბრუნდა.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

ვახტანგ გორგასლის მიერ ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება

ირანელების ქართლიდან წასვლის შემდეგ ვახტანგ გორგასალი დასავლეთ საქართველოდან კვლავ დაბრუნდა ქართლში და ბრძოლა გააგრძო სრული დამოუკიდებლობისთვის. შაჰმა ქართლის დასამორჩილებლად ხელახლა გამოაგზავნა დიდი ლაშქარი. გადამწყვეტი ბრძოლა სამგორის ველზე გაიმართა. ბრძოლაში მეფე სასიკვდილოდ დაიჭრა. იგი უჯარმის ციხეში გახიზნეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებაა ვახტანგის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით, ზოგი ისტორიკოსი მას ათარიღებს 502 წლით, ზოგიც – 491 წლით. მემატიანის თქმით, ამ დროს ვახტანგ გორგასალი 60 წლის ყოფილა. სახელოვანი მეფე მისსავე აშენებულ სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

წყარო

როგორი იყო ვახტანგ გორგასალი

„იმ დროს იყო ვახტანგი წლისა ოცდაორისა, და იყო ყველაზე მაღალი მისი დროის კაცებში, და უმშვენიერესი სახით და ძლიერი ძალითა, ისე რომ ქვეითად ჭურვილი ირემს მიეწეოდა, რქებს დაუპყრიდა და დაიჭერდა, და ჭურვილ ცხენს მხრებზე აიღებდა და მცხეთიდან არმაზის ციხეზე ავიდოდა“.

ჯუანშერ ჯუანშერიანი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“

ვახტანგ გორგასლის მუზარადი

„ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა მუზარადი ოქროსი და გამოესახა მასზე წინ მგელი და უკანით ლომი, და ბრძოლისას რომელ მხარესაც მარცხდებოდნენ ქართველნი, იქით მიმართავდა და მოსპობდა თავისი ჯარით სპარსელებისას, ვითარცა ლომი გარეულ ვირს. ამიერიდან ერიდებოდნენ სპარსელები მასთან ბრძოლას, ვითარცა იხილავდნენ ვახტანგს, იტყოდნენ: „დურ აზ გორგასალ“, რომელიც ნიშნავს: „ერიდეთ მგლის თავას“. და ამის გამო შეერქვა ვახტანგ მეფეს გორგასალი“.

ჯუანშერ ჯუანშერიანი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“



ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. ხელნაწერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

კითხვები

16. რატომ ვერ შეძლო სასანურმა ირანმა ქართლის სამეფოს სრული დამორჩილება ვახტანგ გორგასლის დროს?
17. რეკონსტრუქციის მიხედვით, რომელი დეტალები მიუთითებს, რომ ქალაქის მშენებლობისას თავდაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა?
18. რომელი ბუნებრივი პირობები უწყობდა ხელს ქალაქის განვითარებას? რა მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულს?

ქართლის ეკონომიკური აღმავლობა ვახტანგ გორგასლის დროს

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ქართლის სამეფომ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. სასანურმა ირანმა ქართლის სამეფო სრულად ვერ დაიმორჩილა. ვახტანგის მოთავეობით წარმოებულმა ბრძოლამ ირანელები აიძულა, თავიანთ განზრახვაზე ხელი აეღოთ. V საუკუნის II ნახევარში გაიზარდა ქართლის სამეფოს საზღვრები და ქვეყანა გაძლიერდა. დაარსდა და განახლდა ციხე-ქალაქები: უჯარმა, ჭერემი, ხორნაბუჯი, ბოჭორმა და არტანუჯი. აიგო ახალი ტაძრები: სვეტიცხოველი, ნიქოზი, ნინოწმინდა, ჩელეთი და სხვა. ქართლის სამეფო ჩართული იყო საერთაშორისო ვაჭრობაში, რაზეც მეტყველებს ამ ეპოქის სასანური თუ ბიზანტიური მონეტების, ასევე უცხოური წარმოების საყოფაცხოვრებო საგნების აღმოჩენა დიდ დასახლებებში.



ქალაქი უჯარმა. რეკონსტრუქცია

თბილისის გადედაქალაქება

ვახტანგ გორგასლის პერიოდში გადაწყდა მცხეთიდან სამეფო დედაქალაქის გადმოტანა თბილისში, მაგრამ მას ვერ დასცალდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა და საბოლოოდ დაჩი ვახტანგის ძემ განასრულა თბილისის მშენებლობა და სატახტო ქალაქად აქცია იგი. თბილისის ტერიტორიაზე უძველესი მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში ჩანს. IV საუკუნეში დღევანდელი ნარიყალას ტერიტორიაზე ირანელები აშენებენ ციხეს, რომელიც შაჰის მოხელის რეზიდენცია იყო. თბილისის დაწინაურებას ხელი შეუწყო მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც, თბილისი საკმაოდ დაცული ქალაქი იყო. იგი სამი მხრიდან შემოფარგლული იყო ხევებით, ხოლო ჩრდილოეთით მტკვარი ჩამოუდიოდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქალაქის ტერიტორიაზე თბილი გოგირდოვანი წყლის საბადოს არსებობაც. თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე გოგირდოვანი აბანოები ქალაქის ჰიგიენის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. ამასთანავე, აბანოები ადგილობრივი მოსახლეობისა და ჩამოსული სტუმრების თავშეყრის ერთ-ერთი საყვარელი ადგილი იყო.



უძველესი აბანოს ნაშთი ძველ თბილისში. III საუკუნე. აღმოჩენილია აბანოთუბანში, ორმოც მოწამეთა ეკლესიის საძირკვლის ამოღებისას.



ძველი თბილისი.
XIX საუკუნის გრავიურა.
ხელოვნების სასახლე

წყარო

„და ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და მხოლოდ საფუძველი დაედვა... ხოლო ვახტანგის ძემ, დაჩიმ განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“.

ჯუანშერ ჯუანშერიანი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“


VI საუკუნის I ნახევარში თბილისის ზრდა-განვითარება კიდევ უფრო მასშტაბური გახდა: „მაშინ მცხეთაი ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაი განდიდნებოდა“.

„მოქცევაი ქართლისაი“

მეცნიერის თვალსაზრისი

მმართველობის ცენტრის თბილისში გადმოტანას მოჰყვა მთელი სამეფო კარის გადმოსვლა თავისი სამეფო აპარატით – მოხელეებით, მათი ოჯახებითა და მოსამსახურეებით. ამიტომ თბილისში გაჩნდა საკმაოდ თვალსაჩინო მოსახლეობა. გაჩაღდა მშენებლობა. ახლად დაარსებულ ქალაქში მაშინდელ პირობებში ტარდებოდა შემდეგი ხასიათის მშენებლობა: 1. საცხოვრებელი სახლები. 2. ქულბაქები ხელოსან-ვაჭართათვის და 3. საკულტო შენობები.

პროფესორი სარგის კაკაბაძე



კითხვები

19. რატომ იყო თბილისის მდებარეობა ხელსაყრელი სატახტო ქალაქისათვის?
20. ახსენით, რატომ იქცა თბილისი ქვეყნის მნიშვნელოვან სავაჭრო და პოლიტიკურ ცენტრად?

დავალებები

1. გააანალიზეთ ვახტანგ გორგასლის საქმიანობა და დააჯგუფეთ იგი ოთხ სფეროდ: სამხედრო, საეკლესიო, ეკონომიკური და ურბანული. თითოეული მიმართულების შემთხვევაში ახსენით: ა) რა პრობლემა გადაჭრა ამ ღონისძიებამ; ბ) როგორ შეცვალა მან ქართლის სახელმწიფოს მდგომარეობა; გ) რა იყო ამ ნაბიჯის გრძელვადიანი შედეგი?
2. ვახტანგ გორგასალი ერთდროულად მონაწილეობდა ირანის ლაშქრობებში, იბრძოდა ბიზანტიის წინააღმდეგ კლარჯეთისთვის და ბიზანტიის პატრიარქის დახმარებით ეკლესიის ავტოკეფალია მოიპოვა. ახსენით, რა მიზანს ემსახურებოდა მისი თითოეული ნაბიჯი. თქვენი აზრით, რომელი მიმართულება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?



I.4. აფხაზთა მეფეები. დიდი ქართული საქმის დასაწყისი

აფხაზთა სამეფოს შექმნა

VIII საუკუნეში აფხაზეთის საერისთავო თანდათან გაძლიერდა და დასუსტებული ეგრისის სამეფოს ტერიტორიები შეიერთა. VIII საუკუნის ბოლოს მისმა მმართველებმა შეძლეს მთელი დასავლეთ საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და ქვეყნის ბიზანტიის იმპერიის ვასალობისგან გათავისუფლება. სწორედ ამ პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა აფხაზთა სამეფო.



ანაკოფიის ციხე და მისი რეკონსტრუქცია. VII-XV საუკუნეები

თუმცა, ეს გაერთიანება ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო და გაცილებით ადრე დაიწყო. ამ მოვლენებისას აღსანიშნავია ორი მეფის მოღვაწეობა: ლეონ I-ის (720-740 წწ.), რომელიც აქტიურად იბრძოდა როგორც ეკლესიური, ისე პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის, და მისი ძმისწულის, ლეონ II-ისა (753-792 წწ.). სწორედ ლეონ II-მ ისარგებლა ბიზანტიის დასუსტებით, ქვეყანა ვასალობისგან გაათავისუფლა და დამოუკიდებელი მეფის ტიტული მიიღო. მან პოლიტიკური ცენტრი ანაკოფიიდან ქუთაისში გადაიტანა. აფხაზთა სამეფოს გაძლიერებას, პოლიტიკური გაერთიანების გარდა, მნიშვნელოვანი საეკლესიო ცვლილებებიც მოჰყვა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია თანდათან გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა. ამან ხელი შეუწყო ქართული ენისა და ქართული ქრისტიანული კულტურის გავრცელებას მთელ დასავლეთ საქართველოში.

კითხვები

1. რუკის მიხედვით, რა ტერიტორიებს მოიცავდა აფხაზთა სამეფო IX საუკუნეში?
2. რომელი ქალაქები და პოლიტიკური ცენტრებია აღნიშნული რუკაზე? რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ სახელმწიფოსთვის?

რა ტერიტორიებს მოიცავდა აფხაზთა სამეფო და როგორი იყო მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა?

ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტერიტორიულად მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს. დასავლეთით მას შავი ზღვა ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთით – ჯიქეთი, აღმოსავლეთით – ლიხის ქედი, ხოლო სამხრეთით – მდინარე ჭოროხის ხეობა.

ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ეგრისის სამეფო, სვანეთთან და თაკვერთან (რაჭა-ლეჩხუმი) ერთად, ასევე: სანიგეთი, აფხაზეთ-აფშილეთი, მისიმიანეთი.

აფხაზთა სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართველი იყო. სამეფოს ოფიციალურ სახელმწიფო და საეკლესიო ენას ქართული წარმოადგენდა.

აფხაზთა სამეფოს ქართული კულტურული და პოლიტიკური ხასიათი მის ადმინისტრაციულ მოწყობაშიც ჩანს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ლეონმა ქვეყანა რვა საერისთავოდ დაყო: აფხაზეთის, ცხუმის, ეგრისის (ცენტრი – ბედია), გურიის, რაჭა-ლეჩხუმის (თაკვერი), სვანეთის, არგვეთის (ცენტრი – შორაპანი), ვაკე იმერეთის (ცენტრი – ქუთაისი).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი გახდა ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ცენტრი – ქუთაისი.



ღვთისმშობლის ხობის ხატი.
X-XVII საუკუნეები.
დადიანების სასახლე

რუკა 6. აფხაზთა სამეფო IX საუკუნეში



აფხაზთა მეფეების შეწირული საეკლესიო ნივთები

ვინ იყვნენ აფხაზთა მეფეები? როგორ პოლიტიკას ატარებდნენ ისინი? რა იყო მათი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რელიგია და კულტურულ-ეთნიკური კუთვნილება? – ამ კითხვებზე მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის ზუგდიდის დადიანების სასახლეში დაცული რამდენიმე ისტორიული ექსპონატი:

ქიაჩის სამწერობელი

აფხაზთა მეფე გიორგი II (922-957 წწ.) იხსენიება ქიაჩის ეკლესიის სამწერობლის წარწერაში. სამწერობელი ტარზე მიმაგრებული ლითონის წრიული ფირფიტაა, რომელსაც დიაკვნები სამღვდელმთავრო მსახურების დროს ატარებდნენ. მასზე გამოსახულია ქერუბიმები. ქიაჩის სამწერობელი ვერცხლის კარედ ხატშია მოთავსებული. ხატზე გამოსახულნი არიან წმინდა მამები, ხოლო 15-სტრიქონიან ქართულ ასომთავრულ წარწერაში ვკითხულობთ: „გიორგი მეფემან დავსხენ ესე სამწერობელნი წმიდასა ამას ეკლესიასა ქიაჩს, სალოცველად სულისა ჩემისათვის“.





ქიაჩის სამწერობელი
და მისი ჩასასვენებელი.
ვერცხლი, მოოქრული.
X საუკუნე.
დადიანების სასახლე

ობუჯის საცეცხლური

საინტერესო ექსპონატია ობუჯის ეკლესიიდან შემორჩენილი ვერცხლის ჭედური მოოქრული საცეცხლური, რომელსაც სასულიერო პირები სასაკმევლედ იყენებდნენ. საცეცხლურის ძირზე შესრულებულია X საუკუნის ქართული ასომთავრული წარწერა:

„წმიდაო ეკლესიაო, მეოხ მეყავ მე გიორგი მეფესა წინაშე ღმრთისა“.

წარწერაში აღნიშნულია ზემოხსენებული აფხაზთა მეფე გიორგი II-ის სახელი.



ობუჯის საცეცხლური.
ვერცხლი, მოოქრული.
X საუკუნე.
დადიანების სასახლე



ობუჯის საცეცხლურის ძირი ქართული
ასომთავრული წარწერით. ვერცხლი,
მოოქრული. X საუკუნე. დადიანების სასახლე

„ⴔⵓⵛⵜⵙⵓ ⵥⵖⵒⵓ ⵛⵑⵓⵒⵀⵖⵍⵛⵓ ⵛⵓⵛⵜⵓ
ⵍⵛⵖⵀⵛⵑ ⵛⵖⵑⵛⵄⵛⵛ ⵥⵖⵒⵖ ⵓⵛ ⵃⵓⵀⵛⵀⵛⵒⵄⵛⵑⵓ“.

„წმიდაო ძელო ცხორებისაო, ადიდე ბაგრატ
აფხაზთა მეფე და კურაპალატი“.



ცაიშის საწინამძღვრო ჯვარი. ვერცხლი, მოოქრული. X საუკუნე. დადიანების სასახლე

ცაიშის საწინამძღვრო ჯვარი

მესამე მნიშვნელოვანი ექსპონატია ცაიშის საწინამძღვრო ჯვარი. აქ ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III იხსენიება „აფხაზთა მეფედ და კურაპალატად“.

ცაიშის ჯვარზე შესრულებული ბაგრატ III-ის ტიტული ცხადად გვიჩვენებს, რომ აფხაზთა სამეფო იყო იმ პოლიტიკური სივრცის ნაწილი, რომლის საფუძველზეც მოგვიანებით გაერთიანდა საქართველო.

ჯვარ-ხატებზე დატანილი ქართული წარწერები ნათლად მიუთითებს, რომ აფხაზთა სამეფოში სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ცხოვრება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ობუჯის, ქიაჩისა და ცაიშის ეკლესიები ისტორიული ოდიშის (სამეგრელოს) ტერიტორიაზე მდებარეობდა, რაც გვიჩვენებს, რომ აფხაზთა მეფეების ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს ფართო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

ამ ყველაფრიდან კი ჩანს, რომ აფხაზთა სამეფო კულტურულად და პოლიტიკურად ქართული სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

კითხვები

3. გააანალიზეთ ობუჯის საწინამძღვროს, ქიაჩის საწერობელისა და ცაიშის ჯვარი. რას გვიამბობს თითოეული მათგანი აფხაზთა სამეფოს პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ცხოვრების შესახებ? პასუხი დაასაბუთეთ წარწერებში დაცული ცნობებით.
4. სამივე წარწერა ქართულ ენაზეა შესრულებული. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აფხაზთა სამეფოს კულტურულ-ენობრივი პოლიტიკისა და სახელმწიფოებრივი განვითარების შესახებ?



მაცხოვარი. მარტვილის ტაძრის დასავლეთის ფასადი. X ს.

აფხაზთა მეფეების მემკვიდრეობა

აფხაზთა მეფეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში. ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობას სახელმწიფოებრივი, კულტურული და საგანმანათლებლო მიზნებიც ჰქონდა. საეკლესიო მოღვაწეობა საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის, ერთიანი ქართული კულტურული სივრცისა და ქართული სალიტერატურო ენის განმტკიცების საფუძველი გახდა. ამის მაგალითია გრიგოლ ხანძთელისა და დემეტრე აფხაზთა მეფის თანამშრომლობა, უბისის მონასტრის აგება და ქართულ ენაზე ნათარგმნი საღვთისმეტყველო წიგნების გავრცელება, რაც ნათლად აჩვენებს, რომ მონასტრები მხოლოდ რელიგიური ცენტრები კი არა, ქართული განათლების, მწერლობისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის მნიშვნელოვანი კერებიც იყო (ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში).

გიორგი II

ჭყონდიდის ტაძრის მშენებლობა ან აღდგენა კონსტანტინე აფხაზთა მეფის (893-923 წწ.) დროს დაწყებულა, მის შვილს, აფხაზთა მეფე გიორგი II-ს (923-957 წწ.) კი დაუსრულებია ეს პროცესი და ჭყონდიდი საეპისკოპოსოდ უქცევია.



ლეონ III-ის ბარელიეფი კუმურდოს ტაძარზე. X საუკუნე. ჯავახეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

ლეონ III

სააღმშენებლო საქმიანობით გამოირჩეოდა აფხაზთა მეფე ლეონ III. მის შესახებ გვიამბობს „მატიანე ქართლისაი“, რომ ის იყო „ღმრთისმოყუარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“. აფხაზთა მეფე ლეონ III-ის (957-967 წწ.) დროს, 964 წელს, იოანე ეპისკოპოსის თაოსნობით ქართველ ხუროთმოძღვარს, საკოცარს, ჯავახეთში კუმურდოს ტაძრის მშენებლობა დაუწყია. ამავე ეკლესიის გუმბათქვეშა სვეტზე შემორჩენილია ლეონ III-ის რელიეფური გამოსახულებაც. ამ ბარელიეფის დაფიქსირებით კი აფხაზთა მეფე ჯავახეთში თავისი უფლებების დემონსტრირებას ახდენდა. ლეონ III მოხსენიებულია ხობის მადლმოსილი ღვთისმშობლის კარედი ხატის ასომთავრულ წარწერაში.

ეს საინტერესოა

თქმულება მოქველ დიდოსტატზე

აფხაზთა მეფე ლეონ III-მ, დაახლოებით, 957 წელს ააგო მოქვის შესანიშნავი ტაძარი. ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით აფხაზურ ფოლკლორს ერთი საინტერესო ლეგენდა შემორჩა. გადმოცემის მიხედვით, აფხაზთა მეფე ლეონმა გადაწყვიტა, აღემართა დიდი ტაძარი მდინარე მოქვისა და დვაბის შესართავთან. დაიბარა საუკეთესო ხუროთმოძღვრები და მშენებლები, მოიწვია უცხოელი ოსტატები და ზღაპრულ სიმდიდრეს შეჰპირდა, თუ ააგებდნენ მისთვის მოსაწონ ტაძარს. ლეონს სურდა, რომ ტაძარი ყოფილიყო მაღალი და არაჩვეულებრივი ფორმის. მისი გუმბათიდან ხელისგულივით უნდა გამოჩენილიყო მთელი აფხაზეთი. დიდოსტატები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ სამეფო სასახლეს, რადგან იცოდნენ, დანაპირებს ვერ შეასრულებდნენ და მეფის მრისხანებას დაიმსახურებდნენ. მაგრამ გამოჩნდა ერთი უშიშარი ხუროთმოძღვარი, რომელმაც გადაწყვიტა, ბედი ეცადა და დათანხმდა მეფის პირობებს. გაჩაღდა მუშაობა მდინარე მოქვისა და დვაბის შესაყართან.

ლექსიკონი

ქერუბიმი – ანგელოზთა ერთ-ერთი ჯგუფი.

დიაკვანი – ეკლესიის მსახური, რომელიც ეხმარება მღვდელს წირვისა და სხვა საეკლესიო მსახურების დროს.



მოქვის ტაძარი. X საუკუნე. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი.

ტაძრის გუმბათის ოქროთი გადახურვისას ლეონმა მოინდომა, ამალასთან ერთად ენახა მოქვი. ადგილზე ეხილა, რამდენად შეასრულა მისი პირობები დიდოსტატმა. მეფემ თან წაიღო ხუროთმოძღვრისათვის შეპირებული ოქრო და ვერცხლი. მან დაათვალიერა ტაძარი და ყველაფერი მოიწონა, შემდეგ ავიდა გუმბათზე, რათა ეხილა, ჩანდა თუ არა მოქვის სიმაღლიდან მთელი აფხაზეთი და იქიდან მოლუშული და განრისხებული დაეშვა: „არ შეასრულე შენ ჩემი ერთი პირობა, – უთხრა ხუროთმოძღვარს, – არ ჩანს ტაძრის სიმაღლიდან მთელი აფხაზეთი“.

დაღონდა დიდოსტატი, გადაწყვიტა, თვითონ შეემოწმებინა მეფის ნაბრძანები და აუყვა გუმბათს, რომელიც ათასი იდაყვის სიმაღლეზე აეზიდა მისსავე ხელებს. როდესაც დიდოსტატმა მიაღწია გუმბათს, მეფემ ბრძანა, კიბე მოეცილებინათ შენობისათვის, რამეთუ ენანებოდა შეპირებული ოქრო და ვერცხლი და, ამასთანავე, არ სურდა, ქვეყნიერებაზე კიდევ აგებულიყო მოქვის ტაძარივით მშვენიერი რამ. ასე დაასრულა სიცოცხლე მოქვის ტაძრის ამგებმა დიდოსტატმა.



მარტვილის სამღვდელმთავრო სანაწილე ჯვარი. ბავჯაღლო ოქრო, ძვირფასი ქვები, ტიხრული მინანქარი. X-XI საუკუნეები. ხელოვნების მუზეუმი

კითხვები

5. თქმულების რომელი ნაწილი შეიძლება ეფუძნებოდეს რეალურ ისტორიულ მოვლენებს და რომელი – ხალხურ წარმოდგენას? პასუხი დაასაბუთეთ.
6. რატომ იყენებენ ისტორიკოსები თქმულებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველთვის ზუსტად არ ასახავენ რეალურ მოვლენებს?
7. რატომ არის მნიშვნელოვანი ხალხური გადმოცემებისა და თქმულებების შენარჩუნება დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველთვის ზუსტ ისტორიულ ფაქტებს არ გადმოსცემენ?

დავალებები

1. მოამზადეთ მოხსენება თემაზე: „აფხაზთა სამეფო – ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილი“. მოხსენებაში გააანალიზეთ, როგორ ასახავს ქართული ენა, პოლიტიკური ცენტრი და ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობა აფხაზთა სამეფოს ადგილს ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ განვითარებაში.



I.5. დავით III დიდი. ბაგრატ III. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის



დავით III კურაპალატი.
ბარელიეფი ოშკის ტაძრიდან.
(თურქეთი)

არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიის ურთიერთობა X საუკუნეში. ცვლილებები მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკაში

IX საუკუნეში არაბთა სახალიფო რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად დაიყო. მომდევნო საუკუნეში სახალიფოს დეცენტრალიზაციის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. არაბთა სახალიფოს დაშლის ნიშნებმა თავი იჩინა VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე. სახალიფოს ჯერ კიდევ VIII საუკუნის შუა ხანებში გამოეყო ესპანეთში არსებული კორდობას დამოუკიდებელი საამირო. X საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებლობა მოიპოვა ეგვიპტემ. აჯანყება აჯანყებაზე ეწყობოდა ირანსა და შუა აზიაში.

X საუკუნის შუა პერიოდში არაბთა ხალიფას ხელისუფლება მნიშვნელოვნად შესუსტდა. ამ მდგომარეობით ისარგებლა ბიზანტიის იმპერიამ და აღმოსავლეთში თავისი საზღვრების გაფართოება დაიწყო. თითქმის მთელი მცირე აზია იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. იმპერია თავიდანვე ხელს უწყობდა წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროების ფორმირებას. მეტიც, მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებსაც ამყარებდა მათთან. თანამშრომლობის ეს ფორმა ორივე მხარისათვის მისაღები იყო, ვინაიდან ის მიმართული გახლდათ საერთო მტრის, არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ. მაგრამ მას შემდეგ, რაც არაბთა სახალიფომ პოზიციები დათმო, ბიზანტიამ მკვეთრად შეცვალა საგარეო კურსი. წინააზიურ პოლიტიკაში ბიზანტიის გააქტიურებას მალე წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში იმპერიის ექსპანსია მოჰყვა.

კითხვები

1. შეადარეთ ბიზანტიის პოლიტიკა არაბთა სახალიფოს გაძლიერების პერიოდში და მისი დასუსტების შემდეგ. რა შეიცვალა და რატომ?

ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, რეკონსტრუქცია



საქართველოს გაერთიანების დასაწყისი

საქართველოს გაერთიანების პროცესი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. უპირველესად უნდა დავასახელოთ რელიგიური ერთობა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა, X საუკუნიდან გამოეყო მას და მცხეთის საკათალიკოსოში გაერთიანდა, რითაც შეიქმნა ერთიანი ქართული ეკლესიის პრეცედენტი. სამეფოებად დაშლილ საქართველოში ეკლესიამ გამაერთიანებლის ფუნქცია იკისრა. ეროვნული მთლიანობის ეს იდეა გიორგი მერჩულემ ასე ჩამოაყალიბა: „ქართლად (ქართულ მიწებად) ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. საქართველოს გაერთიანების მეორე ფაქტორი გახლდათ საგარეო ვითარება – X საუკუნეში არაბთა გავლენა თითქმის აღარ ვრცელდება საქართველოში. ამ პერიოდისთვის თვით თბილისის ამირაც აღარ ემორჩილება არაბულ სახალიფოს. ერთ-ერთი უკანასკნელი მცდელობა დაკარგული გავლენის აღსადგენად იყო 914 წელს არაბი სარდლის, აბულ-კასიმის ლაშქრობა. აღმოსავლეთ საქართველო არც თბილისის ამირას არ ემორჩილებოდა. ამის გამო უკვე ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის (აფხაზთა სამეფო, კახეთისა და ტაოს სამეფოები) დაიწყო ბრძოლა შიდა ქართლში გაბატონებისათვის. ამ რეგიონს სტრატეგიული მდებარება ეჭირა, მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, ეკონომიკურადაც იგი ითვლებოდა ერთ-ერთ უმდიდრეს მხარედ. „ქართლსა ზედა“ ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. მთელი X საუკუნე დასავლეთქართულ სახელმწიფოს – აფხაზთა სამეფოსა და კახეთის სამეფოს შორის წარმოებდა შიდა ქართლისათვის ბრძოლა. აფხაზთა მეფემ, გიორგი II-მ (923-957 წწ.), მოახერხა მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი შიდა ქართლის ტერიტორიაზე. აქედან კი მან კახეთზე გაილაშქრა და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. „ქართლსა ზედა“ ბრძოლაში, დასაწყისში, არ ერეოდა სამხრეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ერთეულები (იმერტაოსა და ამიერტაოს სამეფოები, ასევე კლარჯეთის დამოუკიდებელი სამთავრო), მაგრამ X საუკუნის 70-იანი წლებიდან ვითარება შეიცვალა – შიდა ქართლისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაერთო იმიერტაოს მეფე დავით III კურაპალატი, რომელიც ამ დროისათვის ქართველ მეფე-მთავრებს შორის ყველაზე გავლენიანი იყო. დავითს შვილი არ ჰყავდა და მემკვიდრედ თავის ნათესავს, ამიერტაოს მეფის შთამომავალს, ახალგაზრდა უფლისწულს – ბაგრატს – ზრდიდა.



ბაგრატ III-ის ფრესკის ასლი ბედიის ტაძრიდან, ხელოვნების სასახლე

ლექსიკონი

კურაპალატი – მაღალი საკარისკაცო ტიტული ბიზანტიაში. მისი ფლობა ფორმალურად ბიზანტიის უზენაესობის აღიარებას ნიშნავდა.

ქართული პოლიტიკური ვითარება დასავლეთ საქართველოში

X საუკუნინის 60-70-იან წლებში აფხაზეთის სამეფოში პოლიტიკურად მძიმე ვითარება იყო. აფხაზთა მეფის ტახტისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ გიორგი II-ის შვილები, არც ერთ მათგანს მემკვიდრე არ ჰყავდა. აფხაზთა სამეფოს ერთადერთი მემკვიდრე იყო გიორგი II-ის ქალიშვილის, გუ-



უფლისციხის ციხე-ქალაქი. გორის მუნიციპალიტეტი




გურანდუხტ დედოფლის ბარელიეფის გრაფიკული გამოსახულება. კუმურდოს ტაძარი. X საუკუნე

რანდუხტის, ვაჟი, ბაგრატ გურგენის ძე. აფხაზთა სამეფოში შექმნილი სიტუაციით ისარგებლა კახეთის სამეფომ და კვლავ დაიწყო ბრძოლა შიდა ქართლისათვის. ამ დროს შიდა ქართლს განაგებდა აფხაზთა მეფის ერისთავი იოანე მარუშისძე. მან 975 წელს შიდა ქართლი გადასცა დავით კურაპალატის აღზრდილს, აფხაზთა სამეფო საგვარეულოს ერთადერთ მემკვიდრეს, ბაგრატ გურგენის ძეს. დავით კურაპალატმა შიდა ქართლი დაიკავა და ამ რეგიონის გამგებლად ბაგრატი დასვა. სამი წლის შემდეგ, 978 წელს, იოანე მარუშისძემ ბაგრატ III ქუთაისში გადაიყვანა და აფხაზთა მეფის თეოდოს III-ს მაგიერ გაამეფა.

ბაგრატ III ერთდროულად იქცა სამი ქართული სამეფოს მემკვიდრედ. იგი ამიერტაოს მეფის, ბაგრატ II-ის, ერთადერთი შთამომავალი იყო, ამასთანავე, ითვლებოდა იმიერტაოს მეფის, დავით კურაპალატის, მემკვიდრედ; დედის მხრიდან კი მას აფხაზთა მეფის ტახტი ეკუთვნოდა. ამან, რა თქმა უნდა, საქართველოს გაერთიანებისთვის ძალიან კარგი საფუძველი შექმნა.

ბაგრატ III-ის გენეალოგიური შტო



წყარო

იოანე მარუშისძის მიერ ბაგრატ უფლისწულის „აფხაზთა სამეფოში“ გამეფება (978 წ.)

„იოანე მარუშისძემან გადაწყვიტა ბაგრატის აფხაზეთის მეფედ მოყვანა. მასთან ერთად აფხაზეთისა და ქართლის დიდებულებმა, ერისთავებმა და აზნაურებმა, გამოითხოვეს ბაგრატი მეფედ დავით კურაპალატისგან. ხოლო მან დიდი იძულებით ძნელად აღასრულა მათი თხოვა; უშვილო იყო დავით კურაპალატი, და ბაგრატი გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორივე ტაოსა (იგულისხმება იმიერტაოსა და ამიერტაოს სამეფოები). რადგან ქვეყანა ქართლისა და აფხაზეთისა მემკვიდრის გარეშე იყო დარჩენილი, მისცა მათ ბაგრატი ფიცით და მძევლებით“.

„მატიანე ქართლისა“

ბედიის ბარძიმი, 999 წელი, ხელოვნების მუზეუმი. თასის პირის კიდეზე ჩაჭდევით არის შესრულებული შემდეგი შინაარსის წარწერა: „წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა – ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმშენებელთა, ამენ“.

ბარძიმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საგანს საეკლესიო მსახურებაში – სპეციალურ ჭურჭელს, რომელსაც ეკლესიაში ზიარებისთვის იყენებენ.



წყარო

დავით III კურაპალატის მიერ ბაგრატ III-ისა და მისი ოჯახის განთავისუფლება (975 წ.)

„ქართლის აზნაურებმა მოიყვანეს ლაშქარი კახეთით; და გასცეს უფლისციხე... ეს რომ გაიგო დავით კურაპალატმან, დაუმძიმდა ფრიად, გამოილაშქრა მთელი თავის ძალით კახეთზე, მოვიდა თრიალეთში, საიდანაც აპირებდა კახეთში ჩასვლას. გაიგეს რა ეს კახელებმა, მოუგზავნეს მოციქული და ზავი ითხოვეს“.

„მატიანე ქართლისა“

კითხვები

2. რატომ ითხოვდნენ აფხაზთა და ქართლის დიდებულები ბაგრატ III-ის გამეფებას დავით კურაპალატისგან? რას გვიჩვენებს ეს მისი პოლიტიკური გავლენის შესახებ?
3. რატომ აირჩია იოანე მარუშისძემ სწორედ მცირეწლოვანი ბაგრატი აფხაზთა სამეფოს ტახტისთვის?
4. როგორ ფიქრობთ, საქართველოს გაერთიანება უფრო ხელსაყრელმა გარემოებებმა განაპირობა თუ კონკრეტული მმართველების პოლიტიკამ?
5. რატომ გახდა ბაგრატ III-ის მემკვიდრეობითი უფლებები საქართველოს გაერთიანების მნიშვნელოვანი წინაპირობა? პასუხი დაასაბუთეთ.

დავით III კურაპალატი და ბიზანტია

იმიერტაოს სამეფო X საუკუნის II ნახევარში საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. 978 წელს ბიზანტიაში ბარდა სკლიაროსის აჯანყება დაიწყო. მოკლე ხანში აჯანყებულებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს მცირე აზიის დიდი ნაწილი. საიმპერატორო კარი აშკარა საფრთხის წინაშე დადგა. ახალგაზრდა იმპერატორმა, ბასილ II-მ ციხიდან გაათავისუფლა ბარდა ფოკა და ის ჩაუყენა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ მოქმედ არმიას სათავეში. გადამწყვეტ ბრძოლაში ბარდა ფოკა დამარცხდა და ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. სწორედ ამ დროს ბიზანტიამ დახმარება სთხოვა იმიერტაოს მეფეს დავით III კურაპალატს, სანაცვლოდ საიმპერატორო კარი ქართველ მეფეს დაჰპირდა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქის, როგორიც იყო თეოდოსიპოლი (არზრუმი), ასევე ბასიანის პროვინციასა და ვანის ტბის მიდამოებში რამდენიმე ოლქის გადაცემას, რომელიც დავითს სიცოცხლის ბოლომდე ექნებოდა საკუთრებაში. საგანგებოდ ათონის მთიდან ტაოში გაგზავნეს ბერი იოვანე (ერისკაცობაში თორნიკე), რომელიც დავით კურაპალატის გამოჩენილი სარდალი იყო. იმიერტაოს მეფემ ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა 12 000-იანი ლაშქარი, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ერისთავი ჯოჯიკი და იოვანე-თორნიკე. გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველთა და ბიზანტიელთა ერთობლივმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ბარდა სკლიაროსი. დაპირებისამებრ, ბიზანტიამ დავით კურაპალატს ვრცელი ტერიტორიები დაუთმო. თორნიკე ერისთავმა კი ბრძოლისას აღებული ალაფი ათონის მთაზე „ივერთა მონასტერს“ გადასცა ახალი ტაძრის ასაგებად. ნაწილი საგანძურისა ქართველმა ბერებმა ათონის მთის სხვა მონასტრებსაც შესწირეს.



ოშკის ტაძარი. X საუკუნე




ოშკის სტელა დავით III კურაპალატის გამოსახულებით (ქვემოთ), X საუკუნე. არზრუმის მუზეუმი, თურქეთი

987-989 წლებში ბიზანტია კიდევ ერთხელ აღმოჩნდა სამოქალაქო ომში ჩართული. ამჯერად აჯანყების დროშა ააფრიალა ბარდა ფოკამ. დავით III კურაპალატი ძველი მოკავშირის მხარეზე დადგა. ქართველი მეცნიერები სრულიად სამართლიანად გამოთქვამენ ვარაუდს, რომ დავითის ბარდა ფოკას მხარეზე გადასვლა განპირობებული უნდა ყოფილიყო იმიერტაოს მეფის სურვილით, სამემკვიდროდ გაეხადა ის მიწები, რომლებიც 979 წელს მხოლოდ სიცოცხლის განმავლობაში ფლობის პირობით გადასცა ბიზანტიამ. ფოკას დამარცხების შემდეგ კეისარი აჯანყების მონაწილეებისა და მათ მომხრეთა დასჯას შეუდგა. ქართველმა კურაპალატმა იმპერატორის რისხვის თავიდან ასაცილებლად დანაშაულის პატიება ითხოვა. ბასილი II-მ მხოლოდ ერთი პირობით თქვა უარი დავით კურაპალატის დასჯაზე: თუ ეს უკანასკნელი ფიცს დადებდა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სამეფო მემკვიდრეობით ბიზანტიას გადაეცემოდა. ასეთ ექსტრემალურ პირობებში დავით კურაპალატი იძულებული გახდა, მიეღო ეს წინადადება. ამდენად, 989 წლის შეთანხმებით. იმიერტაოს სამეფო დავითის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის მფლობელობაში გადადიოდა.

ლექსიკონი

მაგისტროსი – ბიზანტიური მაღალი საკარისკაცო ტიტული.

რუკა 7. საქართველოს გაერთიანება მეფე ბაგრატ III-ის დროს



წყარო

დავით III კურაპალატის ბარდა ფოკას აჯანყებაში მონაწილეობა (987 წ.)

987 წლის 14 სექტემბერს „ბარდა ფოკა აჯანყდა და თავი მეფედ გამოაცხადა. იგი დაეუფლა ბიზანტიის ქვეყანას... საქმე გართულდა. ბასილი მეფე შეწუხებული იყო ბარდას ლაშქრის ძლიერებითა და გამარჯვებით... რუსთა ლაშქარი მოვიდა და ბასილ მეფესთან მყოფ ბიზანტიის ჯარს შეუერთდა და ყველანი ერთად ზღვითა და ხმელეთით დაიძრნენ ბარდა ფოკასთან შესაბრძოლებლად.

განრისხებული იყო ბასილ მეფე ტაოს პატრონ დავით ქართველთა მეფეზე (იმის გამო, რომ მან დახმარება გაუწია ფოკას)... დავით ქართველთა მეფემ პატიება და შეწყალება ითხოვა, ბასილის მორჩილება განუცხადა და აღუთქვა, რომ ვინაიდან თვითონ ძლიერ მოხუცი იყო, ხოლო ვაჟი და სხვა მემკვიდრე არ გააჩნდა, გარდაცვალების შემდეგ თავისი სახელმწიფო მის სახელმწიფოს შეერთებოდა“.

არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქიელი

კითხვები


6. ტექსტისა და წყაროს მიხედვით განსაზღვრეთ, რატომ აღმოჩნდა დავით III კურაპალატის პოლიტიკური არჩევანი საბოლოოდ არახელსაყრელი როგორც მისთვის, ასევე საქართველოსთვის?
7. რუკის მიხედვით, ა) რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებს აერთიანებდა აფხაზეთისა და ტაო-კლარჯეთის სამეფოები; ბ) საქართველოს გაერთიანების შემდეგ რა ტერიტორიებს ვერ აკონტროლებდა ბაგრატ მესამე?
8. რუკისა და ტექსტის გამოყენებით განსაზღვრეთ, რატომ შეიძლება ჩაითვალოს შიდა ქართლი საქართველოს გაერთიანებისათვის საკვანძო რეგიონად?

ბაგრატ III-ის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის

978 წელს, აფხაზეთის სამეფოში ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ბაგრატ III-მ შიდა ქართლისთვისაც მოიცალა. იგი დიდი ლაშქრით შიდა ქართლში გადავიდა და თიღვას დაიბანაკა. სწორედ აქ ელოდა იგი განდგომილი ქართლის აზნაურების ჯარს, რომელთაც ქავთარ ტბელი სარდლობდა. გადამწყვეტ ბრძოლაში ბაგრატ III-მ გაიმარჯვა. მცირე ხანში ბაგრატ III-მ რატი ბაღვაშიც დაიმორჩილა და თრიალეთში ბაღვაშთა თითქმის დამოუკიდებელ მმართველობას ბოლო მოუღო. 1000 წელს, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, იმიერტაოს სამეფოს ირგვლივ ვითარება დაიძაბა. ბიზანტიელები ცდილობდნენ ეს ქართული სამეფო, წლების წინ დავითის მიერ მიცემული ანდერძის საფუძველზე, იმპერიისათვის შეეერთებინათ. ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II სასწრაფოდ ტაოსკენ დაიძრა, რომ კურაპალატის კუთვნილი მამული დაეკავებინა. ბასიანში ჩამოსულ ბასილს ეახლნენ ბაგრატ III და მამამისი, ამიერტაოს მეფე გურგენ მეფეთმეფე. იმპერატორს მამა-შვილი სა-განგებოდ დაუსაჩუქრებია და თან ბიზანტიური ტიტულები უბოძებია – ბაგრატისათვის – კურაპალატობა, ხოლო გურგენისათვის – შედარებით დაბალი ხარისხი – მაგისტროსობა. ამასთანავე, ბასილი II მოერიდა და-



ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II (976-1025 წწ.)



კითხვები

9. შეიძლებოდა თუ არა ბიზანტიის მხრიდან ბაგრატისა და გურგენისათვის განსხვავებული ტიტულების მინიჭება მამა-შვილს შორის დაპირისპირების გამოწვევის მცდელობად მივიჩნიოთ? რატომ იქნებოდა ბიზანტიისთვის კარგი ეს შესაძლო დაპირისპირება?



ნიკორწმინდის კათედრალი. XI საუკუნე. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი



ბედიის ტაძარი. X საუკუნე. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი. აფხაზეთი

ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე არსებული წარწერის გრაფიკული მონახაზი, რომელიც მოგვითხრობს „ოდეს განმტკიცდა იატაკი, ქრონიკონი იყო 223 (1003 წელი)“. აქ ვხვდებით არაბული რიცხვების გამოყენების პირველ შემთხვევას საქართველოში.

ვით კურაპალატის მამულების სრულ დაპყრობას და, ამიტომ, იმიერტაოს სამეფოს ნაწილი, სიცოცხლის ბოლომდე ფლობის უფლებით, ბაგრატ III-ს დაულოცა. დავით კურაპალატის სამეფოს შეერთებით ბიზანტია ვრცელ ტერიტორიას იგდებდა ხელთ. სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულები და, განსაკუთრებით, ქართველი მეფეები ხვდებოდნენ, რომ ამ შემთხვევაში, რეგიონში, აბსოლუტურად ახალი, მათთვის არახელსაყრელი რეალობა იქმნებოდა. ამიტომაც ბასილ II-ის წასვლისთანავე ქართველებმა იმიერტაოს მეფის მთავარი ქალაქი ოლთისი დაიკავეს. ბიზანტიას ამ დროს უკვე დაწყებული ჰქონდა სამხედრო მოქმედებები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ბულგარეთის სამეფოს წინააღმდეგ და ამიტომაც იმპერატორი ოლთისის დაკარგვას შეეგუა.

„აფხაზთა და ქართველთა“ სამეფოს ტერიტორიის ზრდა

ბაგრატ III-ის ხელისუფლება განსაკუთრებით გაიზარდა XI საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც დასავლეთ ქართულმა სამეფომ დაიწყო თავის გარშემო დანარჩენი ქართული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანება. 1008 წელს გარდაიცვალა გურგენ მეფეთმეფე და ბაგრატ III, როგორც მემკვიდრე, ამიერტაოს სამეფოს დაეუფლა. ბაგრატ III საკმაოდ მოხერხებულად უთავსებდა ერთმანეთს დიპლომატიასა და სამხედრო ძალის გამოყენებას. მან იცოდა, რომელი ხერხი ვის წინააღმდეგ მიემართა. ბიზანტიასთან თუ მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას ატარებდა და არ ამწვავებდა ურთიერთობას, სამხრეთ კავკასიის წვრილ-წვრილი სამეფო-სამთავროების მიმართ აქტიურ სამხედრო ექსპანსიას ეწეოდა. სხვათა შორის, ამ პოლიტიკის წყალობით იყო, რომ საქართველოს მეფემ თავის გავლენა განავრცო აღმოსავლეთ კავკასიაში არსებულ დამოუკიდებელ სამეფოებსა თუ საამიროებზე. ამ დროისათვის ქართული პოლიტიკა, ძირითადად, კავკასიაში ჰეგემონიისაკენ იყო მიმართული. 1008-1010 წლებში ბაგრატ III-მ კახეთ-ჰერეთი შემოიერთა.

დაახლოებით 1011-1012 წლებში ბაგრატ III-მ განძის ამირა ფადლონზე ილაშქრა და დაიმორჩილა. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ბაგრატ III უკომპრომისო იყო. მან საკუთარი ნა-



ბაგრატის ტაძარი. XI საუკუნის დასაწყისი. ქალაქი ქუთაისი



არტანუჯის ციხე-ქალაქი. ბაგრატიონების საგვარეულოს გვერდითი შტოს – „კლარჯი ხელმწიფეების“ – რეზიდენცია. თურქეთი

თესავები – კლარჯეთის დამოუკიდებელი მმართველები – „კლარჯი ხელმწიფეები“ – 1011 წელს შეიპყრო და არტანუჯი შემოიმტკიცა. ბაგრატ III გარდაიცვალა ფანასკერტის ციხეში 1014 წლის 7 მაისს. ანდერძისამებრ ზვიად მარუშიანმა მეფე აფხაზეთში წაასვენა და ბედიის ტაძარში დაკრძალა.

ბაგრატ III-ის საალმშენებლო საქმიანობა

ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდში, საქართველოში, მასშტაბური აღმშენებლობითი პროცესი მიმდინარეობდა. აიგო ეკლესია-მონასტრები (ბედია, ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა, ხცისი და სხვა), გზები და ხიდები. მეფე ხშირად სტუმრობდა სამეფოს სხვადასხვა კუთხეს და ადგილზე აგვარებდა არსებულ პრობლემებს. ბაგრატ III-ის დროს ქუთაისში სამეფო სასახლის გვერდით აიგო ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი (ბაგრატის ტაძარი), მისი მშენებლობა დასრულდა 1003 წელს. ბაგრატის ტაძრის კურთხევაზე ქუთაისში ჩამოსულან „მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი“.

კითხვები

10. რომელმა ფაქტორებმა შეუწყო ხელი საქართველოს გაერთიანებას?
11. რატომ ჩამოვიდნენ ბაგრატის ტაძრის კურთხევაზე „მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი“?

მეცნიერის თვალსაზრისი

ბაგრატ III-ის ტიტულატურა

ბაგრატს, როდესაც ის უფლისციხეში აკურთხეს და ქართლის გამგებლად დაადგინეს, არავითარი ოფიციალური ტიტული არ ჰქონდა. „ქართველთა“ მეფე მისი პაპა ბაგრატ II იყო, „აფხაზთა“ მეფე – ბიძა (დედისძმა) თეოდოსი, კახეთსა და ჰერეთს თავისი ქორეპისკოპოსი და მეფე ჰყავდა. პირველი ოფიციალური ტიტული, რომელიც მან მიიღო, იყო „მეფე აფხაზთა“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოს მეფე). შემდეგ (1001 წ.) მიიღო „ქართველთა მეფისა“ და „კურაპალატის“ ტიტულები. 1010 წელს, კახეთისა და ჰერეთის შეერთების შემდეგ, მის ტიტულატურას ემატება „მეფე რანთა (ე.ი. ჰერთა) და კახთა“ და ამ ეტაპზე საქართველოს მეფის ტიტულატურა ასე გაიმართა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა (ანუ ამიერტაოს), რანთა, კახთა და კურაპალატი“.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

დავალებები

1. ბაგრატ III-ის ტიტულატურა ეტაპობრივად იცვლებოდა: ჯერ „აფხაზთა მეფე“, შემდეგ „ქართველთა მეფე და კურაპალატი“, ბოლოს „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, კურაპალატი“. რას გვიჩვენებს ტიტულატურის ამგვარი ცვლილება საქართველოს გაერთიანების პროცესის შესახებ?




I.6. დავით IV აღმაშენებელი – ერთიანი კავკასიის შემქმნელი



დავით IV აღმაშენებელი.
გელათის ფრესკა

დავით IV გამეფება

XI საუკუნის 80-იან წლების მიწურულს საქართველოს სამეფო ხელისუფლება მხოლოდ დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ საქართველოს ნაწილს აკონტროლებდა. 1080 წელს სელჩუკთა ყველაზე მასშტაბურმა ლაშქრობამ, რომელსაც დავით აღმაშენებლის მემატიანე „დიდი თურქობის“ სახელით იხსენიებს, ქვეყანას უდიდესი ზიანი მიაყენა. აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები, ნაყოფიერი საძოვრები თურქ-სელჩუკებმა დაიკავეს. ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ვერც თურქ-სელჩუკებთან დაზავებამ გამოასწორა. გიორგი II ცდილობდა, არ გაერთულებინა ურთიერთობა სელჩუკებთან და ახალ-ახალი დათმობებით ცდილობდა მშვიდობის შენარჩუნებას. სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს მეფემ, გიორგი II-მ მიიღო გადაწყვეტილება, ტახტი თავის ერთადერთი ვაჟისთვის – დავითისთვის გადაეცა. 16 წლის უფლისწულის ტახტზე ასვლა მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დავითი სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდა ხელისუფლებაში, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ არავითარი გადატრიალება 1089 წელს არ მომხდარა და გიორგი II-მ თავისი ნებით აიყვანა შვილი ტახტზე. გიორგი II-ის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას სამეფო კარზე ყველა არ ემხრობოდა. ახალგაზრდა დავითის დასი, რომელიც გაცილებით რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა, არ ეთანხმებოდა გიორგის ზომიერ პოლიტიკას. მამა-შვილს შორის განსხვავება თვალნათლივ ჩანდა და ამას შესანიშნავად ადასტურებს დავით აღმაშენებლის მემატიანე, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ წერს დავით IV აღმაშენებელზე, თავს უფლებას აძლევს, გააკრიტიკოს მამის – გიორგის – პოლიტიკური გადაწყვეტილებები. მეტიც, იგი 1089 წლის შემდეგ საერთოდ არ ახსენებს მას. დავითი ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია და მისი სახელმწიფოებრივი ხედვა აბსოლუტურად განსხვავდებოდა გიორგი II-ის პოლიტიკისგან. გიორგი II ხედავდა, რომ სამეფო კარზე დავითის გარშემო შემოიკრიბნენ ის ადამიანები, რომლებსაც სურდათ წინ აღდგომოდნენ სელჩუკთა თარეშს. გიორგიმ გადაწყვიტა, მშვიდობიანად გადაეცა ხელისუფლება დავითისათვის და მხოლოდ ნომინალური და სიმბოლური ფუნქცია დაიტოვა. 1089 წელს მან თავისი ხელით დაადგა გვირგვინი ახალგაზრდა უფლისწულს და რეალური მართვის სადავეები გადასცა. მოგვიანებით იგი შვილის გვერდით იდგა ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმის დროს, როგორიც იყო რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. „ძეგლისწერაში“ პირველი გიორგი მოიხსენიება, როგორც „მეფეთმეფე და კესაროსი“. იგი არც არავის ჩამოუგდია ტახტიდან, არც მონასტერში გაუგზავნიათ და არც ქვეყნის საქმეებიდან ჩამოუშორებიათ. გიორგი II თავი-



„ქ. სიმტკიცეო ყ(ოვე)ლთაო ღ(მერ)თო, დაამტკიცე, მტკიცედა უქციე“. დავით IV აღმაშენებლის ხელრთვა, მის მიერ 1123 წელს შიომღვიმის მონასტრისთვის მიცემული ანდერძიდან.



კლდეკარის ციხე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

სი ნებით წავიდა ამ ნაბიჯზე და ეტაპობრივად გადააბარა ხელისუფლება თავის ერთადერთ ვაჟს – დავით IV აღმაშენებელს.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯები

გამეფებისთანავე დავით IV-მ გეგმაზომიერად დაიწყო ქვეყნის გაძლიერება. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს. 1093 წ. დავით IV-ს ლიპარიტ ბაღვაში აუჯანყდა. აღსანიშნავია, რომ მთელი XI საუკუნის განმავლობაში ბაღვაშთა საგვარეულოს რამდენიმე თაობა მწვავედ იყო დაპირისპირებული ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოსთან და ცდილობდა მეფისგან მეტი თავისუფლების მოპოვებას. იმავე პოლიტიკის გაგრძელება სცადა ლიპარიტ ბაღვაშმაც. მეფემ სასწრაფოდ მიიღო ზომები და ურჩი ყმა კვლავ დაიმორჩილა. „მტკიცეთა ფიცთა“ დადების შემდეგ კლდეკარის ერისთავი დავითმა გაათავისუფლა. მაგრამ ბაღვაშთა ერთგულება ამჯერადაც ხანმოკლე აღმოჩნდა. დავითმა უფრო რადიკალური ზომები მიიღო: 1094 წელს ლიპარიტ ბაღვაში ხელახლა შეიპყრო მეფემ და ორი წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გააძევა. დავითის ბრძანებით, გაუქმდა ბაღვაშთა მფლობელობაში არსებული კლდეკარის საერისთავო. მათ მხოლოდ მამაპაპისეული კაცხის მამული დაუტოვეს. ლიპარიტ V-ის ძე – რატი – მალე უმემკვიდროდ გარდაიცვალა. ბაღვაშების უფლება არგვეთის მამულზეც გაუქმდა და ეს ტერიტორია მეფემ გელათის მონასტერს შესწირა.

ჯვაროსნული ლაშქრობა და თურქ-სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა

დიდებულთა თვითნებობის ალაგმვის შემდეგ დავით IV-მ უფრო მეტად მოიცალა ქვეყნის აღორძინებისათვის. ამ დროს საქართველოს სამხედრო პოტენციალი მნიშვნელოვნად იყო დასუსტებული. ჯარი მორალურად იყო დაცემული და ვერავის წარმოედგინა, რომ თურქ-სელჩუკთა დამარცხებას შეძლებდნენ. დავითმა გამეფებისთანავე დაიწყო ერთგული მოლაშქრეების შემოკრება. პატარ-პატარა ლაშქრობებისა და წვრთნის შედეგად, დავითმა შეძლო თავის მოლაშქრეებში გამარჯვების ჟინი გაეღვიძებინა. იგი თავის მეომრებთან ერთად მტრის მოთარეშე რაზმებს უსაფრდებოდა და ანადგურებდა. აქამდე, თუ ქართველებს ეშინოდათ თურქთა მარბიელი გუნდების, ამჯერად, პირიქით, სელჩუკე-



ქართველი მეომარი. რეკონსტრუქცია



იერუსალიმის აღება. შუა საუკუნეების ევროპული მინიატიურა

ბი ერიდებოდნენ ციხესიმაგრეებიდან გამოსვლასა და ქართლის სოფლების მოთარეშებას. არავინ იცოდა, სად გადააწყდებოდნენ ჩასაფრებულ ქართველთა რაზმს. მტრის თარეშის ამოკვეთამ საშუალება მისცა მთაში გახიზნულ გლეხობას ფუძეს დაბრუნებოდნენ. ქვეყანამ გაძლიერება დაიწყო. ამასთანავე, წინა აზიაში მიმდინარე მოვლენებმა სამეფო კარს საშუალება მისცა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში უფრო გადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგა.

1092 წელს უეცრად გარდაიცვალა თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქ-შაჰი. სელჩუკთა იმპერია სამოქალაქო ომმა მოიცვა. სელჩუკთა სახელმწიფოში დაწყებულ არეულობას დაემატა მახლობელ აღმოსავლეთში ევროპელ რაინდთა – ჯვაროსანთა – ლაშქრობა, რომელმაც მთლიანად შეცვალა ძალთა ბალანსი რეგიონში.

1095 წლის 26 ნოემბერს რომის პაპმა ურბან II-მ კლერმონში შეკრებილ ევროპის სხვადასხვა კუთხიდან ჩასულ საერო და სასულიერო პირებს მოუწოდა აზიაში ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისკენ. რომის პაპის აზრით, ევროპელ რაინდებს იერუსალიმი და იესო ქრისტეს საფლავი უნდა გამოეხსნათ და დახმარებოდნენ მცირე აზიაში მცხოვრებ ქრისტიან ძმებს. ევროპელ მეომრებს სხეულზე ანდა ტანისამოსზე უნდა გამოესახათ ჯვარი. სახელი „ჯვაროსნები“, სწორედ აქედან მოდის.

1099 წლის ივნისში ჯვაროსნები იერუსალიმს მიადგნენ. რამდენიმედღიანი ბრძოლის შემდეგ, 15 ივლისს, რაინდებმა ქალაქი აიღეს. ჯვაროსნების მიერ აზიაში დაპყრობილ ტერიტორიებზე ახალი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა – იერუსალიმის სამეფო, ედესის, ანტიოქიისა და ტრიპოლის სამთავროები. ჯვაროსნულმა ლაშქრობამ მახლობელ აღმოსავლეთში საქართველოსათვის სასურველი საერთაშორისო პოლიტიკური რეალობა შექმნა, რამაც დავით IV-ს უბიძგა, რადიკალური ნაბიჯი გადაედგა და 1099 წლისათვის სელჩუკთა სულთნისათვის ხარკის გადახდა შეეწყვიტა. საქართველოში დაიწყო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი.

კითხვები

1. შეადარეთ დავით IV-ის მიერ ქვეყნის შიგნით გადადგმული ნაბიჯები და საგარეო პოლიტიკა. როგორ ავსებდა ეს ორი მიმართულება ერთმანეთს?
2. დავითის ისტორიკოსი წერს, რომ ხარკის შეწყვეტის შემდეგ „თურქნი ვეღარ დაიზამთრებდეს ქართლში“. რას ნიშნავს ეს ფრაზა და რა შედეგი მოჰყვა ამას ქართლის მოსახლეობისთვის?

წყარო

თურქ-სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა (1099 წ.)

„ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი (ჯვაროსნები), აიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და ღვთის შეწევნით მოეშენა ქუეყანა ქართლისა, გაძლიერდა დავით და განამრავლა სპანი (ჯარი). და არ მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვეღარ დაიზამთრებდეს ქართლში“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისა“

კახეთ-ჰერეთის შემოერთება და ერწუხის ბრძოლა

დავით IV-მ თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში პირველი წარმატების მოპოვების შემდეგ ქვეყნის გაერთიანებისათვის დაიწყო აქტიური ბრძოლა. ამ დროს დავით IV-ს ხელისუფლება არ ვრცელდებოდა კახეთ-ჰერეთზე, თბილისის საამიროზე, ქვემო ქართლსა და სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ თემზე. დასაწყისში საქართველოს მეფემ კახეთ-ჰერეთის შემოერთება გადაწყვიტა. ამ სამეფოს ზოგიერთი დიდებული ფარულად უჭერდა მხარს დავითის პოლიტიკურ კურსს და ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ მიისწრაფოდა.

კითხვები

3. რა გავლენა იქონია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებაზე ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა?

1103 წელს დავით IV-მ ზედაზნის ციხე წაართვა კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე IV-ს. საქართველოს მეფემ თანდათან მოამზადა კახეთის სამეფოს შემოერთების საფუძველი. ეს პროცესი დააჩქარა 1104 წელს კვირიკე IV-ის გარდაცვალებამ. კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტი დაიკავა აღსართან II-მ. დიდებულთა ნაწილმა მისი ჩამოგდება გადაწყვიტა. 1104 წელს კახელმა და ჰერელმა დიდებულებმა აღსართანი შეიპყრეს და დავით IV-ს გადასცეს. ამის შემდეგ საქართველოს მეფემ კახეთ-ჰერეთის ციხეები დაიკავა.



ზედაზნის ციხე. მცხეთის მუნიციპალიტეტი

ერთიან ქართულ სახელმწიფოში კახეთ-ჰერეთის გაერთიანება კახეთის ყველა დიდებულს არ სურდა. დავით IV-ს მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. კახელ წარჩინებულთა ეს ნაწილი განძის ათაბაგს ეახლა დახმარებისათვის. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1104 წელს ერწუხის ველზე. დავით IV-მ ჭკვიანური სამხედრო გეგმის წყალობით მოახერხა მტრის უკუქცევა. დავითის მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეფემ „დიდი ძლევა“, ანუ გამარჯვება მოიპოვაო. ამის შემდეგ საქართველოს მეფემ კახეთ-ჰერეთი საბოლოოდ შემოიმტკიცა. აღსანიშნავის, რომ ამ რეგიონზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, შესაბამისად, კახეთ-ჰერეთის შემოერთებით გაძლიერდა ქვეყნის ეკონომიკა, საქართველოს საზღვარმა კი კიდევ უფრო აღმოსავლეთით გადაინაცვლა და შირვანის სამეფოს გაუმეზობლდა.

წყარო

ერწუხის ბრძოლა

დავითმა „ერწუხში დიდი ბრძოლა გადაიხადა და მოიპოვა ცნობილი და დიდი გამარჯვება: მცირერიცხოვანი ლაშქრითა და თითქოს განწირული მხედრობით დახოცა სულტნის ურიცხვი მეომარი... თვით მეფე, როგორც ვინმე გარეშე, ზურგში კი არ ედგა თავის მეომრებს და შორიდან კი არ ამხნევებდა მათ, როგორც ერთი რომელიმე მთავართაგანი, არამედ წინ მიუძღოდა ლაშქარს და, როგორც ლომი, მაღალი ხმით შეუძახებდა, გრიგალის სისწრაფით დაქროდა... ხმლის ამდენი ტრიალისაგან მისი ხელი არა მხოლოდ მიეწება ხმლის ვადას... (არამედ) უკუმომდინარე სისხლით აევსო... (აბჯარი), რაც ცხადი გახდა ომის დასრულებისა და სარტყლის შეხსნის შემდეგ: იქიდან გადმოინთხა უზარმაზარი რაოდენობით... სისხლი, რომელიც თავიდან თვით დავითის სისხლი ეგონათ. იმ დღეს მეფეს სამი ცხენი გამოუკლეს, მეოთხეზე მჯდომმა დაასრულა ომი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისა“

კითხვები

4. როგორ ფიქრობთ, რატომ არის სახელმწიფოს ერთიანობისა და უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი, რომ ქვეყნის ყველა რეგიონი ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდეს? იმსჯელეთ კახეთ-ჰერეთის შემოერთების მაგალითზე.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება

XI საუკუნის II ნახევარში სამოქალაქო დაპირისპირებამ და საგარეო საფრთხემ ქვეყანა მძიმე კრიზისში ჩააგდო. ამ პრობლემებმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღშიც შეაღწია. სასულიერო თანამდებობაზე უღირსი პირები ინიშნებოდნენ. დიდებულები საკუთარ ოჯახის წევრებს არჩევინებდნენ ეპისკოპოსებად. ხშირი იყო საეკლესიო ქონების მიტაცება. ეკლესიაში შექმნილი მძიმე ვითარების გამოსასწორებლად დავით IV აღმაშენებელმა 1104 წელს რუისისა და ურბნისის სანახებში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც ბევრი მნიშვნელოვანი საეკლესიო გადაწყვეტილება მიიღო.



ურბნისის სიონი. ქარელის მუნიციპალიტეტი



რუისის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი. ქარელის მუნიციპალიტეტი

საეკლესიო კრებას დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდნენ. მასზე დასასწრებად მიიწვიეს ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები, მონასტრებში დაყუდებული ბერები და მეუდაბნოელნი. რუის-ურბნისის კრებას ესწრებოდა მეფე და სამეფო კარიც. დავითი იქ იყო „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“. უპირველესი მიზეზი, რის გამოც რუის-ურბნისის კრება მოიწვიეს, იყო ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში საეკლესიო კანონიკის დარღვევის გახშირება. ირღვეოდა საეკლესიო პირთა ხელდასხმის წესი, ტაძრებსა და მონასტრებში იმართებოდა ვაჭრობა, ხშირი იყო მცირეწლოვანთა ქორწინება. საეკლესიო ქონებისა და მიწის მიტაცების უამრავი შემთხვევა დასტურდებოდა. როგორც მემატიანე წერს: სახლნი ღმრთისანი „ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სასულიერო და საერო წოდების წარმომადგენლები. კრებამ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებები, ე.წ. „ძეგლისწერა“, რომლითაც მოწესრიგდა საეკლესიო ცხოვრების ბევრი საკითხი. საეკლესიო კრების განჩინებით, შეიცვალა უღირსი მღვდელმთავრები, დაწესდა წლოვანების ზღვარი ხელდასხმისათვის და სხვა.

წყარო

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილება

რუის-ურბნისის კრებამ მიიღო 19 კანონი, რომელიც შეეხო საეკლესიო ცხოვრების ყველა სფეროს. ამ კანონის ძალით: ა) ეკლესიიდან განიკვეთნენ უღირსი სასულიერო პირები და მათს ადგილას გამოარჩიეს ღირსეული საეკლესიო მოღვაწეები; ბ)კრებამ დაგმო სამღვდელოებაში გავრცელებული სწრაფვა მექრთამეობისკენ და სასტიკი სასჯელი შემოიღო ასეთი საქციელის ჩამდენი სასულიერო პირებისთვის; გ) განისაზღვრა სამღვდელო პირთა ხელდასხმის ასაკი: 1. წიგნის მკითხველისთვის – 8 წელი; 2. დიაკვნისთვის – 25 წელი; 3. მღვდლისთვის – 30 წელი; 4. ეპისკოპოსისთვის – 35 წელი; დ) რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ აკრძალა მანამდე მიღებული პრაქტიკა, როდესაც ერთ დღეს შესაძლებელი იყო სასულიერო პირის რამდენიმე საეკლესიო ხარისხზე ხელდასხმა. კრებამ განსაზღვრა, რომ აუცილებელი იყო ყველა საეკლესიო იერარქიული საფეხურის გავლა; ე) აიკრძალა ეკლესიის გარეშე ნათლისცემა და გვირგვინის კურთხევა; ვ) აიკრძალა საეკლესიო ნივთების მოხმარება პირადი მიზნებით; ზ) კრებამ დაადგინა ქორწინების ასაკი. აიკრძალა მცირეწლოვანთა დაქორწინება; თ) კრებამ აკრძალა მონასტრებში მოძღვართა სიმრავლე, რაც შფოთსა და განხეთქილებას იწვევდა. დადგინდა, რომ მონასტერში ერთი მოძღვარი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ დიდ მონასტრებს ჰქონდათ ორი მოძღვრის ყოლის უფლება.

კითხვები

5. წყაროს მიხედვით, რა პრობლემები არსებობდა XI საუკუნის ქართულ ეკლესიაში, რომელთა აღმოფხვრასაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრება ცდილობდა?
6. რატომ მიიჩნია კრებამ აუცილებელად სასულიერო პირთა დანიშვნისა და საქმიანობის მკაცრი წესების დაწესება? იმსჯელეთ წყაროზე დაყრდნობით.
7. როგორ უკავშირდებოდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები სახელმწიფოს გაძლიერების პოლიტიკას?
8. წყაროში ჩამოთვლილი რომელი დადგენილებები მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად ეკლესიის ავტორიტეტის გასაძლიერებლად? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

ადმინისტრაციული და სამხედრო რეფორმა

ეკლესიაში განხორციელებული დიდი გარდაქმნების შემდეგ მეფემ დაიწყო ცენტრალური ადმინისტრაციის საფუძვლიანი რეფორმირება. მან ორი დიდი თანამდებობის – მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის – გაერთიანებით სამეფო კარზე შექმნა პირველი ვაზირის ინსტიტუტი. ცალ-ცალკე ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის სახელოები მანამდეც არსებობდა, მაგრამ დავითმა მათი გაერთიანებით სამოხელეო იერარქიაში პირველი ვეზირის ინსტიტუტი შემოიტანა. მას, როგორც ეპისკოპოსსა და ბერს, მთლიანად სახელმწიფო ინტერესები ამოძრავებდა, მისთვის უცხო იყო ის, რაც ბუნებრივი გახლდათ ერისკაცებისათვის, გაეძლიერებინათ საკუთარი ოჯახი და სამკვიდროს მიწათმფლობელობა. ამიტომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ყველაზე დიდი დასაყრდენი იყო მეფისათვის. ახალი თანამდებობის პირველი მფლობელი დავითის უერთგულესი თანამებრძოლი გიორგი ბერი გახდა.

დავით IV აღმაშენებელი გამეფებიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა ლაშქრის რეორგანიზაციის საკითხს. მან თავიდანვე ჩაუყარა საფუძველი ერთგულ მოლაშქრეთა რაზმს, რომელიც შემდეგ პირად გვარდიად, „მონასპად“ იქცა. სწორედ სამხედრო რეფორმის წყალობით, XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს უკვე ჰყავდა მრავალრიცხოვანი და კარგად ორგანიზებული არმია. მაგრამ დავით IV გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა და საჭირო იყო სათანადო ძალებიც. ამ დროს საქართველოს მეფე დაუკავშირდა სამხრეთ რუსეთის სტეპებში მომთაბარე ყივჩაყებს და ისინი სამხედრო სამსახურისათვის მოიწვია. 1118-1119 წლებში დავითმა ყოვჩაყები ჩამოასახლა საქართველოში. მეფემ მათგან 40 ათასი რჩეული მეომარი მიიღო. ეს საკმაოდ დიდი ძალა იყო. დავითმა ყივჩაყები რაზმებად დაყო და დაუნიშნა სარდლები. ამასთან, უზრუნველყო ისინი საჭირო აღჭურვილობით.



ახალგაზრდა დავით IV აღმაშენებელი. სინას მთის ხატის დეტალი. XI საუკუნე (ეგვიპტე)

ლექსიკონი

სახელო – თანამდებობა.

კითხვები

9. როგორ შეუწყო ხელი დავით IV-ის ადმინისტრაციულმა და სამხედრო რეფორმებმა ქვეყნის გაძლიერებასა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას?

წყარო

ყივჩაყების ჩამოსახლება (1118 წ.)

„დავითმა იცოდა ყივჩაყთა სიმრავლის შესახებ, გაეგონა მათი სიმხნევის შესახებ ბრძოლაში. მრავალი წლის წინ მოეყვანა მას სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა მთავრისა ათრაქა შარაღანის ძისა, სჯულიერად (კანონიერ) მეუღლედ თვისად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა. ამიტომაც წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისა. ხოლო მათ სიხარულით მიიღეს ეს მოწვევა, ოლონდა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოსებისაგან. ამისთვის მეფე წავიდა ოსეთში, და თან წაიყვანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა. შევიდნენ ოსეთში და მოეგებნეს მეფენი ოსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი. და აიღო ციხენი დარიალასა და სხვა ციხეები ოსეთისა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის და გადმოიყვანა დიდი სიმრავლე – სიმამრი და ცოლის ძმანი თვისნი“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისა“

კითხვები

10. ყივჩაყთა საქართველოში ჩამოყვანის გზაზე დავით აღმაშენებელმა დარიალისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ციხეები აიღო. რა გრძელვადიანი სარგებელი მოუტანა საქართველოს ამ ციხეების კონტროლმა?

გადამწყვეტი ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება

ერწუხის ომის შემდეგ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ დავით IV აღმაშენებლის ბრძოლამ ახალი მასშტაბები შეიძინა. ამჯერად მეფემ მტერს თითქმის ყველა მიმართულებით შეუტია. 1110 წელს სამხედრო ხერხის გამოყენებით ქართველებმა ქვემო ქართლის ყველაზე სტრატეგიული ციხე – სამშვილდე – აიღეს, 1115 წელს კი – რუსთავი. 1117-1118 წლებში დავით IV-ის ძალაუფლების ქვეშ მოექცა მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები – ლორე, გიში. დავით აღმაშენებლის ბრძოლამ თურქ-სელჩუკთა ბატონობა შეარყია მთელ სამხრეთ კავკასიაში.

დავით IV-ის სამხედრო კამპანიამ სასტიკად შეაშფოთა სამხრეთ კავკასიის მუსლიმი ამირები, ვაჭრები, სასულიერო წოდების წარმომადგენლები. საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება სამმა ქალაქმა, თბილისმა, განძამ და დმანისმა იკისრა. მათ შველა წინა აზიის მმართ-

წყარო

სამშვილდის აღება. 1110 წელი

„ამ დროს ქალაქი ტფილისი, რუსთავი და ქვემო ქართლი, სამშვილდე თურქებს ჰქონდათ. ამ დროს მეფე გადავიდა იმერეთში; და შეიკრიბნენ გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის წინაშე თევდორე (კლდეკარის ერისთავი), აბულეთი (დავით IV აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის სარდალი) და ივანე ორბელი. და სიმარჯვით (მოხერხებით) მოიპარეს სამშვილდე. მაშინ იქნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისა“

რუსთავის ციხე-ქალაქი





სამშვილდის ციხე-ქალაქი,
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

ველებს სთხოვეს. საქართველოს წინააღმდეგ შეიკრიბა საკმაოდ დიდი კოალიცია ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზის სარდლობით. გადამწყვეტი ბრძოლა დიდგორის ველზე მოხდა. დავით IV-მ მუსლიმურ კოალიციას 55 600 მოლაშქრე დაუპირისპირა. დავით მეფის ისტორიკოსის ცნობით, დიდგორის ბრძოლა სამ ჟამამდე (საათამდე) გაგრძელებულა. (დიდგორის ბრძოლაზე ვრცლად მომდევნო თემაში ვისაუბრებთ) საქართველოს ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. დიდგორის ბრძოლის შემდეგ, 1122 წელს, დავით IV-მ ქალაქი თბილისი აიღო და ოთხი საუკუნე მუსლიმთა ხელში ნამყოფი ქალაქი საქართველოს დედაქალაქად გამოაცხადა.



დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილი მონეტა. მის ერთ მხარეს გამოსახულია დავით მეფე სამეფო სამოსითა და რეგალიებით. მეორე მხარეს კი წარწერაა – „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა.“ბრიტანეთის მუზეუმი



დიდგორის ბრძოლის მემორიალი. მოქანდაკე – მერაბ ბერძენიშვილი, არქიტექტორი – თამაზ გუნია

წყარო

თბილისის აღება დავით აღმაშენებლის მიერ. 1122 წელი

„როდესაც განადგურდა ნაჯმ ად-დინი და უკან გაბრუნდა იმათთან ერთად, ვინც გადარჩა, გაემართა მეფე აბხაზთა ნადავლითა და ტყვეებით, დაბანაკდა თბილისთან და ერთხანს ალყაში ჰყავდა. შემდეგ გაანგრია მისი კედელი დასავლეთის მხრიდან, შევიდა ქალაქში მახვილით... დაუდო მუსლიმებს ყველა (პირობა), რაც მათ მოისურვეს იმ პირობათაგან, რომლებიც ძალაშია ახლაც. (ეს პირობებია), რომ არ გამოვიდოდა იმ ქალაქის მუსლიმთა უბანში ღორი, არ დაიკვლებოდა იქ და არც იქნებოდა (გასაყიდად) ბაზარზე; პირობა დაუდო, რომ აშკარად შეიძლებოდა ... (მუსლიმური ლოცვების) შესრულება და (ყურანის) კითხვა; რომ წარმოეთქვათ ხუტბა პარასკეობით, ელოცათ და მოეხსენებიათ ხალიფა და სულტანი და არ მოეხსენებიათ მინბარიდან მათ გარდა არავინ. დაუდო პირობა, რომ თბილისში, ისმაილის აბანოში არ შევიდოდა არც ქართველი, არც სომეხი და არც იუდეველი. და განსაზღვრა ამ წელს ქართველის სამსახური (გადასახადი) 5 დინარით, იუდეველის – 4 დინარით, მუსლიმის – 3 დინარით“.

ალ-ფარიკი, არაბი ისტორიკოსი XII ს.

მეცნიერის თვალსაზრისი



თბილისის შემოერთება

თბილისის ალყა დიდგორის ბრძოლის დამთავრებისთანავე, 1121 წლის აგვისტო-სექტემბერში, უნდა დაწყებულიყო, ხოლო თბილისის აღება 1122 წლის დამდეგს მომხდარა. ამრიგად, 1122 წლიდან თბილისი საქართველოს შემოუერთდა და ამით დაასრულა დავით აღმაშენებელმა ქართული მიწა-წყლის შემოერთება-შემომტკიცების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი. თბილისის შემოერთება, ამავე დროს, ნიშნავდა ქალაქის დამოუკიდებლობის გაუქმებას. თბილისი ამიერიდან სამეფო ქალაქად, მეფისა და მისი შთამომავლების მკვიდრ ქალაქად იქცა. მაგრამ, როგორც წყაროებიდან ირკვევა, ქალაქს თვითმმართველობა ერთხანს კიდევ შეუნარჩუნებია.

პროფესორი შოთა მესხია

კითხვები

11. რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებას და როგორ შეცვალა თბილისის შემოერთებამ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა.
12. რა შეღავათები დაუწესა დავით აღმაშენებელმა თბილისის მუსლიმ მცხოვრებლებს?
13. რატომ გაატარა დავითმა შემწყნარებლური პოლიტიკა მუსლიმთა მიმართ მაშინ, როცა ცოტა ხნის წინ მათ წინააღმდეგ იბრძოდა?
14. წყაროს ავტორი არაბი ისტორიკოსია. რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა მის წარმოშობას წყაროს შინაარსზე? ფაქტების სანდოობაზე?



მეფეთამეფე დავით აღმაშენებელი. ავტორი – ბრუნო ვეფხვაძე

ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნა

დიდგორის ომში გამარჯვების შემდეგ საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. დავით აღმაშენებელმა მთელი ყურადღება გადაიტანა საქართველოს საზღვრების ზრდაზე. 1123-1124 წლებში შირვანი დალაშქრა, ხოლო 1124 წელს დმანისი შემოიერთა. 1124 წელს დავით IV-ის სკიპტრის ქვეშ შემოდის ჩრდილოეთ სომხეთი, ანუ ყოფილი ანისის სამეფო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეფე თავად მიიწვია ანისის მოსახლეობამ და ქალაქის „კლიტენი“ გადასცა. ამ ღონისძიებების შემდეგ საქართველოს მეფის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანდა თითქმის მთელი სამხრეთი კავკასია.

ქვეყნის ყოველდღიურმა საზრუნავმა, ლაშქრობებმა თავისი დაღი დაასვა დავით IV აღმაშენებლის ჯანმრთელობას. იგი 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა. დაკრძალულია თავისსავე აგებულ გელათის მონასტრის კარიბჭეში.



ანისის ციხე-ქალაქი, თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკა



დავით აღმაშენებლის საფლავი გელათის მონასტრის კარიბჭეში

წყარო

ანისის შემოერთება. 1124 წელი

კვლავ სომეხთა წელთაღრიცხვის 573 (1124 წ.) წელს, ქართველთა მეფე დავითმა სასტიკად დაამარცხა სპარსთა ჯარები. აიღო სომეხთა სატახტო ქალაქი ანი, ხოლო მანუჩეს შვილები (ანისის გამგებლები) გააძევა ანიდან და თბილისს გაგზავნა. (მან) გაათავისუფლა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 60 წელს იმყოფებოდა ტყვეობაში, (აგრეთვე) საკვირველი და დიდებული ეკლესია ანისა – წმინდა კათოლიკე, რომელიც მიზგითად ექციათ. შეკრიბა სომეხთა ქვეყნის ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მოწესენი და აკურთხა წმინდა კათოლიკე დიდის ზეიმით.


იყო სიხარული ყოველი სომხის სახლში, რადგანაც იხილეს გათავისუფლებული წმინდა კათოლიკე მონობისაგან“.

მათეოს ურჰაელი. სომეხი მემატიანე. XII საუკუნ

ეს საინტერესოა

მეფის მიერ ქსენონების შექმნა

„ქართლის ცხოვრებიდან“ ცნობილია, თუ როგორ ზრუნავდა დავით აღმაშენებელი სხვადასხვა სენით დაავადებულებზე. ამისათვის მან მონასტრებთან შექმნა საგანგებო დაწესებულებები – ქსენონები. ეს იყო იმ პერიოდის საავადმყოფოები, სადაც არა მხოლოდ უვლიდნენ ავადმყოფებს, არამედ მკურნალობდნენ. ტრადიციით ერთ-ერთი ასეთი ქსენონი არსებობდა გელათის მონასტერში. დავითი პირადად დადიოდა ქსენონში და თავისი ხელით ნახულობდა ავადმყოფთა ქვეშაგებს, ინტერესდებოდა მათი საკვებით. მემატიანე მოგვითხრობს: „შესაფერის, მშვენიერ ადგილას ააშენა თავშესაფარი, სადაც შეკრიბა სხვადასხვა სენით შეპყრობილი ძმები, უხვად და დაუნანებლად უზრუნველყო ყველაფერი აუცილებლით, დაუდგინა შემოსავალი მათთვის საჭირო ხარჯებისათვის. თვითონ მივიდა და დაათვალიერა იქაურობა, მოიკითხა და სათითაოდ ეამბორა; ანებივრებდა როგორც მამა, სწყალობდა და არაფერს აკლებდა, ამხნევებდა და მოთმინებას სთხოვდა; თავისი ხელით უმზადებდა საწოლს, სამოსელსა და საგებელს, ჭურჭელსა და მათთვის ყველაფერ აუცილებელს“.




წმინდა გიორგი და საქართველოს მეფე დავით IV. სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერი (ეგვიპტე) ფრესკის ჩანახატი ეკუთვნის მ. ბელიაშვილს.

ეს საინტერესოა

დავით აღმაშენებელი და ქველმოქმედება

დავით აღმაშენებელი გამოირჩეოდა თავისი ქველმოქმედებით. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ვერავინ დაითვლის იმას, რასაც მეფე ფარულად გასცემდა დახმარების ნიშნადო. მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა – ყოველდღე ავსებინებდა ქისას ფულით და შემდეგ მას ხალხს ურიგებდა. დღის ბოლოს ცარიელი თუ მოჰქონდა, გახარებული იყო და კმაყოფილი. ისტორიკოსი წერს: „ზოგჯერ მის ნახევარს გასცემდა, ზოგჯერ ვერავის ნახავდა, სავსეს შეანახვინებდა მეორე დღისთვის და ამოოხვრით იტყოდა: „დღეს ვერაფერი შევსძინე ქრისტეს ჩემ ცოდვათა გამო“. და ამას აკეთებდა არა მოხელეთაგან მორთმეულის ხარჯზე ან ქვეყნის საჭურჭლეს აკლებდა რაიმეს, არამედ თავისი საკუთარი მონაგებიდან: ერთხელ თავის მოძღვარს, იოვანეს ოცდაოთხი ათასი დრაჰკანი (ოქროს ფული) მისცა გლახაკთათვის დასარიგებლად. და ეს მხოლოდ მცირედია იმ მრავლისაგან, რისი მოყოლაც შეიძლება“.




დავით აღმაშენებლის მიერ, სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტრისთვის შეწირულ წიგნზე აღმოჩენილი მინაწერი (პალეოგრაფიული ასლი): „ქ. მე, დავით, უნარჩევესმან მონამან ყოველთა ქრისტესთამან, განვგზავნე წიგნი ესე მთას წმიდას სინას; ვინცა მოიხმარებდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთუინ“.

ეს საინტერესოა

დავით IV აღმაშენებლის სიგელის თავგადასავალი

დავით IV ეპოქის სამი სიგელია ჩვენამდე მოღწეული. განსაკუთრებით საინტერესოა 1123-1124 წლებში. შედგენილი „ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი (შიომღვიმისადმი)“. თავის შინაარსთან ერთად ამ სიგელს საინტერესო თავგადასავალი აქვს. დედანი ინახებოდა საეგზარქოსოს არქივში, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, 1915 წელს, უსაფრთხოების მიზნით, კავკასიაში მოქმედი უწყებების არქივებთან ერთად ევაკუირებულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში. ფუთებად შეკრული დოკუმენტები ძველი ციხის ერთერთ შენობაში განათავსეს. 1919 წელს ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის წითელმა არმიამ დაიკავა. მათ არქივი, მათ შორის, უნიკალური ძველი სიგელები ციხის გარშემო არსებულ თხრილში ჩაყარეს. სარგის კაკაბაძე, რომელიც 1923 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში გატანილი არქივის ნარჩენების დასაბრუნებლად პირადად ჩავიდა ადგილზე და ასეთი ამბის მომსწრე გახდა: „სიგელ-გუჯრების ნაგლეჯები ქარს მიჰქონდა და ჯარისკაცები მცხოვრებლებსაც ნებას არ აძლევდნენ ქაღალდების აკრეფისა – მიამბეს მე სტანიცაში ამ ამბის მნახველებმა ...ორიოდე ნაგლეჯი ამ ორმოებიდან მოტყუებით წამოიღო (ერთმა ადგილობრივმა)... რომელმაც ეს ნაგლეჯები შეინახა და ეხლა გადმომცა“.

„ცხენი მიმყავდა ვითომ მოსაძოვებლად და ისე ჯარისკაცების დაუნახველად ავკრიფე რამოდენიმე ნაფლეთიო,“ – იხსენებდა მოგვიანებით – „ერთი ამგვარი ნაფლეთი არის დავით აღმაშენებლის სიგელისა, რომლის სიგრძე 2 მეტრი იყო. საბედნიეროდ, ერთი სიგელი მანამდე გამოცემული გახლდათ და ასევე თედო ჟორდანიას შეკვეთით ალექსანდრე როინიაშვილს მისი ფოტო ჰქონდა გადაღებული. ასე მოაღწია ამ ანდერძმა ჩვენამდე“.



კითხვები

15. როგორ უკავშირდება დავით აღმაშენებლის პიროვნული ღირებულებები მის მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივ საქმიანობას?

ლექსიკონი

ქსენონი – სახლი ავადმყოფთათვის. ადგილი, სადაც მკურნალობდნენ ადამიანებს.

გელათისა და შიომღვიმის მშენებლობა

დავით აღმაშენებელი, ქართული მიწების გაერთიანების პარალელურად, აქტიურად საქმიანობდა ქვეყნის აღმშენებლობაზე. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეფე ზრუნავდა ხიდების მშენებლობაზე, გზების გაყვანასა და ქვაფენილით მოპირკეთებაზე. დავითი დიდ ყურადღებას უთმობდა ტაძრების აგებას, რომლებიც სულიერებისა და განათლების კერად უნდა ქცეულიყვნენ. მის სახელს უკავშირდება ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლების – გელათის მთავარი ეკლესიისა და შიომღვიმის ზედა ტაძრის – მშენებლობა.

გელათის მონასტერი

დავითის თანადროული ნაგებობები გელათში რამდენიმეა – ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძარი (მინაშენების გარეშე), აკადემიის შენობა, ასევე მთავარი კარიბჭე, სადაც თავად დავითის განსასვენებელია (მასაც ეტყობა შემდეგი გადაკეთების კვალი). ტაძრის აგება მეფეს 1106 წელს დაუწყია, მისი დასრულება დავითის ვაჟის, დემეტრე I-ის, მეფობაშია სავარაუდო. ეს არის ტიპური ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა, რომელსაც აგვირგვინებს განიერი და მაღალი გუმბათი. ტაძრის შიდასივრცე კარგადაა ორგანიზებული. დიდი და ვრცელი დარბაზი საშუალებას იძლევა, სრულად აღიქვა მთელი გარემო, მხატვრობა.



გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი

კომპლექსის განაპირას მდებარეობს დიდი დარბაზული ნაგებობა (25.36x10.36 მ.), რომელიც გელათის აკადემიის შენობას უნდა წარმოადგენდეს. აქ სასწავლო პროცესი ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ აკადემიაში, კერძოდ, სამეცნიერო დისციპლინები იყოფოდა ტრივიუმ (თრივიუმ) – ქუადრივიუმ (კვატრიუმ)-ის (სამი + ოთხი) საგნებად: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია.



გელათის აკადემია

შიომღვიმის მონასტერი

შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში. კომპლექსი კლდეების ძირში დგას და ერთადერთი მისასვლელი მდინარე მტკვრის მხრიდან აქვს. მონასტერში სხვადასხვა ეპოქის ნაგებობებია, მათ შორისაა, VI საუკუნის გუმბათოვანი ტაძარი.

დავით IV აღმაშენებელს აუგია შიომღვიმის მონასტრის ზემო ეკლესია, რომელიც თავდაპირველად გუმბათოვანი ყოფილა. დაზიანების გამო XVII საუკუნეში ის საფუძვლიანად გადააკეთეს და უგუმბათოდ აღადგინეს.



შიომღვიმის მონასტერი

ეს საინტერესოა

მეფე და წიგნი



„გალობანი სინანულისანის“ ხელნაწერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დავითის წიგნის მიმართ სიყვარული საყოველთაოდ იყო ცნობილი. ლაშქრობაში თუ ხანგრძლივი მგზავრობისას მეფეს ჯორებსა და აქლემებზე აკიდებული მცირე ბიბლიოთეკა დაჰქონდა. მოსვენების წუთებში ყოველთვის წიგნს კითხულობდა. დავითს წიგნის ასეთი განსაკუთრებული სიყვარული ერთხელ კინაღამ ძვირად დაუჯდა. იმხანად თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული. მეფეს ამბავი მიუტანეს, ქალაქში სელჩუკთა დიდი რაზმი შევიდაო. დავითმა გადაწყვიტა, სელჩუკები ქალაქიდან გამოეტყუებინა. მან თავის მეომრებს სელჩუკთა ნახირი გამოარეკინა, თავად კი მტერს ავჭალის მიდამოებში ჩაუსაფრდა. სანამ მტერი გამოჩნდებოდა, დავითი იქვე წიგნის წასაკითხავად განმარტოვდა და ისე გაერთო კითხვაში, მტრის მოსვლა ვერ შენიშნა. მხოლოდ მოგვიანებით მიეშველა დავითი თავის მეომრებს და შეძლო სელჩუკთა დამარცხება.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დავით IV აღმაშენებელმა შექმნა მაღალმხატვრული, ფილოსოფიური ჟანრის ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“. დავითი მაცხოვარსა და ღვთისმშობელს ავედრებს სულს და სთხოვს მათ შემწეობას. მეფე თავის ერთ-ერთ დიდ ცოდვად მიიჩნევს სხვისი ტერიტორიების დაკავებას. „ბოროტად გადავედი საზღვრებს და შევაერთე სახლი სახლს, და სოფელი სოფელს, და უძლურთ წავართვი ნაწილი მათი, და ვიღწოდი უმეზობლობასა“. „გალობანი სინანულისანი“ დაწერილია ღრმად მორწმუნე ადამიანის მიერ. ნაწარმოების თითოეული სტრიქონი გაჯერებულია რწმენით, სევდით, განცდით.

კითხვები

16. როგორ უკავშირდებოდა დავით IV აღმაშენებლის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მიზნებს.
17. რატომ იყო გელათის მონასტერი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ცენტრი.
18. რუკის მიხედვით (გვ. 62-63), რომელი ციხეები აიღო დავითმა და რა მნიშვნელობა ჰქონდა ციხე-ქალაქების შემოერთებას საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და უსაფრთხოებისათვის?
19. რუკის მიხედვით (გვ. 62-63) იმსჯელეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი შირვანის ქალაქებსა და ანისზე ლაშქრობები საქართველოს საერთაშორისო პოზიციების გასაძლიერებლად.
20. რუკის მიხედვით (გვ. 62-63), რა მიმართულებებით აწარმოებდა ლაშქრობებს დავით IV აღმაშენებელი და რას გვიჩვენებს ეს მისი საგარეო-პოლიტიკური მიზნების შესახებ?

დავალებები

1. შეაფასეთ დავით აღმაშენებლის მოღვაწობა, გამოყავით ის ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი საშინაო და საგარეო ფაქტორები, რომლებიც მისი მოღვაწობის დროს არსებობდა. თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით.
2. გამოკვეთეთ რუის-ურბნისის კრების რელიგიური და პოლიტიკური მიზნები და შედეგები. იმსჯელეთ, კრებაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა რამდენად შეუწყო ხელი მეფის ძალაუფლების განმტკიცებას?
3. მოაწყვეთ დისკუსია საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლების მომხრე და მოწინააღმდეგეთა შორის და განსაზღვრეთ ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც მათ ჩამოსახლებას შეიძლება მოჰყოლოდა?



რუკა 8. საქართველო მეფე დავით IV აღმაშენებლის დროს (1089-1125 წწ.)


პირობითი აღნიშვნები
საქართველოს საზღვარი
დანარჩენი საზღვრები
დედაქალაქი
სამეფო რეზიდენცია
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
სანავსადგურო ქალაქი
ეკლესია-მონასტერი
განათლებისა და მწიგნობრობის ცენტრი
1117 ციხე-ქალაქების აღება მეფე დავითის მიერ
მეფე დავითის ლაშქრობები შირვანის ქალაქებზე და ანისზე
თურქ-სელჩუკთა კოალიციური ჯარის ბანაკები
თურქ-სელჩუკთა კოალიციური ჯარების მოძრაობა დიდგორისკენ
ბრძოლის ადგილი
საქართველო
ვასალური ქვეყანა
ტფილისი
1121
დიდგორი
1104 ერწუხი
1110
1115
1117
1120
1124
ლორე
ბორჩალო
ბოლნისი
დმანისი
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ახალციხე
ასპინძა
ახალციხის ციხე-სიმაგრე
ფარავნის ტბა
ტაშისკარი
ყარსი
ანისი
არტაანი
ოლთისი
ართვინი
ბათუმი
ქობულეთი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბორჯომი
ახალციხე
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ლორე
ბოლნისი
დმანისი
ასპინძა
ფარავნის ტბა
ტაშისკარი
ყარსი
ანისი
არტაანი
ოლთისი
ართვინი
ბათუმი
ქობულეთი
ზუგდიდი
ფოთი
ქუთაისი
ბორჯომი



I.7. თამარ მეფე. საქართველო „ოქროს ხანაში“



მეფეთა მეფე თამარი.
ვარძიის ფრესკა.
XII საუკუნე

ფეოდალების გამოსვლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ

1184 წელს, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი გახდა თამარი. დიდებულები შეეცადნენ, ესარგებლათ ახალგაზრდა მეფე-ქალის ტახტზე ასვლით და მას ულტიმატუმი წაუყენეს. დიდებულების ნაწილი აცხადებდა, რომ აღარ სურდათ სამეფო დარბაზის წევრებად აეტანათ „მდაბიო“ წარმოშობის პირები, რომლებიც ორბელთა აჯანყების შემდეგ გიორგი III-ს ჰყავდა დაწინაურებული. ფეოდალთა ეს გამოსვლა მიმართული იყო ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცეს ყუბასარისა და მსახურთუხუცეს აფრიდონის წინააღმდეგ. თამარი იძულებული შეიქნა, დათმობაზე წასულიყო და მამის ერთგული მსახურები თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამ ცვლილებებით სამეფო კარზე არსებული წინააღმდეგობა თითქოს ჩაცხრა, მაგრამ მალე თვით ფეოდალთა შორის ჩამოვარდა შუღლი. დიდებულებმა „ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“. სამეფო კარზე ამირსპასალარს, მანდატურთუხუცესსა და მსახურთუხუცესს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ. ამიტომ არასასურველ პირთა ჩამოშორების შემდეგ სასახლეში სხვადასხვა დაჯგუფებას შორის გააფთრებული ბრძოლა დაიწყო გათავისუფლებულ თანამდებობათა ხელში ჩასაგდებად. ეს დაპირისპირება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რომ დიდებულთა ერთმა ნაწილმა წამოაყენა ახალი მოთხოვნები, რომლებიც სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას ისახავდა მიზნად. ამ დაჯგუფებას მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი თაოსნობდა.

ყუთლუ-არსლანი და მისი პროგრამა

ყუთლუ-არსლანის პროგრამა ითვალისწინებდა მთელი რიგი საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი ორგანოს – კარავის – შექმნას. შუა საუკუნეებში მეფე თავის ხელისუფლებას ახორციელებდა სამეფო დარბაზისა და სავაზიროს მეშვეობით, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო უფლება ჰქონდათ. ყუთლუ-არსლანის მიხედვით კი, კარავში მყოფნი გადაწყვეტდნენ ტიტულების მიცემისა და მოღების, ზოგადად, წყალობისა და შერისხვის საკითხებს, შემდეგ კი ყოველივე მეფისთვის უნდა წარედგინათ.

სამეფო კარმა სასწრაფოდ მიიღო გადამწყვეტი ზომები. მეფის ერთგულმა პირებმა მოახერხეს მეჭურჭლეთუხუცესის შეპყრობა და ამით შეთქმულთა ბანაკს სერიოზული დარტყმა მიაყენეს, მაგრამ ეს



„მტკიცე ყოს ღმერთმან შეუცვალებლად“, თამარ მეფის ხელრთვა, მის მიერ 1195 წელს შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემული შეწირულობის სიგელიდან, საქართველოს ეროვნული არქივი

ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გამოსვლის დასასრულს. ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღურბლთან იდგა. ასეთ ვითარებაში მეფემ შეთქმულებთან მოსალაპარაკებლად ორი საპატიო ქალბატონი – ხვაშაქი ცოქალი და კრავაი ჯაყელი – მიავლინა. მათ მოახერხეს აჯანყებულებთან შეთანხმება. მთავარი პირობა იყო ყუთლუ-არსლანის გათავისუფლება და ამ მოვლენებში ჩართულ პირთათვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიღება. აჯანყებულებმა დათმეს პოზიციები. ისინი უარს ამბობდნენ თავიანთ პოლიტიკურ მოთხოვნებზე, სამაგიეროდ, თამარი მათ ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა (ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში).



თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი მონეტა, ეროვნული მუზეუმი

მეცნიერის თვალსაზრისი



ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მიერ წამოყენებული პროგრამა საქართველოს მეფის უფლებების საფუძვლიან შეზღუდვას ითვალისწინებდა, ართმევდა მას განმკარგულებლის როლს და მხოლოდ აღმასრულებლობით დანიშნულებას უტოვებდა. ამასთანავე, განმკარგულებლობითი უფლებები ფუნქციონალურად უნდა გადასულიყო „კარავის“ ხელში. ასეთი მკვეთრად რევოლუციური პროგრამა, რომელმაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების საკითხი დააყენა, მანამდე უცხო იყო ფეოდალური საქართველოსთვის. რა გასაკვირია, რომ თამარის პოლიტიკის მომხრე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი ყუთლუ-არსლანის გამოსვლას უწოდებს „უცხო მოსაგონებელს“.

აკადემიკოსი როინ მეტრეველი

კითხვები

1. როგორ ცდილობდნენ დიდებულები თამარის გამეფების შემდეგ სამეფო ხელისუფლებაზე გავლენის მოპოვებას და რა ზიანი შეიძლებოდა მოეტანა ამას ქვეყნის განვითარებისა და ერთიანობისათვის?
2. რატომ მიიჩნია თამარის გარემოცვამ ყუთლუ-არსლანის მოთხოვნის განხორციელება „სამეფო ხელისუფლების დასასრულად“?

ქვეყნის საშინაო მდგომარეობა XII საუკუნის 80-90-იან წლების მიჯნაზე

ფეოდალთა გამოსვლის ჩაწყნარებისთანავე ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა. 1185 წელს თამარ მეფე რუს უფლისწულზე, ანდრია ბოგულუბსკის ვაჟზე, გიორგიზე (იურიზე) დაქორწინდა. რუსი უფლისწულის კანდიდატურა მისაღები იყო ქართველ დიდებულთათვის. გიორგი ბიძამისის მიერ გამოძევებული იყო და თავს ჩრდილოეთ კავკასიას აფარებდა. რეალური დასაყრდენი მას არც თავის სამშობლოში და არც საქართველოში არ გააჩნდა. ამიტომაც ის ვერ შეძლებდა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. მცირე ხანში გიორგის მძიმე ხასიათი გამოაჩნდა, რის გამოც თამარ მეფე იძულებული გახდა, განქორწინებულიყო. იგი ბიზანტიაში გაისტუმრეს. ქვეყანას მემკვიდრე სჭირდებოდა, ჯარს – მთავარსარდალი. ამიტომ სამეფო კარზე მალე კვლავ დადგა თამარის ხელახალი გათხოვების საკითხი. 1189 წელს თამარი დაქორწინდა დავით სოსლანზე, ბაგრატიონთა ოსეთის შტოს



თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი. ოქრო, ზურმუხტი, ლალი, მარგალიტი. XII საუკუნე. ხელოვნების მუზეუმი



თამარ მეფის გვირგვინი
ბერთუბნის ეკლესიიდან



გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა-გიორგი. ბეთანია



თამარ მეფის ბისონი. აღდგენილი
მხატვარ სოლომონ ვირსალაძის
მიერ. ხელოვნების სასახლე

წარმომადგენელზე. ეს შტოს სათავეს იღებს გიორგი I-ის უმცროსი ვაჟის, დემეტრე უფლისწულის შვილის, დავითისგან. ეს უკანასკნელი ბებიამ, ოსთა მეფის ასულმა ალდემ, სამშობლოში წაიყვანა და იქ გაამეფა. სწორედ დავითის პირდაპირი შთამომავალი იყო დავით სოსლანი. ახალგაზრდა უფლისწული საქართველოს სამეფო კარზე იზრდებოდა თამარის მამიდის, რუსუდან დედოფლის, მფარველობის ქვეშ.

1189 წელს ფეოდალთა ნაწილმა საქართველოდან გაძევებული იური ანდრიას ძე კვლავ მოიწვია და გეგუთში მეფედ გამოაცხადა. აჯანყებული დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდებულთა ერთი ნაწილი სამცხეში გადავიდა და ჯავახეთისკენ გაილაშქრა. გადამწყვეტ ბრძოლაში სამეფო ლაშქარმა ამბოხებულებს სძლია. მეორე ნაწილი შიდა ქართლში დაბანაკდა. ცენტრალური ხელისუფლების მომხრე ჯარებმა ისინიც სასტიკად დაამარცხეს. იური ანდრიას ძე კვლავ ბიზანტიაში გააძევეს.

1192 წელს თამარ მეფეს ვაჟი – გიორგი-ლაშა შეეძინა, ერთი წლის შემდეგ კი – ქალიშვილი რუსუდანი.

შამქორის ბრძოლა

საქართველოს გააქტიურებით ძალიან შეშფოთდნენ მუსლიმი მმართველები. 1195 წელს ადარბადაგანისა (ჩრდილოეთი და ცენტრალური ირანი) და არანის (თანამედროვე აზერბაიჯანის ნაწილი) ათაბაგმა აბუ-ბექრმა დიდი ლაშქარი შეყარა და საქართველოსკენ გამოილაშქრა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა შამქორთან (ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში). ქართველთა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მტრის განადგურების შემ-



შამქორის ციხესიმაგრე. განჯა-თბილისის დამაკავშირებელი გზის ერთი მონაკვეთი – ხიდი მდინარე შამქორის წყალზე

დეგ დავით სოსლანმა გეზი განძისაკენ აიღო და ეს ქალაქიც დაიმორჩილა. შამქორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებას უდიდესი საერთაშორისო გამოძახილი ჰქონდა იმდროინდელ მახლობელ და ცენტრალურ აზიაში. საქართველოს სამხედრო უპირატესობა უკვე თვალნათელი იყო. 1196 წელს ქართველებმა ამბერდი შეიერთეს, 1199 წელს – ანისი, ხოლო 1202-1203 წლებში – ქალაქი დვინი. ამ ქალაქების დაკავების შემდეგ საქართველოს ხელში აღმოჩნდა კავკასიის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები. ამასთანავე, საქართველოს ფარგლებში მოექცა სომხეთის მნიშვნელოვანი ტერიტორია.



მოჭიქული ჯამი. გამოსახულია ლომი. ნაქალაქარი კასპი. XII-XIII საუკუნეები. ეროვნული მუზეუმი

ბასიანის ბრძოლა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება

XII საუკუნის მიწურულს საქართველოს პოლიტიკა საკმაოდ გააქტიურდა სამხრეთის მიმართულებით. ამ პროცესით შეშფოთებულმა რუმის სულთანმა რუქნ ად-დინმა დიდ ლაშქრით 1202 წელს საქართველოსკენ გამოილაშქრა. გადამწყვეტი ბრძოლა ბასიანში გაიმართა. გამარჯვება ქართველებს დარჩათ. მოწინააღმდეგემ დიდი დანაკლისი განიცადა (ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში).

1202 წელს ევროპაში IV ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო. იერუსალიმის სანაცვლოდ ჯვაროსანთა მთავარ სამიზნედ კონსტანტინოპოლი იქცა. ბიზანტიაში ამ დროს მძიმე პოლიტიკური ვითარება სუფევდა, რითაც ისარგებლეს ჯვაროსნებმა და 1204 წლის აპრილში კონსტანტინოპოლი აიღეს. ბიზანტიის იმპერია დაიშალა და მის ნანგრევებზე რამდენიმე სახელმწიფო ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ 1261 წელს ბიზანტიის იმპერია აღადგინეს, იგი თავის ძველ

კითხვები

3. როგორ შეუწყო ხელი შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში გამარჯვებამ საქართველოს გავლენის ზრდას სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში?
4. მე-9 რუკის მიხედვით, რა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას საქართველოსთვის?

საზღვრებს უკვე ველარ დაუბრუნდა. ბიზანტიაში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებოდა საქართველოს სამეფო კარიც. თამარ მეფემ გადაწყვიტა, ესარგებლა შექმნილი ვითარებით და თავისი გავლენა განევრცო ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე. სამხედრო მოქმედებათა დაწყების საბაბად კი იქცა ბიზანტიის იმპერატორის მიერ ქართველი ბერების გაძარცვის ფაქტი. თამარის მეფობაში ბიზანტიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქართული მონასტრებიდან ჩამოდიოდნენ ბერმონაზვნები შესაწირის შესაგროვებლად. ერთ-ერთი ასეთი მორიგი ჩამოსვლის დროს თამარ მეფემ დიდი პატივით მიიღო წმინდა მამები, დიდხანს თავისთან დაიტოვა, ბოლოს კი მონასტრებისთვის დიდძალი საგანძური გაატანა. კონსტანტინოპოლს მისული ბერები ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი III-მ გაძარცვა. ეს არა მარტო წმინდა მამების შეურაცხყოფა იყო, არამედ საქართველოსიც. თამარ მეფემ გადაწყვიტა ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობა. ეს მოვლენა დაემთხვა კიდეც ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებას. 1204 წლის აპრილში ქართულმა ჯარმა ტრაპიზონი აიღო. ლაშქრობა ამით არ შეწყვეტილა, ზოგიერთი ისტორიკოსი იმასაც ფიქრობს, რომ ქართველთა მიზანი კონსტანტინოპოლის ჯვაროსანთაგან გათავისუფლება და იქ საქართველოში აღზრდილი კომნენოსების გამეფება იყო. ყოველ შემთხვევაში, შავიზღვისპირეთში თამარ მეფის მხედრობამ დაიკავა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორებიცაა: ტრაპიზონი, ლიმნია, სამსუნი, სინოპი, კერასუნდი, კოტიორა, არაკლია და „ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი“. ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი სახელმწიფო – ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც ბაგრატიონთა ნათესავი და თამარის კარზე აღზრდილი ალექსი მანუელის ძე კომნენოსი ჩაუდგა სათავეში.

რუკა 9. ტრაპიზონის იმპერიის შექმნა 1204 წელს


პ ო ნ ტ ო ს (შ ა ვ ი) ზ ღ ვ ა
ჩ
ჩდ
ჩა
დ
ა
სდ
სა
ს
ცხუმი (სოხუმი)
ფაზისი (ფოთი)
ბათუმი
ხუფათი
ათინა
რიზე
ტრაპიზონი
ტრაპიზონის იმპერია
ტრაპიზონის იმპერია
ტრაპიზონის იმპერია

ტრაპიზონის აია-სოფიას ტაძარი, XIII ს.





„წიგნი სააქიმო“, XIII საუკუნის დასაწყისი. ბასიანის ომში ნადავლის სახით მოპოვებული არაბული სამედიცინო ტრაქტატი, რომელიც მაშინვე ითარგმნა ქართულად.

წყარო

უცხოეთის ქართულ სავანებზე ზრუნვა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება (1204 წ.):

„მოვიდნენ ჩუეულებისამებრ შესაწირის ასაღებად შავისა მთის, ანტიოქიიდან და კვიპროსიდან, ასევე მთაწმიდიდან და მრავალ ადგილებიდან მონაზონები. შეიწყნარა თამარმა ჩუეულებისაებრ როგორც ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა, შემდეგ მისცა დიდი სიმდიდრე, და აღავსო ყოველი საქონლით. უკანასკნელ მათგან უფრო შორს მყოფთ მისცა დიდძალი ოქრო, მათთვის და სხვა მონასტრებისთვის გასაყოფად. წავიდნენ მონაზონები და მივიდნენ კოსტანტინოპოლში, გაიგო ეს ბერძენთა მეფემ ალექსიმ, ანგარმა, რომელმაც საკუთარ ძმას ისააკს თვალები დასწვა და მეფობა წაართვა. ის ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო... იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და მონაზონებს წაართვა ეს სიმდიდრე. გაიგო რა ესე თამარ მეფემ... განრისხდა ბერძენთა მეფეზე, წარგზავნა ლიხთ-იქითნი (დასავლეთ საქართველოს) ლაშქარი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კოტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თვისა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თამარ მეფესთან“.

ბასილი ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება მეფეთმეფე თამარისი“

წყარო

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ (1204 წ.):

„კირ-ალექსი დიდმა კომნენმა, 22 წლისამ, კონსტანტინეპოლიდან გამოსულმან, თვის მამის მხრივ ძალუას თამარის მეცადინეობით და დახმარებით, ივერიითგან გამოლაშქრებულმან, დაიჭირა ტრაპიზონი თვესა აპრილსა (1204)“.

მიქელ პანარეტოსი. ბერძენი ისტორიკოსი. XIV სუკუნე

კითხვები

5. წყაროების მიხედვით, რამ გამოიწვია ქართული ჯარის ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობა?

ლექსიკონი

ხორეზმის სამეფო – სახელმწიფო შუა აზიაში. მართავდნენ ხორეზმშაჰები. აქტიურად მიისწრაფოდა თავისი გავლენა განევრცო ირანსა და ერაყზე. განადგურდა ჩინგიზ-ყაენის შემოსევების შემდეგ.

საქართველოსა და ხორეზმის ინტერესების დაპირისპირება. ქართველთა ლაშქრობა ირანში

XIII საუკუნის დასაწყისში ირანში გაბატონებას ცდილობდა ხორეზმის სამეფო. ამის პარალელურად, ამ რეგიონში საკუთარი ინტერესები ჰქონდა საქართველოსაც. შამქორისა და ბასიანის ბრძოლების შემდეგ საქართვე-



ვარძიის მონასტერი. ჯავახეთი, ასპინძის მუნიციპალიტეტი

ლომ შემოიერთა ანისისა და დვინის ციხე-ქალაქები. სახელმწიფო საზღვარმა მდ. არაქსამდე გადაიწია. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, საქართველოს სამეფოსთვის მნიშვნელოვანი იყო ის პროცესები, რომელიც ჩრდილოეთ ირანში ვითარდებოდა. ბუნებრივია, თამარ მეფე და სამეფო კარი არ დაუშვებდა ეს რეგიონი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. სწორედ ამან გამოიწვია იმ დროისათვის ორი მძლავრი სახელმწიფოს – საქართველოსა და ხორეზმის – დაპირისპირება, რომელიც, მართალია, უშუალოდ შეიარაღებულ კონფლიქტამდე არ მისულა, თუმცა 1210 წელს ქართველთა ჩრდილოეთ ირანში ლაშქრობა პირდაპირ მიმართული იყო ამ რეგიონში ხორეზმის სამეფოს გავლენის

რუკა 10. ქართველთა 1210 წლის ლაშქრობა ირანში



შემცირებისკენ. 1210 წელს საქართველოს ლაშქარმა, ზაქარია მხარგრძელის სარდლობით, ჩრდილოეთ ირანში ილაშქრა. ქართველებმა ზედიზედ აიღეს ირანის ქალაქები: მარანდი, თავრიზი, მიანა, ზენჯანი და ყაზვინი. ქართველთა ჯარმა გურგანს კი მიაღწია, მაგრამ იმდენი ნადავლი ჰქონდათ, რომ ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა და უკან დაბრუნდნენ. ამ სამხედრო კამპანიის შემდეგ საქართველოს სამეფოს ადარბადაგანიდან საფრთხე აღარ შექმნია. თამარის მემკვიდრის, ლაშა-გიორგის მეფობის დროს ხორეზმის შაჰი მუჰამედი აპირებდა რევანშის აღებას და საქართველოში ლაშქრობას, მაგრამ ბოლო მომენტში ეს სამხედრო აქცია არ შედგა.



მოჭიქული ჯამი. გამოსახულია ფრინველი. თბილისი. XII-XIII საუკუნეები. ეროვნული მუზეუმი

თამარის მეფობის დასასრულს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აჯანყებამ იფეთქა. ეს გამოსვლა რამდენიმე თვე მიმდინარეობდა. მთის მოსახლეობამ დაიწყო საქართველოს ბარის აოხრება. სამეფო კარმა საგანგებო ზომები მიიღო აჯანყების ჩასაქრობად. თამარ მეფემ ივანე ათაბაგს მიანდო კავკასიის მთებში ლაშქრობა და განდგომილი მოსახლეობის დამორჩილება. ივანე ათაბაგმა სამ თვეში შეძლო მთაში წესრიგის დამყარება და აჯანყებულები მეფის ერთგულებაზე დააფიცა.

1213 წლის 27 იანვარს თამარ მეფე (სხვა მოსაზრებით, 1207 წ. ან 1210 წ.) გარდაიცვალა. დიდი ზამთრის გამო თამარი მცხეთაში დაუსაფლავებიათ, ხოლო მოგვიანებით გელათში გადაასვენეს.

ეს საინტერესოა

1210 წლის ლაშქრობა

ირანში ლაშქრობის წინ თამარის ბრძანებით ლაშქარი შემოდგომის პირას შეიყარა. მეფემ ამირსპასალარ ზაქარიას სამეფო დროშა გადასცა. საგანგებოდ ხანგრძლივი ლაშქრობისათვის მომზადებულმა მეომრებმა ნახჭევანი გაიარეს, გავიდნენ ჯულაში და არაქსი გადალახეს. ქართულმა ჯარმა პირველად ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქი, მარანდა აიღო. დიდი ბრძოლა გადაიხადა ქართულმა ლაშქარმა ქალაქის მიდამოებში. მემატიანის გადმოცემით, ქართველთა მიახლოებისთანავე მარანდელებს ქალაქი მიუტოვებიათ და იქვე მთებისთვის შეუფარებიათ თავი. ზაქარია ამირსპასალარმა გზის დასაზვერად 500 რჩეული მეომარი გამოარჩია და მათ თაყაიდინ თმოგველი უსარდლა. მარანდელები, როგორც კი თავრიზისაკენ მიმავალ გზაზე მცირერიცხოვანი რაზმი შენიშნეს, სასწრაფოდ თავს დაესხნენ. ქართველებმა ამ უთანასწორო ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და მტერს დაედევნენ. ამასობაში მარანდიდან მომავალმა ჯარის ძირითადმა ნაწილმა ბრძოლის ველამდე მიაღწია. დაღუპულთა შორის ვერც ერთი ქართველი მეომარი ვერ იპოვეს. გაოცებული ქართველები მომხდარის ახსნას ცდილობდნენ, როდესაც გამოჩნდა თაყაიდინ თმოგველი თავისი რაზმით. აღმოჩნდა, რომ ხუთასივე მეომარი ცოცხალი და საღსალამათი იყო. მარანდის შემდეგ თამარ მეფის ლაშქარმა სვლა განაგრძო, მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებს – თავრიზს, მიანას, ზენჯანს, ყაზვინს – დაეუფლა და ქალაქ გურგანამდე ჩავიდა.

კითხვები

6. ტექსტისა და მე-10 რუკის მიხედვით აღწერეთ ირანში ლაშქრობის მარშრუტი. რომელი ქალაქები და ტერიტორიები გაიარა ქართულმა ჯარმა? რას გვეუბნება ლაშქრობის ეს მასშტაბი საქართველოს სამხედრო შესაძლებლობებზე?
7. რატომ გადაწყვიტა ქართულმა სარდლობამ ლაშქრობის შეწყვეტა და უკან დაბრუნება? როგორ შეაფასებდით ამ გადაწყვეტილებას?
8. დააკვირდით მე-11 რუკას (გვ. 76-77), რომელი ქვეყნები ესაზღვრებოდა საქართველოს თამარ მეფის დროს? როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენდა მეზობლებთან ურთიერთობა ქვეყნის განვითარებაზე?
9. იპოვეთ მე-11 რუკაზე (გვ. 76-77) ის ქვეყნები, რომლებიც საქართველოს ემორჩილებოდნენ (ყმადნაფიცი) და ხარკს უხდიდნენ. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამის საფუძველზე საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ?



თამარ მეფე ღვთისმშობლის ხატის წინ. ფრესკა ბერთუბნიდან.
XIII საუკუნის დასაწყისი

თამარ მეფე მემატიანეთა თვალით

თამარ მეფე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეფეა საქართველოს ისტორიაში. ქალის მეფობა იშვიათი მოვლენა იყო შუა საუკუნეებში. მიუხედავად ამისა, თამარ მეფემ შეძლო თავისი გონიერებით, სათნოებით საზოგადოების სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება. თანამედროვეები გულუხვი ეპითეტებით ამკობდნენ მას: „სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანაალზევებული," „გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა," „მზეთამზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებული".

თამარისადმი ასეთი სიყვარული მის პიროვნულ თვისებებიდან მოდიოდა. მეფე ცდილობდა უშუალოდ დახმარებოდა მოსახლეობას, აკრძალა სიკვდილით დასჯა, ქვეყნის შემოსავლის მეათედი (10%) ღარიბთა დასახმარებლად მიმართა. ბასილი ეზოსმოძღვარი, თხზულებაში „ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისა" მოგვითხრობს, რომ „ღატაკთა მისახედად თამარმა სანდო ზედამხედველნი დააწესა: მთელი სამეფოს შიდა და გარე შემოსავლის მეათედი უკლებლივ მათ მიეცემოდათ და ამას ქერის არც ერთი მარცვალი არ დააკლდებოდა. ამას ყველაფერს იგი ღვთის წინაშე ჩადენილ საკმარის სიკეთედ არ მიიჩნევდა, არამედ მოცლილობის ჟამს მიუჯდებოდა საქსოვსა თუ საკერავს და თავისი ხელით გაკეთებულს ხუცესებსა და ღატაკებს თვითონვე უნაწილებდა". თამარს ჩვევად ჰქონდა, რომ თავისი ხელით დამზადებულ სხვადასხვა ნივთს გააყიდინებდა და ამ თანხას უნაწილებდა შემწეობად. თამარის მეორე ისტორიკოსი, „ისტორიანი აზმანი შარავანდეთანის" ავტორი, გვიყვება, რომ თამარს ჩვევად ჰქონდა ღამისთევით „ლოცვა, მუხლმოყრა და ზეზეულად ცრემლებით ვედრება ღვთისა. ღამეს ხელსაქმარზე ატარებდა, რომელიც გლახაკებისთვის იყო განკუთვნილი... ესეც ნათქვამია, თუმცა სიტყვა არ შემორჩენილა, რომ თავისი ხელით აკეთებდა იმის საფასურს, რასაც დღიურად ჭამდა. გლახაკებს ურიგებდა არა სამეფო შემოსავლიდან, არამედ თავის ხელით საქმარს ყიდდა და იმ ფასს გლახაკებს ახმარდა".



თამარ მეფის ფრესკა
ყინწვისის მონასტერში.
ქარელის მუნიციპალიტეტი

ძველი ქართველი პოეტები თამარ მეფეზე

თამარ მეფეს არა მხოლოდ მისი თანამედროვე შემოქმედნი ასხამდნენ ხოტბას და უძღვნიდნენ სადიდებელ ლექსებსა თუ ოდებს, არამედ საუკუნეების შემდგომაც წერენ მასზე. ქართული სახოტბო პოეზიის უმშვენიერესი ძეგლით, ჩახრუხაძის „თამარიანით“ იწყება მეფე-ქალის ქება, რომელიც არა მხოლოდ უმშვენიერესია („ღაწვმწყაზარია“), არამედ „მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველიცაა.“ აქვე მოგვყავს ვრცელი სტროფი „თამარიანიდან,“ რომელშიც პოეტი უმშვენიერესი, მრავალფეროვანი ეპითეტებით ამკობს მეფე თამარს:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არისთ მთქნარი, უჩინარი,
ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი, ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი.“

იოანე შავთელის „აბდულმესიანიც“ ღვთაებრივი თამარისა და მისი მეუღლის, დავით სოსლანის, სახოტბო ჰიმნია. „აბდულმესია“ ხომ ქრისტეს მონას ნიშნავს და შავთელიც ასე მოიხსენიებს თავის სახოტბო გმირს.

თამარისა და დავით სოსლანის ქებით იწყებს თავის პოემას შოთა რუსთველი. იგი მეფე-ქალს ადარებს „მზეს“. ნაწარმოებში ნესტან-დარეჯანი და თინათინი თამარის ალეგორიულ სახეს წარმოადგენენ. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ცდილობს, თამარის გამეფების ლეგიტიმურობა ახსნას. მეფის შვილები ყველა თანასწორია – ვაჟი იქნება ის თუ ქალი. პოემის მთავარი პერსონაჟი თინათინიც დედისერთაა და მისი, როგორც ქალის, ტახტზე ასვლა გამართლებულია, რამეთუ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.



თამარ მეფის ძეგლი ახალციხეში. ავტორი მალხაზ (ივანე) ცისკაძე

თამარ მეფე ხალხურ პოეზიაში

ცალკე თემაა თამარ მეფე და ხალხური პოეზია, რომელსაც მეფე ქალზე თქმული არაერთი პოეტური შედევრი ამშვენებს. ერთგან თუ თამარ დედოფალისა და ლაშარის ჯვრის ამბავს ჰყვებიან, მეორეგან ლატალში მობრძანდა თამარიო, მღერიან. ზოგან თამარის ნაშენ ციხესაც ამოადგმევინებენ ენას, „თამარ მეფემ ამაშენაო,“ ზოგან თამარის დედას აამღერებენ, – „შენ იყო მთელი ხმელეთი,/ შაგნებით შაინახეო“. ერთ ლექსში მეფე იხსენიება, როგორც „თამარ ქალი“. ეს სტროფები თითქმის მთელმა საქართველომ იცოდა:

„თამარ ქალო, ქვეყნის თვალო,
რა ლამაზი რამე ხარო;
ნეტავ, რა არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა?
ნეტავ, რა არის მისთანა?
მეფისა თამარისთანა?
ნეტავ, რა არის მისთანა?
საყდარი გელათისთანა“!



შოთა რუსთაველი. მინიატიურა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიდან. XV-XVII საუკუნეები. ქაღალდი

კითხვები

10. როგორ აისახა თამარის სახე მემატიანეთა ცნობებსა და ხალხურ პოეზიაში?
11. რაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თამარის შესახებ დღემდე მრავალი ისტორიული ცნობა, ლეგენდა და თქმულებაა შემონახული?

თამარ მეფის გარდაცვალება და დაკრძალვა

თამარის თანამედროვე ისტორიკოსთაგან ჩვენამდე სამი თხზულებაა შემონახული: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთმეფე თამარისა“, „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“. ყველა თხზულება თამარის გარდაცვალების შემდგომ, ახლო პერიოდშია შექმნილი. ამდენად, მათ ავტორებს კარგად უნდა სცოდნოდათ, თუ სად დაკრძალეს თამარი.

ამ თხზულებებში (განსაკუთრებით თამარის ისტორიკოსებთან) მეფე-ქალის გარდაცვალების ამბავი, ისეთი ტრაგიზმითა და მძაფრი ემოციებითაა გადმოცემული, რომ აშკარად ყოველივე საკუთარი თვალით დანახულისა და განცდილის აღწერას წარმოადგენს. სამივე მემატიანე თამარ მეფის განსასვენებელს გელათის მონასტერში მიუთითებს.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“:

„ამისთვისცა მოხედა რისხვით მოწყალემან ღმერთმან სამკვიდრებელსა თვისსა, და მიიცვალა მეფე თამარ ტაბახმელასა დგომასა შინა. მოიწია მწუხარება დიდი და მიუთხრობელი მკვიდრთა საქართველოსათა. და ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავსა ნაცარსა და მტუერსა ათაბაგი და ყოველნი... და წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა. და დაუტევა სამეფო ძესა თვისსა ლაშას“.

„ცხოვრება მეფეთმეფე თამარისა“:

„მაშინ განვიდეს ყოველნი მწარედ მტირალნი. და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თვესა იანვარსა 18. და აღივსო მზე ქართლისა, და საფლავმან სადიდებელად თვისად დაგუაჭირვა ცხოვრება მსოფლიო ყოველთა ქრისტიანეთა... მაშინ უკუე აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს, და მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებელთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“.

„ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“:

„მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა-იგი მკვიდრობენ წინასწარმეტყველნი და მამათმთავარნი და მეფენი, თვესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხასოცდაშვიდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა, გელათს“.



გელათის ტაძრის სამხრეთ მინაშენი, რომელსაც, ტრადიციით, „თამარის ეკვდერს“ უწოდებენ.

წყარო

ფრანგი რაინდის წერილი

1211 წელს ფრანგმა რაინდმა დე ბუამ წერილი გაუგზავნა ბეზანსონის არქიეპისკოპოსს, ამედე დე ტრემლესს, რომელშიც იწერებოდა ქართველთა მიერ იერუსალიმის გასათავისუფლებლად მოწყობილ ლაშქრობაზე. „გეორგიანელთა“ მეფემ უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი. მას დედამისის, უძლიერესი მეფე თამარის, ნეშტი მიაქვს წმინდა ქალაქში დასასაფლავებლადო, – წერდა დე ბუა. აქედან გაჩნდა ლეგენდა თამარის იერუსალიმში გადასვენების შესახებ.



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ლაშა-გიორგიმ იქ გადაასვენა დედამისის ნეშტი.

ეს საინტერესოა

გელათში მასშტაბური გათხრების ჩატარების იდეა თავდაპირველად დიმიტრი ბაქრაძეს ჰქონდა, მაგრამ ვერ განახორციელა. 1920 წელს კი ექვთიმე თაყაიშვილმა მთავრობისგან გელათის ტაძარში გათხრების ჩატარების ნებართვა გამოითხოვა. იმავდროულად, ქუთაისში შეხვდა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარის და თანხმობა მიიღო. ამავე წელს ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით თამარ მეფის გასაიდუმლოებული აკლდამის მოსაძებნად არქეოლოგიური გათხრები დაიწყო, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ძიება შეწყვიტა.



გელათის მონასტერში არსებული ტრადიციით, თამარის ეკვდერში არსებულ ამ საფლავს მიიჩნევდნენ თამარ მეფის განსასვენებლად.

კითხვები

12. შეადარეთ ქართული მატიანეების ცნობები ფრანგი რაინდის დე ბუას წერილს: რა წინააღმდეგობაა მათ შორის და, თქვენი აზრით, რატომ გაჩნდა ლეგენდა თამარის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების შესახებ? რომელი წყარო მიგაჩნიათ უფრო სანდოდ და რატომ?

დავალებები

1. თამარის მმართველობის დასაწყისში დიდებულები მას ულტიმატუმს უყენებდნენ, ბოლოს კი საქართველო კავკასიის უძლიერესი სახელმწიფო გახდა. თქვენი აზრით, რომელმა ფაქტორმა განაპირობა ეს ცვლილება – მეფის პიროვნულმა თვისებებმა, წინა მეფეების მიერ მომზადებულმა საფუძველმა თუ რეგიონულმა ვითარებამ? დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.
2. თამარის ეპოქა ხშირად მოიხსენიება „საქართველოს ოქროს ხანად“. რა საფუძველი აქვს ამ შეფასებას?


ჯიქეთი
ნიკოფსია
ქ ა შ ა გ ე თ ი
ჩ
ჩდ
ჩა
დ
ა
სდ
სა
ს
გაგარი
ბიჭვინთა
ანაკოფია
ბესლეთი
ცხუმი
დრანდა
მოქვი
ჩხალთა
ბედია
ილორი
ანაკლია
ცაიში
ფოთი
ხობი
ჯუმათი
შემოქმედი
ქაჯთაციხე
ბათუმი
გონიო
ხუფათი
ათინა
რიზე
ტრაპიზონი
ტ რ ა პ ი ზ ო ნ ი ს
ი მ პ ე რ ი ა
პ ო ნ ტ ო ს (შ ა ვ ი)
ზ ღ ვ ა
ს ე ტ ი
უშგული
ცაგერი
თაკვერი
ჭყონდიდი
ქუთაისი
გელათი
ნიკორწმინდა
ონი
ღები
გლოლა
ჯასრისკარი
დ ვ ა ლ ე თ ი
ხეითი
წაღვლისთავი
ნაჭარმაგევი
რუისი
ურბნისი
გორი
შორაპანი
აჯამეთი
ოძრხე
აწყური
ყინწვისი
რკონი
ზარზმა
ახალციხე
დანდალო
ნადარბაზევი
ციხისჯვარი
თრიალეთი
სამშვილდე
ხანძთა
ტბეთი
თმოგვი
ყველი
ჯაყი
კუმურდო
ბერთა
ოპიზა
ვარძია
ახალქალაქი
დმანისი
მატბერდი
ანჩა
ფარაკანი
წყაროსთავი
აბოცი
ლორე
ჩრდილოეთ ტბა
ჯ ა ვ ა ხ ე თ ი
ქ ა რ ც ა ხ ი
პარხალი
თუხარისი
არტანუჯი
ფანასკერტი
კოლა
შირაკავანი
იშხანი
ტაოსკარი
ბანა
ოშკი
ხახული
ოლთისი
კარი
ანისი
მთა არაგაწი
ამბერდი
თორთომი
ბასიანი
(ჰასან-ყალა)
ბასიანი
1202
ვალაშკერტი
სპერი
ბაიბერდი
ა რ ზ რ უ მ ი ს
ს ა ა მ ი რ ო
ე რ ზ ი ნ კ ი ს
ს ა ს უ ლ ტ ნ ო
ერზინკა
დას.ევფრატი
კარნუ-ქალაქი
(არზრუმი)
შ ა ჰ - ა რ მ ე ნ თ ა (ხ ლ ა თ ი ს)
ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო
რ უ მ ი ს
(ი კ ო ნ ი ი ს)
ს ა ს უ ლ ტ ნ ო
მანასკერტი
არჭეში
ხლათი
ვანის ტბა
არაქსი (არაქსი)
ყ ი ზ ი ლ ი რ მ ა ხ ი
მდ. ჭოროხი
მდ. ჩოლოქი
მდ. ბზიფი
მდ. ფსოუ
მდ. ბზიბი
მდ. ენგური
მდ. ხობი
მდ. რიონი
მდ. ყვირილა
მდ. ლიახვი
მდ. არაგვი
მდ. ალგეთი
მდ. ხრამი
მდ. ჭოროხი
მდ. ყორაღანი
მდ. ფოლადაული
მდ. ტბისხევი
მდ. ქციის ხევი
მდ. ქვაბლიანი
მდ. ტბეთული
მდ. ჭკვიანი
მდ. ფანავა
მდ. ბოლნისი
მდ. ხრამი
მდ. ალგეთი
მდ. ბასიანი


პირობითი აღნიშვნები
საქართველოს საზღვარი
დანარჩენი საზღვრები
დედაქალაქი
სამეფო რეზიდენცია
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
სანავსადგურო ქალაქი
საეპისკოპოსოს ცენტრი
ეკლესია-მონასტერი
განათლებისა და მწიგნობრობის ცენტრი
ქართული ლაშქრის მოძრაობა შამქორისკენ
ქართული ლაშქრის მოძრაობა ბასიანისკენ
ბრძოლის ადგილი
საქართველო
ვასალური ქვეყანა
გავლენის სფერო
მოხარკე ქვეყანა
ვ ჩ ა ყ ე თ ი
ძ უ რ ძ უ კ ე თ ი
ხ უ ნ ძ ე თ ი
თ უ შ ე თ ი
დ ი დ ო ე თ ი
ჭ ქ ე თ ი
ლ ე კ ე თ ი
კ ა მ ბ ე ჩ ა ნ ი
ს ი ვ ნ ი ე თ ი
ნ ა ხ ჭ ე ვ ა ნ ი
ა რ ა ნ ი
ს ა მ ხ ე
ხუნძეთი
დარუბანდი
შამახია
განძა
ბარდავი
არეში
ყაბალა
ნუხპატო (შაქი)
გიში
ქურმუხი
ელისენი
ბოდბე
ბერთუბანი
ხორანთა
შამქორი 1195
ხუნანი
კაენი
კაეწონი
გაგი
ბოლნისი
ბეთანია
ფშილისი
ზეულა
რუსთავი
გარეჯი
ზორნაბუჯი
ველისციხე
ნეკრესი
თელავი
გრემი
ალავერდი
შიომღვიმე
ჭიმცხეთა
უჯარმა
ხარჭაშო
პანკისი
ჟინვანი
ლომისი
ტყობაერდი
აგვისკარი
ბოლნისი
ბერთუბანი
ბოდბე
ბელაქანი
კახი
ქურმუხი
გიში
ნუხპატო (შაქი)
ყაბალა
ხორანთა
არეში
შამქორი 1195
ხუნანი
კაენი
კაეწონი
გაგი
გარდმანი
ბარდავი
ათერკი
განძასარი
ჰოჰანაბერდი
ტათევი
კაფანი
დვინი
გარნისი
ერევანი
ბიჯნისი
გეღარქუნის ტბა
მტკვარი
რიონი
ალაზანი
არაქსი (არაქსი)
ლომეკი (თურქია)
სულაკი
სუნჯა
ასა
არტანი
ალგეთი
ხრამი
ბორჩალო
ქციის ტბა
ალაზანი
მტკვარი
არაქსი (არაქსი)



I.8. დემეტრე II თავდადებული



დემეტრე II თავდადებული. გარეჯის ფრესკა



დემეტრე II-ის მონეტა. სპილენძი. 1280 წელი. მონეტის შუბლზე – ქართული ზედწერილი: დემეტრე მეფეთა მეფე. ქორონიკონი 500. მონეტის ზურგზე – სიმბოლური ნიშანი. ქართული ზედწერილი: „გვწამს მამაი, ძეი და სული წმინდაი“.

მონღოლთა გატონობა საქართველოში

XIII საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს საქართველოში მონღოლთა შემოსევები დაიწყო და მალე მათი ბატონობა დამყარდა. საქართველოს მეფე რუსუდანი იძულებულ გახდა, მონღოლთათვის ხარკი ეძლია. ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში აღმოჩნდა. 1254-1256 წლებში მონღოლებმა მთელი იმპერიის მასშტაბით აღწერა ჩაატარეს. ეს აღწერა საქართველოსაც შეეხო. მონღოლთა დაპყრობითი ომები დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც ყაენმა აღწერის შემდეგ ახალი გადასახადები დააკისრა დაპყრობილ ქვეყნებს. საქართველოში 40-მდე სხვადასხვა სახის გადასახადი დაწესდა. ყველაზე მძიმე სამხედრო ბეგარა იყო. საქართველოს ცხრა სრულფუძიან გლეხზე ერთი მეომარი უნდა გამოსულიყო. მთლიანად, მონღოლთა დაანგარიშებით, საქართველოდან შეიძლებოდა 90 000 მეომრის გაწვევა.

აღწერის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მოსახლეობას „სათათრო“ ბეგარის გადახდა უჭირდა. განსაკუთრებით მძიმე იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მდგომარეობა, სადაც მონღოლებს ხარკის აკრეფაზე მიუწვდებოდათ ხელი.

XIII საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდში მონღოლთა ახალი დაპყრობითი ომი შეეხო ირანს, არაბეთსა და მახლობელ აღმოსავლეთს. 1256 წელს ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილმა, ჰულაგუმ (1256-1265 წწ.), საფუძველი ჩაუყარა მონღოლთა ახალ სახელმწიფოს, მეხუთე ულუსს, რომელსაც, დამაარსებლის სახელის მიხედვით, ჰულაგუიდთა სახელმწიფო ეწოდა. ჰულაგუს ილხანის (მორჩილი ხანის, ანუ დიდი ყაენისადმი დაქვემდებარებული მმართველის) ტიტული მიენიჭა. ახალი მონღოლური სახელმწიფო მოიცავდა თურქმენეთს, ავღანეთს, ირანს, ერაყს, სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიის ნაწილს. მალევე კავკასიაში გაბატონებისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მონღოლური სახელმწიფო – აღმოსავლეთ ევროპაში ჩამოყალიბებული ოქროს ურდო და ილხანთა სახელმწიფო. საქართველო იძულებული გახდა ამ ბრძოლაში ილხანთა მხარე დაეკავებინა და ყოველ წელს ჯარი გაეგზავნა ჩრდილოეთ კავკასიიდან არსებული გადმოსასვლელების დასაცავად შექმნილ სპეციალურ სიმაგრეებში (მონღოლები მას „სიბას“ უწოდებდნენ). ეს სამხედრო სამსახური თვით მეფესაც ევალებოდა. საქართველოს მეფე დავით ულუ სწორედ სიბაზე დასნეულდა და 1270 წელს გარდაიცვალა.

დემეტრე უფლისწულის გამეფება

დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი მისმა ძემ, დემეტრე II-მ დაიკავა. ტახტზე ასვლისას იგი დაახლოებით 11 წლის იყო. დემეტრეს მცირეწლოვანების გამო ილხანთა სახელმწიფოს მმართველმა აბაღა-ყაენმა მეფის მეურვედ დანიშნა ერთ-ერთი დიდებული, სადუნ მანკაბერდელი. დემეტრე იძულებული იყო, მისთვის ათაბაგობა ებოძებინა. საქართველოს რეალურად სადუნი განაგებდა.

დემეტრე II, ფაქტობრივად, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იყო. მის საბრძანებელში შედიოდა – ჰერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი (სომხითი), ქართლი, ჯავახეთი და ტაო. დასავლეთ საქართველო დავით ნარინის ხელთ იყო, ხოლო სამცხეს სარგის ჯაყელი განაგებდა. დემეტრეს ხშირად უწევდა მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა, რის გამოც მეფე თვეობით ქვეყანაში არ იმყოფებოდა. ამან თავისი მძიმე კვალი დაამჩნია საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას. ცენტრალური ხელისუფლება თითქმის მოირღვა.

საქართველო ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. იყო შემთხვევები, როდესაც ქვეყანას მონღოლური ხარკის გადახდა არ შეეძლო.



დავით ნარინი, გელათის ფრესკა

წყარო

დემეტრე II-ის გარეგნობისა და პირადი თვისებების შესახებ

„დემეტრე იყო ტანით ახოვანი, ლამაზი, შესახედავად მშვენიერი, ღია ფერის თმითა და წვერით, ცისფერთვალება, მხარბეჭიანი, კარგი მეომარი, რჩეული ცხენოსანი და მშვილდოსანი, უხვი, მოწყალე, თავმდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე. სხვა, ასეთი მოწყალე მეფე, გინდაც სხვა კაცი, არ გვსმენია. მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა – აიღებდა ფულს და ღამით მოივლიდა ქალაქს, მოინახულებდა გლახაკებს, დავრდომილებს, ობლებს და თავისი ხელით დაურიგებდა ფულს. ყველამ იცოდა მეფის მოწყალების ამბავი და ამიტომ გლახაკნი ღამით ქუჩებში გამოდიოდნენ, რომ მეფეს შეხვედროდნენ. ამასთან, მეფე მარხულობდა, ღამით ლოცულობდა და იჩოქებდა. მას ათას ხუთასჯერ დაუჩოქია. ასე ყოველმხრივ შემკული და განათლებული იყო მეფე დემეტრე“.

ჟამთააღმწერელი. ანონიმი ქართველი ისტორიკოსი. XIV საუკუნე

კითხვები

1. დემეტრეს რომელ თვისებებს უსვამს ხაზს ჟამთააღმწერელი? დააჯგუფეთ ისინი: გარეგნობის, სამხედრო უნარების, ზნეობრივ-რელიგიური თვისებების მიხედვით.
2. დააკვირდით გამოთქმებს: „სხვა, ასეთი მოწყალე მეფე, გინდაც სხვა კაცი, არ გვსმენია“, „ათას ხუთასჯერ დაუჩოქია“. რას გვეუბნება ეს გამოთქმები მეფისადმი ავტორის დამოკიდებულებაზე?
3. გაითვალისწინეთ, რომ ჟამთააღმწერელმა დემეტრეს მეფობის აღწერისას უკვე იცოდა მისი მოწამებრივი აღსასრულის ამბავი. იპოვეთ ტექსტში გამონათქვამები, რომლებიც დემეტრეს არა მხოლოდ მეფედ, არამედ წმინდანად წარმოაჩენს. თქვენი აზრით, რატომ გამოკვეთა მემატიანემ სწორედ ეს თვისებები?

ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი

XIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიაში სადუნ მანკაბერდელი საკმაოდ საინტერესო ფიგურაა. მან შესანიშნავად შეძლო მონღოლთა სამსახური საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოეყენებინა. ეს ტიპური მედროვე, იმავდროულად, საკმაოდ განათლებული და ფიზიკურად ძლიერი პიროვნება იყო. მან შეძლო დაბალი სოციალური საფეხურიდან (აზნაურობიდან) ქვეყნის ათაბაგობამდე მიეღწია. მემატიანე სადუნს ასე ახასიათებს: „კეთილმეტყველი,“ „მონასტერთა და გლახაკთა“ შემწე, „გონიერი და ენა კეთილი.“ სადუნმა ჰულაგუს კარზე თავი ისახელა თავისი ფიზიკური ძალით. როგორც თანამედროვე ისტორიკოსი



კარის ციხე-ქალაქი (თანამედროვე ყარსი, თურქეთი). თამარ მეფის დროს კარის ციხის შემოერთების შემდეგ ეს მნიშვნელოვანი ქალაქი საქართველოს შემადგენლობაში იყო მოქცეული. იგი სამეფო ქალაქად ითვლებოდა და პირდაპირ მეფეს ემორჩილებოდა.

გვიყვება, ყაენ ჰულაგუს ეწვია ერთი ცნობილი მოჭიდავე, რომლის მჯობნი არავინ იყო. სადუნმა შეძლო მისი დამარცხება. გახარებულმა ყაენმა ჯილდოდ დაუწერა „იარლიყი“ (ყაენის ბრძანება, სიგელი), რომლის თანახმად, იგი ცხრა ცოდვამდე სასჯელისგან თავისუფლდებოდა. ამასთანავე, სადუნმა მრავალი ენა იცოდა და მონღოლები ხშირად მნიშვნელოვან საქმეებს ავალებდნენ.

ახპატის სამონასტრო კომპლექსი. X-XIII საუკუნეები (სომხეთი). ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენში მოწყობილია სადუნ მანკაბერდელისა და მისი ოჯახის განსასვენებელი.



სადუნის სიმდიდრისაკენ სწრაფვას საზღვარი არ ჰქონდა. ათაბაგად გახდომისთანავე დემეტრეს თელავი და ბელაქანი სთხოვა. ცოტა მოგვიანებით კი მეფეს დმანისის ციხე-ქალაქი დაათმობინა. ყაენთან მყოფ დემეტრეს მონღოლებმა დიდი გადასახადი შეაწერეს. მემატიანის მითითებით, ეს სადუნის ფარული ინტრიგებით მომხდარა. დემეტრე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ დროს კი მას „დახმარების ხელი“ სადუნმა გაუწოდა: „უკეთუ მომცე დმანისი, მე მივსცე საფასე ყაენსა“. მეფე იძულებული გახდა, ათაბაგისთვის დმანისი გადაეცა. ამით არ დაკმაყოფილდა და მალე კარის/ყარსის ციხე-ქალაქი მიიღო დემეტრესაგან. ცოტა ხანში სამეფო ოჯახსაც კი დაუნათესავდა და მეფის და, თამარი შეირთო ცოლად.

1282 წელს სადუნ მანკაბერდელის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე II-მ ათაბაგობა თავის აღმზრდელს – ტარსაიჭ ორბელს გადასცა, რითაც სადუნის მემკვიდრე – ხუტლუ-ბუღა – გადაიმტერა, მაგრამ ამ ეტაპზე დემეტრესათვის ეს დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, ვინაიდან იგი მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ილხანთა სახელმწიფოს პირველ ემირთან, ბუღასთან.



ხუტლუ-ბუღა,
ახპატის მონასტერი. სომხეთი

წყარო

„სადუნ მანკაბერდელი „იყო კაცი ბრძენი და გონიერი, კარგი მრჩეველი, ლამაზი, მეტად ღონიერი, რჩეული მოჭიდავე და კარგი მოისარი...მაგრამ სადუნს დიდი გავლენა ჰქონდა, რადგანაც იგი მეტად გააძლიერა ყაენმა. სადუნმა მეფე დემეტრესგან მიიღო თელავის, ბელაქნისა და სხვა მრავალი მხარის მმართველობა და სადუნი კარგად განაგებდა საქართველოს საქმეებს, რადგან მისი მმართველობის დროს არ იყო ძალმომრეობა და უსამართლობა არც მონღოლ დიდ ნოინთა და არც ელჩთა მხრიდან. ასე აშენდა და გაძლიერდა საქართველო“.

ჟამთააღმწერელი. ანონიმი ქართველი ისტორიკოსი. XIV საუკუნე

მეცნიერის თვალსაზრისი

აბაღა-ყაენმა დემეტრეს მეფობა დაუმტკიცა და იმის გამო, რომ ის ჯერ მცირეწლოვანი იყო, მრჩევლად – ათაბაგად დაუნიშნეს სადუნ მანკაბერდელი. სადუნ მანკაბერდელი ოდესღაც მხარგრძელების ყმა და ამდენად, ბაგრატიონთა ყმის ყმა, ახლა საქართველოს სამეფო კარზე პირველ კაცად გახდა. მან ათაბაგობასთან ერთად ამირსპასალარობაც მიიღო და მალე უმდიდრეს კაცად გადაიქცა მთელს ქვეყანაში. თავის კარიერას ენების ცოდნით მიაღწია. სადუნმა კარგად იცოდა: ქართული, სომხური, მონღოლური, სპარსული, არაბული. ამ ენების ცოდნით ილხანების სამფო კარზე დაწინაურდა, ჰულაგუსა და აბაღას თვალში სანდო და საჭირო პირის სამოსელში გაეხვია და ისიც თავის მდგომარეობას მოხერხებულად იყენებდა... სადუნს მონღოლები თავის კაცად თვლიდნენ და ის ასეთად მიაჩნდათ საქართველოშიც.

პროფესორი დავით გვრიტიშვილი



კითხვები

4. გააანალიზეთ ტექსტი და დავით გვრიტიშვილის შეფასება სადუნ მანკაბერდელის შესახებ: ა) რა გზა განვლო სადუნმა „ყმის ყმიდან“ ქვეყნის პირველ კაცამდე? ჩამოთვალეთ, რა უნარები და საშუალებები გამოიყენა მან დასაწინაურებლად. ბ) მემატიანე სადუნს „კეთილმეტყველად“ და „გლახაკთა შემწედ“ ახასიათებს, ტექსტი კი დმანისის ამბავს გვიყვება („უკეთუ მომცე დმანისი, მე მივსცე საფასე ყაენსა“). რას ავლენს დმანისის ეპიზოდი სადუნის მოქმედების ხერხებზე?
5. დ. გვრიტიშვილი წერს: „სადუნს მონღოლები თავის კაცად თვლიდნენ“. ვის ინტერესებს ემსახურებოდა სადუნი – საქართველოსას, მონღოლებისას თუ საკუთარს? მოიყვანეთ არგუმენტები ტექსტიდან.
6. რა გახდა ძალაუფლების მოპოვების მთავარი პირობა საქართველოში მონღოლთა ბატონობის დროს?



არღუნ-ყაენი, ილხანთა სახელმწიფოს მმართველი (1284-1291 წწ.)



აბაღა-ყაენი. ჰულაგუიანთა სახელმწიფოს მეორე ილხანი (1265-1282 წწ.) XIV საუკუნის მინიატურა

დემეტრე II და ილხანთა საყაენოში განვითარებული მოვლენები

1282 წელს გარდაიცვალა აბაღა-ყაენი. ილხანთა სახელმწიფოში იმავე წლის მაისში გაყაენდა აბაღას ძმა აჰმედი, ქართველი მემატიანის თქმით: „არარა ნიჭთა სახელმწიფოთა მქონებელი“. ამ მოვლენების დროს დემეტრეს ყაენის კარზე მოუხდა ყოფნა. მეფემ გადაწყვიტა ძლიერი დასაყრდენი მოეძებნა მომავალი ყაენის გარემოცვაში და თავისი ასული რუსუდანი დიდი ნოინის ბუღას ვაჟზე დაწინდა. ამ დროს პატარა პრინცესა მცირეწლოვანი იყო, ამან ნიკოლოზ კათალიკოსის საშინელი რისხვა გამოიწვია, თუმცა დემეტრეს თავისი ჩანაფიქრი ჰქონდა და კათალიკოსის რეაქციას დიდი ყურადღება არ მიაქცია. კონფლიქტი მეფესა და კათალიკოსს შორის იმდენად გაღრმავდა, რომ მალე ნიკოლოზ III საკათალიკოსო ტახტი დატოვა და თავის მამულში განმარტოვდა. ახალ კათალიკოსად მეფის ჯვარისმტვირთველი აბრაჰამი აკურთხეს.

აჰმედის გაყაენებას მალე მოჰყვა მონღოლთა შორის სამოქალაქო ომი. ხორასანს მდგომმა მონღოლებმა საილხნოს ტახტზე აბაღას ვაჟი არღუნი დასვეს. აჰმედმა დიდი ლაშქრობა მოაწყო ძმისშვილის წინააღმდეგ. ყაენის მომხრეთა შორის იყო დემეტრე II-ს ლაშქარიც. არღუნი იძულებული გახდა ბიძას დანებებობა. ყაენმა თითქოს აპატია არღუნს ჩადენილი, თუმცა ფარულად თავის ნოინებს უბრძანა რამდენიმე დღეში თავის ძმისშვილის მოკვლა. ამ დროს მოვლენებში ჩნდება „დიდი ბუღა“ ნოინი, რომელმაც შეძლო არღუნის გათავისუფლება და ხორასნიდან უკან გამობრუნებულ აჰმედსაც დაედევნა. ბუღამ გზიდან ქართველთა მეფეს მისწერა, არ ჩარეულიყო ამ დაპირისპირებაში და აჰმედის მხარე არ დაეჭირა. ქართველებმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს. ბუღამ აჰმედი შეიპყრო და მოაკვლევინა. ახალმა ყაენმა დემეტრეს დაუფასა ეს საქციელი და ერთგულებისთავის ავაგ ათაბაგის მამული გადასცა, მეფემ ეს ტერიტორია საუფლისწულოდ გამოაცხადა და თავის ვაჟს, დავითს მიუბოძა.




საქართველოს მეფის, დემეტრე II-ის მონღოლთა ყაენის კარზე გამგზავრება. პოლონური წარმოშობის ქართველი მხატვრის, ჰენრიკ ჰრინევსკის (1869-1938 წწ.) ნახატი

დემეტრე II სიკვდილით დასჯა

დემეტრე II არღუნის კარზე პატივით იყო მიღებული. ამას ხელს უწყობდა მეფისა და ბუღა ნოინის ნათესაობა. 1288 წელს ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ნოინები ვეღარ ეგუებოდნენ ბუღას ასეთ განდიდებას და ყაენთან დააბეზღეს, შეთქმულებას ამზადებს შენს წინააღმდეგო. არღუნმა ბუღა სიკვდილით დასაჯა. ყაენმა დემეტრე II-ზეც მიიტანა ეჭვი და თავისთან დაიბარა. ყაენის კარზე წასვლის წინ მეფემ დიდებულები და საეკლესიო დასი შეკრიბა და აზრი ჰკითხა, წასულიყო თუ არა არღუნთან. საბოლოოდ, დემეტრემ მონღოლთა შემოსევის შიშით მაინც გადაწყვიტა ყაენთან ხლება. არღუნ-ყაენთან ჩასულმა მეფემ მოახერხა თავის მართლება, მაგრამ სადუნ მანკაბერდელის შვილის, ხუტლუ-ბუღას ინტრიგებმა საბოლოოდ გადაწყვიტა დემეტრეს ბედი. 1289 წლის 12 მარტს, ყაენის ბრძანებით, დემეტრე II სიკვდილით დასაჯეს. მადლიერმა შთამომავლობამ წამებულ მეფეს „თავდადებული“ უწოდა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

საქართველოს მეფე დემეტრე II მონღოლთა ყაენის კარზე. პოლონური წარმოშობის ქართველი მხატვრის, ჰენრიკ ჰრინევსკის (1869-1938 წწ.) ნახატი



მეცნიერის თვალსაზრისი

„დარბაზის ერს დემეტრე II-ის დარწმუნება მოუსურვებია, რომ მას..., ყაენის მრისხანებისაგან გადასარჩენად უფლება ჰქონდა თავი სადმე შეეფარებინა..., განა მასაც არ შეეძლო, თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ისე მოქცეულიყო, როგორც მას დარბაისელნი ურჩევდნენ, და, ერანის მრისხანე ყაანთან წასვლის მაგიერ, მართლაც მთიულეთში შეხიზნულიყო?

დემეტრე II-მ თავისი სიცოცხლის გადასარჩენად, ქართველი ერის უკიდურეს განსაცდელში ჩაგდება არ მოისურვა და ამით აუცილებელი განადგურება თავითგან ააშორა. ამიტომაც არის, რომ საქართველოში უკვე იმავე ხანაში დემეტრე II-ეს თავდადებულის სახელი მიეკუთვნა... ისტორიამაც ხალხის ამ მსჯავრს თავისი დასტური მისცა და ერთადერთს მეფეს საქართველოში თავდადებულის წოდებულება შეუნარჩუნა... დემეტრე II-ის პატიოსანი ბუნება და მაღალი ადამიანური თვისებები სრული სიცხადით გამომჟღავნდა. მის ნაბიჯს, უეჭველია, პირადი პასუხისმგებლობის ღრმა ზნეობრივი შეგნება და თავგანწირულების მომხიბვლელობა ასხივოსნებს“.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

წყარო

გარდაცვლილი მეფის გადმოსვენება

„მეფე დემეტრეს პატიოსან გვამს (მონღოლები) მრავალი დღის განმავლობაში იცავდნენ, რათა ქართველებს არ წაელოთ... იქ იყვნენ ქართველი დიდებულები, მაგრამ ვერავინ გაბედა მეფის გვამის გამოთხოვა. მაშინ კათალიკოსმა და მოსემ მოისყიდეს კაცები, მოსეც თან წაჰყვა მათ და ღამით მოიპარეს დემეტრე მეფის გვამი. უზენაესის განგებით გამოჩნდნენ თბილისელი კაცები, რომელთაც თევზი ჰქონდათ წასაღები და თევზთან ერთად წაიღეს დემეტრე მეფის გვამი, მიიტანეს მცხეთაში და დამარხეს მამათა სამარხში“.

ჟამთააღმწერელი. ანონიმი ქართველი ისტორიკოსი. XIV საუკუნე

ეს საინტერესოა

XX საუკუნეში ერთმა ახალგაზრდამ მუზეუმში ჩასაბარებლად წარმოადგინა დემეტრე თავდადებულის სიგელი. დემეტრე II-ის მიერ გაცემულ არც ერთ დოკუმენტს ჩვენამდე არ მოუღწევია და ცხადია, აღნიშნულმა სიგელმა მუზეუმის თანამშრომელთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. სიგელისათვის ახალგაზრდა საკმაოდ დიდ თანხას ითხოვდა.

გახარებული სპეციალისტები დოკუმენტს ამოწმებენ. ყველაფერი, პალეოგრაფიული ნიშნები, საწერი მასალა, ტექსტის ენა, საბუთის შინაარსი – ნათლად მეტყველებდა, რომ სიგელი ნამდვილად XIII საუკუნის II ნახევრის ძეგლი იყო, დემეტრე II-ის მიერ გაცემული და საეჭვო არაფერი ჩანდა.

ოთახში ცნობილი მეცნიერი დავით კაპანაძე შემოვიდა. დახედა თუ არა საბუთს, გაეღიმა.

– სიგელი ყალბია! – თქვა მან.

– რატომ? – გაიოცეს თანამშრომლებმა.

– დახედეთ, ხელს აწერს „დემეტრე თავდადებული“.

ჟურნ. „არტანუჯი“, №5

კითხვები

5. რატომ იცავდნენ მონღოლები მოკლული მეფის გვამს? რისი ეშინოდათ მათ?
6. ვინ და როგორ გამოაპარა მეფის გვამი? რას გვეუბნება ამ საქმეში კათალიკოს მოსესა და უბრალო თბილისელი მეთევზეების მონაწილეობა მეფისადმი ხალხის დამოკიდებულებაზე?
7. რატომ გაეღიმა დავით კაპანაძეს და ერთი შეხედვით, როგორ ამოიცნო სიგელის სიყალბე? დაფიქრდით, შეეძლო თუ არა დემეტრეს, ხელი მოეწერა, როგორც „თავდადებულს“?

ეს საინტერესოა

მეტეხის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი

დემეტრე თავდადებულის დროს ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა. მძიმე ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, სამეფო კარმა აქტიურად დაიწყო მონღოლთა მიერ დანგრეული ეკლესია-მონასტრებისა და ციხეების აღდგენა. დემეტრეს სახელს უკავშირდება მტრისაგან დანგრეული მეტეხის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აგება. ამ ადგილას ჯერ კიდევ თამარის ჟამს იდგა სასახლის ეკლესია. გადმოცემით, მეტეხის ტაძარი V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ააგო. 1195 წელს ქართველთა ჯარის შამქორში გალაშქრების შემდეგ, თამარ მეფე თბილისს დაუბრუნდა და „შიშველითა ფერხითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობლისასა მეტეხთა, და წინაშე ხატსა მას წმინდასა მდებარე არა დაცხრებოდა ცრემლითა ვედრებად“. მონღოლებმა დაანგრიეს ტაძარი. XIII საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ ნაშთებზე აიგო თანამედროვე მეტეხის ეკლესია.



დავალებები

1. 1289 წელს არღუნ-ყაენთან დაბარებული დემეტრე II არჩევნის წინაშე იდგა: წასვლა აშკარა სიკვდილს ნიშნავდა, უარი – მონღოლთა სადამსჯელო ლაშქრობასა და ქვეყნის აოხრებას. იმსჯელეთ არგუმენტებით იმის შესახებ, იყო თუ არა დემეტრეს გადაწყვეტილება ერთადერთი შესაძლო გამოსავალი?

   ა) აღწერეთ, რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა თითოეულ არჩევანს ქვეყნისთვის და თავად მეფისთვის;

   ბ) აჩვენეთ, როგორ შეაფასეს მეფის არჩევანი თანამედროვეებმა და შთამომავლობამ;

   გ) მსჯელობა დაასრულეთ საკუთარი დასკვნით: ჯერ განსაზღვრეთ, რა იყო დემეტრესთვის უმთავრესი ღირებულება, რომელსაც სიცოცხლე ანაცვალა, შემდეგ კი დაასაბუთეთ, ეთანხმებით თუ არა მის არჩევანს.



I.9. გიორგი V ბრწყინვალე. ძველი დიდების დაბრუნება




გიორგი ბრწყინვალე.
ძეგლი ახალციხეში.
ავტორი – კახა არუნაშვილი

როცა 30 წლის დემეტრე თავდადებული ყაენთან ურდოში წავიდა, მან თავისი ვაჟი ტაოში, იშხნის დიდებული ტაძრის მახლობლად მდებარე მიუდგომელ და გამაგრებულ ციხესიმაგრეში, გადამალა. ამდენად, გიორგის უფლისწულობა ხიზნობითა და ლტოლვილობით დაიწყო.

მოგვიანებით მეფობის მისაღებად გიორგი მონღოლეთში, ილხანთა კარზე გაემგზავრა. ურდოში გამოცხადებული ქართველი უფლისწული საილხანოს ფაქტობრივმა გამგებელმა, ჩობანმა, დიდი პატივით მიიღო – „განიხარა და შეიტკბო, ვითარცა შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი V-ის გამეფების დროს, ანუ 1318 წელს, ერთიანი საქართველო აღარ არსებობდა – ქვეყანა სამ ნაწილად იყო დაყოფილი (დასავლეთი საქართველო, აღმოსავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგო). ასეთ პირობებში გიორგიმ გააცნობიერა, რომ დასუსტებული ქვეყნისათვის ყველაზე სწორი გზა საყაენოსთან შეიარაღებული დაპირისპირება კი არა, მშვიდობიანი ურთიერთობა იყო. სწორედ მონღოლებთან მშვიდობის პირობებში შეძლებდა იგი შიდა პრობლემების (ქვეყნის ერთიანობის აღდგენის, ფეოდალური განკერძოების, ავაზაკობისა და ყაჩაღობის) მოგვარებას. საყურადღებოა ისიც, რომ გიორგის პირადი მეგობრობა აკავშირებდა საყაენოს ფაქტობრივ მმართველთან – ჩობან ნოინთან.



გიორგი V ბრწყინვალის ხელრთვა, მის მიერ 1339 წელს შალვა მეაბჯრეთუხუცესისადმი გაცემული სიგელიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გადამწყვეტი ბრძოლა შიდა მტრების წინააღმდეგ

გიორგი მეფის პირველი მიზანი ქართლზე, კერძოდ კი, ძალიან მნიშვნელოვან გორის ციხეზე კონტროლის აღდგენა იყო. მაშინ საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრე ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ოსების ხელში იყო. მან ალყა შემოარტყა „ოვსთა გორს მსხდომთა“. ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ „მეფეთა შორის, ბრწყინვალემან, დიდმან, სახელგანთქმულმან გიორგიმ განასხნა და აღფხურნა“ ოსნი. ოს ფეოდალთა გაძევებას ამ ქართული ქალაქიდან სამი წელი დასჭირდა.

ლექსიკონი

ილხანები – იგივე ჰულაგუიანები – ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილის, ჰულაგუ-ყაენის შთამომავლები. დინასტია, რომელიც მართავდა ახლო და ცენტრალურ აღმოსავლეთს XIII-XIV საუკუნეებში.

გიორგიმ არა მარტო დაიბრუნა ოსების მიერ დაკავებული გორის ციხე, არამედ მშვიდობის უზრუნველსაყოფად კავკასიის ქედზე გადასასვლელი გზებიც დაიკავა.

ქვეყნის გამთლიანებისთვის გიორგის ბრძოლას ხელს უშლიდა მონღოლების მომხრე ქართველ ფეოდალთა თვითნებობა. მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებისათვის მეფეს ხელსაყრელი მომენტი სჭირდებოდა და ასეთი დრო 1327-1329 წლებში გამოჩნდა.

მეფემ ცივის მთაზე (კახეთი) სადარბაზოდ მონღოლთა მომხრე კახეთ-ჰერეთისა და ქვემო ქართლის ერისთავები დაპატიჟა. ორგულებმა წინააღმდეგობა ვერ გაბედეს და მივიდნენ. მეფე მათ მშვიდად და აუღელვებლად შეხვდა, თუმცა ნადიმის დროს ხელმწიფის ნიშანზე გიორგის ერთგული კარისკაცები მოღალატეებს მახვილებით დაესხნენ თავს და დახოცეს.

ურჩი ერისთავების დასჯა მეფის მიერ განხორციელებული ერთერთი ყველაზე რადიკალური და, ამავე დროს, სამაგალითო ზომა იყო მონღოლთა მომხრე და ცენტრალურ ხელისუფლებას დაპირისპირებული ერისთავების წინააღმდეგ.



მონღოლი მეომარი. რეკონსტრუქცია



პოემა „ამირან-დარეჯანიანის“ გმირები. ტატიანა შევიაკოვას ასლი. ლაშთხვერის მთავარანგელოზის ეკლესიის მოხატულობის დეტალი. XIV-XV საუკუნეები. სვანეთი, მესტიის მუნიციპალიტეტი. ხელოვნების სასახლე

კითხვები

1. რა მოხდა ცივის მთაზე დარბაზობის დროს. რა მიზანი ჰქონდა მეფე გიორგის?
2. ისტორიულად, მეფეები ზოგჯერ იღებდნენ მძიმე გადაწყვეტილებებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანას რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამოყვანა სჭირდება. შეაფასეთ ცივის მთაზე დარბაზობის დროს მეფის გადაწყვეტილება. რა არგუმენტებს მოიყვანდით, როგორც გიორგი მეფის მომხრე? როგორც მოწინააღმდეგე?



ილხანების დედაქალაქი სოლთანიე. (ირანი) ოლჯაითუ-ყაენის აგებული მეჩეთი. XIV საუკუნე

მონღოლთა ბატონობისაგან გათავისუფლება და საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა

1327 წელს მონღოლთა სახელმწიფოში დიდი არეულობა დაიწყო. ამის მიზეზი ილხანთა ყაენის ბრძანებით სახელმწიფოს პირველი ემირისა და ფაქტობრივი გამგებლის, ჩობან ნოინის, მკვლელობა იყო.

ურთიერთდაპირისპირებამ ილხანთა სახელმწიფოში პიკს მიაღწია, რასაც დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლთა გავლენის შესუსტება მოჰყვა. შექმნილი ვითარებით გიორგი მეფემ ბრწყინვალედ ისარგებლა – მონღოლებს ხარკი შეუწყვიტა და საქართველოდან დამპყრობთა ჯარი განდევნა.

ვახუშტი ბატონიშვილი ამ მოვლენას ასე აღწერს: „მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალემან მეფემან გიორგი და განასხნა თათარნი საქართველოსგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა“.

გიორგი მეფემ მალევე დასავლეთ საქართველოსაც მიაპყრო ყურადღება. დასავლეთ საქართველოს მმართველის, მიქელ მეფის გარდაცვალების შემდეგ (1329 წ.) რეგიონში პოლიტიკური არეულობა დაიწყო. გიორგი V-მ არსებული ვითარებით ისარგებლა, ქუთაისი დაიკავა და დასავლეთ საქართველოც ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილა.

1334 წელს გიორგი სამცხეშიც ჩავიდა და თავად დანიშნა სამცხის მთავარი. მეფეს ამ რეგიონთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა, რადგან დედით სამცხის მმართველი ჯაყელების შთამომავალი იყო. ეს უკვე სამცხეზე მეფის უზენაესი უფლების აღდგენას ნიშნავდა.

ასე დასრულდა საქართველოს პოლიტიკური გამთლიანება. დასავლეთ საქართველოში მეფობის მოსპობითა და მთავრების დამორჩილებით გიორგი V სრულიად საქართველოს მეფე გახდა.

კითხვები

3. შეადარეთ გიორგი V-ისა და დავით აღმაშენებლის დროინდელი ვითარება – რა იყო მათი პოზიციების მთავარი მსგავსება და განსხვავება?
4. იმსჯელეთ, რატომ იყენებენ წარმატებული მმართველები ერთდროულად როგორც დიპლომატიას, ისე სამხედრო ძალას. გაიხსენეთ ისტორიიდან მაგალითი, როდესაც მხოლოდ ერთ-ერთის იმედად მყოფი მმართველი დამარცხდა.

გიორგი მეფის საერთაშორისო ავტორიტეტი

გიორგი მეფემ მალევე დიდი გავლენა მოიპოვა საერთაშორისო ასპარეზზე. XIV საუკუნის I ნახევარში ქართველებმა ნაბიჯ-ნაბიჯ აღიდგინეს იერუსალიმში თავიანთი ძველი უფლებები. საქმე ისაა, რომ ამ დროს ქალაქი იერუსალიმი ეგვიპტის სასულთნოს შემადგენლობაში შედიოდა და ამიტომაც ეგვიპტეში („მისრეთს“) ძღვნით გაგზავნილი ქართველი მეფის ელჩების – პიპა ქსნის ერისთავის ძისა და დეკანოზ იოანე ბანდაის ძის – მისიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ელჩებმა შეძლეს კიდეც გიორგი V-ის „ყოველი სათხოვარის“ აღსრულება. მათ სულთანმა პატივისცემით უპასუხა: ქართველებს ქრისტეს საფლავის კლიტენი დაუბრუნა და იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულებსა და დროშააღმართულებს შესვლის უფლება მისცა.

ქართველთა ეს პრივილეგირებული უფლება მოგვიანებით ფრანგმა კარტოგრაფმა ნიკოლა და ფერიმ 1696 წელს გამოცემულ რუკაზე ილუსტრაციის სახით ასახა, აქ კარგად მოჩანს, როგორ შედიან იერუსალიმის კარიბჭეში მახვილშემართული და წელზე ხმალშებმული ქართველები, ერთ-ერთ მათგანს კი უჭირავს მაღლა აღმართული გაშლილი დროშა, რომელზეც წმინდა გიორგია გამოსახული.



ძველი იერუსალიმის მაკეტი

ლექსიკონი

სულთანი – ზოგიერთ ისლამურ ქვეყნაში მმართველის, უმაღლესი ხელისუფალის ტიტული, რომელიც ნიშნავს ძლიერ ხელმწიფეს ან მბრძანებელს.

სარკინოზები (სარაცინები) – შუა საუკუნეების ევროპაში გამოყენებული ტერმინი, რომლითაც მუსლიმ ხალხებს მოიხსენიებდნენ.



ქართველების შესვლა იერუსალიმში. მხატვარი ნიკოლა და ფერი. 1696 წელი. ხელოვნების სასახლე



რომის პაპი იოანე XXII (1316 -1334 წწ.)

XIV საუკუნის 20-30-იან წლებში გიორგი V-სა და რომის პაპს, იოანე XXII-ს შორის საყურადღებო მიწერ-მოწერა გაიმართა. 1329 წელს პაპმა სმირნის (იზმირის) კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოიტანა.

XIV საუკუნის 30-იან წლებში, ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის მიზნით, საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუა (1328-1350 წწ.) გააქტიურდა. 1331-1333 წლებში იგი ანტიეგვიპტური კოალიციის შექმნას ცდილობდა, ამ მისიით მან საქართველოში ორი ბერი – რიკარდო მერჩერი და ალექსანდრე ინგლისელი – გამოგზავნა. ფრანცისკანელი ბერები გიორგი მეფემ პატივით მიიღო, თუმცა საფრანგეთის მეფეს წინდახედულობითა და სიფრთხილით აღსავსე შინაარსის წერილი გაუგზავნა. გიორგი მეფის გონივრული ნაბიჯი გამართლდა – საფრანგეთის მეფის მცდელობა, მოეწყო ჯვაროსნული ლაშქრობა, წარუმატებლად დამთავრდა.

წყარო

კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსება თბილისში

„შემდგომ ბევრი რჩევისა და გამოძიებისა, დავრწმუნდით ჩვენ და ჩვენი ძმები კარდინალები, რომ თბილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია... ჩვენი მოციქულეობრივი ხელმწიფების ძალით სმირნის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულ ქალაქ თბილისში... ამ კათედრაზე ღვთის შეწევნით ეპისკოპოსად დავნიშნავთ გამოცდილსა და მოღვაწე პირს“.

რომის პაპის იოანე XXII-ის ბულა. 1329 წლის 6 თებერვალი

წყარო



გიორგი V-ის წერილი, ფილიპე VI-ს:

„საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე ისაა, რომ შემდეგ ისინი აღარ მოდიან, ტოვებენ რა მათ ამ მტანჯველ ომში მარტოდ. ამგვარად, გთხოვთ, თქვენ დაადგინოთ, როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად, 30000-იანი ჯარით“.

საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუა (1328-1350 წწ.)
ტონი რობერ-ფლერის ნახატი. XIX საუკუნე

წყარო

მუსლიმი მბრძანებლები გიორგი V-ს ასე მიმართავდნენ:

„დიდებულმა ალაჰმა დღეგრძელ ჰყოს ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, სახელოვნისა, რაინდისა, მამაცისა, ლომისა, კეთილშობილისა, დაუცხრომელი მებრძოლისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა, გვირგვინოსნისა, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, თავის სამწყსოს მიმართ სამართლიანისა, საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოთა განძისა, რაინდთა სამწყსოს დამცველისა, წინაპართ ტახტ-გვირგვინის მემკვიდრისა, რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ქრისტიანობის განმტკიცებლისა, იესოს სარწმუნოების შემწისა, საქრისტიანოს გმირთა მკურთხეველისა, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმადიდებლისა, ნათლისღებულთა ბოძისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე გულწრფელისა, მეფეთა და სულტანთა მეგობრისა“.

კითხვები

5. რა მოლოდინებსა და მოთხოვნებს გამოხატავს გიორგი V-ის წერილი საფრანგეთის მეფის მიმართ.
6. იმსჯელეთ, როგორ უნდა მოქცეულიყო გიორგი, თუ ის ფრანგების წინადადებას დაეთანხმებოდა? რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას საქართველოსთვის? შესაძლებელია თუ არა, რომ მცირე სახელმწიფოს დიდი ალიანსების „დიდმა დაპირებებმა“ მძიმე შედეგი მოუტანოს?
7. რა ეპითეტებს იყენებდნენ მუსლიმი მბრძანებლები გიორგი V-ის მიმართ?

კითხვები

8. რატომ შეადგინა გიორგი V-მ მთიელებისთვის სპეციალური სამართლის წიგნი „ძეგლის დება“?
9. რა სირთულეები არსებობდა მთიელებში გიორგი V-ის გამეფებამდე რომელი მათგანი იყო ყველაზე საშიში სახელმწიფოსთვის?
10. იმსჯელეთ, როგორ არის წარმოდგენილი ქვემოთ მოტანილ წყაროში ქალის უფლებები.

მეფე კანონმდებელი

ქართული სახელმწიფოს მთლიანობის აღდგენის შემდგომ უმთავრესი სირთულე მთის საკითხის მოგვრება გახდა. ხანგრძლივი ომებისა და არეულობის შედეგად მთაში წესრიგი დარღვეული იყო: მოსახლეობა ხშირად ეწინააღმდეგებოდა მეფის ხელისუფლებას, ხოცავდა მოხელეებს და არ ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებებს. ხშირი იყო სოფლებს შორის დაპირისპირებაც, ციხესიმაგრეების ნგრევა და ერთმანეთის დარბევა. ქსნისა და არაგვის ხეობაში მეტად მძიმე და საშიში მდგომარეობა შეიქმნა. მთაში გავრცელებული იყო ყაჩაღობა, ქურდობა და სხვადასხვა დანაშაული. ხშირად მთელი სოფელი ერთიანად მონაწილეობდა ასეთ ქმედებებში. გარდა ამისა, გაუარესდა საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობებიც, რაც კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას. ეს არეულობა ზოგჯერ ბარშიც ვრცელდებოდა და ქვეყნის საერთო სტაბილურობას საფრთხეს უქმნიდა. XIV ს-ის 30-იან წლებში გიორგი V-მ მთიულთა საქმეები მოაწესრიგა და, ადგილობრივი ადათობრივი სამართლისა თუ ტრადიციების გათვალისწინებით, სამართლის წიგნი შეადგინა. ეს ნაბიჯი აჩვენებს მის დიდ სახელმწიფოებრივ სიბრძნეს. „განიხილა მეფემან მთიელთა და კავკასთა საქმენი. რამეთუ მრავალნი უჯერონი იქმნებოდნენ... განუჩინა მათ სამართალი და წესნი და დაუსხნა წიგნით“. საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია გიორგი V-ის სამართლის კრებულმა, რომლის სახელწოდებაა „ძეგლის დება“.

წყარო

რამდენიმე მუხლი გიორგი V-ის ძეგლის დადებიდან:

- „კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ და მისი შეუცოდარი იყოს და გაეყაროს, ესეთსა ნახევარი სისხლი დაუურვოს (გადაუხადოს) მის დიაცის გუარსა ზედა“.
- „კაცმან თუ კაცს კბილი ჩააგდებინოს, ოთხთა ზემოთ წინათ, ოთხთა ქვემოთ, საჩინოთა კბილთა ჩაყრევინებისათუის თუითოს კბილისათუის ოროლლი უზანგობა დაიურვოს თავის წესსა და გუარსა ზედა“.

ლექსიკონი

სისხლის ფასი – დანაშაულის საზღაური შუა საუკუნეების საქართველოში.

გუარი – აქ სოციალური წარმომავლობა.



გიორგი ბრწყინვალის დროს შედგენილი „ძეგლის დადებისა“ და „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

საბეჭდავი. XIII საუკუნე. ეროვნული მუზეუმი

მეცნიერის თვალსაზრისი

არც ერთ მეფეს თანამედროვეთა შორის და შთამომავლობაში ისეთი სახელი არ მოუხვეჭია, როგორიც გიორგი ბრწყინვალემ დაიმსახურა. მისი ქება თანასწორად გვხვდება როგორც ქართულ, ისევე მეზობლების წყაროებშიც. მისი უარყოფა ვერ შესძლებიათ ისეთ პირებსაც, რომელთა პოლიტიკა მისას მთლიანად ეწინააღმდეგებოდა.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

წყარო

„ხოლო ამისათვის ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე უხვი, ობოლთა და ქურივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაითგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კუალად შემოიკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან, განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი... სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და სადა ხამდა – სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა“.

ვახუშტი ბატონიშვილი



კითხვები

11. რატომ უწოდეს გიორგი მეფეს „ბრწყინვალე“? ვახუშტი ბატონიშვილის ტექსტიდან დაიმოწმეთ ის ადგილი, რომელიც გვიჩვენებს, რომ მეფე მიზნის მისაღწევად ხან ძალას მიმართავდა, ხან კი – გონიერებას.
12. შეადარეთ ივანე ჯავახიშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის შეფასებები: რაში ემთხვევა მათი აზრი გიორგი ბრწყინვალის შესახებ და რა განსხვავებულ საბუთს იყენებს ჯავახიშვილი? როგორ ფიქრობთ, რატომ არის მეფის ღირსების დამადასტურებელი ის ფაქტი, რომ მას მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებდნენ?
13. მე-12 რუკის (გვ. 94-95) დახმარებით დაასახელეთ, რომელი ტერიტორიები შემოუერთა გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს. როგორ შეიცვალა ქვეყნის საზღვრები მისი მეფობის წლებში და რას მოწმობს ეს ცვლილება მეფის პოლიტიკის წარმატებაზე?

დავალებები

1. იმსჯელეთ, რატომ აირჩია გიორგი V-მ მონღოლებთან თავდაპირველად მშვიდობიანი ურთიერთობა და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათთან ადრეულ შეიარაღებულ დაპირისპირებას. მსჯელობისას გაითვალისწინეთ ისტორიაში გავრცელებული დაყოფა „ძლიერ მეფეებად, რომლებიც იარაღით იბრძვიან“ და „გონიერ მეფეებად, რომლებიც დიპლომატიას ანიჭებენ უპირატესობას“ – რომელი ტიპის მმართველად მიგაჩნიათ გიორგი V და რატომ?

გერგეტის სამება. XIV საუკუნის 30-იანი წლები. ხევი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი





რუკა 12. საქართველო XIV საუკუნის I ნახევარში, მეფე გიორგი V ბრწყინვალეს დროს


პირობითი აღნიშვნები
საქართველოს საზღვარი
დანარჩენი საზღვრები
დედაქალაქი
დასახლებული პუნქტი
ციხესიმაგრე
სამეფო რეზიდენცია
სანავსადგურო ქალაქი
საეპისკოპოსოს ცენტრი
ეკლესია-მონასტერი
XIV ს. 30-იან წლებში დაკარგული მიწები
ვასალური ქვეყანა
ოქროს ურდო (ჯუჩის ულუსი)
ჯუჯეთი
ხუნძეთი
დიდოეთი
ჭაბასარანი
ზაქათალის ოლქი
ტყობაერდი
ხუნძახი
დათუნა
ყუმუხი
ყუბაჩი
დარუბანდი
ხარჭაშო
პანკისი
ჟინვანი
გრემი
ალავერდი
იყალთო
თელავი
შიომღვიმე
მცხეთა
უჯარმა
ნეკრესი
ცივი
ბეთანია
ფშილისი
ვეჯინი
ბელაქანი
ელისენი
კახი
ბოდბე
ქურმუხი
ახთი
ბოლნისი
გარეჯი
ხორნაბუჯი
გიში
ატენი
ახტალა
გაგი
უდაბნო
შაქი
ახპატი
ხუნანი
ყაბალა
კაენი
ხორანთა
სანაინი
ტავუში
არეში
ჰაღარწინი
შამქორი
განძა
შამახია
გედიკი
გარდმანი
ბარდავ
ბიჯნისი
ჰათერკი
ერევანი
განძასარი
გარნისი
ჰოჰანაბერდი
გლაძორი
ნორავანქი
სისიანი
ტათევი
ასლანდუზი
ნახჭევანი
კაფანი
(ჰულაგუიანთა)
სპარსეთის ყურე
ბორლანისწყალი (სუნჯა)
თერგი
სულაკი
არაქსი
ალაზანი
მტკვარი
ალგეთი
ხრამი
ბელაქანის ტბა
ოშკინაგორის ველი
რანი (არაქსი)



I.10. ალექსანდრე I დიდი. აღმშენებლობის ეპოქა



მეფე ალექსანდრე I-ის სვეტიცხოვლის დაკარგული ფრესკის ასლი. ავტორი პიოტრ როსი, ხელოვნების სასახლე

საქართველო ალექსანდრე I-ის გამეფებამდე

საქართველოს XIV საუკუნის მეორე ნახევარში თემურლენგის რვა დამანგრეველი შემოსევის გადატანა მოუწია. ჩვენს სამშობლოს მანამდე მონღოლების ასწლიანი ბატონობით მიყენებული ჭრილობების მოშუშებაც არ ჰქონდა დასრულებული.

თემურლენგი იყო ცენტრალური აზიიდან წამოსული დამპყრობელი, რომლის საბოლოო მიზანს, ჩინგიზ-ყაენის დროინდელი მონღოლთა ერთიანი იმპერიის შექმნა წარმოადგენდა. საქართველოში მას რელიგია, მიწის ფლობის, მეურნეობის წარმოებისა და ცხოვრების წესები უნდა შეეცვალა. მრავალსაუკუნოვანი მიწათმოქმედება მომთაბარული ცხოვრების წესით უნდა ჩანაცვლებულიყო. საქართველოში თემურლენგის მიზნების განხორციელების მთავარი მოწინააღმდეგე ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა იყო. ამიტომ ის სასტიკ ზომებს მიმართავდა და ყველასა და ყველაფერს ანადგურებდა (ეკლესიები, სოფლები, სარწყავი არხები, ხეხილის ბაღები, ვენახი და სხვ.). იმ პერიოდში გაჩნდა ადგილთა დასახელებები – ნასახლარი, ნასოფლარი, ნაფუძარი, ნავენახარი და სხვ. გაუთავებელი ომების გამო საქართველოში სრულად მოიშალა ეკონომიკა. თემურლენგი საქართველოს, წინააღმდეგობის გარდა, სხვა გზას არ უტოვებდა. ზავის დადების მიუხედავად, იგი მაინც არ წყვეტდა ლაშქრობებს. თუმცა თავის საბოლოო მიზანს მან ვერ მიაღწია, ვერც ადგილობრივი წესები შეცვალა საქართველოში და ვერც რელიგია – ქრისტიანობა.


თემურლენგის სიკვდილის შემდეგ მომთაბარეთა ლაშქრობები საქართველოს მიმართულებით კვლავ გრძელდებოდა. მომთაბარე თურქმანები ძალაუფლებისა და ტერიტორიებისთვის ერთმანეთსაც ებრძოდნენ. საქართველო მათთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო, რის გამოც თავდასხმები ჩვენს ქვეყანაზე არ წყდებოდა.

წყარო

ქართული ასომთავრული წარწერები რკონის სამონასტრო კომპლექსის კედლებზე:

1. „† აქა მოვიდა ლანგდემურ და დააქცივნა ეკლესიანი და რკონიცა დააქცია. ქორონიკონი იყო პე (=1400 წ.)“;

2. „აქა ამოსწყვიდა რკონი, თვესა მერვესა...“



წარწერა (2) რკონის ეკლესიის კედელზე. კასპის მუნიციპალიტეტი

წყარო

ნეზამ ად-დინ შამი. თემურლენგის კარის ისტორიკოსი

„იმ ხანებში განუწყვეტლივ თოვდა ოც დღეს... ასეთ ყინვა-სუსხში ისლამის ლაშქარი ცეცხლივით დაატყდა თავს ურჯულოებს (იგულისხმება ქართველები) და ვინც კი მოიხელთეს, დახოცეს... ხამშა ერთ-ერთი ურწმუნოთაგანი იყო... მან ყველაფერი მიატოვა და ტყეებში გაუჩინარდა. თოვლმა კი გზები შეკრა. ლაშქრის ჯორ-ცხენი და სხვა ცხოველები დასუსტდა და გაილახა, მაგრამ მეომრებმა უამრავი ცხვარი და ძროხა იშოვეს დავლად. მათ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს..., თემურის ჯარმა ამის შემდეგ დაიწყო ბაღ-ვენახების გაკაფვა და ნაყოფიერი ხეების დაჭრა“.

აბდ არ-რაზაყ სამარყანდი. თემურიდების პერიოდის ისტორიკოსი

„(საქართველოში)... ვინც გამუსლიმანდა, ცოცხალი დატოვეს, ურწმუნოთა უმრავლესობა კი დახოცეს“.



თემურლენგი.
მიხეილ გერასიმოვის
რეკონსტრუქცია

კითხვები

1. ვინ არის თითოეული წყაროს ავტორი და ვის მიმართავს?
2. რა საერთო სურათს ქმნის ეს წყაროები?
3. ადამიანების დახოცვის გარდა, კიდევ რა საშუალებებს მიმართავდა თემურლენგი საქართველოს გასანადგურებლად?

ლექსიკონი

ქორონიკონი – წელთაღრიცხვის სახელწოდება შუა საუკუნეების საქართველოში

მეფე, სათავადოები და მოსახლეობა

საქართველოს მეფის ხელისუფლება XV საუკუნეში შესუსტდა. მეფე იძულებული იყო, რომ სამეფოს დიდი ნაწილი და თანამდებობები ფეოდალებისთვის მემკვიდრეობით გადაეცა. ყველა დიდ ფეოდალს, ანუ თავადს, თავის საგამგებლოში – სათავადოში, საშინაო საქმეებში დამოუკიდებელი მოქმედების უფლება (იმუნიტეტი) ჰქონდა. სათავადოს აუცილებლად ჰყავდა – გლეხები, აზნაურები. ჰქონდა მამული, ციხესიმაგრე, საგვარეულო ეკლესია-მონასტერი და სასაფლაო. გლეხები იმ დროს კომლებად ცხოვრობდნენ, ისინი იყვნენ ძირითადი მწარმოებელი მოსახლეობა და ყოველწლიურ ბეგარას იხდიდნენ.

ალექსანდრეს I-ის გამეფება და ღონისძიებები საქართველოს აღდგენისთვის

ალექსანდრე I საქართველოს სამეფო ტახტზე 1412 წელს ავიდა. ის თავიდანვე ენერგიულად შეუდგა მეფობას. მან ქვეყნის აღორძინებისთვის თავდაპირველ საზრუნავად ეკლესიების, ციხესიმაგრეების, გზებისა და სოფლების აღდგენა დაისახა. ალექსანდრემ 1425 წელს სპეციალური გადასახადიც კი დააწესა დაწყებული მშენებლობების დასაფინანსებლად. 1440 წელს სამუშაოების დასრულებისათვის ეს გადასახადი მეფემ გააუქმა. ეკლესიის გაძლიერების მიზნით, ალექსანდრე სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდა სვეტიცხოველს, ალავერდს, შიომღვიმეს, ქვათახევს. შეწირულობას უგზავნიდა საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტრებს. ასეთი მოღვაწეობისთვის მას შთამომავლობამ „დიდი“ უწოდა.

კითხვები

4. რამ აიძულა მეფე, რომ მამულები და თანამდებობები თავადებისთვის მემკვიდრეობით გადაეცა?
5. რა უპირატესობას აძლევდა თავადს „იმუნიტეტი“?
6. სათავადოების სისტემამ მცირე ხნით შეარბილა მეფისა და მსხვილი ფეოდალების დაპირისპირება, თუმცა, დროთა განმავლობაში ის ერთიანი სამეფოს რღვევის მთავარი მიზეზი გახდა. ახსენით, როგორ შეიძლება ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას ორი საპირისპირო შედეგი მოჰყვეს?



სიგელი ალექსანდრე მეფისა მალის ამოკვეთის შესახებ, 1440 წელი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ალექსანდრეს მეფობის დასაწყისში, ოდიშის მთავარს, დადიანსა და აფხაზეთის მთავარს, შარვაშიძეს, შორის დაპირისპირება მოხდა, რასაც სისხლის ღვრაც მოჰყვა. ალექსანდრე პირადად ჩავიდა დადიანთან, რომელმაც მეფეს შენდობა სთხოვა. ამის შემდეგ მეფე აფხაზეთშიც გადავიდა და იქ შარვაშიძისგანაც მიიღო ერთგულებისა და დადიანთან მტრობის შეწყვეტის პირობა.

ალექსანდრეს მეფობის პირველ ხანებში მას სამცხე-საათაბაგოს მთავარი ივანე ათაბაგი ეწინააღმდეგებოდა. მეფემ ივანეს სიმშვიდისა და მორჩილებისკენ მოუწოდა, საპასუხოდ, ივანე ჯარის შეკრებას შეუდგა და მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა კიდეც. ბრძოლაში ათაბაგი დამარცხდა და ალექსანდრეს ტყვედაც ჩაუვარდა. სამცხე კვლავ საქართველოს მეფეს დაემორჩილა.



რუისის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი. ქარელის მუნიციპალიტეტი



რუისის ტაძრის წარწერა – „ადიდენ ღმერთმან მეფეთმეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლისა მიერ კვლავ აღეშენა საყდარი“.

ალექსანდრე I-მა წარმატებით აღკვეთა მომთაბარე თურქმანების შემოსევები და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიები დაიბრუნა. მან დაიწყო ზრუნვა დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად, ომებისგან გაუკაცრიელებულ ნასოფლარებში მთიდან ჩამოჰყავდა მოსახლეობა, ახალმოსახლეებისთვის კი საგადასახადო შეღავათებსაც აწესებდა. მომთაბარეების თავდასხმების გამო დევნილ ქრისტიანებს მეფე ლორესა და სივნიეთში ასახლებდა.

ალექსანდრე მეფის მთავარი საზრუნავი საქართველოს სამეფოს ერთიანობის შენარჩუნება გახდა. ამ მიზნით იგი სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავდა. სამშობლოს ერთიანობის შესანარჩუნებლად ალექსანდრემ რეფორმები გაატარა. არასაიმედო დიდებულებს ერისთავობა ჩა-

კითხვები

7. როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ალექსანდრე I-თან სამცხის ათაბაგს, დადიანსა და შარვაშიძეს?
8. რა სირთულეების წინაშე იდგა საქართველო ალექსანდრე I-ის მეფობის დროს და რა იწვევდა მათ?

ლექსიკონი

მალი – ფულადი გადასახადის სახეობა

მოართვა და ერთგულებს გადასცა. ასევე, დააწინაურა სამეფო ოჯახის წევრებიც. ამით სამეფოს რღვევის შეჩერება დროებით მოხერხდა, მაგრამ პროცესის შინაგანი მიზეზების დაძლევა მეფის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ალექსანდრეს მეფობის ბოლოს პოლიტიკურმა კრიზისმა მთელი სიმძლავრით იჩინა თავი. მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდა. საქართველოს ხანგრძლივი მშვიდობა და განვითარების ნორმალური პირობები სჭირდებოდა, რისი მიღწევაც ვერც საშინაო და ვერც საგარეო ფაქტორების გამო ვერ ხერხდებოდა.



სვეტიცხოვლის განახლება ალექსანდრე I-ის ბებიამ, რუსამ, დაიწყო და ალექსანდრე I-ის მეფობის დროს დასრულდა

წყარო

სიგელი ალექსანდრე მეფისა მალის ამოკვეთის შესახებ, 1440 წელი:

„მეფედ დავჯე, და საქართველო უსჯულოსა თემურისაგან მოსრული (აოხრებული) უნუგეშინისცემოდ განსრული დამხუდა... რაოდენნი საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუნეს, ყოველნი საფუძვლითგან (საძირკველიანად) დაექციენეს და სრულიად საქართველო ტყუე ექმნა (ტყვედ წაიყვანეს) და ჩუენის მეფობისა დაჭირვადმდე მუდმივი... რბევა იყო საქართველოსა... (მე, მეფემან ალექსანდრემ) ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვსხენ (განვდევნე) ზღვართაგან ჩუენთა. და ქრისტიანენი ფრიადსა მშვიდობასა და მყუდროებასა მიეცნეს..., ეგრეთ ვინებე და ვიგულსმოდგინე ყოველთავე საქართველოისა ციხეთა და საყდართა აღშენებად... საქართუელოს კუამლსა ზედან ორმოცი თეთრი მალად განვაჩინე და ასოცდარვად ქრონიკონამდე (1440 წლამდე), რაოდენნი საქართველოსა ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევამკუენ... აწ ამოგვიკვეთია (გაგვიუქმებია) ესრეთ... და გევალებათ აღთქმული სრულყოთ“.

მეცნიერის თვალსაზრისი

ალექსანდრე I დიდის შესახებ:

ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის ფართო აღმშენებლობითი ხასიათის მთელი მნიშვნელობა და მომხიბვლელი სიდიადე მშვენივრად ჰქონიათ შეგნებული მის თანამედროვეებსაცა და შთამომავლობასაც. სწორედ ამან მოუხვეჭა ალექსანდრეს „მეფეთა შორის წარჩინებულის“ წოდებულება, ამანვე შესძღვნა მის თანამედროვეთა, შთამომავლობისა და საქართველოს ისტორიისაგან „დიდის ალექსანდრეს“ სახელი.

ქართველი ხალხი აღტაცებული იყო იმითაც, რომ მან ასეთი დიადი საქმე, განადგურებული ქვეყნის აღდგენა, განიზრახა და მოახერხა კიდეც, და იმითაც, რომ ყოველივე თავისი დაპირება ალექსანდრე მეფემ პირნათლად აასრულა და ეს წმინდა საშვილიშვილო საქმე ღირსეულად დააგვირგვინა.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

კითხვები

9. წყაროს (სიგელი ალექსანდრე მეფისა...) მიხედვით, რა ღონისძიებები განახორციელა ალექსანდრე I-მა ქვეყნის აღდგენისთვის?
10. რას გვეუბნება ეს წყარო XV საუკუნის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ?
11. რატომ მოიხსენიებს ივანე ჯავახიშვილი ალექსანდრე დიდს „მეფეთა შორის წარჩინებულად“? რამდენად შეესაბამება ეს შეფასება წყაროში (სიგელი ალექსანდრე მეფისა...) აღწერილ მეფის საქმიანობას?

წყარო

ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ალექსანდრე I დიდის მიერ საქართველოს სამხრეთის პროვინციებისა და მოხარკეებთან ურთიერთობის შესახებ:

- „მოვიდნენ (თურქმანები) და... აღიღეს ლორე და თვით დაიპყრეს... მოარბიეს სამცხემდე... და წარვიდნენ... შემოიკრიბნა მეფემან სპანი და მოვიდა ამბერდს, განაგნა მუნებურნი და დაიმორჩილნა თვისად. წელსა ქრისტესა ჩულბ (ქრისტეს შობიდან 1432 წელს), მოადგა მეფე ლორეს, აღიღო იგი, (დაამარცხა თურქმანები) და დაიპყრა თვისად ლორე. კუალად (კვლავ) მოხარკე ჰყვნა რანი, მოვაკანი და შარვანი; მოვლო სამეფო თვისი და მოვიდა... ტფილისს“.
- „განძელთა და შირვანელთა... არღარა ინებეს ხარკისა მოცემა ალექსანდრე მეფისად. განრისხნა მეფე ალექსანდრე, შემოიკრიბნა სპანი თვისნი რჩეულნი და შთავიდა ყარაბაღს ქრისტესა ჩულზ (ქრისტეს შობიდან 1437 წელს). ვერ წინააღუდგნენ მას განძელნი; მოსრნა (დაამარცხა) ურჩნი და ჰყვნა კუალადცა (კვლავ) მოხარკედვე. ამისნი მხილველნი შირვანელნი და დარუბანდელნი შეშინდნენ ძლიერებითა მისითა და მოერთნენ (მოვიდნენ) ყარაბაღსავე ძღუნითა დიდითა. ხოლო მეფემან დაამშვიდნა და განუჩინა მათ ხარკნი და დაიმორჩილნა ყოვლითამე. მერმე უკმოიქცა და მოვიდა ტფილისს გამარჯუებული“.

კითხვები

12. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, რა გზით იმორჩილებდა ალექსანდრე I ურჩ მოხარკეებს და რატომ დაემორჩილნენ მას შირვანელები და დარუბანდელები უბრძოლველად?

ქართველები ფერარა ფლორენციის საეკლესიო კრებაზე

რომის პაპმა ევგენიუს IV-მ 1438 წელს იტალიის ქალაქ ფერარაში მოიწვია საეკლესიო კრება, რომლის მთავარი მიზანი იყო 1054 წლიდან ორად გაყოფილ ქრისტიანულ სამყაროს – კათოლიკურსა და მართლმადიდებლურს – შორის უნიის, ანუ გაერთიანების გაფორმება. კრებაზე დაწვრილებით განიხილეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის არსებული უთანხმოების მიზეზები, დოგმატური საკითხები, მსოფლიო ეკლესიაზე რომის პაპის მეთაურობა, ევქარისტიის (ზიარების) შესრულების საიდუმლო და სხვ.

კათოლიკური სამღვდელოების გარდა, კრებას ესწრებოდნენ ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII პალეოლოგოსი, მისი ძმა, მორეის მთავარი, ხუთი ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და საქართველოს პატრიარქების წარმომადგენლები და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების დელეგატები.

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე დოგმატურ საკითხებზე კამათი გამწვავდა. კათოლიკებმა მართლმადიდებლებზე სხვადასხვა

წყარო

ანდრეა დი სანტა კროჩე ფერარა ფლორენციის კრების შესახებ:

„ცენტრიდან მარცხნივ იდგა ტახტი ისეთივე, როგორიც რომის იმპერატორის კათედრა იყო. მისგან მარჯვნივ, სკამზე, იმპერატორის ძმა დიმიტრი იჯდა. პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი. პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ: ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი არქიეპისკოპოსი; ანტიოქიის პატრიარქის მიერ წარმოგზავნილი არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი, იბერიის მიტროპოლიტი. საერო პირები ასე ისხდნენ: იმპერატორის სავარძლის გვერდით სკამზე იჯდა რამდენიმე საერო პირი. პაპის თანმხლები პირების პირისპირ ისხდნენ სერბეთის მთავარი, ტრაპიზონის იმპერატორის წარმომადგენელი; იბერიის მეფის ელჩი, რომელიც ყველასგან განსხვავდებოდა, მას თავზე ეხურა მრავალი ძვირფასი ქვით შემკული მრგვალი ოქროქსოვილი ქუდი, და ვლახეთის წარმომადგენელი“.



ფერარა-ფლორენციის კრება (1438 წ.). შუა საუკუნეების მინიატიურა ჰარტმან შედელის „ნიურნბერგის ქრონიკიდან“



იოანე VIII პალეოლოგოსი, ბიზანტიის იმპერატორი (1425-1448 წწ.). ბიზანტიური მინიატიურა

სახის ზეწოლა დაიწყეს. ისინი ცდილობდნენ, ესარგებლათ ბიზანტიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და მართლმადიდებლებისგან სრული საეკლესიო მორჩილება მიეღოთ, რაც გულისხმობდა რომის პაპის უზენაესი ხელისუფლების აღიარებას. დაცემის პირას მყოფი ბიზანტია მხარს უჭერდა რომის პაპს. არათუ მხარს უჭერდა, დასავლეთიდან დახმარების მომლოდინე იმპერატორი სხვა მართლმადიდებლებსაც აიძულებდა, რომ მხარი დაეჭირათ პაპის წინადადებებისათვის.

1439 წლის 6 ივლისს რომის პაპის უპირატესობით ეკლესიების გაერთიანება (უნია) გამოცხადდა. მას ხელი მოაწერეს პაპმა და ბიზანტიის იმპერატორმაც. უნიას ხელს აწერდა კრებაში მონაწილე ყველა სხვა ეპისკოპოსი. მხოლოდ რამდენიმე მათგანმა განაცხადა უარი უნიის მიღებასა და თავის საეკლესიო წესებში ცვლილებების შეტანაზე, ეს იყო ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენელი ეპისკოპოსი მარკოზ ეფესელი, რომელიც ამბობდა, რომ კათოლიკური ეკლესია „ერესსა და სქიზმაში“ იმყოფებოდა. მარკოზის პოზიცია სრულად გაიზიარა და უნიის დადგენილებაზე უარი თქვა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელმა, თბილელმა მიტროპოლიტმა გრიგოლმა. უარი განაცხადა სტავროპოლის ეპისკოპოსმა ესაიამაც, რომელიც ასევე ეწინააღმდეგებოდა უნიას და ფლორენციიდან გაიქცა კიდეც. ფლორენციაში მიღებულმა „უნიამ“ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში დიდი დაპირისპირება გამოიწვია. ბიზანტიაში მოსახლეობა მას არ იღებდა. რამდენიმე წელიწადში კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსებმა და მიტროპოლიტებმა ღიად უარყვეს მიღებული გადაწყვეტილება. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათი ხელმოწერები მოსყიდვის, მუქარისა და სხვა სახის ზეწოლის გამო გაკეთდა. აღმოსავლეთის ეკლესიების უმრავლესობამ მალე უარყო „უნია“. ქართულმა დიპლომატიამ „უნიის“ შემდეგ კი არა, კრებაზევე გამოხატა მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება. ფერარა-ფლორენციის კრებას ბიზანტიისადმი დაპირებული სამხედრო მხარდაჭერა არ მოჰყვა და კონსტანტინოპოლი მაინც დაეცა (1453 წ.). იგი ოსმალებმა აიღეს, მალე მათ მთელი ბალკანეთისა და ბიზანტიის ყოფილი ტერიტორიების დაპყრობაც მოახერხეს.

ლექსიკონი

დოგმა – უმაღლესი საეკლესიო ინსტანციების მიერ დამტკიცებული, უდავო ჭეშმარიტებად მიჩნეული სარწმუნოებრივი დებულება, რომელიც კრიტიკას არ ექვემდებარება.

ერესი – რელიგიური მოძღვრება, რომელიც ეწინააღმდეგება და უარყოფს რომელიმე რელიგიის (ხშირად ქრისტიანობის) ოფიციალურ დოგმებსა და სწავლებას.

სქიზმა – განხეთქილება, გაყოფა.

კითხვები


13. რა მიზნით მოიწვია რომის პაპმა საეკლესიო კრება?
14. რა პოზიცია დაიკავეს ალექსანდრე I-ის მიერ წარგზავნილმა დელეგატებმა ფერარა-ფლორენციის კრებაზე და რატომ?
15. რა მოლოდინები ჰქონდათ სხვადასხვა ეკლესიის (რომის, კონსტანტინოპოლის, საქართველოს და სხვების) წარმომადგენლებს ფერარა-ფლორენციის კრებისგან?

წყარო





ალექსანდრე I-ის ფრესკა ნაბახტევის ტაძრიდან და იული სტრაუმეს მიერ შესრულებული რეკონსტრუქცია, ხელოვნების სასახლე



„მეფეთმეფე ალექსანდრე ვამტკიცებ“. ალექსანდრე I-ის ხელრთვა მის მიერ 1420 წლის 10 სექტემბერს სვეტიცხოველისათვის ბოძებული სიგელიდან.



ლექსიკონი

ეგვტერი – სამლოცველო.

აღაპი – სულის მოსახსენიებელი შესაწირი ტრაპეზი.

მეფობის ბოლო წლები

ალექსანდრეს მეფობის ბოლოს გამოჩნდნენ შავბატკნიანების მომთაბარე თურქმანული ტომები, რომლებიც საქართველოში 1440 წელს შემოიჭრნენ.

ალექსანდრე I-მა მეფობის ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ზრუნვა დაიწყო ეკლესიასა და რელიგიაზე. სვეტიცხოველში ცალკე ახალი ეგვტერი ააშენა და საკუთარი აღაპი დააწესა. ამის შემდეგ ალექსანდრე I-ს დიდხანს აღარ უმეფია, 1442 წელს იგი ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა. სამეფო ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი ვახტანგ IV (1442-1446 წწ.).



რუკა 13. საქართველო ალექსანდრე I დიდის დროს (1412-1442 წწ.)

დავალებები

1. მე-13 რუკის დახმარებით განსაზღვრეთ, რომელი მიმართულებით ილაშქრა ალექსანდრე I-მა და რომელი ტერიტორიები დაუმორჩილა საქართველოს. შეადარეთ რუკა ვახუშტი ბატონიშვილის ტექსტს –რომელი ლაშქრობებია აღწერილი წყაროში და მოძებნეთ რუკაზე ის ადგილები, სადაც ეს ლაშქრობები მიმდინარეობდა.
2. იმსჯელეთ, რა ღონისძიებები გაატარა ალექსანდრე I-მა საქართველოს აღსადგენად და რომელი მათგანი მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად. დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

ალექსანდრე I-ის სამშენებლო წარწერის ფრაგმენტი სვეტიცხოვლის გუმბათის ყელზე



I.II. ქართლის მეფე ლუარსაბ I, იმერეთის მეფე ბაგრატ III და კახეთის მეფე ლევანი. ბრძოლა საქართველოს საერთო ინტერესებისთვის



სპარსეთის შაჰი თამაზ I (1524-1576 წწ.). კრისტოფანო დელ ალტისიმოს მიერ შესრულებული პორტრეტი. XVI საუკუნე

სეფიანეგბის ირანი XVI საუკუნის პირველ ნახევარში

სპარსეთი XVI საუკუნემდე, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, დაქუცმაცებული და სხვადასხვა დამპყრობლის ბატონობის ქვეშ იყო. სეფიანების გვარის წარმომადგენელმა ისმაილმა, თურქულენოვან ყიზილბაშურ ტომებზე დაყრდნობით, ირანის მთელი ტერიტორიის გაერთიანება მოახერხა. მან 1501 წელს თავი შაჰად გამოაცხადა. ისმაილმა სეფიანების ირანის მთავარ რელიგიად შიიტური ისლამი გამოაცხადა. ამით იგი სუნიტური ისლამის მიმდევარ ოსმალეთს გაემიჯნა. სეფიანების სპარსეთი იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სამხედრო სახელმწიფოს წარმოადგენდა. ქართველები ისმაილს ძალაუფლებისთვის და სხვადასხვა მოწინააღმდეგესთან ბრძოლებში მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ. იმ დროს ქართველები ფიქრობდნენ, რომ ისმაილის დახმარებით ძველ დამპყრობლებს მოიშორებდნენ, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. შაჰ-ისმაილმა, ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ, საქართველოს წინააღმდეგაც მოაწყო ლაშქრობები. ისმაილის გარდაცვალების შემდეგ შაჰი გახდა მისი ვაჟი თამაზ I (1524-1576 წწ.), რომელიც მამის პოლიტიკას აგრძელებდა. ისიც დაპირისპირებული იყო ოსმალეთთან.



ოსმალეთის სულთანი სულეიმან I (1520-1566 წწ.). კრისტოფანო დელ ალტისიმოს მიერ შესრულებული პორტრეტი. XVI საუკუნე

ოსმალეთი XVI ს პირველ ნახევარში

XV საუკუნეში ოსმალეთი, კონსტანტინოპოლის აღებისა (1453 წ.) და ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ, განსაკუთრებით განმტკიცდა და გაძლიერდა. XVI საუკუნის I ნახევარში ოსმალეთი მსოფლიოს უძლიერეს და ყველაზე აგრესიულ ზესახელმწიფოს წარმოადგენდა.

ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა მრისხანემ (1512-1520 წწ.) ეგვიპტის მამლუქების სასულთნო დაიპყრო, რითაც ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია თითქმის გაორმაგდა. ოსმალეთის ნაწილი გახდა – სირია, პალესტინა, ეგვიპტე, არაბეთი (მექა და მედინათი). სულთანმა ხალიფას ტიტულიც მიიღო, რითაც ის ისლამური სამყაროს უმთავრესი საერო და სასულიერო ხელისუფალი გახდა.

ოსმალეთმა ძლიერების მწვერვალს სულთან სულეიმან I დიდებულის (1520-1566 წწ.) დროს მიაღწია. მისი მმართველობა ოსმალეთის იმპერიის „ოქროს ხანად“ ითვლება. მან დაიწყო წარმატებული ლაშქრობები და ექსპანსია ევროპისკენ. სულეიმანმა სახელმწიფოს ტერიტორიები ცენტრალურ ევროპამდე, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკამდე გააფართოვა. ამ დროს ოსმალეთმა ნიადაგი მოამზადა უნგრეთის აღებისა და ვენის ალყისთვის (1529 წ.). სულეიმანის დროინდელი ოსმალეთი მხოლოდ სამხედრო წარმატებებით არ გამოირჩეოდა. სულთანმა გაატარა მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეფორმები და ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის კულტურული აყვავებისათვის. სულეიმან I-ს ხშირად „კანონმდებელსაც“ უწოდებენ.

ორი იმპერია და ქართველები

მაშინ, როდესაც სპარსეთში შაჰი იყო თამაზ I, ხოლო ოსმალეთს მართავდა სულთანი სულეიმან I , მიმდინარეობდა სპარსეთ-ოსმალეთის 1514-1555 წლების ომი. ორი უძლიერესი იმპერიის დაპირისპირების პირობებში საქართველოს ტერიტორია ხშირად ხდებოდა მათი ბრძოლის ასპარეზი. ჩვენი ქვეყნის ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყენებას ორივე მხარე დიდი მონდომებით ცდილობდა. ორივეს საქართველოს დაპყრობა სურდა.

ამ დროს საქართველო რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად იყო დაშლილი. ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს (1527-1556 წწ.), იმერეთის მეფე ბაგრატ III-სა (1510-1565 წწ.) და კახეთის მეფე ლევანს (1518-1574 წწ.) ოსმალეთისა და სპარსეთისგან მომდინარე საფრთხეებთან განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ.



მეფე ლუარსაბ I (1527-1556 წწ.) თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძრის ეზოში სტელებზე ამოკვეთილი საქართველოს მეფეთა და მღვდელმთავართა გამოსახულებებიდან




სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირება 1514 წელს ჩალდირანის ბრძოლის დროს. ჩეჰელ სუთუნის სასახლის ფრესკა. ისფაჰანი, ირანი

ქართველი მეფეების საერთო მიზნები

ლუარსაბ I-მა თავისი მეფობა სპარსეთსა და ოსმალეთთან ბრძოლებში გაატარა. როდესაც საგარეო ძალები უტევდნენ, ლუარსაბი მუდამ მზად იყო, სხვა ქართული სამეფო-სამთავროების გვერდით დამდგარიყო. ბაგრატ III ოსმალეთს უპირისპირდებოდა, მაგრამ სპარსეთთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა, რადგან ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი მოკავშირედ ესახებოდა. ლევანი ცდილობდა, ორივე იმპერიასთან მშვიდობიანი პოლიტიკა ჰქონოდა. ოსმალეთი მას ვერ შეაწუხებდა, მაგრამ მოახერხა და სპარსეთთან მშვიდობიან დამოკიდებულებას მიაღწია. ამით ლევანმა კახეთის სამეფოს ეკონომიკისა და კულტურის დაწინაურება შეძლო.




ლუარსაბ I-ის ხელრთვა, მის მიერ 1540 წელს თბილისის სიონისათვის ბოძებული შეწირულების წიგნიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



კახეთის მეფე ლევანი
(1518-1574 წწ.), გრემი

ორ დამპყრობელ იმპერიასთან ქართველ მეფეებს ასეთი განსხვავებული დამოკიდებულებები ჰქონდათ. ლოგიკურად, ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგეები უნდა გამხდარიყვნენ. მაგრამ ქართველ მეფეებს შორის დაპირისპირების დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს. მოვლენების თანმიმდევრულობის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ სამივე მათგანს საერთო ინტერესი ამოძრავებდა, რადგან მათი განსხვავებული პოზიციები ერთმანეთთან ბრძოლის საბაბი არ გამხდარა. სავარაუდოდ, მათ შორის გარიგებაც არსებობდა. მეფეები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ისე წარმართავდნენ თავიანთ პოლიტიკას. ეს კი, საბოლოო ჯამში, ორი უძლიერესი იმპერიის დაპირისპირების ფონზე, ქართველების საერთო ინტერესს აჩვენებს. სამივე მეფის საერთო მიზანი ქართველი ხალხის, სახელმწიფოებრიობისა და კულტურის გადარჩენა იყო.

ლევან კახთა მეფის ხელრთვა, მის მიერ 1568 წელს ანდერმან ჩოლაყაშვილისადმი გაცემული სიგელიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი





წყარო

„ლევან ხანი, კახეთის, ზაგემისა და გრემის მმართველი, და ბაში-აჩუკის (იმერეთის) მეფე ბაგრატი, ქვეყნის საფარველ სასახლეში (შაჰთან) მოვიდნენ, ფეშქაში, და ბაჯო ხარაჯი (საჩუქრები) მოართვეს და იმ იღბლიან ლაშქრობაში... ემსახურებოდნენ ძლევამოსილ ამალას“.

ისქანდერ მუნში. ირანელი ისტორიკოსი. XVI-XVII საუკუნეები

„კახეთის ბატონი ლევან და იმერეთის მეფე ბაგრატ ძღვენითა და კარგის ფეშქაშით (საჩუქრებით) ყაენთან (შაჰთან) მოვიდნენ. ის ლაშქრობა ერთგულად იმსახურეს“.

ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორიკოსი. ისფაჰანის მმართველი. XVII საუკუნე



მეცნიერის თვალსაზრისი

საქართველოს მდგომარეობა იმით კიდევ უფრო მძიმდებოდა, რომ მას უცხოელ მოძალადეებთან ბრძოლაში დამხმარე მოკავშირე არავინ ჰყავდა. საქართველოს მეზობელი ძველი კულტურული ქვეყნები სულ ერთიანად ყიზილბაშებსა და ოსმალებს დაემონებინათ... ასე რომ, ჩვენი ქვეყანა მთელი ამ საუკუნის მანძილზე, მოკავშირეშეწყვეტილი, მარტო ებრძოდა ოსმალ-ყიზილბაშ მტაცებლებს. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ქართველმა ხალხმა პატიოსნად დაიცვა თავი. ძლიერმა მტერმა ვერ გატეხა ჩვენი ქვეყანა, ვერ დაიმონა. თავდადებული გმირული ბრძოლით ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა საკუთარი კულტურა, საყვარელი მიწა-წყალი და პოლიტიკური თავისუფლება.

პროფესორი შოთა მესხია



კითხვები

1. ისკანდერ მუნშისა და ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებით, ლევანი და ბაგრატი შაჰს საჩუქრებით ეახლნენ და მის ლაშქრობაში „ერთგულად იმსახურეს“. ამავე დროს ლუარსაბი შაჰს ებრძოდა. ეთანხმება ეს ცნობები ტექსტის დასკვნას, რომ სამივე მეფე შეთანხმებულად მოქმედებდა, თუ ეწინააღმდეგება?

2. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ მეფეებს შორის შეთანხმება არსებობდა, თუმცა ამის დამადასტურებელი პირდაპირი დოკუმენტი არ მოგვეპოვება. რას ეყრდნობა ეს ვარაუდი? რით განსხვავდება ვარაუდი დადასტურებული ფაქტისგან?
3. შოთა მესხიას შეფასებით, საქართველო „მოკავშირეშემოცლილი, მარტო ებრძოდა“ ორ იმპერიას. რატომ ვერ პოულობდა საქართველო მოკავშირეს?
4. სამი მეფის სამი განსხვავებული გზა – ბრძოლა, ერთ იმპერიასთან კავშირი მეორის წინააღმდეგ, ორივესთან მშვიდობა – ქვეყნის სისუსტეზე მიუთითებს თუ გადარჩენის გააზრებულ სტრატეგიაზე?

ბაგრატ III იმერთა მეფე


სანამ ოსმალეთის სულთნები სელიმ I და სულეიმან I დიდ დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ, იმერეთის მეფე ბაგრატ III შეეცადა, რომ ამით ესარგებლა, მისი ინიციატივით, 1533 წელს გურიისა და ოდიშის (სამეგრელოს) მთავრებმა ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის მიმართულებით, ჯიქეთზე ილაშქრეს. მთავრებმა ომი წარმატებით დაიწყეს, მაგრამ ერთმანეთში გაჩენილი უთანხმოების გამო დამარცხდნენ.

ბაგრატ III დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს სამცხე-საათაბაგოში მიმდინარე პროცესებს. ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო ირან-ოსმალეთის დაპირისპირების დროს რა პოზიციას იკავებდა სამცხე-საათაბაგო. XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III ჯაყელი აშკარა პროოსმალურ კურსს დაადგა. 1521 წლიდან უკვე ის მორჩილებას უცხადებდა სულთანს.

1535 წელს ბაგრატ III-მ დადიანთან და გურიელთან ერთად სამცხე-საათაბაგოზე ილაშქრა. ბრძოლა ახალქალაქის ახლოს მურჯახეთთან მოხდა, სადაც ბაგრატ III-მ სამცხის მთავარი ყვარყვარე ათაბაგი დაამარცხა და სამცხე-საათაბაგო იმერეთის შემადგენლობაში შევიდა. 1543 წელს ქარაღაქთან ბრძოლაში ბაგრატისა და გურიელის ლაშქარმა კიდევ ერთხელ სძლია ოსმალებს.



იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წწ.), გელათი



ბაგრატ III-ის ხელრთვა, მის მიერ 1514-1515 წლებში აზნაურ კალანდაძეებისათვის ბოძებული სიგელიდან. საქართველოს ეროვნული არქივი

მეცნიერის თვალსაზრისი

1535 წელს ბაგრატმა ისარგებლა ოსმალთა მოუცლელობით და მესხეთში გაილაშქრა. ომი მოხდა მურჯახეთს. ბაგრატმა დაამარცხა ყვარყვარე ათაბაგი და მესხეთი დაიჭირა. ათაბაგი ტყვედ ჩავარდა. მესხეთის ფეოდალების ერთმა ნაწილმა, ოთარ შალიკაშვილის მეთაურობით, ყვარყვარე ათაბაგის შვილი ქაიხოსრო სტამბოლს წაიყვანა და სულთანს შეავედრა.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი



წყარო

„ქორონიკონსა სლგ (=1545) ლუარსაბ და ბაგრატ მეფენი ბასიანს სოხოისტაზედ ორს ფაშას და ქაიხოსრო ათაბაგს შეებნენ. ქართველთ დაუმარცხდა, ქაიხოსრომ სამცხე დაიჭირა“.

ქრონიკა, ბრეთის სახარებაზე გაკეთებული წარწერა. XVI საუკუნე



ბრძოლის სცენა XV საუკუნის მინიატურა. დავითნი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სოხოისტას ბრძოლა და მისი შედეგები

იმერეთის მეფე ბაგრატის დასასჯელად ოსმალების სულთანმა სულეიმანმა 1545 წელს არზრუმისა და დიარბაქირის ფაშები გამოგზავნა დიდი ლაშქრით. გადამწყვეტი ბრძოლა ბასიანში, სოხოისტასთან, გაიმართა. ამჯერად ბაგრატს გვერდში გურიელი ედგა, დადიანი კი განაწყენებული იყო, რადგან სამცხე-საათაბაგოში გამარჯვების შემდეგ არაფერი ერგო. იმერეთის მეფეს ასევე ემხრობოდნენ ქართლის მეფე ლუარსაბ I და მესხი დიდებულების ნაწილი. გადაწყდა, რომ ბრძოლის წინა ხაზს ქართლის ჯარი დაიკავებდა, რაზეც მესხები განაწყენდნენ და განაცხადეს, რომ, თუ მეწინავეები არ იქნებოდნენ და წინა ხაზზე არ იბრძოლებდნენ, ბრძოლაში საერთოდ არ მიიღებდნენ მონაწილეობას. ომის დაწყებისთანავე მათ ბრძოლის ველი მიატოვეს. მოწინააღმდეგის რიცხვმრავლობამაც თავისი გაიტანა და ქართველები დამარცხდნენ, ხოლო სამცხის დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს. შემდგომ წლებში ოსმალებმა გააძლიერეს დაპყრობითი ომები, მათ 1549-1550 წლებში ტაოს მხარე მთლიანად დაიპყრეს და უშუალოდ ოსმალეთს, არზრუმის საფაშოს, შეუერთეს. იმავე პერიოდში ჭანეთი წაართვეს გურიელს და იქაც ოსმალური წესები შემოიღეს, ხოლო XVI საუკუნის 50-იან წლებში კლარჯეთი და კოლა დაიკავეს.

წყარო

„ხოლო ოსმალნი შემოვიდნენ და დაიპყრეს ციხენი საათაბაგოსანი განზრახვითა ოთარ შალიკაშვილისათა, რამეთუ ეტყოდა ოსმალთა: „უკეთუ დაიპყრათ ციხენი, გერჩდენ (დაგრჩებათ) ქუეყანა ესე საუკუნოდ (სამუდამოდ)“.

ვახუშტი ბატონიშვილი. XVIII საუკუნე

წყარო

„ქორონიკონსა სმა (=1553), არტანუჯი წაგვართვეს ურუმთა (ოსმალებმა) და არსიანამდის დაიჭირეს; ფარნაკნი და სრულ არტაანი დაანგრიეს, და ფარნაკნი ააშენეს, აწყურისა ღთისმშობლის შეწევნითა სამცხეს ვერ გარდმოვიდეს“.

„პარიზის ქრონიკა“. ქართული ანონიმური საისტორიო თხზულება. XVIII საუკუნის I ნახევარი

კითხვები

5. რატომ მიმართა ბაგრატმა დახმარებისთვის სწორედ ქართლის მეფე ლუარსაბს და რატომ გამოეხმაურა იგი? რას ამბობს ეს ფაქტი მეფეების ურთიერთობაზე?
6. მესხებმა მეწინავეობაზე უარის გამო ბრძოლის ველი მიატოვეს. რა შედეგი მოიტანა ამ ფაქტმა?
7. ვახუშტის ცნობით, ოთარ შალიკაშვილი ოსმალებს ურჩევდა: „უკეთუ დაიპყრათ ციხენი, დაგრჩებათ ქუეყანა ესე საუკუნოდ“. რატომ იყო სწორედ ციხეების ხელში ჩაგდება ქვეყნის სამუდამო დაპყრობის ტოლფასი?
8. სოხოისტასთან ქართველები მტრის რიცხვმრავლობამ დაამარცხა თუ შინაურმა უთანხმოებამ?

ლევან კახთა მეფე

კახეთში ლევანი 1518 წლიდან გამეფდა. ქართლის მეფე იძულებული იყო ეცნო კახეთის ქართლისაგან გამოყოფა. თანდათან, ორივე სამეფომ მთელი ყურადღება საგარეო საფრთხეებისკენ მიმართა. ლევანი სპარსეთის ვასალად ითვლებოდა და მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად შაჰისადმი ერთგულების პოლიტიკას იცავდა. 1551 წელს ის დაეხმარა შაჰ-თამაზ I-ს შაქის დამორჩილებაში. მიუხედვად ამისა, შაჰს ლევანის ასეთი მსუბუქი ვასალური დამოკიდებულება არ აკმაყოფილებდა.



კახეთის მეფე ლევანი (1518-1574 წწ.). ფრესკა ფილოთეოსის მონასტრის სატრაპეზოში. ათონის მთა, საბერძნეთი

მეცნიერის თვალსაზრისი

ლევან კახთა მეფის საგარეო პოლიტიკის შესახებ

კახეთის სამეფო XVI საუკუნეში შედარებით მშვიდობიანად ვითარდებოდა. მას შემდეგ, რაც კახეთის სამეფო ტახტზე ლევან გიორგის ძე დამკვიდრდა და ბოდბის მონასტერში საზეიმოდ მეფედ ეკურთხა (1518 წ.), იგი განუხრელად დაადგა თავისი პაპის, ალექსანდრე I-ის საგარეო-პოლიტიკურ გეზს, კერძოდ, მოხერხებული დიპლომატიით, ფორმალური ყმობის აღიარებითა და მცირე ხარკის გაღებით ქვეყნის გადარჩენას აგრესორთა დამარბეველი შემოსევებისაგან. დამპყრობლებიც იმის შიშით, რომ კახეთი მებრძოლ ქართლს არ შეერთებოდა, იძულებულნი იყვნენ, დაეთმოთ და ამ ფორმალურ მორჩილებას დაჰყაბულებოდნენ.

პროფესორი ნოდარ ასათიანი

შაჰ-თამაზის ლაშქრობები საქართველოში

სპარსეთ-ოსმალეთის ომის დროს შაჰ-თამაზ I-მა 1541-1554 წლებში საქართველოში დამანგრეველი ლაშქრობები მოაწყო. შაჰის მიზანი აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის სამეფოს დამორჩილება იყო. ამ ლაშქრობებმა დიდი ზიანი მიაყენა ქართლის სამეფოს, განადგურდა ეკონომიკა. შაჰ-თამაზის ლაშქრობებს ქართლში მტკიცე წინააღმდეგობას უწევდა მეფე ლუარსაბ I. ამ დროს ქართლს ირანთან შედარებით, გაცილებით მცირე ძალები ჰყავდა, მაგრამ ქართლის მეფე მტერს ყველა საშუალებით ებრძოდა, უსაფრდებოდა ღამე, უწყობდა მოულოდნელ თავდასხმებს და სხვ.

წყარო

შაჰ-თამაზის მეორე ლაშქრობის შესახებ:

„ამის შემდეგ რჯულის საფარველმა შაჰმა უამრავი ჯარით გაილაშქრა საქართველოზე, გადაიარა შურაგელი და აყ-შაჰრს (ახალქალაქს) მივიდა. იმ დღეებში დილიდან საღამომდე თოვდა განუწყვეტლივ. როგორც გულუხვი ადამიანის ხელიდან იფრქვევა ვერცხლი, ისე აფრქვევდა ღრუბელი მიწაზე თოვლს, ხოლო მთა ისე ძრწოდა სიცივისაგან, როგორც ძრწის შიშისაგან სარწმუნოების მტრის გული. ასეთ მდგომარეობაში ძლევამოსილი ხელმწიფე თავს დაესხა ღამით ურწმუნო ქართველებს“.

შაჰ-თამაზის მესამე ლაშქრობის შესახებ:

„შაჰმა საქართველოსაკენ გაილაშქრა. ძლევამოსილი ღაზიები (მეომრები) იმ ურჯულოთა (ე. ი. ქართველთა) ქვეყნის მთასა და ველს მოედვნენ და ყოველი მთა და ფერდობი, სადაც იმ გზადაკარგული ხალხის თავშესაფარი იყო, მამაცების დარტყმითა და ცემით მიწასთან გაასწორეს და ვერც ერთმა ურჯულომ ცოცხალმა ვერ გააღწია ბრძოლის ველიდან ... მოკლულთა ცოლ-შვილი, მოწყობილობა და ქონება გადაეცა მკვლელებს, როგორც კანონიერ მემკვიდრეთ. ფერიების მსგავსი ქართველი ლამაზმანები ტყვედ წაიყვანეს“.

ჰასან რუმლუ. ყიზილბაში ისტორიკოსი. XVI საუკუნე

წყარო

შაჰ-თამაზის ლაშქრობები და ლუარსაბ I-ის დახასიათება

„მეზობელნი ვითაც ყმანი ემსახურებოდენ და თვითან სხვათა ყმობის თქმა არ იკადრა. ამისის ჯავრით ხუთჯერ შაჰ-თამაზ ყაენმან (შაჰი) იმაზედ ილაშქრა და ვერას საქმითა ვერც მოამშვიდა და ვერც მოკლა და ვერც დაიჭირა და ვერც შეიხვეწია, ამისთვის რომ ცოტას შემოებმოდა (შეებრძოლებოდა) და ამოსწყვეტდა, ბევრს უკუ ეცლებოდა, უფროსი ერთ ღამით დაესხმოდა, ზოგთ უკან წაეწეოდა და ზოგთ ვიწროში დახვდებოდა. ამ რიგის საქმეებით მრავალს ნავნებს (ავნებდა) იქმოდა. „მამაცმან კაცმანო უნდა თავის თავი მგელს ამგზავსო და მტრის ლაშქარი ცხვარი ეგონოსო. როგორც მგელი ცხვარს, ისრე მტერთ უნდა მიუხდესო და გამარჯვება მღთისა არისო“. სიდამდისინ ცოცხალი იყო, მანც ასე ქნა“.

ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორიკოსი. ისფაჰანის მმართველი. XVII საუკუნე



„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“. სკულპტურის ავტორი – მერაბ ბერძენიშვილი. მარნეულის მუნიციპალიტეტი

კითხვები

9. ჰასან რუმლუ ქართველებს „ურწმუნოებსა“ და „ურჯულოებს“ უწოდებს, შაჰს კი – „რჯულის საფარველს“. ვისთვის წერს ეს ავტორი? მიუკერძოებელი აღწერაა ეს თუ ერთი მხარის თვალით დანახული ამბავი?
10. ჰასან რუმლუს ცნობით, მესამე ლაშქრობისას „ვერც ერთმა ურჯულომ ცოცხალმა ვერ გააღწია“, ფარსადან გორგიჯანიძე კი წერს, რომ შაჰმა ლუარსაბი „ვერც მოამშვიდა, ვერც მოკლა, ვერც დაიჭირა“. რომელ ცნობას ენდობით მეტად და რატომ?
11. ფარსადან გორგიჯანიძის აღწერით, როგორ ებრძოდა ლუარსაბი შაჰის გაცილებით დიდ ლაშქარს? რატომ აღმოჩნდა ეს ხერხი მცირერიცხოვანი ჯარისთვის შედეგიანი?
12. ლუარსაბი ამბობდა: „მამაცმან კაცმანო უნდა თავის თავი მგელს ამგზავსო და მტრის ლაშქარი ცხვარი ეგონოსო“. რას გულისხმობდა მეფე ამ შედარებაში?



ვარძიის მონასტერი, ჯავახეთი

ამასის ზავი და ქართველები

ირანისა და ოსმალეთის ომი, რომელიც 1514 წელს დაიწყო და შესვენებებით მიმდინარეობდა, 1555 წელს დასრულდა. ქალაქ ამასიაში დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც ამ ორ ძლიერ იმპერიას შორის ხანგრძლივი, თითქმის 40-წლიანი ომი დამთავრდა. მათი შეთანხმება განსაკუთრებით მტკივნეული იყო ქართველებისთვის, რადგან იმპერიები საქართველოს შუაზე იყოფდნენ. ქართველ ხალხს ირანისა და ოსმალეთის ეს გარიგება არ უცნიათ, რა თქმა უნდა, არც მათ უკითხავთ ქართველებისთვის არაფერი. დამპყრობლების მიერ განაწილებული საქართველო, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ დასაპყრობი იყო.

წყარო

„თამაზ შაჰსა... და სულთან სოლეიმანს შორის ზავი დაიდო, სახელმწიფო საზღვრები გამორკვეულ და დადგენილ იქნა. საქართველოს ვილაიეთებიდან, რომლებიც ორივე მხარისგან განიცდიდა ხოცვისა და რბევის უბედურებას, მესხეთი, ქართლი და კახეთი ამ მხარეს (სპარსეთს) მიეკუთვნა. ბაში-აჩუკის ვილაიეთი (იმერეთი), „დადიანისა“ და „გურიელის“ (ქვეყნები) ტრაპეზუნდისა და ტრიპოლისის საზღვრებამდე რუმის (ოსმალეთის) მბრძანებელს მიეცა“.

ისქანდერ მუნში. ირანელი ისტორიკოსი. XVI-XVII საუკუნეები

მეცნიერის თვალსაზრისი

„ქართლის ეს მრავალწლოვანი უმაგალითო ბრძოლა მხოლოდ მის საკუთარ კუთხურ ინტერესებს არ ემსახურებოდა. ეს ბრძოლა მთელი საქართველოს დამოუკიდებლობას გულისხმობდა... ლუარსაბი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის დროშად იქცა ირან-ოსმალეთის მოძალადეობის შავბნელ ხანაში“.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი

წყარო

„ჩემი მამა მეფე ლუარსაბი იყო უნეტარესი მეფე, წმიდა და ღმერთის მიერ კურთხეული მეფე... ღვთისმოსაობისა თუ ქრისტესადმი სიყვარულის გამო ურჯულო აგარიანებმა (მუსლიმებმა) მოკლეს იგი ომში. მან მიიღო წვალებით სიკვდილი და დაღვარა თავისი სისხლი, მაგრამ არ შეასრულა მათი სურვილი. ამის შემდეგ, ღვთის წყალობით, ჩვენ დავიკავეთ ჩვენი მამის ტახტი, მის შემდეგ განუწყვეტლივ, დღეს და ღამეს ვატარებთ ომში“.

სვიმონ I დიდი, ქართლის მეფე (1556-1569 წწ.; 1578-1600 წწ.),
ამონარიდი რომის პაპისადმი 1596 წელს გაგზავნილი წერილიდან


კითხვები

13. იმპერიებმა საქართველო ისე გაინაწილეს, რომ ქართველებისთვის აზრი არავის უკითხავს. მაინც რატომ ვერ დაიმორჩილეს რეალურად „ქაღალდზე გაყოფილი“ ქვეყანა?
14. სვიმონი მამის სიკვდილიდან ორმოცი წლის შემდეგ რომის პაპს სწერს, რომ ლუარსაბი „წმიდა და ღმერთის მიერ კურთხეული მეფე“ იყო. დაფიქრდით, რისი მიღწევა სურს ამ წერილით?
15. ნიკო ბერძენიშვილი ლუარსაბს „თავდადებული ბრძოლის დროშას“ უწოდებს, ნ. ასათიანი კი ლევანის „მოხერხებულ დიპლომატიას“ აქებს. შეიძლება ორივე შეფასება ერთდროულად სამართლიანი იყოს?
16. რატომ მთავრდება პარაგრაფი სწორედ სვიმონის წერილით? რა გააგრძელა სვიმონმა მამის საქმიდან?

დავალებები

1. ლუარსაბი შაჰს ბრძოლით შეხვდა – ქართლი აოხრდა, მაგრამ არ დანებდა. ლევანი შაჰს საჩუქრებით ხვდებოდა – კახეთი განვითარდა, მაგრამ ირანის ვასალად ითვლებოდა. ბაგრატი ოსმალებს ებრძოდა – სამცხე ჯერ მოიპოვა, მერე დაკარგა. იმსჯელეთ, რომელმა გზამ გაამართლა ყველაზე მეტად? გაითვალისწინეთ:
   ა) თითოეული მეფის მაგალითით აჩვენეთ, რა მოიგო მისმა სამეფომ და რა გაიღო სანაცვლოდ;
   ბ) დაეყრდენით პარაგრაფის სამ წყაროს ან შეფასებას;
   გ) მსჯელობა დაასრულეთ საკუთარი დასკვნით: ეს სამი გზა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა თუ ავსებდა?

თბილისის ხედი XVII საუკუნეში. ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის, გრავიურა





I.12. სიმონ I – „მეფე, რომელმაც ქართლს ხმალი შეარტყა“




ქართლის მეფე სიმონ I
(1556-1569 წწ.; 1578-1600 წწ.).
დომინიკუს კუსტოსის ალბომიდან

ქართლის მეფეები, ლუარსაბ I და სიმონ I, მხოლოდ საკუთარი სამეფოს დაცვით არ იფარგლებოდნენ, ისინი დაშლილი საქართველოს სხვა მეფე-მთავრებსაც ეხმარებოდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ჯარებს პირადად მიუძღოდნენ. მათი პოლიტიკა და გადაწყვეტილებები ყოველთვის ერთიანი ქართული ინტერესიდან მომდინარეობდა.

სიმონის მეფობის პირველი პერიოდი

სიმონ I ქართლის სამეფო ტახტზე 1556 წელს, 19 წლის ასაკში ავიდა. გაუთავებელი ომების გამო ქართლის სამეფო თითქმის განადგურებული იყო. დედაქალაქში, თბილისში, ყიზილბაშები იყვნენ, ხოლო სამეფო რეზიდენცია გორში იყო განლაგებული. სიმონმა მეფობის პირველ წლებში, მშვიდობიანობის პირობებში, ქართლის მდგომარეობა გააუმჯობესა. ურთიერთობა განამტკიცა კახეთის სამეფოსთან, ცოლად შეირთო ლევან კახეთის მეფის ასული ნესტან-დარეჯანი.

სიმონი გამეფებისთანავე შეურიგებელი იყო დამპყრობლების მიმართ. იგი ცდილობდა, რომ ქართლის სამეფოს მთელი ტერიტორია ყიზილბაშებისაგან გაეწმინდა. მეფისა და მისი მომხრეების მთავარი ამოცანა დედაქალაქ თბილისის გათავისუფლება იყო. სიმონსა და ყიზილბაშებს შორის ბრძოლები გაიმართა საფურცლესთან (1556 წ.), ციხედიდთან (1561 წ.).



სვიმონ I-ის ხელრთვა, მის მიერ 1586 წელს იოთამ ბარათაშვილისათვის ბოძებული წყალობის წიგნიდან (დოკუმენტი). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

სპარსეთის ჩარევა ქართლის სამეფო კარზე

ციხედიდის ბრძოლის შემდეგ სიმონის ძმა დავითი სპარსეთში გაიქცა და 1561 წლის 25 დეკემბერს შაჰ-თამაზ I-ს დედაქალაქ ყაზვინში ეახლა. დავით ბატონიშვილმა შაჰს ერთგული სამსახური აღუთქვა, დასტურად კი, პირველ რიგში, ისლამი მიიღო. მას დაუთხანი უწოდეს. შაჰმა იგი ქართლის ხანად დანიშნა. დაუთხანს ძალაუფლების გასამყარებლად ყიზილბაშური ჯარიც გამოაყოლეს. 1562 წელს საქართველოში დაბრუნებული დაუთხანი განაგებდა თბილისსა და ქვემო ქართლის იმ ციხეებს, რომლებშიც იმ დროს ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ. ქართლის დანარჩენი ნაწილი ემორჩილებოდა სიმონ I-ს, რომელსაც მხარს უჭერდა ქართლის ფეოდალების დიდი ნაწილი. ქართლში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა.

წყარო

„დავით-ბეგი, (მეფე) ლუარსაბის შვილი, რამდენიმე აზნაურით საქართველოდან ყაზვინს მოვიდა [და] მუსლიმანი გახდა. რჯულის მფარველმა შაჰმა თბილისის გამგებლობა მას უწყალობა“.

ჰასან რუმლუ. ყიზილბაში ისტორიკოსი. XVI საუკუნე

დაუთხანი თბილისის ციხეში გამაგრდა, სიმონ მეფე კი კვლავ დედაქალაქის გათავისუფლებას ცდილობდა. მან რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა ქალაქიდან გამოსული ყიზილბაშები, მათ შორის დაუთხანის მეთაურობით. დიღომთან გამარჯვების შემდეგ სიმონი ტაბახმელაში გაჩერდა, საიდანაც დედაქალაქის გასათავისუფლებლად ახალ შეტევას გეგმავდა. ბრძოლებში გამარჯვებების მიუხედავად, თბილისის ციხე კვლავ დაუთხანისა და ყიზილბაშების ხელში იყო, ირანელებს თბილისი კარგად ჰქონდათ გამაგრებული და შიგნითაც დიდი რაოდენობით ჯარი ჰყავდათ, სიმონი თავისი მცირერიცხოვანი ძალებით პირდაპირ იერიშს ვერ იწყებდა.

წყარო


„სვიმონ, უკუ-ეცალა, და ავიდა ტაბახმელასა. და რა სცნა (გაიგო) დაუთხან საქმე ესე, განლაღდა და განვიდა ბრძოლად. დაეწყუნეს (დაუპირისპირდნენ) ურთიერთას ტაბახმელას. შეიქმნა ბრძოლა ძლიერი. და გალომდა მეფე სვიმონ და ქართველნი, და მოსრეს სპა დაუთხანისა ურიცხვი და იოტეს (გააქციეს) ბანაკი მისი“.

ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. XVIII საუკუნე

კითხვები

1. როგორ აფასებს ყიზილბაში ისტორიკოსი დავით ბატონიშვილის საქციელს? რომელი სიტყვები ამჟღავნებს ავტორის დამოკიდებულებას?
2. თქვენი აზრით, რატომ დანიშნა შაჰმა ქართლის გამგებლად სწორედ გამუსლიმებული ქართველი ბატონიშვილი და არა სპარსელი მოხელე? რას მოელოდა ამ გადაწყვეტილებით?
3. როგორია ბერი ეგნატაშვილის დამოკიდებულება სიმონისადმი? რომელი გამოთქმები გამოხატავს ამას?
4. წყაროებზე დაყრდნობით, რატომ ემორჩილებოდა ქართლის დიდი ნაწილი სიმონს და არა თბილისში მჯდომ დაუთხანს?

სიმონ მეფის საომარი სამზადისით შეშინებულმა დაუთხანმა დახმარება კვლავ შაჰს სთხოვა. სპარსეთის შაჰმა თამაზ I-მა შექმნილი ვითარება სათანადოდ შეაფასა. იგი მიხვდა, რომ სიმონის შემდგომი წარმატების შემთხვევაში საქართველოს დატოვება მოუწევდათ. ამიტომ 1569 წელს შაჰმა საქართველოსკენ დიდი ლაშქარი გამოგზავნა. ყიზილბაშებს ზოგიერთი მოღალატე ქართველი თავადი და აზნაურიც შეუერთდა. მტერი საქართველოს საზღვრებში სიფრთხილით მიიწევდა, რადგან სიმონის თავდასხმის მოლოდინი მუდმივად ჰქონდა. მოღალატე აზნაური კახაბერ ყორღანაშვილი კი მათ მიეგება და მეგზურადაც წამოუძღვა. სიმონ მეფეს ამ დროს მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, გადაწყვიტა, რომ მტრის ლაშქარი ალგეთის ხეობაში შეეჩერებინა. ფარცხისთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში სიმონ მეფემ ენერგიულად შეუტია და მათ მეწინავეებს უკან დაახევინა. თვითონ მეფე თავისი ჯარის პირველ რიგებში იბრძოდა და არაერთი ყიზილბაში ჩამოაგდო ცხენიდან. სიმონის ძლიერ შეტევას ყიზილბაშებმა ვერ გაუძლეს და პირი იბრუნეს. მეფე გაქცეულებს დაედევნა და რამდენიმე ყიზილბაში შუბით განგმირა. წარმატებით აღფრთოვანებული მეფე ბრძოლაში იმდენად გა-



სიმონ I-ის სიგელი პაპუნა მაღალაძისადმი, 1561 წელი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



ალამუთის ციხე, ირანი

ერთო, რომ ვერც შენიშნა, როგორ დაშორდა თავისი ჯარის ძირითად ნაწილს და მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა. მოღალატე აზნაურმა, კახაბერ ყორღანაშვილმა, მცირე ძალის ამარა დარჩენილი მეფე იცნო და ყიზილბაშების სარდლობას აცნობა. მათაც მთელი ძალები სიმონის წინააღმდეგ მიმართეს, მეფე და მისი ამალა ალყაში მოაქციეს და ტყვედ აიყვანეს.

წყარო

„(შაჰმა) პატივსცა და უთქმიდა (სთხოვდა) დატევებასა ქრისტესსა, ხოლო მან არა ინება. ამისთვის წარგზავნა ციხესა შინა ალამუთს პატიმრად“.

ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII საუკუნე

„შაჰი დიდი დაჟინებით სთხოვდა, რომ მიეღო სპარსული რჯული. ის არ ღალატობდა თავის მშობლიურ რწმენას და ამიტომ გაგზავნეს... ციხეში“.

ტომაზო ჯოვანი მინადოი, ვენეციელი დიპლომატი (1549-1615 წწ.)


წყარო

„სიმონი იყო მამაცი მებრძოლი. ამავე დროს, განათლებული ბატონი. იყო ასევე კარგი პოეტი და ფილოსოფოსი. მან შეძლო დაემყარებინა ურთიერთობა შაჰის ვაჟთან, ისმაილთან, რომელიც აგრეთვე იქვე იყო დაპატიმრებული. ციხეში მოიპოვა მისი სრული ნდობა და თვითონ იმდენად დაუახლოვდა, რომ, მუდმივი პატიმრობიდან თავის დახსნის მიზნით, რათა დაბრუნებოდა თავის ხალხს, თავის სამშობლოს, აღუთქვა ისმაილს, რომ მიიღებდა მაჰმადიანურ სარწმუნოებას, მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულად, რისთვისაც ისმაილი მას ღირსეულ საჩუქრებს და ბრწყინვალე მომავალს დაჰპირდა – გაათავისუფლებდა და დაუბრუნებდა სამეფოს. ისმაილი აღასრულებდა ამ დაპირებას, მის უდროო სიკვდილს რომ არ შეეშალა ხელი. მაგრამ მან ის მაინც მოასწრო, რომ სიმონი გაათავისუფლა ტყვეობიდან“.

ადამ ოლეარიუსი (1599-1671 წწ.), გერმანელი მოგზაური, გეოგრაფი, მწერალი, დიპლომატი. ჰერცოგ ფრედერიკ III-ის ელჩი ირანში

კითხვები

5. რაში ეთანხმებიან ერთმანეთს ვახუშტი ბატონიშვილი და ტომაზო მინადოი? რატომ აღმოჩნდა სიმონი ალამუთის ციხეში?
6. რით განსხვავდება ადამ ოლეარიუსის ცნობა? რას და რა პირობით ჰპირდება სიმონი ისმაილს?
7. რით შეიძლება აიხსნას წყაროებს შორის განსხვავება? გაითვალისწინეთ ავტორების წარმომავლობა, მოვლენებისგან დროითი დაშორება და ის, თუ საიდან შეიძლებოდა მიეღოთ ინფორმაცია.
8. ტყვეობაში სიმონი მტკიცედ იცავს ქრისტიანობას, თავისუფლების მოსაპოვებლად კი მზადაა, რწმენა „მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულად“ შეიცვალოს. ეწინააღმდეგება თუ არა ეს ორი ფაქტი ერთმანეთს? რას გვეუბნება სიმონის ეს არჩევანი მის ღირებულებებსა და პოლიტიკურ მიზნებზე?



სიმონ პირველის ხელრთვა მის მიერ 1583 წელს იოანე ბარათაშვილისათვის ბოძებული წყალობის სიგელიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ეს საინტერესოა

საჩინო ბარათაშვილი

ფარცხისის ბრძოლის შემდეგ, 1569 წლიდან, დაუთხანი ქართლის მმართველად ითვლებოდა, მაგრამ მოსახლეობამ მას მხარი არ დაუჭირა. დაუთხანის ხელისუფლება მხოლოდ ქვემო ქართლის იმ ნაწილზე ვრცელდებოდა, სადაც სპარსელთა მომხრე თავადები იყვნენ და ციხესიმაგრეებში სპარსული ჯარები იდგა.

სიმონ მეფის მომხრე ქართველი პატრიოტები ბრძოლასა და წინააღმდეგობას არ წყვეტდნენ. ერთ-ერთი იყო ქართლის მეწინავე ჯარის სარდალი თავადი საჩინო ბარათაშვილი, რომელიც თავიდანვე მეფის ერთგული იყო. ერთხელ კოჯრის გზაზე მომავალ საჩინოს გზად მოღალატე კახაბერ ყორღანაშვილი შემოხვდა. მეფის ერთგულმა დიდებულმა მას სიმონის მიმართ ჩადენილი ღალატი შეახსენა, შეიპყრო და გელიყარის კლდიდან დიდ ხევში გადააგდო. მოღალატის დასჯის შესახებ ხალხში გავრცელდა ასეთი გამოთქმა. „ყორღანას-ძეს ქარაფიდან ხელი ჰკრეს და გადაფრინდა!“.



გელიყარის კლდე, ადგილი კოჯრიდან დიდგორისკენ მიმავალ გზაზე. სოფ. ზირბითისა და ორბეთის მახლობლად

სპარსეთ-ოსმალეთის ახალი ომი და სიმონ მეფე

სპარსეთსა და ოსმალეთს შორის 1555 წელს გაფორმებული ამასიის ზავის პირობების მიხედვით, კავკასია მათ შუაზე ჰქონდათ გაყოფილი. რადგან ირანი, ოსმალეთთან შედარებით, უფრო სუსტი სახელმწიფო იყო, ზავის პირობების შენარჩუნებას ცდილობდა, ოსმალეთი კი მთელი კავკასიისა და კასპიის ზღვის სანაპიროების სრულად დაპყრობას გეგმავდა. სულთანმა შაჰ-თამაზის გარდაცვალების (1576 წ.) შემდეგ ატეხილი დაპირისპირებით ისარგებლა, დაარღვია ამასიის ზავი და ახალი ომი წამოიწყო. კავკასიის მიმართულებით ოსმალეთმა მუსტაფა ლალა ფაშას სარდლობით ჯარი დაძრა.

სპარსეთსა და ოსმალეთს შორის გადამწყვეტი ბრძოლა ჩრდილის ტბასთან 1578 წლის 9 აგვისტოს გაიმართა, ოსმალების ჯარმა გაიმარჯვა. ამის შემდეგ მათ სამცხე-საათაბაგო დაიპყრეს და ახალციხის საფაშოც დაარსდა. იმავე წელს ოსმალებმა თბილისი აიღეს, დაუთხანი ახლა მათ მხარეს გადავიდა. ქართლი ოსმალურ ადმინისტრაციულ ერთეულად – საბეგლარბეგოდ გამოაცხადეს.

ოსმალეთის სამხედრო წარმატებამ სპარსეთი აიძულა, რომ ქართველების მიმართ ადრინდელი პოლიტიკა შეეცვალა და გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. ამ დროს საქართველოში კვლავ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა მეფე სიმონი, რომელიც ჯერ კიდევ სპარსეთში იმყოფებოდა. ამიტომ შაჰმა ოსმალების წინააღმდეგ სიმონის გამოყენება სცადა. ირანელებმა სიმონი ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად ქართლში დააბრუნეს.



მეფის სიმონ I-ის პორტრეტი, ჯოვანი ორლანდის გრავიურა, დაცულია ვატიკანის ბიბლიოთეკის ფონდებში.

ჯოვანი ორლანდი იტალიაში XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. იგი თავის დროის ერთ-ერთი ცნობილი გამომცემელი და გრავიორი იყო.

ყურადღებას იქცევს მეფის სამოსი, თავსაბურავი, კვერთხი, რომელიც სიმონს ხელში უპყრია და პორტრეტის მარცხნივ გამოსახულია სპილო, რომელზეც ჩანს ციხე.



ჩრდილის ტბასთან გამართული ბრძოლა. 1578 წლის 9 აგვისტო – მინიატიურა შეჯაათნამედან (წიგნი სიმამაცისა).

მეცნიერის თვალსაზრისი

ალამუთის ტყვეობის გამო სიმონის შურისძიების გრძნობა მისმა პრაგმატულმა პოლიტიკურმა მოსაზრებამ შეცვალა და სწორედ ამიტომ არ მიემხრო ოსმალებს ირანის წინააღმდეგ. მოცემულ ეტაპზე ქრისტიანობისათვის მებრძოლმა სიმონმა რელიგიურ ფაქტორზე მაღლა პოლიტიკა დააყენა, რადგან კარგად ხედავდა, რომ ოსმალთა უზარმაზარი ძალისთვის წინააღმდეგობა მხოლოდ ირანს შეიძლებოდა გაეწია. ამ გზით ესახებოდა მას საქართველოში ქრისტიანობის გადარჩენაც... გაერთიანებულ ქართულ ძალას ძლიერი მოკავშირის გარეშე მაინც არ შეეძლო ოსმალეთის იმპერიის დამარცხება.

პროფესორი მურმან პაპაშვილი

წყარო

„(სიმონ მეფე) ყველას უხსნიდა, რომ სპარსელი [მაჰმადიანი] გავხდი არა იმიტომ, რომ მაჰმადის რჯული და სარწმუნოება უკეთესად მივიჩნიე, არამედ იმიტომ, რომ სამუდამო პატიმრობიდან თავი დამეხსნა და ჩემი იარაღი იესო ქრისტეს სამსახურისათვის აღმემართა, როცა კი ამის შესაძლებლობა მომეცემოდა, ამასთანავე, ქართლის სამეფოს შენარჩუნებაც მხოლოდ ამ გზით შემეძლოო“.


ტომაზო მინადოი. ვენეციელი დიპლომატი. 1549-1615 წწ.

„სპარსეთიდან სვიმონის დაბრუნება ყოველი ქართველისათვის სასიამოვნო იყო. ქართველებში მიღებულია ხალხის წინაშე მონანიება, თუ რაიმე შემთხვევის გამო სარწმუნოება შეიცვალე“.

პიეტრო ბიძარო. XVI საუკუნე

კითხვები

9. მინადოის ცნობით, როგორ ხსნის თავად სიმონი ისლამის მიღებას? რა იყო მისთვის მთავარი მიზანი?
10. მურმან პაპაშვილის შეფასებით, რატომ არ მიემხრო სიმონი ოსმალებს ირანის წინააღმდეგ? რა დააყენა მან რელიგიურ ფაქტორზე მაღლა და რატომ?
11. პიეტრო ბიძაროს ცნობით, როგორ შეხვდა ქართული საზოგადოება სპარსეთიდან დაბრუნებულ სიმონს? რას გვეუბნება „ხალხის წინაშე მონანიების“ ტრადიცია იმდროინდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაზე იძულებით გამუსლიმების მიმართ?
12. როგორ თანაარსებობდა XVI საუკუნის ქართველი პოლიტიკოსის მოქმედებაში რწმენის ერთგულება და პოლიტიკური ანგარიში? მოიყვანეთ თითო არგუმენტი სამივე ცნობიდან.



ლალა მუსტაფა ფაშას ბანაკი თბილისთან. 1578 წელი. მინიატურა გელიბოლულუ მუსტაფა ალის „ნუსრეთნამეს“ (გამარჯვების წიგნი) ხელნაწერიდან. ბრიტანეთის ბიბლიოთეკა, ლონდონი

ირან-ოსმალეთის დაზავება და ქართლის სამეფო



მგელციხე, რომელიც 1578 წლის 6 აგვისტოს ვერ აიღო ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქარმა

სპარსეთ-ოსმალეთის ომი ცვალებადი უპირატესობებითა და მცირე შესვენებებით მიმდინარეობდა. ოსმალები საქართველოს ტერიტორიას არ თმობდნენ. ამ პირობებში 1588 წელს იმპერიებს შორის დროებითი ზავი დაიდო. რადგან იმპერიებს შორის შეთანხმება იქნა მიღწეული, სიმონი, სპარსელების დახმარების გარეშე, მხოლოდ თავისი ძალებით ოსმალებთან ბრძოლის გაგრძელებას არ აპირებდა. მისი პოლიტიკა იმპერიების ძალების გამოყენებაზე იყო აგებული, უშუალოდ მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლების შეწყვეტის შემთხვევაში, თავისი მცირე ძალებით რომელიმე იმპერიასთან ცალკე დაპირისპირებას ერიდებოდა. ამიტომ ქართლის მეფე სიმონსა და ოსმალო სარდალ ფერჰად ფაშას შორის საზავო ხელშეკრულება იმავე 1588 წელს გაფორმდა და საომარი მოქმედებებიც შეწყდა.

წყარო

სიმონ მეფის ელჩის მიმართვა სულთანს: „აწ თქუენთვისაც სჯობს და ჩუენთვისა, შევრიგდეთ და მოვისუენოთ ამ დონის (ამდენი) ლაშქრობისაგან“.

ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII საუკუნე,

„შენი სურვილი და საწადელი, ჩვენ მიერ კეთილად იქნა დაკმაყოფილებული და უწინ ბოძებული ხელშეკრულების შესაბამისად დავამტკიცეთ... იესოელთა დიდებული თავადების სიამაყევ, მესიელთა ხალხში წარჩინებულთა რჩეულო, ქრისტეს მაღიარებელ გვარტომთა საქმეების კეთილად წარმმართველო, ქართლის ქვეყნის მფლობელო სიმონ ხან, ...მოგეცა შენ ხელშეკრულება, რომ შენს უფლებაში მყოფი შენი ქვეყანა უწინდებურად შენს ხელში იყოს, შთამომავლობიდან შთამომავლობამდე შენ იყო მისი მფლობელი“.

ოსმალეთის სულთანი მურად III (1574-1595 წწ.)

1588 წელს სიმონ I-ის ქართლის მეფედ აღიარება, 1578 წელს დაარსებული ქართლის საბეგლარბეგოს (საფაშოს) გაუქმება ოსმალეთის მხრიდან კომპრომისზე წასვლას ნიშნავდა. ქრისტიანობისა და ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შენარჩუნება დიდ წარმატებას ნიშნავდა. მანამდე ოსმალების მიზანს წარმოადგენდა მთელ საქართველოში მათი წესების დამყარება, ქართლის სამეფოში დაახლოებით იგივე პროცესები უნდა წარმართულიყო, რაც სამცხე-საათაბაგოში. სიმონთან დაზავებით კი ეს გეგმა შეიცვალა.

საბოლოოდ, ირანი და ოსმალეთი 1590 წელს დაზავდნენ.



სიმონის (მარჯვნივ ზედა კუთხეში) თავდასხმა არზრუმელებზე. მინიატიურა შეჯაათნამედან

მეცნიერის თვალსაზრისი

სულთანი სიმონ მეფესთან მშვიდობიან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს უნდა ყოფილიყო საწინდარი ოსმალეთისათვის მშვიდობისა და სიწყნარისა არა მარტო ქართლში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც, რადგანაც ცნობილია, რომ ამიერკავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მედროშე მეფე სიმონი იყო.

პროფესორი მიხეილ სვანიძე

ზავის შემდგომ

სულთანი მურად III მაინც ცდილობდა სიმონის განეიტრალებას. ამ მიზნით მან იმერეთის მეფე როსტომისა და სიმონის ცოლისძმა, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1601 წწ., 1602-1605 წწ.) გამოყენებაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

წყარო

სულთან მურად III-ის წერილი როსტომ იმერეთის მეფეს (1590-1592 წწ.)

„წრფელი განზრახვით და წმინდა რწმენით თავი შემოგვავედრეთ და მორჩილება გამოგვიცხადეთ, ხარაჯის გზავნა იკისრე და ამის თაობაზე ჩემი ბრწყინვალე ფირმანი (ბრძანება) ითხოვე და თქვენი ლაშქრით ხსენებულ სიმონ-ხანზე გალაშქრების და მისი ქვეყნისა და ვილაიეთის აოხრებისა და იავარყოფის შესახებ სამეუფეო ნებართვის მოსაპოვებლად გვეაჯე“.

სულთან მურადის ბრძანება კახეთის მმართველს, ალექსანდრე ხანს, ქართლის დაპყრობის შესახებ. 1591 წლის, ივნისი

„კახეთის მმართველს, ალექსანდრე ხანს მივმართავ, რომ გამოგზავნილ წერილში გიწერია, რომ წყეული სიმონი, არც ერთ ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ უშვებს ჩვენს მიმართ ურჩობისა და ცბიერების გამოსაჩენად. ამ წყეული ადამიანის საქციელი ირანის დაპყრობის დროსაც გამოჩნდა. ის ხან ჩვენ მხარეს იყო, ხან კიდევ მოწინააღმდეგის მხრიდან ჩვენს ჯარს ზიანს აყენებდა. ახლა საჭიროა კარგად მომზადება, ამ წყეული ადამიანისთვის მისი ქვეყნის ჩამორთმევა და მისი აზნაურების დახოცვა და მასთან დაახლოებული პირების ტყვედ აყვანა. ამ საკითხთან დაკავშირებით ფხიზლად და კარგად მომზადებული უნდა იყო. ამ წყეულ ადამიანს თავისი ციხე მიუტოვებია და ქუთაისის ციხის აღების მიზნით მისთვის ალყა აქვს შემორტყმული. აქედან გამომდინარე, მის სამფლობელოზე შესატევად ყველაზე ხელსაყრელი დროა. კარგად მომზადების შემდეგ, ამ მომენტის გამოყენება ერთი წუთითაც არ გადადო... ერთობლივი ძალისხმევით ამ წყეული ადამიანის ქვეყანა დაუყონებლივ დაპყრობილ იქნეს და ოსმალეთს შეუერთდეს. ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ მაშინვე არ მიატოვო იქაურობა და არ წახვიდე, ერთი თვის განმავლობაში ადგილზე დარჩი... დარწმუნებული ვარ, ამ წყეული ადამიანის სიმაგრეების აღებაშიც ძალისხმევას არ დაიშურებ. ეს დიდი სამსახური არ დაგეკარგება“.

- იმერეთის მეფე როსტომი, გელათი;
- კახეთის მეფე ალექსანდრე II, ფილოთეოსის მონასტერი, ათონის მთა. საბერძნეთი;
- ოსმალეთის სულთანი მურად III. უცნობი ესპანელი მხატვარი







კითხვები

13. შეადარეთ სულთან მურად III-ის სამი დოკუმენტი – 1588 წლის ხელშეკრულება სიმონთან და 1590-1591 წლების წერილები ქართველი მეფეებისადმი: 1. როგორ მიმართავს სულთანი სიმონს 1588 წლის ხელშეკრულებაში და როგორ მოიხსენიებს მას 1591 წლის ბრძანებაში? რით აიხსნება ეს მკვეთრი ცვლილება დროის მოკლე მონაკვეთში?
14. რას სთხოვს და რას ჰპირდება სულთანი იმერეთისა და კახეთის მეფეებს? რა პოლიტიკურ ხერხს იყენებს იგი ქართველების წინააღმდეგ და რატომ არის ეს ხერხი დამპყრობლისთვის ხელსაყრელი?
15. სულთანი ქრისტიან ქართველ მეფეებს „ხანებად“ მოიხსენიებს – „სიმონ ხანი“, „ალექსანდრე ხანი“. რატომ არ უწოდებს მათ „მეფეებს“?

წყარო

სიმონ I-ის წერილიდან ფილიპე II-ისადმი (1595 წ.):

„მე, სიმეონ, ხანმა გურჯისტანისამ, ალექსანდრე ხანმა ლევანდინოსამ და შაჰ-აბასმა სპარსეთისამ, ჩვენ სამმა ვითათბირეთ, ვიმსჯელეთ და შევთანხმდით, რომ ამიერიდან (ჩვენს ძალებს) წინ წავწევთ და თურქს თავს მოვჭრით. წმ. იერუსალიმს და ქრისტიანებს თურქის ხელიდან გავათავისუფლებთ“.

ოსმალეთთან ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისი

ირან-ოსმალეთის დაზავების შემდეგ ქართველმა მეფეებმა და სპარსეთის ახალმა შაჰმა აბას I-მა ახალი კავშირი შეკრეს.

მოსალოდნელ კოალიციაში ქართველი დიპლომატები და პოლიტიკური მოღვაწეები პასიური მონაწილეები არ ყოფილან. როგორც წერილებიდან ირკვევა, ოსმალების წინააღმდეგ მოსალოდნელ ლაშქრობაში ქართველების მონაწილეობასა და ძალას დასავლეთ ევროპაში სათანადო ანგარიშს უწევდნენ. რომის პაპი კლიმენტი VIII სიმონის წერილის საპასუხოდ (1598 წ.) წერდა, რომ იგი ევროპის ქრისტიან მეფე-ხელმწიფეებს შეაგულიანებს, რათა საერთო მტრის – ოსმალების წინააღმდეგ გამოვიდნენ. სიმონმა ოსმალების წინააღმდეგ სპარსეთის ძალების გამოყენება 1595 წელს სცადა და კახეთის ლაშქართან ერთად ოსმალებზე თავდასხმები დაიწყო. 1599 წელს გორი გაათავისუფლა. ნახიდურთან ბრძოლის დროს, 1600 წელს, სიმონი ოსმალებს ჩაუვარდათ ხელში. იგი სტამბოლში გააგზავნეს, სადაც მის შეპყრობას სამდღიანი ზეიმით შეხვდნენ. მეფემ ცხოვრების ბოლო წლები იედიყულეს (შვიდკოშკა) ციხეში გაატარა და იქვე გარდაიცვალა 1611 წელს.



რომის პაპი კლიმენტი VIII (1592–1605 წწ.)

ეს საინტერესოა

სიმონის გასათავისუფლებლად საქართველოდან სტამბოლში მოლაპარაკებების საწარმოებლად დიდი დელეგაცია გაემგზავრა, მათ მეფე გიორგი X-მ სამეფო საჭურჭლე და დიდი სიმდიდრე გაატანა: „წარავლინნა ყოველნი საჭურჭლენი და საგანძურნი მამისა თვისისა და ეკლესია-მონასტერთანი და წარჩინებულთა ქართველთანი...“ (ვახუშტი). დელეგაციაში იყვნენ გიორგი მეფის შვილები: მცირეწლოვანი ვაჟი დავითი და ასული თინათინი. დელეგაციას სწორედ თინათინის ხელმძღვანელობით გაემგზავრა. იგი სპარსულ და ევროპულ წყაროებში გულჩარას სახელით არის ცნობილი. გულჩარამ დიპლომატიის დიდი ნიჭი გამოამჟღავნა, სტამბოლში სულთნის დედას დაუახლოვდა და მისი საშუალებით დიპლომატიური კავშირები დაამყარა. მოხერხდა, რომ სიმონ მეფესა და გულჩარას სპარსეთსა და ოსმალეთს შორის წარმოებულ საზავო მოლაპარაკებებში თავიანთი როლი შეესრულებინათ. სულთანი ფიქრობდა, სიმონის ავტორიტეტი და ნდობა შაჰთან მოლაპარაკების დროს გამოეყენებინა. სულთანი დაჰპირდა, რომ მხოლოდ მოლაპარაკებების შემდეგ გაათავისუფლებდა მეფეს ტყვეობიდან. სიმონი და გულჩარა სტამბოლიდან სპარსეთის მიმართულებით ერთი კვირის წასულები იყვნენ, როდესაც სულთანმა აჰმედ I-მა (1603-1617) თავისი გადაწყვეტილება შეცვალა და სიმონი უკან დააბრუნა.

შაჰმა აბას I-მა 1603 წლის შემოდგომაზე ოსმალეთთან ომი განაახლა. ასეთ ვითარებაში სიმონ I-ის გათავისუფლება სრულიად შეუძლებელი გახდა. გულჩარა ბაგრატიონი, სიმონის დავალებით, ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის ჩამოგდებისთვის აგრძელებდა ელჩობებს. ის რამდენჯერმე შეხვდა შაჰსაც, სულთანსაც და სხვა არაერთ გავლენიან პირს. საბოლოოდ, 1612 წელს მისი ჩართულობით სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ზავი მართლაც დაიდო. რომელიც 1555 წლის შეთანხმებას იმეორებდა, საქართველო სპარსეთსა და ოსმალეთს თავის გავლენის სფეროებად ჰქონდათ გაყოფილი, მაგრამ ქართლის ციხეებიდან სპარსეთმა ჯარები გაიყვანა და მათთან შეთანხმებით ციხეები ქართლის მეფეს დარჩა.



იედიყულეს ციხე. სტამბოლი

მეცნიერის თვალსაზრისი

ოსმალეთის წინააღმდეგ ოცი წლის განმავლობაში თავდადებით მებრძოლი ქართლის მეფის დატყვევება ხონთქრისათვის (სულთანი) დიდი გამარჯვება იყო. მან ბრძანება გასცა, სიმონ მეფის დატყვევების აღსანიშნავად, ოსმალეთის დიდ ქალაქებში სამ ღღეს ზეიმი გაემართათ. ტყვეობაში მყოფ მეფეს დიდი წყალობა შეაძლია ხონთქარმა, ოღონდ ქართველ მეფეს თავის ხელმწიფედ ეცნო ეს მოძალადე და ქართლზე ოსმალთა ბეგარა დაედო. მაგრამ, ქართველი ხალხისათვის დაუღალავმა მეომარმა ხონთქრის მუხანათური წანადადება უარყო და მისი სულმდაბლური წყალობაც ზიზღით უკუაგდო. საპასუხოდ, ოსმალთა სასტიკმა მბრძანებელმა უტეხი გმირი ედიყულეს ყრუ ციხეში სამუდამოდ გამოკეტა. ამაოდ ცდილობდნენ ქართველები დაეხსნათ მეფე, ხონთქარმა უამრავი ქრთამი აიღო, მაგრამ სიმონი კი არ გაანთავისუფლა.

პროფესორი შოთა მესხია

წყარო

„ხოლო იყო მუნ სტამბოლს ერთი გორელი ვაჭარი, რომელსა ეწოდა დიაკუნისშვილი. და ამან იშოვნა ძუალნი, სვიმონ მეფისანი, და წარმოიღო იგი... და ყვეს გლოვა დიდი, და დამარხეს სამარხოსა თვისსა მცხეთას. ხოლო რომელმანცა მოიღო ძუალნი მისნი იგი დიაკუნისშვილი ყოვლითურთ სახლეულით მისით გააააზატეს, და შესწირეს პატიოსანსა და ცხოველსმყოფელსა ჯუარის მონასტერსა სალხინებელად და საოხად მეფისა სვიმონისა. და არიან აწცა გორს დიაკუნისშვილები“.

ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი. XVIII საუკუნის I მეოთხედი

მეცნიერის თვალსაზრისი

ასე იბრძოდა ქართველი ხალხი XVI საუკუნეში ირანელ და ოსმალ დამპყრობლების წინააღმდეგ. ბევრმა ჩვენმა მეზობელმა ვერ გაუძლო მოზღვავებულ მოძალადეებს და დამპყრობელთ დაემონა, დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, კულტურა, ენა. არაერთი ხალხი საბოლოოდ გადააშენა აგრესორთა ძალამ. ქართველმა ხალხმა კი შეინარჩუნა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და ღირსება.

პროფესორი შოთა მესხია



ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქის მთავარი ტაძარი. სიმონ მეფის შეპყრობის აღსანიშნავად სულთანმა მურად III-მ მისი მეჩეთად გადაკეთება ბრძანა და მას „ფეთიე ჯამე“, ანუ დაპყრობის მეჩეთი ეწოდა.

ქართლის მეფე სიმონ I-ის დახასიათება

ქართლის მეფე სიმონ I სახელოვანი მამის, ლუარსაბ I-ის, ღირსეული მემკვიდრე და მისი შეუპოვარი პოლიტიკის გამგრძელებელი იყო. მას ყიზილბაშებიცა და ოსმალებიც მათ წინააღმდეგ უშიშრად და თავდადებული ბრძოლის გამო დელის – გიჟს, ხელს, გახელებულს უწოდებდნენ. მისი საბრძოლო შემართება თანამებრძოლებსაც დიდ მხნეობასა და მოტივაციას აძლევდა. სიმონი დროულად ცვლიდა დიპლომატიურ მოქმედებას მტერთან თავგანწირული ბრძოლით და პირიქითაც, და წარმატებებსაც აღწევდა. ის ოსტატურად უთავსებდა ერთმანეთს დიპლომატიურ სვლებსა და თავგანწირულ ბრძოლას, რისი წყალობითაც დიდ წარმატებებს აღწევდა.

მეცნიერის თვალსაზრისი

ასე შეეწირა „ქართველობას“ სიმონ მეფე, რომელმაც „ქართლს ხმალი შეარტყა“ და 46 წელიწადს ღირსეულად იცავდა დამოუკიდებლობისა და ეროვნულ თავისუფლების დროშას ირანის თუ ოსმალეთის მოძალადეებისაგან.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი

დავალებები

1. სიმონ I-ს ყიზილბაშები და ოსმალები „დელის“ (გიჟს, გახელებულს) ეძახდნენ. სულთანი მურად III 1588 წელს მიმართავდა, როგორც „იესოელთა დიდებული თავადების სიამაყეს“, 1591 წელს კი „წყეულ ადამიანს“ უწოდებდა; ნიკო ბერძენიშვილი წერდა, რომ სიმონმა „ქართლს ხმალი შეარტყა“. იმსჯელეთ საკითხზე: რატომ იმსახურებდა სიმონ I ასეთ ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებს და რომელი შეფასება მიგაჩნიათ ყველაზე სამართლიანად?
   ა) აჩვენეთ, როგორ ენაცვლებოდა ერთმანეთს სიმონის პოლიტიკაში ხმალი და დიპლომატია – მოიყვანეთ თითო კონკრეტული მაგალითი;
   ბ) გამოიყენეთ სამი სხვადასხვა წარმომავლობის წყარო (ქართული, სპარსული/ყიზილბაშური, ოსმალური ან ევროპული);
   გ) მსჯელობა დაასრულეთ საკუთარი დასკვნით: თქვენი აზრით, რა იყო სიმონის პოლიტიკის მთავარი მიზანი და მიაღწია თუ არა მას?



I.13. გიორგი სააკაძე. „დიდი მოურავი“



გიორგი სააკაძე.
დონ კრისტოფორო დე კასტელის
ალბომიდან. XVII საუკუნე.
პალერმოს ბიბლიოთეკა

გიორგი სააკაძე – წარმომავლობა, აღზრდა და განათლება

გიორგი სააკაძე წარმოშობით აზნაურის ოჯახიდან იყო. მისი მამა, სიაუში, სიმონ ქართლის მეფის მრჩეველი გახლდათ. გიორგის დედას თამარი ერქვა. სავარაუდოდ, ისიც აზნაურთა წრიდან უნდა ყოფილიყო. ვარაუდობენ, რომ გიორგი სააკაძე ტანას ხეობაში, სოფელ ფელში დაიბადა XVI საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში.

გიორგი სააკაძის აღზრდისა და განათლების შესახებ პირდაპირი ცნობები არ არსებობს, თუმცა მას იმდროინდელი წარჩინებულებისათვის დამახასიათებელი განათლება უნდა მიეღო. სწავლა მოიცავდა როგორც საეკლესიო, ისე საერო ცოდნას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ფიზიკურ მომზადებასაც – ვარჯიშს, ნადირობასა და სამხედრო საქმის შესწავლას. გიორგი სააკაძემ კარგად იცოდა როგორც სპარსული, ისე თურქული ენები. ის სასიამოვნო მოსაუბრე და მჭევრმეტყველი ყოფილა. გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭითაც.

კითხვები

1. ტექსტის მიხედვით, რა პიროვნული თვისებები ჰქონდა გიორგი სააკაძეს?

ნოსტე. გიორგი სააკაძის საცხოვრებელი კოშკი, კასპის მუნიციპალიტეტი



გიორგი სააკაძე ქვეყნის სამსახურში

ქართლში ლუარსაბ II-ის გამეფებისთანავე სააკაძე მეფის უახლოესი მრჩეველი და თანამებრძოლი გახდა. მალე იგი მეფემ თბილისის მოურავად დანიშნა. სააკაძე, გარდა თბილისისა, ქალაქ ცხინვალისა და დვალეთის მოურავიც ყოფილა.

გიორგი სააკაძემ მალევე მოახერხა, მნიშვნელოვნად შეეზღუდა ფეოდალთა თვითნებობა, რასაც მეფის ძალაუფლების განმტკიცება მოჰყვა. ამასთანავე, ის ხელს უწყობდა აყრილი მოსახლეობის თავის სამკვიდროზე დაბრუნებას, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მოღონიერებასა და თავდაცვისუნარიანობის აღდგენას განაპირობებდა.

გიორგი სააკაძე, ერთი მხრივ, დიდ ფეოდალთა უფლებების შესაზღუდად იბრძოდა, თუმცა, მეორე მხრივ, თვითონაც ამ უფლებების მოსაპოვებლად მიისწრაფოდა; ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მისი დასაყრდენი საშუალო და წვრილი აზნაურობა იყო, მაგრამ ხშირად გიორგი დიდი ფეოდალების მხარდაჭერითაც სარგებლობდა. ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო გარემოებებით აღსავსე იყო გიორგის ცხოვრება, რადგან იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა ერთი მტკიცე ძალა, რომელზე დაყრდნობითაც სააკაძე შეძლებდა განეხორციელებინა თავისი მიზნები: ქართლის სამეფოს შიდა ცენტრალიზაცია, მეფის ხელისუფლების განმტკიცება, თავადების თვითნებობის შეზღუდვა.

ლექსიკონი

დვალეთი – ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე ქართლის ჩრდილოეთით.

კითხვები

2. რატომ იყო ძნელი იმდროინდელ საქართველოში ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების ჩამოყალიბება?
3. რატომ გახდა გიორგი სააკაძე მნიშვნელოვანი ფიგურა ქართლის მეფისთვის?

გიორგი სააკაძე, როგორც ნიჭიერი მთავარსარდალი. თევდორე მღვდლის გმირობა

1609 წლის ზაფხულში, როცა ქართლის მეფე ლუარსაბ II მეფეთა საზაფხულო რეზიდენციაში, ცხირეთის ციხეში, მცირერიცხოვანი ამალით იმყოფებოდა, ქვეყანაში ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი შემოიჭრა. მტრის რიგებში „მგლისტყაოსანთა“ სახელით ცნობილი ორი ათასი ყირიმელი თათარიც ერია. ოსმალებმა იცოდნენ, რომ ქართლის მეფე ცხირეთის ციხეში იყო და ამიტომაც გეზი სასწრაფოდ მეფის რეზიდენციისაკენ აიღეს.

მტრის ჯარი მანგლისთან მივიდა, მაგრამ სწორი გზის პოვნა გაუჭირდა. სწორედ ამ დროს მათ ხელში ჩაუვარდათ ადგილობრივი მღვდელი – თევდორე. ოსმალებმა მღვდელს უბრძანეს, რომ მათთვის მეფის ბანაკამდე მოკლე გზა ეჩვენებინა, სანაცვლოდ დიდ ჯილდოს დაჰპირდნენ, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი, სასტიკი წამებითა და სიკვდილით დაემუქრნენ.



მეფე ლუარსაბ II (1606-1615 წწ.) მიხეილ საბინინის გრავიურის მიხედვით. ხელოვნების სასახლე




ქართველი მეომარი – საბახტარ ავალიშვილი. დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. პალერმოს ბიბლიოთეკა

თევდორე მძიმე არჩევნის წინაშე აღმოჩნდა. მას შეეძლო, მტრისთვის გზა ეჩვენებინა და საკუთარი სიცოცხლე გადაერჩინა, მაგრამ მაშინ საფრთხე დაემუქრებოდა მეფესა და მთელ ქვეყანას. ამიტომ თევდორემ გადაწყვიტა, სამშობლოსთვის თავი გაეწირა. მან ოსმალები შეგნებულად სხვა მიმართულებით წაიყვანა და გზას ააცდინა, რითაც ისინი ცხირეთის ციხეს საკმაოდ დააშორა. როდესაც მტერი მიხვდა, რომ მოტყუებული იყო, თევდორე სასტიკად აწამეს, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს. მღვდლის გმირობამ დიდი შედეგი გამოიღო. ქართველებმა შეძლეს მეფის გაფრთხილება, ჯარის შეკრება და მტრის წინააღმდეგ სათანადო მომზადება.

თევდორე მღვდლის თავდადება ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია საქართველოს ისტორიაში. მან საკუთარი სიცოცხლე ქვეყნის გადარჩენას შესწირა. სწორედ ამიტომ მისი სახელი დღესაც გმირობისა და სამშობლოს სიყვარულის სიმბოლოდ მიიჩნევა.

მტრის წინააღმდეგ ქართველების ბრძოლა გიორგი სააკაძის მიერ დასახული გეგმის მიხედვით წარიმართა, სარდალიც ის იყო. შემოჭრილ ოსმალებთან და „მგლისტყაოსნებთან“ მთავარი შეტაკება სოფელ ტაშისკართან გაიმართა. ქართველებმა მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, ხელთ იგდეს მრავალი ტყვე და დიდძალი ნადავლი.



ტაშისკარის ბრძოლის შემდეგ სოფელ ქვიშხეთში, სამი წაბლის ქვეშ გაიმართა ნადიმი. ამის აღსანიშნავი მემორიალური დაფა



ტაშისკარის ბრძოლის ადგილი. ხაშურის მუნიციპალიტეტი

შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ და გახიზვნა ირანში

1611 წელს გიორგი სააკაძის რეზიდენციაში, სოფელ ნოსტეში, გაიმართა დიდი ნადიმი, რომელსაც ქართლის მეფე ლუარსაბიც ესწრებოდა. ნადიმზე მეფის ყურადღება განსაკუთრებით სააკაძის დამ მიიპყრო და ლუარსაბმა მისი ცოლად შერთვა გადაწყვიტა.

კითხვები

4. რა მოხდებოდა თევდორე მღვდელს სხვა არჩევანი რომ გაეკეთებინა?



შაჰ-აბას I (1587-1629 წწ.), ალავერდი ხან უნდილაძე (შაჰის მარჯვნივ), ჩეჰელ სუთუნის სასახლის კედლის მხატვრობა. ისფაჰანი, ირანი

ლექსიკონი

ფარეშთუხუცესი – შუა საუკუნეების საქართველოში სამეფო კარის მოხელე, რომელიც პასუხისმგებელი იყო სასახლის ოთახების მოწყობასა და მოვლაზე. ის იყო მეფის უახლოესი, ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მართავდა სამეფო კარის საქმეებს და ხელი მიუწვდებოდა შიდა ინფორმაციაზე.

ვექილი – რწმუნებული, მეურვე, მზრუნველი.

ამ ქორწინებამ წარმოშობით აზნაური გიორგი სააკაძის გავლენა კიდევ უფრო გაზარდა, რამაც ბევრი დიდებული გააღიზიანა. შედეგად, ძლიერი და გავლენიანი ფეოდალების – შადიმან ბარათაშვილისა და ფარსადან ციციშვილის – ხელმძღვანელობით დაიგეგმა შეთქმულება, რომლის მიზანი დედოფლის გაძევება და გიორგი სააკაძის მოკვლა იყო.

შეთქმულებმა მეფე ლუარსაბი გიორგის „ღალატში“ დაარწმუნეს. 1612 წლის მაისში მეფემ გიორგი სააკაძე ნადიმზე მიიწვია, სადაც შეთქმულები მის მოკვლას აპირებდნენ, მაგრამ „დიდი მოურავი შეპყრობას თანამებრძოლისა და მეფის ფარეშთუხუცესის, ბააკა ხერხეულიძის წყალობით გადაურჩა. ბააკამ მას წინასწარ შეატყობინა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. გიორგიც ახალუხის ამარა უბელო ცხენს მოახტა და ისე გავარდა ღამის სიბნელეში სასახლიდან. მოგვიანებით ის ცოლ-შვილთან ერთად იძულებული გახდა, სპარსეთში გახიზნულიყო.

სპარსეთში გიორგიმ თავისი ჭკუით, სიმამაცითა და ძალ-ღონით სახელი გაითქვა და შაჰ-აბას I-ის დიდი პატივისცემაც დაიმსახურა. ის პირადად მონაწილეობდა ყანდაარისა და ქალაქ ბაღდადის აღებაში.



ქართველი მონადირე. დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII საუკუნის I ნახევარი. პალერმოს ბიბლიოთეკა

კითხვები

5. რას ემსახურებოდა გიორგი სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება – პირად ანგარიშსწორებას თუ თავადთა წოდებრივი ინტერესების დაცვას?
6. გიორგი სააკაძე ებრძოდა დიდი თავადების გავლენას, მაგრამ, ამავე დროს, თავადაც დიდი გავლენა მოიპოვა. როგორ ახსნიდით ამ წინააღმდეგობას XVII საუკუნის ქართლის პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით?
7. როგორ ფიქრობთ, რას მოუტანდა ქართლის სამეფოს გამოცდილი სარდლის შაჰის კარზე ყოფნა?



სპარსელი მეომარი.
ქრისტეფორე კასტელის
ალბომიდან.
პალერმოს ბიბლიოთეკა

საქართველოში დაბრუნება და ბრძოლა სამშობლოს გადასარჩენად

1619 წელს ირანის შაჰმა აბასმა გიორგი სააკაძე ქართლის ხანის, სიმონ II-ის, მრჩევლად დანიშნა. შემდეგ ისევ სპარსეთში გაიწვია.

1625 წელს შაჰმა განიზრახა ქართლ-კახეთის საბოლოოდ დამორჩილება და დიდი ლაშქრით საქართველოსკენ გამოგზავნა თავისი სარდალი ყარჩიხა-ხანი და გიორგი სააკაძე. მარტყოფის მიდამოებში დაბანაკებული ირანელები კახეთში შეჭრისთვის ემზადებოდნენ. ამ დროს გიორგის ხელში ჩაუვარდა შაჰის საიდუმლო წერილი, რომელშიც აბასი კახეთის აოხრებას, მოურავის მოკვლასა და ქართლზე ლაშქრობას ითხოვდა. ყოველივე ამის შემდეგ გიორგი სააკაძემ აჯანყება წამოიწყო, იგი ფარულად დაუკავშირდა ქართველ დიდებულებს და მათთან ერთად მარტყოფში დაბანაკებული მტერი გაანადგურა.



ერთაწმინდის ტაძარი,
რომელშიც განისვენებს
პაატა სააკაძე
კასპის მუნიციპალიტეტი

შაჰმა გიორგიზე სასტიკად იძია შური, მან მძევლად დატოვებული სააკაძის ვაჟს – პაატას – თავის მოჰკვეთა. მოკვეთილი თავი მამას საქართველოში გაუგზავნეს, ტანი კი არ დაასაფლავეს – ხევში გადააგდეს.

ისპაჰანში მყოფი კათოლიკე მისიონერებისა და თბილისელი ვაჭრების წყალობით, გიორგიმ მოგვიანებით შვილის ცხედარი სამშობლოში ჩამოასვენა და ერთაწმინდის საგვარეულო მონასტერში დაკრძალა.



მარაბდის ბრძოლაში დაღუპული 9 ძმა ხერხეულიძის საფლავი, სოფელ მარაბდის ეკლესიის ეზოში. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

იმავე წელს შაჰ-აბას I-მა ქართველთა დასასჯელად კიდევ ერთი ლაშქრობა მოაწყო. გადამწყვეტი ბრძოლა ქვემო ქართლში, მარაბდის ველზე მოხდა. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ქართველები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ. გიორგი სააკაძის თაოსნობით არაგვისა და ქსნის ხეობაში ქართველებმა ბრძოლა გააგრძელეს და მტერს დიდი ზიანი მიაყენეს. საბოლოოდ სპარსელებმა საქართველოში დაახლოებით 60 ათასი მოლაშქრე დაკარგეს – ძალა, რომელიც მთელი მათი სამხედრო ძლიერების თითქმის ნახევარს შეადგენდა. შაჰ-აბას I, გიორგი სააკაძის თავდადების წყალობით, იძულებული გახდა, საქართველოს გადაშენების გეგმაზე ხელი სამუდამოდ აეღო.

1626 წელს გიორგი სააკაძესა და ქართლ-კახეთის მეფეს თეიმურაზ I-ის შორის მტრობა ჩამოვარდა. ბაზალეთის ტბის მიდამოებში ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ძმათამკვლელ ომში გიორგი საა-

კაძე დამარცხდა და იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა. იგი ოსმალეთში წავიდა და მალე მოიპოვა სულთნის კარზე ნდობა. ოსმალო მოხელეები უკმაყოფილო იყვნენ გიორგის დაწინაურების გამო. ეს გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ 1629 წლის 3 ოქტომბერს გიორგი სააკაძესა და მისი ამალის წევრებს ალეპოში, ცენტრალურ მოედანზე, დიდვეზირ ხუსრევ-ფაშას ბრძანებით, თავები მოჰკვეთეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ხუსრევ-ფაშამაც იგივე ბედი გაიზიარა, სულთანმა იგი სიკვდილით დასაჯა.



ლექსიკონი

ხანი – ირანსა და ავღანეთში ადგილობრივი მმართველის აღმნიშვნელი ტიტული



კითხვები

8. რამ აიძულა გიორგი სააკაძე, შაჰ-აბასის ერთგული სარდლიდან 1625 წლის ავჯანყების მეთაურად ქცეულიყო? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
9. მარტყოფისა და მარაბდის შემდეგ სააკაძემ მძიმე მარცხი და პირადი ტრაგედია გადაიტანა, ბრძოლა კი მაინც განაგრძო. რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ბრძოლის მამოძრავებელი ძალა?
10. რატომ ვერ შეძლო შაჰ-აბასმა საქართველოს სრული დამორჩილება, მიუხედავად არაერთი ლაშქრობისა? დაასახელეთ და განმარტეთ ხელის შემშლელი ფაქტორები.



წყარო

გიორგი სააკაძის შეფასება სხვადასხვა ავტორთან:

გიორგი სააკაძის შესახებ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული: მას მისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც ერთხმად ახასიათებდნენ, როგორც დიდ მოღვაწეს, გამოჩენილ სარდალსა და განსაკუთრებული სიმამაცით დაჯილდოებულ პიროვნებას. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, **ვახუშტი ბაგრატიონის** აზრით, „ესე მოურავი გიორგი იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი და შემართებელი უშიში“. თუმცა ბაგრატიონი იქვე აშკარად მიუთითებდა, რომ ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე სასიკვდილოდ სწორედ სააკაძემ გაწირა.

სააკაძის თანამედროვე იტალიელი მისიონერი **ქრისტეფორე კასტელი** ასე ახასიათებს გიორგი სააკაძეს: „დიდი მოურავი სარდალი საქართველოს მხედრობისა, კაცი წარჩინებული, დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი; მრავალი სასახელო საქმე მოახდინა იბერიის სამეფოში სპარსთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროს“.

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, **არაქელ თავრიზელის** აზრით, სააკაძე იყო: „გონიერი, მჭევრმეტყველი, მოფიქრებული და საქმეში ჭკვიანი. ამასთან, ტანადი, ძლიერ მამაცი მეომარი და უძლეველი მებრძოლი“.

ცნობილი თურქი მემატიანე **მუსტაფა ნაიმა** სააკაძეს ასე ახასიათებს: „მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევის ღონის იყო“.

ილია ჭავჭავაძე დიდი მოურავის განსაცდელიან სიცოცხლეს „ავ-კარგიანობით“ აღსავსეს უწოდებდა.

გიორგი სააკაძის მოღვაწეობა რომ არაერთგვაროვნად იყო შეფასებული, კარგად ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ 1911 და 1912 წლებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა სააკაძის „სასამართლო პროცესი“, რომელსაც აწყობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თუ საინიციატივო ჯგუფები. ქუთაისში „გიორგი სააკაძის ლიტერატურულ სასამართლოს“ თავმჯდომარეობდა ევგენი გეგეჭკორი, ბრალმდებელი იყო ა. ბებურიშვილი, ხოლო დამცველები იყვნენ კიტა აბაშიძე და სიმონ ქვარიანი. ბათუმში მსგავსი პროცესი შედგა 1912 წლის 20 მაისს. ქართულ საზოგადოებაში ამ პროცესებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა.



დავალებები

1. სხვადასხვა ისტორიკოსისა და მემატიანის მიხედვით, ჩამოთვალეთ გიორგი სააკაძის თვისებები. რა მსგავსება და განსხვავება ჩანს ამ შეფასებებს შორის და რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურის შესახებ სხვადასხვა წყაროს შედარება?
2. რის მიხედვით უნდა შეფასდეს ისტორიული პიროვნება – მისი მიზნებით, ქმედებებით თუ შედეგებით? პასუხი დაასაბუთეთ გიორგი სააკაძის მოღვაწეობის მაგალითით.



I.14. ქეთევან წამებული, სამშობლოს შეწირული დედოფალი



ქეთევან წამებული. მიხეილ საბინინის გრავიურის მიხედვით, ხელოვნების სასახლე

შაჰ-აბას I-ის პოლიტიკა კახეთის სამეფოს მიმართ

ქეთევან დედოფალი, კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის (1606-1648 წწ.) დედა, კახეთის მეფის დავით I-ის მეუღლე და აშოთან მუხრან-ბატონის ასული გახლდათ. როდესაც 1605 წლის 12 მარტს ძეგამში დავითის ძმამ, გამუსლიმებულმა კონსტანტინე მირზამ საკუთარი მამა, მეფე ალექსანდრე და ძმა, გიორგი ბატონიშვილი, დახოცა და თვითონ გამეფდა, ქეთევან დედოფალი ანტირანულ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. მოღალატე კონსტანტინე მირზა კახელებმა ტყვედ იგდეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. შაჰ-აბასი, რომლის დავალებებსაც მოკლული კონსტანტინე ასრულებდა, იძულებული გახდა, დათმობებზე წასულიყო. შაჰმა 1606 წელს კახეთის მეფედ ქეთევან დედოფალის ვაჟი, თეიმურაზი დაამტკიცა. ვინაიდან თეიმურაზი მცირეწლოვანი იყო, სამეფო საქმეებს ქეთევან დედოფალი განაგებდა. მოგვიანებით, 1614 წელს, თეიმურაზმა, შაჰის მოთხოვნით, მას განჯაში მძევლად გაუგზავნა უმცროსი ვაჟი ალექსანდრე და დედა. ქეთევან დედოფალი 1620 წელს შირაზს გაგზავნეს.

ქეთევან დედოფლის ტყვეობა ირანში

ქეთევან დედოფალმა სპარსეთში რამდენიმე წელი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში შირაზში ცხოვრობდა. შინიდან მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, თუ შირაზის ნაცვლის სასახლეში უხმობდნენ. ზოგჯერ ხანის ჰარამხანაში რამდენიმე დატყვევებული ქართველი ქალის გასამხნევებლად მიდიოდა. სხვა შემთხვევაში ქეთევან დედოფალი გარეთ თითქმის არ გამოდიოდა. შინ იჯდა, წყნარი და ჩაფიქრებული არავის აწუხებდა. ერთთავად ღმერთს ევედრებოდა და იმედი ჰქონდა, მისი საქმე კეთილად დაბოლოვდებოდა.



თეიმურაზ I ქრისტეფორე კასტელის მიხედვით. XVII საუკუნის I ნახევარი. პალერმოს ბიბლიოთეკა

წყარო

ქეთევან დედოფლის შესახებ:

ქეთევანი „ტანდაბალი გახლდათ. დაახლოებით ორმოცი წლისა უნდა ყოფილიყო, ხელთ მლოცველის ჯოხი ეპყრა. შავად მოსილ ქვრივს თავ-კისერიც მოშავო საბურველით დაეფარა. მეტად პირმშვენიერი და უაღრესად დარბაისელი იმპერიის დედოფლობის ღირსი იყო. არაჩვეულებრივად წმინდა და სასიამოვნო, განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა ყველას, ვინც ერთხელ მაინც იხილავდა. მისი ლამაზი, დიდი შავი თვალები ირეკლავდნენ იმას, რაც მის სულში ხდებოდა“.

ამბროზიო დუშ ანჟუში. პორტუგალიელი მისიონერი. XVII საუკუნე

შირაზში შაჰ-აბასმა ქეთევან დედოფალს შეუთვალა ისლამი მიეღო და გამხდარიყო მისი მეუღლე, რასაც შედეგად მოჰყვებოდა უხვად დასაჩუქრება, ან არადა, მას საშინელი სიკვდილი ელოდა. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის სიტყვებით, შაჰის წინადადებაზე „ქეთევანმა უარი განაცხადა ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი, საოცრად ურყევი სიმტკიცითა და გამბედაობით“.



შროშანზე მჯდომი ქეთევან დედოფალი. მინიატიურა XVII საუკუნის ქართული ხელნაწერიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქეთევან დედოფლის წამება


როგორც ცნობილია, თეიმურაზი რუსეთის სამეფო კართან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რათა მოსკოვს, თავის მხრივ, აემოქმედებინა ყველა დიპლომატიური საშუალება ირანში მძევლად მყოფი დედისა და შვილების გასათავისუფლებლად, შაჰ-აბასს კი აღიზიანებდა ქეთევანის შვილის, თეიმურაზ მეფის, კავშირები რუსეთთან.

შაჰ-აბასი დედოფლის გატეხას დიდხანს ცდილობდა. ურიცხვ სიკეთესა და პატივს ჰპირდებოდა, არც მუქარასა და დაშინებას მორიდებია „ირანის ლომი“, თუმცა კლდესავით შეუდრეკელი აღმოჩნდა ქართველი დედოფალი. შაჰ-აბასმა ურჩობისთვის ქეთევანის სასტიკად წამების ბრძანება გასცა.

1624 წლის 12 სექტემბერს შირაზის მთავარ მოედანზე ქეთევანი მოწამებრივად აღესრულა. ყველაზე სრული და სანდო წყარო ქეთევან დედოფლის აღსასრულის შესახებ პორტუგალიაში, ლისაბონის ტორო დე ტომბოს არქივის ბიბლიოთეკაშია დაცული. ხელნაწერი ქეთევანის თანამედროვე პორტუგალიელი ბერის, ამბროზიო დუშ ანჟუშის, მიერაა შექმნილი და მას შემოკლებით „ნამდვილ ცნობებს“ უწოდებენ.

აქ ნათქვამია, რომ ჯალათებმა ქეთევანი სასტიკად აწამეს, წამების დროს, მიუხედავად გაუსაძლისი ტკივილისა, ქართველმა დედოფალმა თავისი რწმენა არ დათმო და ამით დიდი სიმტკიცე და გამბედაობა გამოავლინა. ქეთევანი წამების შედეგად გარდაიცვალა, თუმცა ის ქრისტიანობის ერთგული დარჩა.

დასჯიდან რამდენიმე თვეში ამბროზიო დუშ ანჟუშმა ქეთევან დედოფლის საფლავი აღმოაჩინა და მისი წმინდა ნაწილები 1628 წელს საქართველოში ჩამოიტანა. ავგუსტინელმა ბერებმა წამებული დედოფლის ნეშტის წმინდა ნაწილები საქართველოსთან ერთად მსოფლიოს რამდენიმე მონასტერში გადააბრძანეს.





ქეთევან წამებული, დეტალი „და გრასას“ ტაძრის პანოდან. პორტუგალია

კითხვები

1. რატომ ცდილობდა შაჰი ასე დაჟინებით ქეთევან დედოფლის გამუსულმანებას?
2. თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენდა ქართველ ხალხზე ქეთევანის წამების ამბავი?
3. რომელი წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას ქეთევანის წამების შესახებ? რა არის ამ წყაროების ავტორთა მიზანი?

ქეთევან დედოფალი და მსოფლიო


ქეთევან დედოფლის წამებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელ მსოფლიოში, მისი წმინდა ნაწილები ბევრი ეკლესიისათვის თაყვანისცემის საგანი გახდა, ქართველი დედოფლის სახე კი არერთი ისტორიული თხზულების, ლიტერატურული ძეგლისა თუ მუსიკალური ნაწარმოების ავტორისათვის შთაგონების წყაროდ იქცა.

პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონის „და გრასას“ ტაძარში XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქაშანურით მოჭიქულ პანოზე შეასრულეს ქეთევანის წამებისადმი მიძღვნილი დაახლოებით 11 მეტრი სიგრძისა და სამი მეტრი სიმაღლის უნიკალური პანო.

იტალიელმა მოგზაურმა, დიპლომატმა და ლიტერატორმა პიეტრო დელა ვალემ, რომელიც პირადად იცნობდა ქეთევან დედოფალს, 1629

ეს საინტერესოა

1627 წელს ინდოეთში, ქალაქ გოაში, გაემგზავრა ისპაჰანის ავგუსტინელ ბერთა მონასტრის წინამძღვარი მანოელ და მადრე დე დეუსი, რომელმაც თან წმინდა დედოფლის წმინდა ნაწილები წაიღო. 1627 წლის 14 ოქტომბერს ის იტალიელ მოგზაურს, პიეტრო დელა ვალეს, რომში ატყობინებდა: „გოაში ჩამოვედი და ჩვენი მონასტრისათვის ჩამოვიტანე ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები“... 2006 წელს ინდოელმა არქეოლოგმა ნეზამუდინ ტაჰირმა გოაში დანგრეული ეკლესიის „სინიორა და გრასას“ არქეოლოგიური გათხრების დროს ქეთევან წამებულის ზემოაღნიშნულ წმინდა ნაწილს მიაკვლია.



ლისაბონის „და გრასას“ ტაძარში განთავსებული ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი პანო

წელს შეთხზა ალეგორიულ მუსიკალურ-ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ქართველ დედოფალს განსაკუთრებული ადგილი დაუთმო. ნაწარმოებში ნათქვამია: „დედოფალი ქეთევანი უიარაღო, უსამართლოდ დაატყვევეს და შემდეგ სისხლიან გზას გაუყენეს. მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ იგი ცად ავიდა“.

ქეთევან დედოფლის წამება გერმანიაში პიეტრო დელა ვალეს ცნობების შემდეგ გახმაურდა. ამ თემაზე 1657 წელს გამოიცა ანდრეას გრიფიუსის პიესა: „ეკატერინე ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა ევროპის სცენებზე. ხუთმოქმედებიანი ტრაგედია 1647 წელს დაიწერა და 10 წლის შემდეგ გამოვიდა წიგნად.



სანაწილე ქეთევან დედოფლის ყველაზე ადრეული გამოსახულებით. ზაგორსკი



„და გრასას“ მონასტრის ნანგრევები გოაში. ინდოეთი



ქეთევან დედოფლის სიწმინდეების შესანახი სანაწილე ბრიტანეთის მუზეუმიდან

ლექსიკონი

რელიკვარიუმი – წმინდა ნაწილების, რელიკვიების შესანახი და დამცავი სპეციალური ჭურჭელი, ყუთი ან ლამპარი ქრისტიანულ ტრადიციაში. მზადდებოდა ძვირფასი ლითონის, ძვლის, ხის ან მინისგან. შემკული იყო ძვირფასი თვლებით და რელიეფური გამოსახულებებით.

კონფესია – რელიგიური მოძღვრება, აღმსარებლობა, ამ მოძღვრების მიმდევართა ერთობლიობა.



კატერინა ქართველთა დედოფლის – იგივე ქეთევან წამებულის გრავიურა. 1624 წელი. გერმანია. ხელოვნების სასახლე

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპელი ავტორები ხშირად ქეთევან დედოფალს ეკატერინედ/კატერინად მოიხსენიებდნენ (ლათინური სახელი კეტევან-ის გავლენით).

ქვედა საქსონიაში, ჰერცოგ ავგუსტის ბიბლიოთეკაში, ქეთევან წამებულისადმი მიძღვნილი სპექტაკლის შვიდი გრავიურა ინახება. გრავიურები დედოფლის წამებიდან ოცდაათიოდე წლის შემდეგაა შექმნილი.

გრავიურების ციკლი საინტერესო სცენით იწყება: ურთიერთის პირისპირ ქეთევანი და შაჰ-აბასი დგანან, ქართველ დედოფალს ხელში შროშანი უკავია, აბასი კი მას გვირგვინს აწვდის, ნიშნად იმისა, რომ მზადაა, რწმენის დათმობის სანაცვლოდ, ქეთევანს სპარსეთის დედოფლობა შესთავაზოს...

პიესის ავტორი ანდრეას გრიფიუსი წერდა: „ჩემი მარად და მუდამ სასურველი ქეთევანი ამიერიდან ჩვენი სამშობლოს სცენაზე გამოდის და თავის სხეულითა და თუ ტანჯვით თვალნათლივ გვაძლევს გამოუთქმელი სიმტკიცის ამ დროისათვის გაუგონარ მაგალითს“.

ფრანგი მწერლის, კლოდ მალენგრის, წიგნში „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“ (1635 წ.) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქეთევან წამებულის ამბავს. ავტორი აღწერს საქართველოს დედოფლის, ქეთევანის, გმირობასა და ტრაგიკულ ბედს.

რუსეთში, ზაგორსკის ლავრაში, ინახება გულსაკიდი სანაწილე, რომელზეც ქეთევან დედოფლის დღემდე ცნობილი ყველაზე ადრინდელი გამოსახულებაა შესრულებული, გულსაკიდი შექმნილი უნდა იყოს XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში. წმინდა დედოფლის სახება შესრულებულია ქართველი ოსტატის მიერ, მას ორივე მხარეს მხედრულად განმარტებითი წარწერა მიუყვება.

ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში, იქ, სადაც მართლმადიდებლური სიწმინდეებია ექსპონირებული, გამოფენილია ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი რელიკვარიუმი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „ეს სანაწილე პატარა ხატი შეუძენია ბრიტანეთის მუზეუმს ერთი ანტიკვარისაგან. სანაწილეს წინა პირი წარმოადგენს ლამაზ მედალიონს, რომელზეც გამოსახულია ბიზანტიური მინანქრით წმინდა გიორგი. უკანა პირზე მხედრული ასოებით აწერია „წმინდა ქეთევან დედოფლის ნაწილი“.

ამდენად, ქეთევან დედოფალი თავისი მოწამებრივი ღვაწლით ეროვნულ საზღვრებს გასცდა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ისტორიულ ფიგურად, ყველა კონფესიის ქრისტიანთათვის მისაბაძ იდეალად იქცა.

ეს საინტერესოა

თეიმურაზ პირველმა დედას პოემა უძღვნა. ლექსად ნათქვამ ტკივილს დიდი ემოცია ახლავს:

„დედობრივისა ბუნებით თავს იდევ ესე ჭირები,
ჰპოვე უკვდავი ცხოვრება საცვიფრი, გასაკვირვები,
მე მამამკაცი, მხნე ვაჟი ასე ამრიგად ვირები,
ვაი, ჩემს სიმხნეს და ვახ-ვახ, შენთა ნაქმართა ძირები!“

ნაწყვეტი თეიმურაზ პირველის პოემიდან „ქეთევან დედოფალი“

კითხვები

4. როგორ აისახა ქეთევან დედოფლის თავგანწირვა მსოფლიო კულტურაში? მოიყვანეთ შესაბამისი მაგალითები.
5. გრიფიუსის პიესის სათაური – „ეკატერინე ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“, შეიცავს ორ ცნებას: კონკრეტულ ვინაობას („ქართველი“) და უნივერსალურ თვისებას („გაუტეხელი სიმტკიცე“). როგორ ახასიათებს ეს კომბინაცია ქეთევან დედოფალს?



ანდრეას გრიფიუსი
(1616-1664 წწ.).
გერმანელი პოეტი და
დრამატურგი



ალავერდის ტაძარი, სადაც დაკრძალეს ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები

დავალებები

1. შეადარეთ ქეთევან დედოფლის ისტორია სხვა თავდადებული ქართველების (დემეტრე თავდადებული, თევდორე მღვდელი ან თქვენი არჩევით) ისტორიას. იმსჯელეთ: ა) რა სირთულის წინაშე იდგა თითოეული; ბ) რა გადაწყვეტილება მიიღეს; გ) რა შედეგი მოჰყვა მათ მოწამებრივ აღსასრულს?
2. იმსჯელეთ: რატომ გვჭირდება ისტორიული გმირები – სიმტკიცის თუ წინააღმდეგობის სიმბოლოდ? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ ქეთევან დედოფლის ცხოვრებიდან მოყვანილი სამი კონკრეტული მაგალითით.



I.15. ქართლის მეფე ვახტანგ VI – კანონმდებელი და რეფორმატორი



ვახტანგ VI-ის მინიატიურა. სახარება, 1709 წ.

ვახტანგი VI — ქართლის ჯანიშინი და პირველი რეფორმეგი

XVII საუკუნის მიწურულს ქართლში ორხელისუფლებიანობა იყო დამყარებული. დიდი ხნის განმავლობაში ერეკლე I-სა და გიორგი XI-ს ძალაუფლება გაყოფილი ჰქონდათ. ირანი ხან ერთ პრეტენდენტს უჭერდა მხარს, ხან მეორეს და ამ მეტოქეობას კი ქართლზე კონტროლის შესანარჩუნებლად იყენებდა. გიორგი XI-ს ირანში წასვლის შემდეგ ქართლი ერეკლე I-ს დარჩა, თუმცა მისი მეფობის დროს მთლიანად მოიშალა მმართველობა.

1703 წელს ირანის შაჰმა ჰუსეინ I-მა ქართლის მეფედ გიორგი XI დანიშნა, თუმცა ირანში მყოფს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცა, ავღანეთში გააგზავნა მმართველად და აჯანყებულ ადგილობრივ ტომებთან საბრძოლველად. უმეფოდ დარჩენილ ქართლში მეფისნაცვლად (მოადგილედ), ანუ ჯანიშინად გიორგი XI-ის ძმისშვილი – ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა. მძიმე მემკვიდრეობა ხვდა ვახტანგს. მან უპირველეს საზრუნავად ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგება დაისახა – ძველი მოხელეები შეცვალა, ხოლო უსამართლოდ დასჯილებს ყმა-მამულები დაუბრუნა. ქართლში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო კახეთში თუ სხვა კუთხეებში გადახვეწილი გლეხები ფუძეზე დააბრუნა და ამ გზით სოფელი აღორძინა.



ვახტანგ VI-ის ძმის, კათოლიკოს დომენტი IV-ის (დამიანეს) ჯვარი

1705 წელს საეკლესიო კრებაზე კათოლიკოს-პატრიარქად ვახტანგის ძმა დომენტი აირჩიეს, ამ გზით ვახტანგმა ეკლესიის მხარდაჭერაც მოიპოვა. სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, მან „მცველთა ჯარი“ შექმნა. ეს აქცია უპირველესად ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ირანელთა მრავალწლიანმა ბატონობამ ქართულ საკანონმდებლო სისტემაში უამრავი პრობლემა წარმოშვა. საჭირო იყო როგორც ზოგადი სამართლის შექმნა, ასევე ქვეყანაში არსებული სამოხელეო აპარატის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა. ძველი ქართული და უცხოური


მეცნიერის თვალსაზრისი

ვახტანგ VI-ის მიერ სოფლის აღორძინებისათვის გადადგმული ნაბიჯები

ვახტანგმა საგანგებო ზომები მიიღო იმისათვის, რომ ქართლში დაებრუნებინა ის ყმა-გლეხები, რომლებიც გაიხიზნენ კახეთში ერეკლე I-ის მეფობის დროს. ამ მიზნით სპეციალური ღონისძიება... ჩატარდა. ამ საქმეში ვახტანგმა სპარსეთის ხელისუფლებისგანაც მიიღო დახმარება. კახეთს გარდა, ქართლის სხვადასხვა კუთხეებიდანაც მოჰყავდათ თავიანთ ძველ მამულებზე გახიზნული გლეხები. „ახალმოსულ კაცებს“ კი, განსაკუთრებულ შეღავათებს ანიჭებდნენ, ერთი წლის ვადით ათავისუფლებდნენ გადასახადებისაგან.

პროფესორი გიორგი პაიჭაძე

სამართლის წიგნებზე დაყრდნობით, ვახტანგმა შექმნა კანონთა კრებული „სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა“. მეორე ძეგლი, რომელიც ვახტანგის ინიციატივით შეიქმნა, იყო „დასტურლამალი“, რომლითაც განისაზღვრა მოხელეთა იერარქია, უფლება-მოვალეობანი, საგადასახადო სისტემები და სხვა.



„დასტურლამალისა“ და ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნის“ ხელნაწერთა გვერდები.
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



ვახტანგ VI-ის მონეტა.
1708-1709 წწ. საქართველოს
ეროვნული მუზეუმი

მეცნიერის თვალსაზრისი

ვახტანგ VI-მ ქართლის სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სარწყავი არხებისა და რუთა სისტემის მოწესრიგებას და იმ საირიგაციო ხასიათის მშენებლობათა ჩატარებას, რომელიც ქართლის სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარებასთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია არხების მშენებლობანი ქციისა და მაშავრის ხეობებში. ვახტანგ VI-ის ეპიტაფიაში აღნიშნულია, თუ როგორ დაუკავშირა ვახტანგმა ქცია ხუნანს. ამით როგორ აქცია ქციის, მაშავრისა და ხუნანის უდაბური ველნი ნაყოფიერების წალკოტად.

პროფესორი მანანა ქიქოძე



მეფე ვახტანგ VI-ის დროშა.
ეროვნული მუზეუმი.

კითხვები

1. რატომ დაისახა ვახტანგმა პირველ საზრუნავად გახიზნული გლეხების ფუძეზე დაბრუნება? რა კავშირია სოფლის აღორძინებასა და სახელმწიფოს გაძლიერებას შორის?
2. გიორგი პაიჭაძის ცნობით, „ახალმოსულ კაცებს“ ერთი წლით ათავისუფლებდნენ გადასახადებისგან. რა მიზანი ჰქონდა ამ შეღავათს? როგორ ფიქრობთ, გაამართლებდა თუ არა ის?
3. რატომ სჭირდებოდა მეფეს „მცველთა ჯარი“ საკუთარი ქვეშევრდომების წინააღმდეგ? გაიხსენეთ, კიდევ რომელ ქართველ მეფეს ჰყავდა მსგავსი ჯარი?



ანთიმოზ ივერიელის მოზაიკური ფრესკები ბუქარესტის მონასტრიდან

ქართული სტამბის შექმნა

XVIII საუკუნის დასაწყისში უკვე მომზადებული იყო ნიადაგი იმისათვის, რომ სასტამბო საქმე საქართველოშიც დაწყებულიყო. ამ დიდი კულტურული მოვლენის ინიციატორი სწორედ ვახტანგ VI გახდა. იგი საგანგებოდ დაუკავშირდა ჯერ იერუსალიმის პატრიარქს, ხოლო შემდეგ, ვლახეთში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირს, ანთიმოზ ივერიელს.

ანთიმოზ ივერიელი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი პირი იყო. მისი ინიციატივით რამდენიმე სტამბა დაარსდა. ვახტანგ VI-ის განზრახვის შესახებ ანთიმოზმა ვლახეთის მმართველს მოახსენა და მისგან მხარდაჭერა მიიღო. თბილისში სტამბის მოსაწყობად გამოგზავნა ანთიმოზ ივერიელის მოწაფე მესტამბე მიხეილ იშტვანოვიჩი, რომლის უშუალო მონაწილეობით მოხერხდა თბილისში სტამბის გამართვა და 1709 წელს „სახარების“ დაბეჭდვა. 1712 წელს ვახტანგის სტამბაში პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ მისივე კომენტარებით. ამით ვახტანგმა რუსთველოლოგიას, როგორც მეცნიერულ დისციპლინასაც, ჩაუყარა საფუძველი.



ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, 1712 წ.

მეცნიერის თვალსაზრისი



ვახტანგ VI თაოსნობით თბილისში 1709 წელს სტამბის გამართვა და წიგნების ბეჭდვის დაწყება უდავოდ უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის ფაქტი იყო, მეტადრე იმიტომაც, რომ ეს იყო პირველი სტამბა საერთოდ კავკასიაში, სადაც ახალი ევროპული ცივილიზაციის ეს ნათება თბილისიდან უნდა გავრცელებულიყო. და როგორც გინდ მცირეხნიანი არ ყოფილიყო ვახტანგ VI დიდი მწიგნობრული მოღვაწეობა, მის მიერ დაბეჭდილი წიგნები მაინც ნამდვილად მთელ საქართველოში ვრცელდებოდა და ამ ფაქტმა, როგორც მთლიანი საქართველოს დვრიტამ და საოცარმა გამოცხადებამ, წარუშლელი კვალი დასტოვა ქართული კულტურის მთელ ისტორიაში.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი

ეს საინტერესოა

ახალი „ქართლის ცხოვრება“

საქართველოში XVIII საუკუნის დასაწყისში „ქართლის ცხოვრების“ ძალიან ცოტა ხელნაწერი იყო. ამიტომაც ვახტანგ VI-მ გადაწყვიტა შეეგროვებინა „ქართლის ცხოვრების“ მოსახლეობაში არსებული ნუსხები. მეფის სურვილი იყო, გაესწორებინა გადამწერთაგან დამახინჯებული მონაკვეთები და „ქართლის ცხოვრება“ ნაკლული XIV-XVII საუკუნეების ისტორიით შეევსო. ამ დიდი სამუშაოსთვის მან „სწავლული კაცები“ შეკრიბა და მათ დაავალა „ქართლის ცხოვრების“ გამართვა-სრულყოფის საქმე. დიდი მუშაობის შემდეგ მივიღეთ ახალი „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტი.

კითხვები

4. რა გზა განვლო სასტამბო საქმემ თბილისამდე, ვის დაუკავშირდა ვახტანგი და საიდან ჩამოვიდა მესტამბე? რას გვეუბნება ეს გზა იმდროინდელი საქართველოს კულტურულ კავშირებზე?
5. რატომ აფასებს პაატა გუგუშვილი სტამბის გამართვას „უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის ფაქტად“? რა უპირატესობა აქვს ნაბეჭდ წიგნს ხელნაწერთან შედარებით?
6. რა საფრთხე ემუქრება ისტორიულ თხზულებას, როცა ის მხოლოდ ხელნაწერის სახით ვრცელდება? როგორ უპასუხა ამ საფრთხეს ვახტანგის მიერ შექმნილმა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ?
7. კანონთა კრებული, „ქართლის ცხოვრების“ განახლება, სტამბა – რა საერთო აქვს ამ სამ საქმეს? რის მიღწევას ცდილობდა ვახტანგი ამ გზით?

ლექსიკონი

ვლახეთი – სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ევროპაში, მას მთავარი (ჰოსპოდარი) მართავდა, მოიცავდა თანამედროვე რუმინეთის ნაწილს.

ვახტანგი ქართლის სამეფო ტახტზე

1709 წელს ავღანეთში დაიღუპა გიორგი XI. შაჰმა ქართლის მეფედ გიორგი XI-ის ძმისშვილი (ვახტანგის უფროსი ძმა), ქაიხოსრო დაამტკიცა. ჰუსეინ I-მა ახალ მეფესაც ავღანელებთან ბრძოლა დაავალა. ქართლში კვლავ ვახტანგი რჩებოდა ჯანიშინად. ის კარგად ახერხებდა შექმნილი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. იგი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ქართლის სამეფოს საშინაო საქმეების მოწესრიგებით. მან კვლავ აღადგინა ქართლის სამეფოს ჰეგემონია მთელ საქართველოში. ვახტანგი განსაკუთრებით ცდილობდა, განემტკიცებინა გავლენა კახეთსა და იმერეთში. მან 1707 და 1711 წლებში ორგზის გაილაშქრა კავკასიის მთიანეთში და ქართლის ჩრდილოეთის საზღვარიც გაამაგრა.



ვახტანგ VI-ის პირადი გერბი



შაჰ-სულთან ჰუსეინი
(1694-1722 წწ.)

1711 წელს ყანდაარზე იერიშის დროს ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ქართლის მეფე ქაიხოსრო. „გურჯისტანის“ ვალის ტახტი კვლავ თავისუფალი აღმოჩნდა. ირანში მყოფ ბაგრატიონთაგან ბევრს ჰქონდა პრეტენზია ქართლის ტახტზე. ქართლის ვალის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო ირანის სახელმწიფოში. ვალი, ამავე დროს, იყო ირანის მთავარსარდალი, შაჰის კარის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე და ავღანეთის მბრძანებელიც. შაჰის არჩევანი ვახტანგ ლევანის ძეზე შეჩერდა. 1712 წლის აპრილში ვახტანგი ირანში გაემგზავრა ქართლის ტახტზე დასამტკიცებლად. ქართლში მან გამგებლად ძმა, სიმონი, დატოვა. ირანის სახელმწიფო ამ დროს ქართლსა და კახეთში მხოლოდ გამაჰმადიანებულ ქართველ მეფეებს ცნობდა და ვახტანგსაც მეფობის პირობად გამაჰმადიანება მოსთხოვეს, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა. შაჰმა იგი პატიმრად ქერმანს გაგზავნა, ქართლი კი მის ძმას, გამაჰმადიანებულ იესეს (1714-1716 წწ) გადასცა.

კითხვები

8. შეადარეთ სიმონ I-ისა და ვახტანგ VI-ის გადაწყვეტილებები რელიგიის შეცვლასთან დაკავშირებით. რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ მათ არჩევანში?

სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში

დაპატიმრებული ვახტანგის გამოსახსნელად ევროპის სახელმწიფოთა დახმარების მიღების სურვილით ვახტანგის აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი საგანგებოდ გაემგზავრა ევროპაში. სულხან-საბა საფრანგეთის მეფესა და რომის პაპს შაჰის წინაშე შუამდგომლობასა და ფულად დახმარებას სთხოვდა. ეს ფული შაჰის კარის მოსაქრთამად და ვახტანგის გამოსახსნელად უნდა გამოეყენებინათ. 1714 წელს სულხან-საბა შეხვდა საფრანგეთის მეფეს ლუი XIV. დიდი პატივით მიღების მიუხედავად, საფრანგეთმა სულხან-სა-



ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი. XVIII საუკუნის მინიატურა

ბას თავაზიანი უარი უთხრა. ევროპული სახელმწიფოების უარის მთავარი მიზეზი იმხანად საფრანგეთში არსებული ეკონომიკური კრიზისი და ირანის იმპერიასთან არსებული სავაჭრო-დიპლომატიური ინტერესები იყო, რის გამოც ლუი XIV შაჰთან ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდა. ამის შემდეგ სულხან-საბა რომის პაპ კლემენტ XI-ს შეხვდა, მაგრამ მოლაპარაკებამ არც ამჯერად გამოიღო შედეგი.

იმედგაცრუებული ვახტანგი იძულებული გახდა, 1716 წელს ისლამი მიეღო. შაჰმა იგი ქართლის მეფედ დაამტკიცა, მაგრამ 1719 წლამდე ირანში დატოვა, ქართლი კი საგამგებლოდ ვახტანგის ვაჟს, ბაქარს გადასცა.



ლუი XIV, საფრანგეთის მეფე (1643-1715 წწ.). მას მოიხსენიებდნენ როგორც „ლუი დიდი“ ან „მეფე-მზე“.

წყარო

ლუი XIV-ისათვის გადასაცემი სულხან-საბას მოხსენებითი ბარათი (1714 წ.):

„საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაჰანშია, საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია. თუ დაბრუნდა თავის სამთავროში, ქართველები არა მარტო ქრისტიანად დარჩებიან, არამედ კიდევ შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც საამისოდ მზად არის და რომელმაც აღთქმა დადო, მობრუნდება თუ არა თავის სამშობლოში, კათოლიკობა მიიღოს, რადგან იგი ამ თავის უბედურებას აწერს იმას, რომ აქამდე შეაყენა კათოლიკობის მიღება. მეფე, ამას გარდა, ფიქრობს ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქციონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა“.

კითხვები

9. რა არგუმენტებით ცდილობს სულხან-საბა ლუი XIV-ის დაინტერესებას? რას ჰპირდება იგი საფრანგეთის მეფეს ვახტანგის დაბრუნების შემთხვევაში?
10. „მოხსენებითი ბარათის“ მიხედვით, ვახტანგი მზად არის კათოლიკობა მიიღოს. როგორ ფიქრობთ, ეს მართლა ვახტანგის განზრახვა იყო თუ სულხან-საბა ასე ცდილობდა კათოლიკე მეფის დაინტერესებას? დაასაბუთეთ პასუხი;
11. მიუხედავად ამ დაპირებებისა, საფრანგეთმაც და რომმაც უარი თქვეს დახმარებაზე. თქვენი აზრით, რატომ არ დაინტერესდნენ ისინი ქართლის ბედით?
12. რა უნდა გაითვალისწინოს ისტორიკოსმა, როცა დიპლომატიურ დოკუმენტს წყაროდ იყენებს?


ვახტანგ VI-ის გამეფება ქართლში

ვახტანგის ირანში ყოფნის დროს ქართლში არნახული მასშტაბები მიიღო დაღესტნელთა თავდასხმებმა. ამავე დროს, მათ აქტიურად შეუტიეს საკუთრივ ირანის პროვინციებს. ისინი სახლდებოდნენ განჯისა და შემახის მიწა-წყალზე და დიდ საფრთხეს უქმნიდნენ ირანის სახელმწიფოს. 1719 წელს შაჰმა ვახტანგი საქართველოში გამოისტუმრა. ქართლის მეფეს დაღესტნელთა თარეშის აღკვეთა ევალებოდა. ეს ყველაზე მეტად თვით ქართლ-კახეთის ინტერესებს შეესაბამებოდა.

1719 წლის დეკემბერში, სოფ. საფურცლეში, შედგა ქართლის მეფის – ვახტანგისა და კახეთის მეფის – დავით II იმამ-ყული-ხანის შეხვედრა. შემუშავდა დაღესტნელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმაც, იმამ-ყული-ხანმა ვახტანგისაგან დამხმარე ჯარიც კი მიიღო, მაგრამ ირანის ფაქტორის გამო ჭარ-ბელაქანში (ისტორიული ჰერეთის ნაწილი, გვიანდელი საინგილო) შეჭრისგან თავი შეიკავა.



კახეთის მეფე დავით II, მინიატურა სიგელზე, 1708 წ.



თბილისი. 1701 წელი. ჟოზეფ ტურნეფორის მინიატიურა

ლექსიკონი

ჭარ-ბელაქანი – XVIII საუკუნის I მეოთხედში აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე (ისტორიული კაკი და ელისენი) დაღესტნელი მფლობელების მიერ შექმნილი პოლიტიკური ერთეული, გვიანდელი საინგილო.

1721 წელს ირანის შაჰმა ვახტანგს ოფიციალურად სპასალარობა უბოძა. ქართველი მეფის ხელში აღმოჩნდა ირანის იმპერიის მთელი ჩრდილოეთი ნაწილის სამხედრო ხელისუფლება. ვახტანგი დიდი ლაშქრით გაემართა განჯის სახანოსაკენ, სადაც ადგილობრივი სუნიტი მოსახლეობის ხელშეწყობით ლეკთა მრავალრიცხოვანი მოთარეშე რაზმი იყო განლაგებული. ქართველებმა შეუტიეს მტერს შამქორში, ბარდაში, ჭარში და ყველგან სასტიკად დაამარცხეს. ქართველებთან ერთად იბრძოდნენ სომხები. ქართულ-სომხურ კავშირს აქტიურად უჭერდა მხარს ყარაბაღელი სომხების სულიერი მამა, განძასარელი კათოლიკოსი ესაია ჰასან ჯალალიანი. მეტიც, იგი ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის მომხრე იყო. სახელმწიფოს სათავეში ქართლის მეფე უნდა მდგარიყო.

მართალია, ვახტანგი გარეგნულად შაჰის ბრძანებებს ასრულებდა და, თითქოს, ირანის ჩრდილოეთი პროვინციების დაცვის მიზნით უტევდა დაღესტნელებს, მაგრამ შაჰისათვის მალე ნათელი გახდა ვახტანგის ნამდვილი მიზანი – საქართველოს გამოხსნა. შაჰს აშინებდა ქართველ-სომეხთა კავშირიც. მართალია, დაღესტნელთა თარეშის აღკვეთას ირანისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ, ამავე დროს, შაჰს არანაკლებ აშინებდა ქართველთა მიერ აღმოსავლეთი კახეთის ხელახალი შემოერთება. ამიტომ შაჰმა ვახტანგს ლაშქრობის მოშლა და თბილისში დაბრუნება უბრძანა სწორედ იმ დროს, როდესაც ქართველთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. განრისხებულმა მეფემ ლაშქრობა შეწყვიტა, მაგრამ საჯაროდ დაიფიცა, რომ აღარასოდეს შეასრულებდა შაჰის ბრძანებებს.

მეცნიერის თვალსაზრისი

ვახტანგ VI-ს მიერ გატარებული რეფორმების საერთოქართული ხასიათი:

ვახტანგის სამართლის კანონებით და „დასტურლამალის“ ნორმებით ხელმძღვანელობდნენ არა მხოლოდ ქართლის სამეფოში, არამედ იმერეთსა და კახეთშიც. ხოლო ვახტანგის სტამბიდან გამოსული ქართული წიგნი საქართველოს ყველა მხარეში ვრცელდებოდა. ვახტანგის კარზე აღიზარდა იმერეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე, რომელიც 1721–1752 წლებში მეფობდა იმერეთში. ვახუშტი ბაგრატიონი შემთხვევით როდი აღნიშნავდა, რომ ვახტანგს „მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი.

პროფესორი გიორგი პაიჭაძე

ვახტანგ VI და პეტრე I

ვახტანგ VI-ის დროს აქტიური კავშირი დამყარდა რუსეთის სახელმწიფოსთან. ამის ინიციატორი იყო პეტრე I, რომლის გეგმით რუსეთი უნდა დაუფლებოდა კასპიის ზღვის სანაპიროებს დაღესტნიდან მოყოლებული ირანის ჩრდილო რაიონებამდე. 1720 წ. პეტრე I და ვახტანგ VI შეთანხმდნენ სამხედრო თანამშრომლობაზე. ქართლის მეფეს რუსეთის ამ ლაშქრობისას ჯარი უნდა მიეშველებინა და აქტიური მონაწილეობა მიეღო.

1722 წლის აგვისტოში პეტრე I-მა შეატყობინა ვახტანგს, რომ დაიწყო ლაშქრობა. ირანში გალაშქრების საკითხი ვახტანგ VI დარბაზის სხდომაზე განიხილა. დარბაზის წევრთა უმრავლესობა ლაშქრობის წინააღმდეგი იყო. მათი აზრით, რუსთა მოსვლამდე მტერს შეეძლო საქართველო გაენადგურებინა. მეფემ არ გაითვალისწინა დიდებულების ეს აზრი და ლაშქრობა არ გადადო. 1722 წლის აგვისტოში ვახტანგი ქართველ-სომეხთა 40 000-იანი ლაშქრით განჯასთან დაბანაკდა. აქ იგი უნდა შეერთებოდა სამხრეთისაკენ მიმავალ რუსთა ლაშქარს. პეტრე I-ის ლაშქარმა მიაღწია დარუბანდს, შემდეგ კი უკან გაბრუნდა და ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადადო, რაც დიდი დაგვიანებით შეატყობინა ვახტანგს. ეს უკანასკნელი პეტრეს მოლოდინში, თითქმის მთელი სამი თვე იდგა განჯასთან. ირანის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის გეგმა ჩაიშალა.



რუსეთის იმპერატორი პეტრე პირველი (1672-1725 წწ.)

წყარო

ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის ურთიერთობა (1721-1723 წწ.)

„შემოდგომის დადგომისთანავე, სექტემბრის თვეში ვახტანგი კვლავ დაიძრა განჯისაკენ შემდეგი მიზეზის გამო. სპარსელთა სახელმწიფო ძალზე დასუსტდა და დაქვეითდა... (სამაგიეროდ) უფრო გაძლიერდნენ მისი მტრები, განსაკუთრებით კი დიდი თვითმპყრობელი კეისრები რუსებისა, ე. ი. მოსკოვის ხელმწიფე პეტრე... მაგრამ პეტრეს (განჯისკენ) წამოსვლის ცნობის დიდ ცდასა და ლოდინში რომ ვიყავით, ჩვენმა ცოდვებმა უსწრო მის გამოჩენას. (რადგანაც შევიტყეთ), რომ იგი მიადგა რკინის კარს, ე. ი. დარუბანდს, რომლის მოსახლეობამ თავისი სურვილით ჩააბარა მას ციხესიმაგრე. მაგრამ არ ვიცი შემდეგ რა მოხდა: ზოგმა თქვა რომ ავადმყოფობისა და სხვა უბედურებისაგან დიდი ზარალი მოუვიდა რუსთა ხელმწიფის ჯარს და დაეხოცათ ცხენები, რადგანაც ამ ქვეყნის ჰავა მათთვის უჩვეულო იყო, ზოგმა კი გემების ჩაძირვა თქვა, რაც იარაღის, ე. ი. არსენალისა და ჯარის ჯამაგირის დაღუპვას ნიშნავდა; ზოგი სხვა მიზეზებს ასახელებდა. რა მიზეზიც არ უნდა ყოფილიყო (რუსთა ხელმწიფე) იქიდან უკან გაბრუნდა, მრავალრიცხოვანი ჯარი დატოვა დარუბანდში და დაჰპირდა, რომ მომავალ წელს კვლავ მოვიდოდა და გაემართა თავისი ქვეყნისაკენ“.

ესაია ჰასან ჯალალიანი. სომეხი პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე. XVII საუკუნე

წყარო

დავით გურამიშვილი ქართლის თავადების მიერ ვახტანგ VI-ს საგარეო პოლიტიკის შეფასებასთან დაკავშირებით:

„სამი ვეშაპი ერთ ლომსა, აწ, ვითარ მიეთვისება?
მეფეს სძრახვიდნენ, იტყოდენ ეგე ვითარსა გმობასა.
სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!
ყეენის სპასალარია, თავს ირქვამს მის რაყმობასა!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა“.



დავით გურამიშვილი (1705-1792 წწ.)



ვახტანგ VI-ის ასტროლაბი. დამზადებულია ვახტანგის შეკვეთით. თანავარსკვლავედების, პლანეტებისა და სამყაროს მხარეების მაჩვენებელი წარწერები შესრულებულია ქართული მხედრულით. ეროვნული მუზეუმი

ამასობაში ვითარება დაიძაბა ირანში. 1722 წელს ისპაჰანი ავღანელებმა აიღეს. ირანის შაჰი იძულებული გახდა თავრიზში გაქცეულიყო. 1723 წელს ვახტანგზე განრისხებულმა ირანის შაჰმა იგი გადააყენა ტახტიდან და ქართლი კახეთის მეფეს, კონსტანტინეს უბოძა. შაჰის განკარგულებით, თბილისის ციხეში მყოფმა ირანულმა გარნიზონმა ქალაქს ზარბაზნებით სროლა აუტეხა. ამასობაში კონსტანტინეც მოადგა თბილისს თავისი ჯარით. მალე საქმეში ჩაერია ოსმალეთი, რომელმაც ისარგებლა ირანის დასუსტებით და 1723 წელს თავად დაიწყო ქართლის სამეფოზე შეტევა. ვახტანგ VI-მ ვერ მოახერხა ოსმალეთთან მორიგება და იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. ქართლის მეფე რუსეთთან კავშირის გამო მიუღებელი აღმოჩნდა ერთდროულად როგორც ირანისათვის, ასევე ოსმალეთისთვის. 1724 წელს რუსეთმა და ოსმალეთმა გააფორმეს შეთანხმება, რომლითაც ირანის ყოფილი ტერიტორიები და გავლენის სფეროები, მათ შორის, საქართველოც, გადაინაწილეს. სწორედ ამ ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ რუსეთის იმპერია ქართლს ოსმალეთს უთმობდა, ვახტანგის გეგმა საბოლოოდ ჩაიშალა.

ვახტანგ VI-ს საქართველოში არ დაედგომებოდა და 1724 წელს 1200 მომხრის თანხლებით რუსეთში გაემგზავრა. მის ამალაში შედიოდა ქართლის სამეფოს ფეოდალური არისტოკრატიის ნაწილი, მწერლები, მეცნიერები, სასულიერო პირები.



კადრი ფილმიდან „დავით გურამიშვილი“. ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორთან აუდიენციის დროს. ფილმის დამდგმელი რეჟისორები: ნიკოლოზ სანიშვილი და იოსებ თუმანიშვილი. ვახტანგ VI-ის როლში – ალექსანდრე ომიაძე.

ვახტანგ VI რუსეთში

ქართლის მეფეს იმედი ჰქონდა, რომ იმპერატორი პეტრე I ქვეყნის დასახსნელად ჯარს გამოატანდა, მაგრამ ამაშიც იმედგაცრუება ელოდა. პეტრე I 1725 წელს გარდაიცვალა. ვახტანგ VI შეეცადა, მოლაპარაკება ეწარმოებინა რუსეთის იმპერიის ახალ ხელმწიფესთან, ეკატერინე I-თან, მაგრამ არც ამან გამოიღო შედეგი. პეტრეს გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფოს საკითხმა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა შეიძინა. ვახტანგ VI-ს სიცოცხლის ბოლომდე რუსეთში დარჩენა მოუწია. იგი 1737 წელს გარდაიცვალა ასტრახანში.



ვახტანგ VI-ის საფლავი ასტრახანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში (რუსეთის ფედერაცია)

კითხვები

13. დავით გურამიშვილი წერს: ვახტანგი „სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა“. რომელ სახელმწიფოებს გულისხმობს პოეტი?
14. რა აიძულებდა ვახტანგს, ერთდროულად სამივე იმპერიასთან ეძებნა საერთო ენა? როგორ აფასებდნენ ქართლის თავადები მეფის ამ პოლიტიკას?
15. პეტრე პირველის უკან გაბრუნების მიზეზებზე ჯალალიანი წერს: „ზოგმა თქვა... ზოგმა კი... ზოგი სხვა მიზეზებს ასახელებდა“. რატომ ვერ ასახელებს მოვლენების თანამედროვე ავტორი ზუსტ მიზეზს? როგორ უნდა მოეკიდოს ისტორიკოსი ასეთ, გადმოცემებზე დაფუძნებულ ცნობას?
16. 1722 წელს დარბაზის უმრავლესობა ირანის წინააღმდეგ გალაშქრებას ეწინააღმდეგებოდა, მეფემ ეს აზრი არ გაითვალისწინა. მოვლენების შემდგომი განვითარების მიხედვით, ვისი პოზიცია აღმოჩნდა უფრო შორსმჭვრეტელი – დარბაზის თუ მეფის?

მეცნიერის თვალსაზრისი

გაწბილებულმა ვახტანგ VI-მ 1724 წლის ივლისში სამშობლო დატოვა და 1200 კაცით რუსეთს გადავიდა. მთელმა ქართულმა მოწინავე, პროგრესული საზოგადოების ნაწილმა დასტოვა სამშობლო იმ იმედით, რომ მეფის რუსეთი დაეხმარებოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. ვახტანგ VI-ის თაობამ ქართული სახელმწიფოებრიობა ვერ აღადგინა და ქვეყანა გავერანდა. რუსეთის ხელისუფლებამ ხელი არ შეუწყო მასთან მყოფ ვახტანგ VI-ს, რათა 1726, 1728 და 1734 წლებში ირანთან მოლაპარაკება ეწარმოებინა. ვახტანგ VI-მ არ მიიღო რუსული ქვეშევრდომობა და რუსეთის იმპერიის ცენტრიდან ასტრახანში გადავიდა. 1737 წელს გარდაცვლილი ქართლის მეფის ნეშტი ასტრახანის ცივმა მიწამ მიიბარა.

პროფესორი მანანა ქიქოძე

დავალებები

1. პარაგრაფის სათაური ვახტანგ VI-ს კანონმდებელსა და რეფორმატორს უწოდებს – მისი მეფობა კი ქვეყნის დატოვებით დასრულდა. იმსჯელეთ არგუმენტებით საკითხზე: იმსახურებს თუ არა ვახტანგ VI ამ შეფასებას, თუკი მისი პოლიტიკური მოღვაწეობა მარცხით დასრულდა? ა) განსაზღვრეთ, რა იყო ვახტანგის მოღვაწეობის მთავარი მიზანი, შემდეგ კი შეაფასეთ: რა შედეგი გამოიღო მისმა რეფორმებმა, კულტურულმა საქმიანობამ და საგარეო პოლიტიკამ; ბ) გამოიყენეთ პარაგრაფის სამი წყარო ან შეფასება; გ) მსჯელობა დაასრულეთ საკუთარი დასკვნით: რით უნდა შევაფასოთ მეფის მოღვაწეობა – იმით, რასაც სიცოცხლეში მიაღწია, თუ იმითაც, რაც მისმა საქმეებმა მომდევნო თაობებს დაუტოვა?



I.16. სოლომონ I – „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლმჩქეფე, იმერთ მეფე“



მეფე სოლომონ I (1752-1784 წწ.) ხელოვნების მუზეუმი

კითხვები

1. როგორი ვითარება იყო სოლომონის გამეფების წინ დასავლეთ საქართველოში?







„მეფე სოლომონ დავითიანი“, სოლომონ I-ის ხელრთვა, მის მიერ 1772 წელს წულუკიძეებისათვის ბოძებული სიგელიდან. ქუთაისის მუზეუმი

დასავლეთ საქართველო სოლომონის გამეფებამდე

დასავლეთ საქართველოში, XVIII საუკუნეში, რამდენიმე პოლიტიკური ერთეული არსებობდა: იმერეთის სამეფო, რომელსაც ბაგრატიონები მართავდნენ და რამდენიმე სამთავრო (იხ. რუკა 14). დასავლეთ საქართველოში მეფე-მთავრებს შორის არსებული ურთიერთდაპირისპირებები მთელ ქვეყანას ასუსტებდა. XVII საუკუნის 60-იანი წლებიდა მოყოლებული იმერეთის ტახტისთვის ატყდა ბრძოლა. ბრძოლებში, დასავლეთ საქართველოს სამეფო და სამთავრო ოჯახების გარდა, ქართლის მეფის ოჯახიც მონაწილეობდა. იმერეთის მეფის ტახტზე ერთმანეთს ცვლიდა ბაგრატიონი, გურიელი, დადიანი, აბაშიძემაც მოახერხა ტახტზე ასვლა.

ბაგრატიონების საგვარეულოდან კანონიერი მეფეები ხშირად ამ ძლიერი სათავადო საგვარეულოების ნებით ხდებოდნენ და კარგავდნენ მეფობას.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, 30 წლის განმავლობაში, იმერეთის ტახტზე 12-ჯერ ავიდა მეფე, 3 მოკლეს, დანარჩენი ჩამოაგდეს. ამ ამბებში აქტიურად ერეოდა ოსმალეთი. ტახტისთვის დაპირისპირებით დასავლეთ საქართველოში ოსმალეთი თავის ბატონობას აძლიერებდა.

იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს (1721-1752 წწ.) რთულ ვითარებაში უხდებოდა მეფობა, მას ქართლის მეფე ვახტანგ VI მხარში ედგა. მაგრამ მალე ისიც რუსეთში გადაიხვეწა და აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალობა“ დამყარდა. ამის შემდეგ იმერეთის სამეფოშიც, ბუნებრივია, ოსმალების ბატონობა გაძლიერდა და მათ შავი ზღვის სანაპირო ციხეებიც დაიკავეს. ოსმალების გარნიზონები იდგა ბათუმის, ციხისძირის, ქობულეთის, ფოთისა და სოხუმის ციხეებში, მათ ხელში იყო შორაპნის, ცუცხვათის, ბაღდათისა და თვით ქუთაისის ციხეც. ამის მიუხედავად, ოსმალებმა დასავლეთ საქართველოს სრული დაპყრობა და „ოსმალობის“ დამყარება მაინც ვერ მოახერხეს. ადგილობრივი მოსახლეობა დამპყრობლებს დიდ წინააღმდეგობას უწევდა.

გამეფება

იმერეთის მეფე ალექსანდრე V 1752 წელს გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა მისი 17 წლის ვაჟი – სოლომონ I.

სოლომონის გამეფებას წინ უძღოდა თითქმის საუკუნოვანი არასტაბილურობა დასავლეთ საქართველოში. ბუნებრივია, ყველას თავისი მოპოვებული მდგომარეობის შენარჩუნება სურდა, ამიტომ ახალგაზრდა მეფეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მას გამეფებისთანავე დაუპირისპირდა ბაბუა – ლევან აბაშიძე, რომელმაც შეძლო ამ შეთქმულებაში მეფის ოჯახის სხვა წევრებიც გადაებირებინა – მეფის ორი ბიძა – მამუკა და გიორგი ბატონიშვილები და თვით სოლომონის დედა – თამარ აბაშიძე. აჯანყებულებმა ახალგაზრდა მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს. სოლომონ I ახალციხის ფაშასთან გაიქცა და მალე შეძლო ფაშას დახმარებით ტახტის დაბრუნება. მან საკუთარი ოჯახის წევრები მკაცრად დასაჯა. იმერეთის მეფე შეურიგებელი იყო

იმ დროს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ადამიანებით ვაჭრობის, ანუ „ტყვის სყიდვის“ მიმართ. დასავლეთ საქართველოში ერთმანეთთან ბრძოლის დროს ატყვევებდნენ, ან ადგილობრივი და უცხოელი მეკობრეები იტაცებდნენ ადამიანებს და ოსმალეთის ბაზარზე მიჰყავდათ. „ტყვეთა სყიდვა“ ფეოდალების მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროც იყო, ისინი ხშირად თავიანთ გლეხებსაც ყიდდნენ. გარდა ამისა, ოსმალეთი ხარკის სახით ადამიანების გაგზავნასაც ითხოვდა.

სოლომონმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ერთგული თავადები, მოხერხებულად შემოირიგა ოდიშისა (სამეგრელოს) და გურიის მთავრები და ამით ძლიერი მომხრეები ჩამოაცილა თავის მტრებს – რაჭის ერისთავსა და ლევან აბაშიძეს. ამ ყველაფერმა იმერეთის მეფის ხელისუფლება გააძლიერა და განამტკიცა.

ლექსიკონი

„ტყვის სყიდვა“ – დასავლეთ საქართველოში, XV-XVIII საუკუნეებში, გავრცელებული ადამიანებით ვაჭრობის ფორმა. ტყვეებად, ძირითადად, ბავშვები და ახალგაზრდები მიჰყავდათ და სხვადასხვა ბაზარზე ყიდდნენ.

კითხვები

2. მე-14 რუკის მიხედვით, რამდენ პოლიტიკურ ერთეულად იყო დაყოფილი XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველო? დაასახელეთ თითოეული.
3. მე-14 რუკის დახმარებით მიჰყევით ოსმალთა 1757 წლის ლაშქრობის მარშრუტს და იპოვეთ ხრესილის ბრძოლის ადგილი. დააკვირდით, სად მდებარეობდა იმერეთის სამეფო და მისი მეზობელი სამთავროები. რატომ ართულებდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცება ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას?
4. რა იყო „ტყვის სყიდვა“ და ვისთვის მოჰქონდა მას სარგებელი?

რუკა 14. დასავლეთი საქართველო XVIII საუკუნის 50-იან წლებში



კითხვები

5. რა მნიშვნელობა ჰქონდა ხრესილის ბრძოლაში გამარჯვებას დასავლეთ საქართველოსთვის?
6. როგორ მოახერხა სოლომონ I-მა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ცენტრალური ძალაუფლების განმტკიცება?
7. რა ღონისძიებებს მიმართა სოლომონ I-მა „ტყვეთა სყიდვის“ ასაკრძალად?

იმერეთის მეფის გაძლიერება და, განსაკუთრებით, იმერეთიდან ტყვეების გაყვანის აკრძალვა არ მოსწონდა ოსმალეთის სულთანს. მისი ბრძანებით, ახალციხის ფაშამ სოლომონს არაერთხელ მიმართა, რომ ადამიანებით ვაჭრობა იმერეთში კვლავ ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისს შეუდგა. მეფემ 1757 წელს გადამწყვეტ ბრძოლაში ხრესილთან სასტიკად დაამარცხა ოსმალების დიდი ლაშქარი. ამის შემდეგ 1758 წელს იმერეთის, ქართლისა და კახეთის მეფეებმა სამხედრო კავშირიც გააფორმეს.

იმერეთის სამეფოს განმტკიცება

სოლომონის ინიციატივით, 1759 წლის დეკემბერში მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელსაც მღვდელმთავრები და გავლენიანი საერო პირები ესწრებოდნენ. საეკლესიო საკითხების გარდა, მიიღეს დადგენილება ადამიანებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ. ამ საქმის ინიციატორი და ხელმძღვანელი პირადად სოლომონ მეფე იყო.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში ოსმალებმა არაერთხელ შეუტიეს იმერეთს. მაგრამ სოლომონმა რამდენიმე დიდი მარცხი აგემა მათ. სოლომონმა თავად წერეთლის მხარდაჭერით, 1768 წელს საბოლოოდ დაამარცხა ტახტის მოცილე ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე, რომელსაც რაჭის ერისთავი ეხმარებოდა. მეფემ თეიმურაზ ბატონიშვილი ტყვედ ჩაიგდო და მუხურის ციხეში გამოკეტა. ამის შემდეგ როსტომ რაჭის ერისთავმა მეფესთან შერიგება მოისურვა, მაგრამ სოლომონმა აღარ აპატია. რაჭის ერისთავი შვილებიანად შეიპყრო და დასაჯა. რაჭის საერისთავოს დიდი ნაწილი სამეფოს საკუთრებად გამოაცხადა, დანარჩენი კი ერთგულ ქვეშევრდომებს დაურიგა. ძლიერი ფეოდალური ერთეულის გაუქმებამ კიდევ უფრო განამტკიცა იმერეთის სამეფოს მთლიანობა.

წყარო

ამონარიდი საეკლესიო კრებაზე მიღებული დადგენილებებიდან:

„კაცის სყიდვისა ესე გავაჩინეთ:

რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ან დიდმან, ან მცირემან, ან თავადმან, ან აზნაურმან და ან გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან (წმინდანებისგან) შეჩუენებულ (დაწყევლილი) იყოს და განხდილი“.

ეს საინტერესოა

„ფიცის კაცები“

სოლომონ I-მა გადაწყვიტა, სამეფო კარის თავადებისა და აზნაურებისგან შეექმნა მეფის უერთგულეს კაცთა რაზმი. ასე ჩამოყალიბდა მანამდე უცნობი ორგანიზაცია, რომელსაც „ფიცის კაცნი“ ეწოდებოდა. „ფიცის კაცები“ იმერეთის სამეფოს სხვადასხვა სოფელში მცხოვრები მეფის ერთგული პირები იყვნენ: თავადი ლორთქიფანიძეები, აზნაურები: მესხები, ავალიანები, იოსელიანები, ღოღობერიძეები, მიქაბერიძეები, ყიფიანები, ქორქაშვილები, იაშვილები, უგრეხელიძეები, გრიგალაშვილები და ჭაბუკიანები. „ფიცის კაცები“ წელიწადში ერთხელ – 15 მაისს – ოჯახებით წინასწარ არჩეულ ადგილზე იკრიბებოდნენ, ფიცს დებდნენ, რომ მეფის ერთგულები იქნებოდნენ.

სოლომონ I და რუსეთ-ოსმალეთის 1769-1774 წლების ომი

ოსმალეთთან ურთიერთობებში საბოლოო წარმატების მოსაპოვებლად სოლომონ I რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებასა და მისი ინტერესების გამოყენებას ფიქრობდა. ამ მიზნით, სოლომონმა 1768 წელს რუსეთში ელჩი მიავლინა, მფარველობა ითხოვა, სანაცვლოდ კი, ოსმალეთთან ომის შემთხვევაში დახმარებას სთავაზობდა. 1769 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომიც დაიწყო, რუსეთმა საქართველოში გენერალ ტოტლებენის მეთაურობით ჯარი გამოგზავნა. აღმოსავლეთ საქართველოში ჩადენილი ღალატის გამო ტოტლებენი იძულებული გახდა, იმერეთში გადასულიყო.




ოსმალების განდევნის შემდეგ დანგრეული ბაგრატის ტაძრის ერთ ნაწილში სოლომონმა ეკლესია მოაწყო და წირვა-ლოცვა აღადგინა

სოლომონმა ისარგებლა ასპინძასთან 1770 წელს ქართლ-კახეთის ჯარების მიერ ახალციხის ფაშას დამარცხებით და ოსმალებისგან ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები გაათავისუფლა. ასევე დაიკავა ქუთაისი და მის ციხეს ალყა შემოარტყა. იმერეთში გადასვლის შემდეგ ტოტლებენმა და იმერეთის მეფემ ერთად აიღეს ბაღდადის ციხე. ოსმალები განდევნეს ქუთაისის ციხიდანაც. 1770 წლის ოქტომბერში ტოტლებენი რუსეთის ჯარით ფოთის ციხეს მიადგა, მაგრამ ვერ აიღო. იმავდროულად ტოტლებენმა იმერეთშიც მეფის მოწინააღმდეგეებთან გააბა კავშირები. ამიტომ, ბუნებრივია, მისი და სოლომონის ურთიერთობა გამწვავდა. რუსეთის საიმპერატორო კარი დარწმუნდა, რომ ტოტლებენის მოქმედება ქართველი მეფეების რუსეთისადმი ნდობას ძირს უთხრიდა და იგი გაიწვიეს. მის ნაცვლად გენერალი სუხოტინი გამოგზავნეს. არც ის ითვალისწინებდა საქართველოს ინტერესებს და ქართველების აზრს, ამიტომ ვერ შეეწყო ქართველ მეფეს, და ოსმალებთანაც მარცხდებოდა. ამდენი წარუმატებლობის გამო რუსეთმა 1772 წლის მაისში საქართველოდან ჯარი საერთოდ გაიყვანა, რითაც ოსმალებმა ისარგებლეს და გურიას წაართვეს ქობულეთის მხარე და ტრაპიზონის ვილაიეთს მიუერთეს.

1774 წლის იანვარში ოსმალების ოთხი ათასიანი ჯარი იმერეთში შევიდა. მტერი იმერლებმა მდინარე ჩხერიმელას ხეობაში მიიმწყვ-

კითხვები

8. რატომ გაიყვანა რუსეთის იმპერიამ 1772 წლის მაისში ჯარი საქართველოდან?



სოლომონ I-ის მიერ გაცემული სიგელები, ქუთაისის მუზეუმი

კითხვები

9. რა იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს იმერეთის სამეფოს ინტერესი?
10. წყაროს მიხედვით, რა დათმობებზე მიდიოდა ოსმალეთი იმერეთის სამეფოს წინაშე? რამდენად შეესაბამებოდა ზავის პირობები ქართული მხარის მოლოდინებს?


დიეს და ერთიანად გაანადგურეს. ამასობაში რუსეთმა ოსმალეთთან ქუჩუქ-კაინარჯში ზავი გააფორმა. ამ ხელშეკრულების 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოს შეეხებოდა. იმერეთის სამეფოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა და სოლომონის ხელისუფლებაც უფრო განმტკიცდა. ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, სოლომონ მეფის გმირული ბრძოლის შედეგად იქნა მიღწეული.

წყარო

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლის შინაარსი:

„(იმერეთისა) და სამეგრელოს ნაწილში, ბაღდადის, ქუთათისისა და შორაპნის ციხესიმაგრეებს..., რუსეთი აღიარებს მათ საკუთრებად, ვისაც ისინი უძველესი დროიდან ეკუთვნოდა, ამიტომ თუ ეს ქალაქები მართლაც უძველესი დროიდან ან დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ მაღალი ოსმალეთის მფლობელობაში, ისინი აღიარებულნი იქნებიან მის საკუთრებად... ოსმალეთი, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას, პირველი მუხლის შინაარსის შესაბამისად, სრული ამნისტია მიანიჭოს ამ რეგიონში მცხოვრებ ყველა იმ პირს, რომლებმაც ამჟამინდელი ომის დროს რაიმე ფორმით შეურაცხყო იგი. ოსმალეთი საზეიმოდ და სამუდამოდ უარს ამბობს მამაკაცებისა და ქალების ხარკის მოთხოვნაზე და ნებისმიერი სხვა სახის გადასახადზე და იღებს ვალდებულებას, რომ არც ერთი მათგანი (დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები) არ მიიჩნიოს თავის ქვეშევრდომად. იმათ გარდა, ვინც მას უძველესი დროიდან ეკუთვნოდა. ყველა ციხე და გამაგრებული ადგილი, რომელიც ადრე ქართველებსა (იმერეთის სამეფოს) და მეგრელებს (ოდიშის სამთავროს) ეკუთვნოდა, მათივე დაცვისა და ადმინისტრაციის ქვეშ უნდა დარჩეს. ასევე, ოსმალეთი არანაირი სახით არ შეავიწროვებს ქართველების სარწმუნოებას, მონასტრებსა და ეკლესიებს, არც ძველების გაუმჯობესება და არც ახლის მშენებლობა არ უნდა შეფერხდეს... რადგან დასახელებული ხალხები ოსმალეთის ქვეშევრდომები არიან, რუსეთის იმპერიას აღარ აქვს უფლება, ჩაერიოს მათ საქმეებში ან დაჩაგროს ისინი“.

მეცნიერის თვალსაზრისი



სოლომონ I-ის შესახებ:

სოლომონ მეფე მთელი სიცოცხლის განმავლობაში გმირულად ებრძოდა როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებს, არც ერთ მეფეს იმერეთის სამეფოს ოთხსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ისეთი სახელი არ დარჩენია, როგორც სოლომონ პირველს. მას დიდად აფასებდნენ როგორც მისი თანამედროვენი, ისე შთამომავლობა, ვითარცა სწორუპოვარ სარდალს, წინგამხედ პოლიტიკოსს... სოლომონის სახელი ცნობილი იყო არა მარტო ახლო ქვეყნებში, არამედ შორეულ ევროპაშიც კი. სოლომონ მეფეს ჩვენმა ხალხმა და ისტორიამ „დიდი“ უწოდა, ქართულმა ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ მას საპატიო ადგილი მიუჩინა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ერეკლე მეფის გვერდით.

პროფესორი მიხეილ რეხვიაშვილი



სოლომონ I-ის თოფი. ქუთაისის მუზეუმი

მეფობის ბოლო წლები და მემკვიდრეობის საკითხი

სოლომონს მეფობის ბოლო პერიოდში შინაურ თუ გარეშე მტრებთან კვლავ უხდებოდა ბრძოლა. 1779 წელს ოსმალეთის წაქეზებითა და დავალებით, ოდიშში აფხაზებისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელებისაგან შემდგარი ჯარი შეიჭრა. სოლომონი მაშინვე გაემართა დადიანის დასახმარებლად და რუხის ციხესთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

სოლომონმა იმერეთიდან ოსმალების გაძევების შემდეგ მიზნად დაისახა აჭარიდან და გურიიდან მათი განდევნა. ამ მიზნით მეფემ ორი ლაშქრობა მოაწყო, თუმცა უშედეგოდ.

1784 წლის 23 აპრილს მეფე გიორგობის აღსანიშნავად ემზადებოდა, როდესაც უეცრად შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა. სოლომონ I დაკრძალეს გელათის ღვთისმშობლის ტაძარში.

სოლომონ I-ს პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩა, მისი ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი 1780 წელს გარდაიცვალა. ამიტომ მან გადაწყვიტა ტახტის მემკვიდრის საკითხი თავის სიცოცხლეშივე მოეგვარებინა, რათა მის შემდეგ მეფობისთვის ბრძოლა აღარ დაწყებულიყო. 1783 წელს მან იმერეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრედ თავისი ძმისშვილი და ერეკლე II-ის შვილიშვილი, დავით არჩილის ძე (მომავალი სოლომონ II) გამოაცხადა.




იმერეთის მეფე სოლომონ II
(1789-1810 წწ.)

წყარო

იმერეთის მეფე სოლომონ II (1789-1810 წწ.) სოლომონ I-ის შესახებ:

„უშჯულოთა მაჰმადიანთა ძირითურთ აღმომფხვრელი და ქრისტესთვის მრავალგზის სისხლდათხეული იმერთა მეორე აღმაშენებელი ბატონი ბიძაჩემი მეფე სოლომონ გარდაიცვალა და ვითარცა სურვილი იყო საფარველსა შენსა ეგრეთ მიემთხვა და მრავალმოღვაწე გვამი მისი დაიდვა წმინდა დიდებულსა ტაძარსა (გელათს)“.



სოლომონ I-ის დროინდელი ზარბაზნები.
ქუთაისის მუზეუმი

კითხვები

11. რა მიზნები ჰქონდა სოლომონს მეფობის უკანასკნელ წლებში?

დავალებები

1. რატომ იყო XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში მუდმივი ბრძოლა ტახტისთვის? გამოყავი სამი ძირითადი მიზეზი: ა) საშინაო, ბ) საგარეო, გ) დინასტიური
2. გაეცანით მიხეილ რეხვიაშვილის თვალსაზრისს და დაასაბუთეთ მისი მოსაზრება სოლომონ I-ის შესახებ.



I.17. ერეკლე II

ერეკლე II-ის ხელრთვა



ერეკლე II-ის პორტრეტი. უცნობი მხატვარი, ხელოვნების მუზეუმი



პატარა კახი. უცნობი მხატვარი. ხელოვნების მუზეუმი

დაბადება და უფლისწულობა

ერეკლე ბატონიშვილი მეფე თეიმურაზისა და დედოფალ თამარის ოჯახში პირველი შვილი იყო. უფლისწული მამის მხრიდან მეფე ერეკლე I-ის (ნაზარალი ხანის), დედის მხრიდან კი მეფე ვახტანგ VI-ის შვილიშვილი გახლდათ. ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგი იესე ბარათაშვილი მეფე ერეკლეს დაბადების შესახებ წერდა: „ღვინობისთვის 7 ბატონის შობის დღე იყო“, ანუ მეფე ერეკლე 1720 წლის 7 ოქტომბერს (მეორე ვერსიით 7 ნოემბერს) თელავში, „ბატონის ციხეში“ მოევლინა ქვეყნიერებას.

ერეკლე მეფის პირველი საბრძოლო ნათლობა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ლეკების წინააღმდეგ 1735 წელს გაიმართა. „პა-



კახეთის სამეფო ოჯახი. მინიატურა 1708 წლის სიგელზე.

ერეკლე II-ის მამა, თეიმურაზ ბატონიშვილი, ბიძა – მეფე დავით II, პაპა – ერეკლე I ნაზარლი-ხანი; ბიძა – მეფე კონსტანტინე II. ხელოვნების სასახლე

ტარა კახმა“ ქიზიყის მარბიელი ლეკები ნეიშნის ველზე სასტიკად დაამარცხა..

1735 წელს ნადირშაჰმა ერეკლე და მისი და ბატონიშვილი ქეთევანი ირანში გამოიძახა. 1737 წელს 17 წლის ერეკლე დასთან ერთად ირანში გაემგზავრა და შაჰთან გამოცხადდა. ნადირშაჰმა თეიმურაზის ქალიშვილი ქეთევანი თავის ძმისწულს მიათხოვა, ერეკლე თავისთან დაიტოვა, რათა ინდოეთის ლაშქრობაში ხლებოდა, თეიმურაზი კი საქართველოში გამოუშვა. თითქმის ორწელიწად-ნახევარი დაყო ერეკლემ ნადირშაჰთან. ახალგაზრდა ბატონიშვილისთვის ეს იყო შესანიშნავი სკოლა, სადაც მან საფუძვლიანად შეისწავლა ირანის სამხედრო და სამოქალაქო წყობა, გაიწაფა აღმოსავლეთის დიპლომატიაში, პოლიტიკასა და სტრატეგიაში.

1739 წელს ნადირშაჰმა ქართველი ბატონიშვილი დიდი ქებითა და საჩუქრებით სამშობლოში გამოისტუმრა. ამ დროს ერეკლე 19 წლისა იყო.

კითხვები

1. რა გამოცდილება შეიძინა ერეკლემ ირანში ყოფნისას?
2. როგორ შეიძლება დახმარებოდა ეს გამოცდილება მას მოგვიანებით ქართლ-კახეთის სამეფოს მართვაში?

ლექსიკონი

მდივანბეგი – შუა საუკუნეების საქართველოში უმაღლესი მოსამართლე.

წყარო

ერეკლეს შესახებ

„ხოლო წელსა 1735 მოვიდნენ ლეკნი და ქისიყი მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი წლისა 15... მებრძოლი ერეკლეს მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყივილით და წინარიქციეს ჯარი ლეკისა, აჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი“. ხალხმა განსაკუთრებით შეიყვარა მამაცი უფლისწული და მას „პატარა კახი“ უწოდა“.

ომან ხერხეულიძე. მეფის კარის ისტორიკოსი. XVIII საუკუნე

წყარო

თეიმურაზ II-ის წერილი შვილს, ერეკლე უფლისწულს

„საყვარელო შვილო ჩემო! სადაც უბედურება ხდება, იქ შეიძლება სიკეთეც გამოჩნდეს. იძულებული ვარ, ეს წერილი მოგწერო: შაჰი მზად არის ტყვეობიდან გამათავისუფლოს, მაგრამ ამისთვის ითხოვს, რომ შენ სპარსეთში ჩამოხვიდე და თან წამოიყვანო ჩემი ასული, შენი და ქეთევანი. მხოლოდ შენი აქ ჩამოსვლა შეძლებს ჩემს გათავისუფლებას ტყვეობიდან. ასეთია შაჰის ნება“.

ერეკლე II-ის სასახლე თელავში



მეფობა

ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე წერს: 1744 წელს ნადირ-შაჰ-მა „მოუბოძა ქართლის მეფობა თეიმურაზს და კახეთის მეფობა – ირაკლის, ძესა მისსა“. შაჰმა ქართლ-კახეთის მეფეები ქრისტიანობის უფლებით აღიარა. ეს კი ქართველობის დიდი გამარჯვება იყო. 1745 წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში, პირველად საუკუნოვანი პაუზის შემდეგ, ქართლის მეფედ ქრისტიანული წესით თეიმურაზ II ეკურთხა. თეიმურაზის მეფედ კურთხევისა და ერეკლეს კახეთში მეფედ დამკვიდრების შემდეგ (1744-1745 წწ. ოქტომბერში) ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ახალ, უფრო ხელსაყრელ ფაზაში შევიდა. ძველი წყაროს ცნობით, „200 წელს გაევლო, მემკვიდრე მეპატრონედ აღარავინ მჯდარიყო ქართლსა... იყო სამი დღე ლხინი უზომი, სიხარული ფრიადი... ამისთვის უფრო სიხარული ჰქონდათ, მემკვიდრე ქრისტეს მოყვარე მეფე დაუჯდათ და ამით ყოველი შეჭირვება დაავიწყდათ ქართველთა“.



ნადირ-შაჰი (1736-1747 წწ.)

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მამა-შვილის მიერ, ფაქტობრივად, გაერთიანებულმა ქართლ-კახეთის სახელმწიფომ უმოკლეს დროში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. 1748 წელს ქართლ-კახეთმა უკანასკნელად გადაუხადა ხარკი ირანს. ირანელთა მომხრე ბაგრატიონის, აბდულა ბეგის, დამარცხების შემდეგ კი ერეკლემ ქვემო ქართლის ციხეები დაიმორჩილა, დალაშქრა ყაზახი, ბორჩალო, ბაიდარი, დაარბია სამშვილდე. ამ სამხედრო მოქმედებების შემდეგ იკლო ლეკთა თარეშმა. ომებისაგან დასვენებულ ქართლ-კახეთში აღმშენებლობა დაიწყო, მეფე ერეკლეს ბრძანებით, განახლდა და აღდგა გორის, სიღნაღის, თელავის, გრემის, პატარძეულის ციხესიმაგრეები და გალავნები.



მეფე ერეკლეს ხალათი.
ხელოვნების მუზეუმი



მეფე ერეკლეს სათვალე.
ხელოვნების მუზეუმი



ერეკლე II-ის საწერი მაგიდა
და მისი პირადი ნივთები
თელავის სასახლიდან

მეფე ერეკლე და მსოფლიო

XVIII საუკუნეში ოსმალეთი უზარმაზარ ტერიტორიებს ფლობდა აზიაში, აფრიკასა და ევროპაში. იგი აკონტროლებდა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტებსა და სავაჭრო გზებს. XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში გაძლიერდა სპარსეთის იმპერიაც. ევროპაში ამ დროს საკმაოდ პოპულარული ხდება აზიის ორ დიდ იმპერიასთან მებრძოლი ქრისტიანული სახელმწიფოს ლიდერის, ერეკლე II-ის სახე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან წარმატებას მიაღწია კავკასიის მასშტაბით.

1750 წელს ერეკლემ დაამარცხა ჯერ ნადირ-შაჰის მკვლელობაში მონაწილე მაჰმად-ხანი და შემდეგ – ყარაბაღის მფლობელი ფანა-ხანი. 1760 წელს ქართველმა მეფემ ტყვედ იგდო სპარსეთის ტახტის ერთ-ერთი უძლიერესი პრეტენდენტი აზატ-ხანი, საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია შაქისა და ნახჭევანის მფლობელები.

განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ერთობლივი მოქმედება. მათი ძალისხმევით, სულთანმა 1765-1766 წლებში იმერეთის საბოლოოდ დაკავება ვერ შეძლო და ვერც „ტყვეთა სყიდვა“ აღადგინა.1782 წლამდე ერეკლე II ევროპელ მონარქებს სამხედრო და ფინანსურ დახმარებას სთხოვდა, მაგრამ კავკასია მათთვის შორეული რეგიონი იყო და დახმარება ქართლ-კახეთმა ევროპიდან ვერ მიიღო. ამის შემდეგ ერეკლე იძულებული გახდა, რუსეთის იმპერიასთან ეძებნა კავშირი. 1783 წლის 24 ივლისს გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობას აღიარებდა, თუმცა ინარჩუნებდა საშინაო დამოუკიდებლობასა და ეკლესიის ავტოკეფალიას. შეთანხმების მიხედვით, საქართველოში რუსული ჯარიც უნდა მდგარიყო ქვეყნის დასაცავად.



ერეკლე მეფის ბრძანებით მოპოვებული ოქროსაგან დამზადებული ბარძიმი. ხელოვნების მუზეუმი

ლექსიკონი

ტრაქტატი – საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება.

ეს საინტერესოა

ერეკლესა და სოლომონის ელჩები სტამბოლში

1766 წელს კი ერეკლესა და სოლომონის ელჩები სტამბოლში ჩავიდნენ და საკუთარი პირობებით შეთავაზებული ზავი გააფორმეს. ქართველი მეფის ეს წარმატება ევროპაში ფართო გამოხმაურების საბაბი გახდა. გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი ეფრაიმ ლესინგი თავის პიესაში ერეკლე მეფეს დიდ შეფასებას აძლევს, ქართველი მონარქის პიროვნებით დაინტერესდა დიდი ფრანგი განმანათლებელი ვოლტერიც, რომელმაც მეფე ერეკლეს შესახებ რუსეთის იმპერატორს, ეკატერინე II-ს, საგანგებო წერილი მისწერა.

კითხვები

3. რომელმა გარემოებებმა შეუწყო ხელი ერეკლე II-ის სამხედრო წარმატებებს? მსჯელობისას გაითვალისწინეთ როგორც საგარეო ვითარება (ოსმალეთისა და სპარსეთის მდგომარეობა), ისე მოკავშირეებთან თანამშრომლობა.
4. რა შედეგები მოუტანა ამ წარმატებებმა ქართლ-კახეთს? იმსჯელეთ, როგორ შეიცვალა მათი სამეფოს ადგილი და ავტორიტეტი რეგიონში.



ვოლტერი (1694-1778 წწ.). ფრანგი განმანათლებელი მხატვარი: ნიკოლა დე ლარჟირიელი. კარნავალეს მუზეუმი

განმანათლებლობის ეპოქა

ერეკლეს მეფობა ქართლ-კახეთის სამეფოსთვის პროგრესისკენ გადაგმული დიდი ნაბიჯი იყო. ხელმწიფე აქტიურად ცდილობდა ქვეყნის განვითარებას და განსაკუთრებით ყურადღებას უთმობდა მრეწველობას. მისი მმართველობის დროს გაიხსნა სხვადასხვა მანუფაქტურა მინის, აგურის, საპნისა და იარაღის წარმოებისთვის. ახტალასა და ალავერდში კი მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ ვერცხლსა და სპილენძს. სამთამადნო წარმოების განვითარების მიზნით, მეფემ ანატოლიიდან, დაახლოებით, 2000 ბერძენი მოიწვია, რადგან მათ ჰქონდათ გამოცდილება მადნის მოპოვებასა და დამუშავებაში. ასეთ მანუფაქტურებში მუშაობდნენ დაქირავებული მუშები და შრომა ნაწილდებოდა სხვადასხვა ეტაპად, რაც წარმოებას უფრო ეფექტიანს ხდიდა.

ერეკლე II ცდილობდა, ქართლ-კახეთის სამეფო არა მხოლოდ სამხედრო ძალით, არამედ განათლებისა და კულტურის განვითარებითაც გაეძლიერებინა. მისი მმართველობის დროს, 1782 წელს, თელავში დაარსდა სემინარია, სადაც ახალგაზრდები სწავლობდნენ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ფიზიკას, ისტორიასა და სხვა საგნებს. მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა ამ სასწავლებელს, ხშირად სტუმრობდა მას და წარმატებულ მოსწავლეებს აჯილდოებდა. ერეკლეს დროს აღდგა თბილისის სტამბაც, რომელიც თავდაპირველად ვახტანგ VI-ს ჰქონდა ჩამოტანილი ვლახეთიდან. სტამბაში იბეჭდებოდა ქართული წიგნები, რაც განათლების გავრცელებას უწყობდა ხელს.

ეს პერიოდი ევროპელ მისიონერთა მოღვაწეობის გააქტიურებითაც აღინიშნება. გაიზარდა ინტერესი გერმანული ენის მიმართ. 1781 წელს დაიბეჭდა იაკობ რაინეგსის „საპოლიციო, სავაჭრო და საფინანსო მეცნიერების საფუძვლები“, რომლებშიც ბატონყმობის გაუქმებაზე, ფეოდალური პრივილეგიების მოსპობაზე, მიწების გლეხობისთვის დარიგებაზე, მრეწველობის განვითარებაზე, სახელმწიფო საბაჟოების დაწესებაზე, მოსახლეობის ზრდის, განათლების ხელშეწყობაზე, სასტიკი სასჯელების გაუქმებასა და სხვა საკითხებზე იყო ლაპარაკი.

თვითონ ერეკლეც მუდამ დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ევროპაში მიმდინარე მოვლენებს. ცდილობდა, არაფერი გამოჰპარვოდა იქაური ცხოვრებიდან, რაც დააინტერესებდა და გამოადგებოდა

ლექსიკონი

მანუფაქტურა – კაპიტალისტური წარმოების ფორმა, რომელიც წინ უსწრებდა მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას.



მეფე ერეკლეს ხმალი. ეროვნული მუზეუმი



ბატონის ციხე თელავში

თავის ხალხსა და ქვეყანას. ამ მიზნით „სამეფო მწიგნობარნი“ ევროპული გაზეთებიდან ხშირად თარგმნიდნენ საინტერესო ამბებს. ამ მოვლენის თანადროულად საქართველოში გამოსცეს ამ ფაქტთან დაკავშირებული ბროშურის თარგმანი. ერეკლეს მეფობისას პოპულარული გახდა ფრანგ განმანათლებელთა იდეებიც. გამოჩნდნენ ქართველი ვოლტერიანელები, რომელთა შორის ყველაზე გამორჩეული ყოფილა მეფის ოჯახის წევრი – დავით ბატონიშვილი. ერეკლე ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და მოწყობის პროცესში პროგრესული ევროპული იდეებით ხელმძღვანელობდა.



ერეკლეს მოჭრილი მონეტა, შაური. ეროვნული მუზეუმი



ერეკლეს მოჭრილი მონეტა, აბაზი. ეროვნული მუზეუმი

კითხვები

5. ტექსტის მიხედვით დაასახელეთ, რა სიახლეები დაინერგა ერეკლე II-ის დროს მრეწველობის, განათლებისა და კულტურის სფეროებში. რომელი მათგანი მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად ქვეყნის განვითარებისთვის და რატომ?
6. რაში გამოიხატებოდა ერეკლე II-ის ინტერესი ევროპაში მიმდინარე მოვლენებისა და განმანათლებლობის იდეებისადმი? იმსჯელეთ, რას მოასწავებდა ქართლ-კახეთისთვის მეფის ეს მისწრაფება – ევროპული გამოცდილების გაზიარება და დანერგვა.

წყარო

ტიტულატურა

ერეკლე II ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი მეფე იყო საქართველოს ისტორიაში. მან რთულ პოლიტიკურ ვითარებაში შეძლო ქვეყნის გაძლიერება და გაერთიანებისკენ სწრაფვა. ერეკლეს სამეფო მნიშვნელოვან რეგიონულ ძალად ჩამოყალიბდა. ამ ძლიერებისა და გავლენის გამოხატულებაა მისი ვრცელი ტიტულატურაც, რომელიც მეფის პოლიტიკურ მდგომარეობასა და ამბიციებს ასახავს. „ირაკლი მეორე.... მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და გამგებელი განჯისა და ერევნისა“. ამ ტიტულატურიდან ცხადია, განჯისა და ერევნის სახანოები ქართლ-კახეთის სამეფოს ვასალები (ქვეშევრდომები) იყვნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი ერეკლე II-ის უზენაესობას აღიარებდნენ, ხარკს უხდიდნენ და სამხედრო ვალდებულებას კისრულობდნენ.

მეცნიერის თვალსაზრისი



ერეკლე II-ის შესახებ

ძნელია მეორე ისტორიული გმირის დასახელება, რომელიც ქართველ ერს ისე უყვარდეს, როგორც ერეკლე მეორე უყვარს. რასაკვირველია, მისი არაჩვეულებრივი პოპულარობა მარტოოდენ მისი სტრატეგიული გენიით არ აიხსნება. ის აღჭურვილი იყო ზნეობრივი ვალდებულების შეგნებით, რომელიც დღესაც წასაბაძად უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის. ის იჩენდა გასაოცარ ინტერესს მეცნიერებისა და ტექნიკური კულტურისადმი, მოულოდნელს ფეოდალური წესწყობილების მიჯნაზე მდგომარე ადამიანისთვის. ბოლოს, ის დაჯილდოებული იყო სწორი პოლიტიკური ალღოთი, რომლითაც მან არანაკლებ შეუწყო ხელი ქართველი ერის გადარჩენას, ვიდრე თავისი ხმლით.

ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე პროფესორი გერონტი ქიქოძე

წყარო

ერეკლე მეფის წერილი 5 წლის შვილს – თეკლას, დეკემბრის კთ, ქორონიკონს ჳთ (29 დეკემბერი, 1781 წელი)

მეფეს შვილის გასახარად წერილი ყველა სამეფო ბეჭდით დაუბეჭდავს. სწორედ ამან შემოგვინახა ხუთენოვანი ბეჭედი ლეგენდით „ერეკლე“ ქართულ, სომხურ, ბერძნულ, ლათინურ და სპარსულ ენებზე.

„თეკლა ბიჭსა

თეკლას, მამისა და დედის სიხარულს. მადლი, წყალობა და მშვიდობა ღვთისა მიერ და ღვთისმშობელისა მიერ და დიდისა მოწამისა ევსტათი საკვირველმოქმედისაგან. სამარადისოდ განმრავლდეს მის ზედა.

თეკლუნავ ჩემო, შენი სიბრძნით სავსე წიგნი მომივიდა, რომლისგანაც შენ ხომ იცი და გონიერი ქალიცა ხარ, როგორც მიამებოდა და მაამებდა, მაგრამ უცხოს ოსტატობით და მდივნობით იყო შენი გარჯილობა, უფრო რომ არაბულს ხელს გემსგავსებინა, მეტის სიღრმისგან ვერა აღმოვიკითხეთ და ვერც რა შევიტყვეთ. შენთვის ახლა პირს კოცნა მომიხსენებია. ჩემ მაგიერად დედაშენმა გაკოცოს. ექვსი კარგი ბროწეული გამომიგზავნია, ხვალ ღვთით კიდემ ბევრს შაქრის ყინულს და ნუღლს და შაქარს გამოგიგზავნი და თუ ღვთის ნება იქნება, ჩვენც წამოვალთ“.

წერილი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში



ერეკლე მეფის წერილი 5 წლის შვილს – თეკლას. წერილი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში

კითხვები

7. ერეკლეს რომელი პიროვნული თვისებები ჩანს გერონტი ქიქოძის თვალსაზრისიდან და ერეკლეს მეფის იმ წერილიდან, რომელიც მან შვილს მისწერა?

ლექსიკონი

ტიტული – სამეფო, საგვარეულო ან რაიმე საპატიო წოდება, რომელიც ადამიანს გადაეცემა მემკვიდრეობით ან ენიჭება რაიმე საქმეში წარმატებისა და დამსახურებისათვის.

მეცნიერის თვალსაზრისი

„მეფე ერეკლე – ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი, პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის ნიჭით უხვად დააჯილდოვა ღმერთმა. ქვეყნის გადარჩენისათვის ერეკლემ იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე შესაძლებელი იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემა და შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა შედეგი იყო დიდი პოლიტიკისა. საქართველო დარჩებოდა იმას, ვინც ირან-ოსმალეთ-რუსეთის ხანგრძლივ დაპირისპირებაში გაიმარჯვებდა. ეს გამარჯვება რუსეთს ერგო წილად. ერეკლე მეორეს შთამომავლობა პატივს უნდა მიაგებდეს იმის გამო, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, დიდი პოლიტიკისაგან განწირული სამშობლოს გადარჩენას ცდილობდა“.

პროფესორი ვახტანგ გურული

საქართველოს უკანასკნელი ლომი

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობების თანახმად, 1798 წლის 11 იანვარს ერეკლე თავის სასახლეში, იმ ოთახში და იმ საწოლში გარდაიცვალა, რომელშიც 78 წლის წინ დაიბადა... „საქართველოს უკანასკნელი ლომი“ – ასე უწოდა მეფე ერეკლეს ქართველმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ. დიდმა ქართველმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა კი მეფეს შემდეგი სიტყვები უძღვნა: „უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!“... „ერეკლე ბრწყინვალე მეფე იყო საქართველოსი“ – ასე ლაკონიურად და ამომწურავად შეაფასა 1888 წელს დიდმა ილია ჭავჭავაძემ მეფე ერეკლეს როლი ქართველი ხალხის წინაშე.




ბაგრატიონების საგვარეულო გერბი, ასლი. დაცულია ხელოვნების სასახლეში

წყარო

ბრიტანული გაზეთი „London Magazine“ 1755 წელს ერეკლეს შესახებ წერდა: „თუ იმ ადამიანებს ვენდობით, ვინც იგი ნახა და გაიცნო, – ის აღმოსავლეთის ყველაზე გამოცდილი პრინცია. ასაკით 27 წლისა, გამაოგნებელი გულადობა შესანიშნავად ერწყმის ბრძენკაცურ სიმშვიდეს. უკიდეგანო გამოცდილება, უძლეველი ვაჟკაცობა, სანიმუშო ღირსება, კეთილშობილებით სავსე სამართლიანობა და უსაზღვრო სივრცე აზროვნებისა. მისმა ღირსებებმა ის საკუთარი ხალხისა და ჯარისკაცების კერპად, მეზობლების აღფრთოვანების საგნად და მტრების შიშის ზარად აქცია! მისი სიმაღლე საკმაოზე მეტია, სხეული კარგად ჩამოსხმული, სახის წყობა მიმზიდველი, მისი მანერები და ტანსაცმელი უბრალოა, თუმცა მთლიანობაში ეს პიროვნება ისეთ დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მას საკუთარი სასახლის ღირსეულ პრინცად და არმიის შესანიშნავ გენერლად აღიქვამ. მე ერეკლეს ხასიათის შესახებ მხოლოდ სიმართლეს ვამბობ და რა უნდა იყოს სხვა მისგან მოსალოდნელი?! პრინცისაგან, რომელმაც საკუთარ თავში ამდენი ბრწყინვალე თვისება გააერთიანა; რომელიც ძლევამოსილად ფლობს საქართველოს და სპარსეთის სომხეთის ორ დიდებულ სამეფოს; ვისაც გააჩნია ყველაზე დიდი უპირატესობა, იყოს აღმოსავლეთის უმამაცესი ერების მთავარსარდალი. იმ ხალხისა, რომელიც საკუთარი პრინცისა და ქრისტიანული რწმენის დასაცავად დაუფიქრებლად გაწირავს თავს“.

კითხვები

8. ბრიტანული გაზეთის ავტორი წერს: „მე ერეკლეს ხასიათის შესახებ მხოლოდ სიმართლეს ვამბობ“. იპოვეთ ტექსტში, რით ცდილობს ავტორი მკითხველის დარწმუნებას, რომ მისი ცნობები სანდოა. რამდენად საკმარისია ეს არგუმენტები თქვენთვის?
9. რას გვეუბნება ის ფაქტი, რომ 1755 წელს ლონდონის ჟურნალში ერეკლეს შესახებ ვრცელი წერილი დაიბეჭდა? იმსჯელეთ, რითი შეიძლებოდა დაეინტერესებინა ქართლ-კახეთის მეფეს ბრიტანელი მკითხველი.
10. მეფის რომელ თვისებებს გამოყოფენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, კიტა აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე და ბრიტანული ჟურნალის ავტორი? რაში ემთხვევა ქართველ მოღვაწეთა და უცხოელი ავტორის შეფასებები და რას მატებს ეს თანხვედრა ერეკლეს შესახებ ჩვენს ცოდნას?



რუკა 15. ქართლ-კახეთის სამეფო მეფე ერეკლე II-ის დროს, XVIII საუკუნის II ნახევარში

კითხვები

11. რომელი მეზობელი სახელმწიფოები და მოხარკე სახანოები ჩანს მე-15 რუკაზე ქართლ-კახეთის სამეფოს გარშემო?
12. მე-15 რუკის გამოყენებით, შეადარეთ ერეკლეს 1770 წლის ლაშქრობის მარშრუტი და აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის გზა – რას მოწმობს ეს ორი მოვლენა სამეფოს მდგომარეობის ცვლილებაზე?

დავალებები

1. დაახასიათეთ ერეკლე II, როგორც ისტორიული მოღვაწე: რა გააკეთა მან ქართლ-კახეთის სამეფოს გასაძლიერებლად სამხედრო, სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში? იმსჯელეთ, რატომ დარჩა ერეკლე ქართველი ხალხის მეხსიერებაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი მეფე?



1.18. ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები



ილია ჭავჭავაძე სტუდენტობისას, 1860 წ. ლიტერატურის მუზეუმი



ილია ჭავჭავაძის ხელმოწერა

ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. თავისუფლებისმოყვარე ერი არასოდეს ეგუებოდა მოძალადეთა ბატონობას და თავდადებით იცავდა თავის მიწა-წყალს, ცხოვრების წესს, რელიგიას, კულტურას. ამან საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის დიდი მატერიალური და სულიერი ძალები შეიწირა. მაგრამ სწორედ ამან გამოაწრთო ეროვნული ხასიათი და თავისუფლებისთვის ბრძოლის მდიდარი ტრადიციები შექმნა. ამ ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები, თერგდალეულები, აგრძელებდნენ.

თერგდალეულების ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრამა

თერგდალეულები XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული მოძრაობის წარმომადგენლები იყვნენ. „თერგდალეული“ დაერქვათ XIX საუკუნის II ნახევარში, რუსეთში, განათლების მისაღებად წასულ ახალგაზრდებს, რადგან რუსეთში წასვლისას მათ მდინარე თერგის გადალახვა უწევდათ. სწორედ რუსეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდები ჩაუდგნენ სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. თერგდალეულების მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში აისახა მოწინავე იდეები, საფუძველი ჩაეყარა ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას. თერგდალეულები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სერგი მესხი, ვახტანგ თულაშვილი, სამსონ აბაშიძე, პეტრე ნაკაშიძე და სხვ. მოგვიანებით მათ რიგებს შეუერთდნენ ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი. ამ წრის ჟურნალ-გაზეთები იყო: „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „კრებული“, „ივერია“.

თერგდალეულების მოღვაწეობის მთავარი და საბოლოო მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, რაც ლაკონიურად გამოხატა ილიამ ცნობილი ფრაზით – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ („მგზავრის წერილები“).

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამის შემუშავების დროს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი განმათავისუფლებელი ბრძოლის ტრადიციებითა და ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ.

კითხვები

1. რატომ მიიჩნევდნენ ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები ეროვნული თავისუფლების მოპოვებას ქართველი ხალხის განვითარების მთავარ წინაპირობად?

თერგდალეულები კარგად იცნობდნენ იმდროინდელი მსოფლოს საზოგადოებრივი აზროვნების მიღწევებსა და განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებას. ისეთ მიმდინარეობებს, როგორიც იყო განმანათლებლობა, რომანტიზმი და სხვ.

მათ გულდასმით ჰქონდათ შესწავლილი უტოპიური და სოციალისტური მიმდინარეობებიც. მაგრამ ილიას და მის თანამებრძოლებს არც ერთი მიმდინარეობა ბრმად არ გაუზიარებიათ. თერგდალეულები თვლიდნენ, რომ ჯერ ეროვნული თავისუფლების ამოცანა უნდა გადაწყვეტილიყო. ეს იგულისხმება ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ ფორმულაში – „ჯერ მაცოცხლე და მერე გამაბედნიერე“. თუ ერი ფიზიკურად, კულტურულად ან ენობრივად განადგურდება, მაშინ სოციალური სამართლიანობა აზრს კარგავს; თუ ერი გადაშენდა, ვინ უნდა ისარგებლოს სიმდიდრითა და თანასწორობით?!

თერგდალეულებს საქართველოს თავისუფლების მიღწევის გზად ეროვნული ერთიანობა მიაჩნდათ, კლასებს შორის დაპირისპირებასა და ბრძოლის გაჩაღებას კი არ ქადაგებდნენ, პირიქით, „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანების გზებსა და საშუალებებს ეძებდნენ.



ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, ლიტერატურის მუზეუმი



წყარო

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერისა და ისტორიის შესახებ:

„ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ რომ, რა იყო – ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის – არც ის იცის. არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად..., შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა... ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით... რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით – რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, ან ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას“.

ცვლილებები რუსეთის იმპერიაში და თერგდალეულები

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთში იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გაატარა რეფორმები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური ურთიერთობების, პოლიტიკისა და კულტურის სფეროებს შეეხო (ბატონყმობის გაუქმება და სხვა). ალექსანდრე II 1881 წელს მოკლეს. ტახტზე ავიდა ალექსანდრე III, რომელმაც მანამდე დაწყებული ყველა რეფორმა შეწყვიტა, ხოლო, რაც უკვე დასრულებული იყო, ისინი „საბედისწერო შეცდომებად“ გამოაცხადა. იმპერატორის მკვლელობაც რეფორმებსა და დათმობებს დაბრალდა. იმპერიაში საერთო-პოლიტიკური რეაქციის ხანა დაიწყო.

ალექსანდრე III-ის დროს რუსეთის იმპერიაში გაუქმდა ფინეთისა და პოლონეთის შეზღუდული ავტონომიები, ხმარებიდან ამოიღეს



კითხვები

2. რა ახდენდა გავლენას თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე?
3. რატომ არგებდნენ თერგდალეულები ევროპულ პროგრესულ იდეებს ქართველი ხალხის საჭიროებებსა და ინტერესებს?



რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II (1855-1881 წწ.)

სახელწოდებები – „უკრაინა“ და „ბელარუსია“. 1881 წელს გაუქმდა ამიერკავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაც და კვლავ დაბრუნდა ძველი, მთავარმართებლის, თანამდებობა, კავკასიამ ადმინისტრაციული ავტონომია დაკარგა. აღადგინეს გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა, რომელიც იმპერატორს კი აღარ ექვემდებარებოდა, არამედ მინისტრებს. მათ სამხედრო წესების გამოცხადებისა და „საეჭვო პირების“ ადმინისტრაციული წესით, ე.ი. გაუსამართლებლად, გადასახლების უფლებაც მიენიჭათ; ყველგან გამკაცრდა საპოლიციო რეჟიმი. გარდა ამისა, ყველა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დიდი დაკვირვებით არჩევდნენ კადრებს ხელისუფლების მორჩილებისა და ერთგულების ნიშნით.

კავკასიაში მთავარმართებლად დაინიშნა ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი (1882-1890 წწ.), რომელიც იმპერატორის მკაცრ კურსს მიჰყვებოდა. მთავარმართებელს მხარს უჭერდა ანტიქართული განწყობებით ცნობილი საქართველოს ეგზარქოსი, არქიეპისკოპოსი პავლე და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკიც.



რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III (1881-1894 წწ.)

რეაქცია საქართველოში განსაკუთრებით კულტურისა და განათლების სფეროს შეეხო. დაიწყო ეროვნული ღირსების დამცველი მოღვაწეების, მწერლების, პუბლიცისტების, პედაგოგების, სამღვდელოებისა და მოსწავლე-ახალგაზრდების დევნა.

ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა უკიდურესად შეიზღუდა. ახალი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა თითქმის შეუძლებელი გახდა. ცენზურა და ზედამხედველობა გაძლიერდა. სკოლებში არა მარტო ქართულ ენაზე სწავლება, არამედ ქართულად ლაპარაკიც კი იკრძალებოდა. ქართველი მასწავლებლები იმპერიის ერთგული რუსი და უცხოელი მასწავლებლებით შეცვალეს. სიტყვა „საქართველო“ ამოიღეს. მის ნაცვლად უნდა გამოეყენებინათ – „თბილისის გუბერნია“ და „ქუთაისის გუბერნია“.

ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ ჩატარებულმა იდეოლოგიურმა და საზოგადოებრივმა სამუშაოებმა ნიადაგი მოამზადა რუსეთის იმპერიის მხრიდან დიდი ზეწოლისადმი წინააღმდეგობის გასაწევად.

წყარო

სერგი მესხი იანოვსკის:

„ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობს... თითო მტკაველი თავისი სამშობლო მიწისა... ყოველი ლექსი თავისი სამშობლო ენისა ათი ათას საუკეთესო შვილად უღირს... თქვენ კი გნებავთ ახლა, რომ უეცრად მოსპოთ ხალხის ენა... ქართველების სურვილი იგივეა, რაც ყველა ხალხისა: დაიცვან თავისი სამშობლო ენა, მამული, რჯული და სარწმუნოება. თქვენი სურვილია კი, რომ ქართველებს ქართული დაავიწყოთ“.

კითხვები

4. რა საშიშროებას უქადდა არარუს მოსახლეობას იმპერიის რეპრესიული პოლიტიკა?
5. რა მიზანს ემსახურებოდა სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნა?
6. წყაროს მიხედვით, რა საშიშროებას ხედავდნენ თერგდალეულები რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებაში?

იმპერიის რეპრესიული პოლიტიკა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

რუსეთის იმპერიის მხრიდან ეროვნული ჩაგვრის გაძლიერებამ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები ერთსულოვნად გამოვიდნენ ქართული ენისა და კულტურის დასაცავად. ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, სერგი მესხმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა ამხილეს იანოვსკი და მისი მომხრე რეაქციონერები; ყოველმხრივ დაასაბუთეს და ცხადყვეს მშობლიურ ენაზე სწავლების პროგრესული მნიშვნელობა და აუცილებლობა.

შექმნილ ვითარებაში, როცა ეროვნული ჩაგვრა და იდეოლოგიური რეაქცია იმპერიაში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა სახის ორგანიზაციების შექმნას. ილია ჭავჭავაძე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები ამ ორგანიზაციებს ეროვნული კულტურისა და მთელი ქართველი ხალხის გაცნობიერების საქმეში ოსტატურად იყენებდნენ.

ასეთი ორგანიზაციები იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც დაარსდა 1879 წელს. პირველი თავმჯდომარე იყო დიმიტრი ყიფიანი, 1886 წლიდან კი მას სათავეში ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა. საზოგადოების მთავარი ამოცანა ქართული ეროვნული სკოლის შექმნა იყო. ამ მხრივ, საზოგადოებამ ბევრი გააკეთა. მათი თაოსნობითა და სახსრებით შეიქმნა ქართული სკოლები თბილისში, ქუთაისში, ძველ სენაკში, ბათუმში, თიანეთში, დიდ თონეთში, გომარეთში, ვლადიკავკაზში, ზაქათალაში, სოხუმში და სხვ. საზოგადოება ქართული სკოლების დაარსებით არ იზღუდებოდა. მან ნაყოფიერი მუშაობა გასწია ძველი ისტორიული ძეგლების დაცვის, ასევე, ხელნაწერებისა და ფოლკლორული მასალების შეგროვების საქმეში. საზოგადოებამ არაერთი წიგნი გამოსცა.

ქართული კულტურისა და ხელოვნების აღორძინებისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივების მძლავრ საშუალებად იქცა „ქართული დრამატული საზოგადოება“, რომელიც 1880 წელს ჩამოყალიბდა. საზოგადოების მუშაობის შედეგად განახლებული ქართული თეატრი განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. თეატრი ქართული ენისა და ეროვნული ცნობიერების ერთ-ერთი საიმედო თავშესაფარი გახდა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია დავით ერისთავის მიერ 1882 წელს დადგმული პიესა „სამშობლოს“ არნახული წარმატება. როდესაც სპექტაკლის ერთ-ერთ მოქმედებაში სცენაზე გამოიტანეს ქართული დროშა, რომლის წინაშეც სამშობლოს დამცველ გმირებს ფიცი უნდა დაედოთ, „მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და სასოებით გამსჭვალული მზად იყო, მუხლი მოედრიკა ეროვნულ დროშის წინ“, – წერდა ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, მწერალი ეკატერინე გაბაშვილი.

იმპერიის მოხელეებმა კარგად იცოდნენ და ესმოდათ ქართული თეატრის ეროვნული დანიშნულება და მნიშვნელობა. ამიტომ იყო, რომ გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ კორესპონდენტმა ცინიკურად დაწერა: „გირჩევთ, ეგ დროშა ცირკს მიჰყიდოთ თეატრის ხარჯების დასაფარავად.“ გაზეთის რედაქტორმა მიხეილ კატკოვმა კი დროშას „რა-



დავით ერისთავი (1847-1890 წწ.)
ერისთავების ოძისის სასახლე



სპექტაკლ „სამშობლოს“ აფიშა,
ხელოვნების სასახლე



კერამიკული თეფში წარწერით:
„ივერია“. ლიტერატურის მუზეუმი

კითხვები

7. რამ გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება XIX საუკუნის მეორე ნახევარში?



სცენა დავით ერისთავის სპექტაკლიდან „სამშობლო“, ფიცის სცენა. ცენტრში ლადო მესხიშვილი (ლევან ხიმშიაშვილის როლში), კოტე ყიფიანი (სვიმონ ლიონიძის როლში), კოტე მესხი (გოგია დიაკვანის როლში). ხელოვნების სასახლე

კითხვები

8. როგორ იყენებდნენ თერგდალეულები საგანმანათლებლო, კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად?

ღაც ჩვარი“ უწოდა. ილია ჭავჭავაძემ პრესის ფურცლებზე ამხილა და საკადრისი პასუხი გასცა მათ.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სათავადაზნაურო ბანკები სახალხო განათლებისა და ქართული კულტურის სამსახურში ჩააყენეს. 30 წლის განმავლობაში ბანკებმა ამ მიზნით 3 მილიონ მანეთზე მეტი გაიღეს. თანხის უდიდესი ნაწილი ქართული სკოლებისა და თეატრის დაფინანსებას მოხმარდა.

წყარო

ნაწყვეტი იაკობ გოგებაშვილის სტატიიდან, 1882 წელი

„ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებაა... იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას... ამ გრძნობაში თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს მამულის შვილებს ჰსურთ წარმატება ჩვენის ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლია სიცოცხლე და ადამიანური არსებობა... ჩვენი მამულის შვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ... არამედ იმისთვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა. ერთის სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთი წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლო ჟამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო ნაწილი ევროპის ცივილიზაციის წარმომადგენელთა“.

კითხვები

9. როგორ ესმის ავტორს მამულის სიყვარული? იპოვეთ ტექსტში, რას არ უნდა შეიცავდეს ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და რისკენ უნდა იყოს ის მიმართული?
10. ავტორი წერს, რომ ქართული მამულიშვილობა ადგას იმ გზას, რომელსაც „ევროპის ცივილიზაციის წარმომადგენელთა საუკეთესო ნაწილი“ დაადგა. რას გვეუბნება ეს შედარება თერგდალეულთა ღირებულებებსა და მათ წარმოდგენაზე, როგორი უნდა იყოს ეროვნული მოძრაობა?

ეს საინტერესოა

დიმიტრი ყიფიანი

რუსეთის იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის ყოველგვარ გამოვლინებას, იმპერია მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ ახალი შეტევისთვის იყენებდა. მაგალითად, 1886 წლის 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიიდან უსამართლოდ გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა რეაქციონერი რექტორი ჩუდეცკი მოკლა. ეგზარქოსმა პავლემ მთელი ქართველი ხალხი საჯაროდ დაწყევლა და შეაჩვენა. საპროტესტო ბარათში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსის საქართველოდან დაუყოვნებლივ გაძევება მოითხოვა. დიმიტრი ყიფიანი აქეთ დაადანაშაულეს ცილისწამებაში და ამის გამო, იმპერატორის ბრძანებით, საქართველოდან სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ის 1887 წლის 24 ოქტომბერს ვერაგულად მოკლეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებმა სამშობლოსთვის თავდადებული გმირი დიდი პატივით ჩამოასვენეს სამშობლოში და მთაწმინდაზე დაკრძალეს. დიმიტრი ყიფიანის დასაფლავება იმპერიის საწინააღმდეგო მასობრივ დემონსტრაციად გადაიქცა.



დიმიტრი ყიფიანი (1811-1887 წწ.)
უცნობი მხატვარი.
დადიანების სასახლე

განათლება და ქართული ენა

თერგდალეულებისთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ახალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა. მათ მიაჩნდათ, რომ განათლება ქართველებს აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა მიეღოთ.

„იაკობ გოგებაშვილმა ოცწლიანი დამუშავებისა და დახვეწის შემდეგ“ 1876 წელს გამოსცა „დედაენა“, რომელიც დღემდე ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელოა დაწყებითი სკოლებისათვის.

დედაენაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზნეობრივ და პატრიოტულ მხარეს. ავტორი თითოეულ სიტყვას, მოთხრობასა თუ ლექსს, სათუთად აზუსტებდა, ხვეწდა მეთოდურ ნიუანსებს, რომ მარტივიდან რთულისკენ სვლა ბუნებრივი, სასურველი და სახალისო ყოფილიყო. საყოველთაო განხილვის საგნად აქცევდა თითოეული ასოს მოხაზულობას, რომელიც უძველეს ქართულ მწიგნობრულ გამოცდილებას ეფუძნებოდა.

1871 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ იმოგზაურა საქართველოში, თბილისში იგი შეხვდა თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს, რომელთაც მას სხვადასხვა თხოვნა გადასცეს. ილია ჭავჭავაძის აზრით, ქართველების მთავარი მოთხოვნა ქართული უნივერსიტეტის გახსნაზე ნებართვის მოპოვება უნდა ყოფილიყო. მას ყველა არ ეთანხმებოდა. საბოლოოდ, იმპერატორს ტფილისში კადეტთა კორპუსის (სამხედრო სასწავლებლის) დაარსების შესახებ თხოვნით მიმართეს.

ამ ფაქტმა ილია ჭავჭავაძე ძალიან გაანაწყენა, რასაც მიუძღვნა თავისი ცნობილი ნაწარმოებები – „გამოცანები“, „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“.

კითხვები


11. რატომ გაუგზავნა დიმიტრი ყიფიანმა წერილი ეგზარქოს პავლეს?
12. რატომ გადაიქცა დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის პროცესია მასობრივ საპროტესტო გამოსვლად?



იაკობ გოგებაშვილი (1840-1912 წწ.)

კითხვები

13. რატომ ჰქონდა თერგდალეულებისთვის პრინციპული მნიშვნელობა ქართულ ენაზე განათლების მიღებას?
14. რატომ გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ ის ქართველები, რომლებმაც იმპერატორთან შეხვედრისას ქართული უნივერსიტეტის გახსნის საკითხი არ დააყენეს?



ნიკო ნიკოლაძე (1843-1928 წწ.)
ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მემკვიდრეობის საკითხი

XIX საუკუნის 60-იან წლებიდან თერგდალეულები ბატონყმობისა და იმპერიის წინააღმდეგ ერთსულოვნად გამოდიოდნენ. მოგვიანებით მათ რიგებში განსხვავებები გამოიკვეთა. უთანხმოება 70-იან წლებში ისე გამწვავდა, რომ ორ ძირითად ნაწილად გაიყვნენ. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. ჟურნალ „ივერიის“ ირგვლივ გაერთიანდნენ და პირველ ამოცანად კვლავ ეროვნული საკითხი დააყენეს. ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, სერგი მესხს და სხვ. პრიორიტეტად სოციალური და ეკონომიკური საკითხები მიაჩნდათ.

შემდგომ ახალი, რადიკალური სოციალურ-დემოკრატიული მიმართულებაც წარმოიშვა. ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ძალების ასეთი სახით დაშლა საერთო საქმისთვის კარგი არ იყო. იგი ეროვნული მოძრაობისთვის ყველაზე დიდ საშიშროებას სწორედ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობიდან მოელოდა. მართლაც, მათი კრიტიკა ილიას ნაადრევისა და ნაღვაწის უარყოფაში გადაიზარდა. ისინი არ ერიდებოდნენ დიდი ილიას ღვაწლის დაუფასებლობას და არც შეურაცხმყოფელი წერილების გამოქვეყნებას.

ილია ჭავჭავაძის სათვალე, ლიტერატურის მუზეუმი.


№ 114. მაისის 30, Ოთხშაბათი. 1866—1884 მაისის 30, Ოთხშაბათი. № 114.

დროება

გამოდის პროფეს.-დღე ოთხშაბათ


სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტი

ქართველ-აზნაურთა სკოლის ქომიტეტი

გაზეთი „დროება“,
ეროვნული ბიბლიოთეკა.



ვაჟა-ფშაველა (1861-1915 წწ.). ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1893 წწ.). ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი წერეთელი (1840-1915 წწ.). ეროვნული ბიბლიოთეკა

1907 წლის 30 აგვისტოს (12 სექტემბერს) წიწამურთან მოკლეს ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეროვნული მოძრაობის უცვლელი ლიდერი, ერის სულიერი მამა, ქართველებისა და საქართველოსთვის მებრძოლი, საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე.

ილიას მკვლელობის დეტალები დღემდე კამათის საგანია. მთავარი ბრალდებულები სოციალ-დემოკრატები, კერძოდ, ქართველი ბოლშევიკები არიან. ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძე შერაცხულია წმიდანად, ილია მართალის ხსენების დღეა 2 აგვისტო (ძველი სტილით 20 ივლისი).

ილია ჭავჭავაძემ და თერგდალეულებმა ქართველ ხალხს საკუთარი ძალებისადმი რწმენა, ეროვნული სიამაყე, მომავლის იმედი განუმტკიცეს და მათი განხორციელებისთვის ბრძოლის სურვილი გაუძლიერეს. თერგდალეულების ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრამის უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა სწორედ ეს იყო.

თერგდალეულებმა წინ წამოსწიეს განათლების, მშობლიური ენის დაცვისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საკითხები. მათი საქმიანობის პარალელურად, განვითარდა ქართული თეატრი, მწერლობა, ხელოვნება და სხვ.

თერგდალეულების მოღვაწეობის შედეგია, რომ XX საუკუნის დასაწყისისთვის ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისთვის ყველანაირი ნიადაგი უკვე მომზადებული იყო.



„მწუხარე საქართველო“, ილია ჭავჭავაძის საფლავი მთაწმინდაზე. ავტორი – იაკობ ნიკოლაძე

კითხვები

15. რა საკითხის გამო გაიყვნენ თერგდალეულები ორად XIX საუკუნის 70-იან წლებში? რას აყენებდა პირველ ადგილას თითოეული და რატომ მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს ძალების ასეთი დაშლა საერთო საქმისთვის საზიანოდ?
16. რატომ მოელოდა ილია ჭავჭავაძე ეროვნული მოძრაობისთვის ყველაზე დიდ საშიშროებას სწორედ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისგან?

დავალებები

1. იმსჯელეთ, რა იყო თერგდალეულთა მოღვაწეობის მთავარი შედეგი ქართველი ხალხისთვის: რა საკითხები წამოსწიეს მათ წინ და როგორ შეცვალეს ხალხის დამოკიდებულება საკუთარი ერისა და მომავლის მიმართ?



1.19. ივანე ჯავახიშვილი – განათლებისა და მეცნიერების უპირველესი კერის ფუძემდებელი



ივანე ჯავახიშვილი (1906 წ.)

სტუდენტობა და პეტერბურგში მოღვაწეობა

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 23 აპრილს ქალაქ თბილისში. დაამთავრა თბილისის მესამე გიმნაზია და 1895 წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ იგი მივლინებით გააგზავნეს ბერლინის უნივერსიტეტში. ცნობილი სპეციალისტების ლექციების მოსმენის პარალელურად, ივანე ჯავახიშვილი აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწეოდა. გერმანიაში მან რამდენიმე საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა. 1902 წელს ივანე ჯავახიშვილი რუსეთში დაბრუნდა და მონაწილეობა მიიღო ცნობილი ქართველი მეცნიერის, ნიკო მარის ექსპედიციაში პალესტინასა და სინას მთაზე. ექსპედიციამ 180-მდე ხელნაწერი შეისწავლა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სამეცნიერო მივლინების დროს აღმოჩნდა მანამდე უცნობი ნაწარმოები – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება.“ 1903 წლიდან ივ. ჯავახიშვილი ლექციებს კითხულობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში.

კითხვები

1. მოგონების მიხედვით, გიმნაზიელი ივანე მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებით არ კმაყოფილდებოდა – არდადეგებზე გათხრებსაც კი აწარმოებდა. რა თვისებები გამოარჩევდა მომავალ მეცნიერს უკვე სკოლის ასაკში?
2. 1902 წლის ექსპედიციამ 180-მდე ხელნაწერი შეისწავლა და აღმოაჩინა მანამდე უცნობი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. რატომ არის ერთი ძველი ხელნაწერის აღმოჩენა მეცნიერებისთვის დიდი მოვლენა?




ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი. 1902 წ.
წმ. ეკატერინეს მონასტერი, სინას მთა, ეგვიპტე

ეს საინტერესოა

გიმნაზიის წლებში გაუჩნდა ივ. ჯავახიშვილს ინტერესი ისტორიის მიმართ. უკვე ამ დროს მონაწილეობდა იგი პირველ „ექსპედიციებში“ თუ „არქეოლოგიურ გათხრებში“. მამასთან ერთად შეისწავლა რკონის ტაძარი. თავის თანატოლებთან ერთად კი არდადეგებზე სოფ. ხოვლეს ნასოფლარზე გათხრებიც აწარმოა. იგი იგონებდა: „მთელს ჩემს დროს სამეცნიერო წიგნებისა და ჟურნალების კითხვას ვანდომებდი და თანაკლასელებზე მეტად გატაცებული ვიყავი მეცნიერებით. ამის წყალობით ისტორიისა და ჰუმანიტარული დარგების სფეროსგან სხვებზე გაცილებით მეტი ვიცოდი, რომლებიც ჩვეულებრივ მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებით კმაყოფილდებოდნენო“.

პეტერბურგის „ქართველ სტუდენთა სამეცნიერო წრე“

1907 წელს პეტერბურგში ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომლის მიზანი იყო ქართული მეცნიერების აღორძინება და მომავალი ქართული უნივერსიტეტის შექმნისათვის პირობების მომზადება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სტუდენტთა სამეცნიერო წრეს უნდა მოემზადებინა საფუძველი მომავალში ქართველოლოგიის ცენტრის პეტერბურგიდან თბილისში გადმოსატანად. 1911-1912 წლებში „სტუდენთა სამეცნიერო წრეში“ გაერთიანებულმა სტუდენტებმა შეიმუშავეს სპეციალური ანკეტა უცხოეთში სასწავლებლად წასული სტუდენტებისათვის და დააგზავნეს იგი რუსეთისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში იმის გამოსარკვევად, თუ სად, რამდენი ქართველი სტუდენტი სწავლობდა და რომელ დარგებში სპეციალდებოდა. ეს სჭირდებოდათ იმისათვის, რომ ენახათ, რამდენად იყო ქართველებში ინტერესი უმაღლესი განათლებისადმი და რა დარგები აინტერესებდათ. ამ აღრიცხვამ „წრის“ წევრებს დაანახვა, თუ რა მრავალრიცხოვანი იყო ქართველი სტუდენტობა, რა მრავალფეროვანი იყო მათი ინტერესები. აშკარა გახადა, რომ ქართული უნივერსიტეტის შექმნის შემთხვევაში ის სტუდენტებით უზრუნველყოფილი იქნებოდა.



ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული (1915 წ.)

წყარო

ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილის, ნათელა ჯავახიშვილის, მოგონებიდან:

„მახსოვს, ხშირად მოდიოდნენ მამასთან იოსებ და დავით ყიფშიძეები, აკაკი შანიძე, იოსებ ანთაძე, ნინო ლომოური. მე ძალიან მიყვარდა მათი შეკრებები, თუმცა, რასაკვირველია, მათი საუბრის შინაარსი ჩემთვის გაუგებარი იყო. მამას დაწესებული ჰქონდა, რომ მერე აუცილებლად უნდა გამასპინძლებოდა და მაშინ მეც ვიღებდი მონაწილეობას. გარდა გარკვეული დღეებისა, ყოველ დღესასწაულზე სტუდენტები, როგორც ვუწოდებდით მათ, აუცილებლად ჩვენთან იყვნენ ხოლმე.

ვიცოდი, რომ მათ ქართულად უნდა ესაუბრათ და თუკი ვინმე წამოიწყებდა რუსულად ლაპარაკს, მე ვამბობდი:

– ქართულად, ბატონებო, ქართულად!

როგორც შემდეგ მივხვდი, ეს შეკრებები ქართული სამეცნიერო წრის სემინარები იყო და ამიტომაც იყო აუცილებელი ქართულად მეტყველება, შემდეგ – უნივერსიტეტი საქართველოში – ხშირად გაისმოდა ამგვარი სიტყვები“.

წყარო

„ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის“ შეკრებები

„ამავე დროს, 1912 წელს მოეწყო ანკეტა ქართველ სტუდენტთა შორის რუსეთსა და საზღვარგარეთ. ანკეტის მიზანი იყო გამორკვეულიყო ქართველ სდუდენტთა რაოდენობა, მათი განაწილება სპეციალობის მიხედვით... მართლაც დარიგებული და დაგზავნილი ანკეტები დაბრუნდა წრის შევსებული სახით და გამოირკვა, რომ ქართველი სტუდენტობა ეწაფებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგს და რომ ქართული უნივერსიტეტის არსებობა ამ მხრივ უზრუნველყოფილი იყო. რაც შეეხება პროფესურას, ივანე ჯავახიშვილს შედგენილი ჰქონდა სია იმ მეცნიერებისა, რომლებიც სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში იყვნენ გაფანტულნი – პროფესორები, დოცენტები, ასისტენტები და სხვა და იმედი ჰქონდა, რომ ეს მეცნიერები საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შემოიკრიბებოდნენ თბილისში, რაც კიდევაც გამართლდა შემდეგ“.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე



აკაკი შანიძე და ივანე ჯავახიშვილი (1930 წ.)



პროფესორი პეტრე მელიქიშვილი (1850-1927 წწ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი

ივანე ჯავახიშვილი თბილისში და უნივერსიტეტის დაარსება

1917 წელს რუსეთში დაწყებული რევოლუციური პროცესების გამო, რუსეთის იმპერიის დამხობისა და ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი საბოლოოდ გადმოდის საცხოვრებლად თბილისში და მისი უპირველესი საზრუნავი ხდება ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეის პოპულარიზაცია. თბილისსა და ქუთაისში მისი ინიციატივით ეწყობა ამ იდეის მხარდამჭერი საჯარო განხილვა. 1917 წლის მაისში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომისია, სექტემბერში კი ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების შექმნა გამოცხადდა. 1917 წლის 3 აგვისტოს მომავალი ქართული უნივერსიტეტის დებულება პეტერბურგში გაიგზავნა, თუმცა დროებითი მთავრობა არ ჩქარობდა გადაწყვეტილების მიღებას, მეტიც, განათლების სამინისტროს შესაბამისი კომისიის დასკვნით, თბილისში შეიძლება დაარსებულიყო კერძო უნივერსიტეტი, შეზღუდული უფლებებით და არა სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, ივ. ჯავახიშვილს ერთი წამითაც არ უცდია დასახული მიზნიდან გადახვევა. რუსეთში 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მან პეტერბურგთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე დაიწყო უნივერსტეტის დაარსებისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით – 8 თებერვალს) უნივერსიტეტში საზეიმოდ აღინიშნა უნივერსიტეტის გახსნა. პირველ რექტორად ცნობილი ქართველი ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს. 1918 წლის სექტემბრიდან უნივერსიტეტს „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სტატუსი მიენიჭა. 1919 წელს ივ. ჯავახიშვილი, მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, აირჩიეს თბილისის უნივერსიტეტის რექტორად.

კითხვები

3. 1912 წელს სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ანკეტები დაუგზავნა რუსეთისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს. რისი გარკვევა სურდა წრეს ამ ანკეტით და რატომ იყო ეს ცოდნა აუცილებელი ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად?



თბილისის უნივერსიტეტის შენობა

წყარო

„თებერვალია, ბარდნის, თოვლი ედება თბილისს, გზები გაჭრილია როგორც გვირაბი, არაჩვეულებრივად ჩუმი ღამეა, როგორც დიდთოვლობის დროს იცის. გათენებისას სადარბაზო კარზე დაჟინებული კაკუნი ისმის, მამა (ივანე ჯავახიშვილი) გადის და მალე უკანვე ბრუნდება, დედას მეორე ოთახში გაიძახებს. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი უკან ბრუნდებიან, ყრუდ ისმის მანქანის დაძვრის ხმა. თურმე მამას სთავაზობდნენ საზღვარგარეთ წასვლას. მამა წუთითაც არ შეყოყმანებულა უარზე“.

ნათელა ჯავახიშვილი

საბჭოთა ტერორი ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ

1921 წლის თებერვალში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მიუხედავად შეთავაზებისა, ივანე ჯავახიშვილი ემიგრაციაში არ წასულა. საქართველოში დარჩენილი კიდევ რამდენიმე წელი იყო უნივერსიტეტის რექტორი, მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ფეხი მტკიცედ მოიკიდა, ბოლშევიკებმა უნივერსიტეტისათვისაც მოიცალეს. მათ აიძულეს ივანე ჯავახიშვილი დაეტოვებინა უნივერსიტეტის რექტორის პოზიცია. საბჭოთა რეჟიმმა ივანეს მაგიერ პარტიული ნიშნით დანიშნა რექტორი. ეს ტენდენცია თითქმის ორი ათეული წელი გაგრძელდა, როდესაც უნივერსიტეტს ბოლშევიკი რექტორები მართავდნენ. მათი უმეტესობა საბჭოთა „დიდ ტერორს“ შეეწირა.

ივ. ჯავახიშვილის დევნა ამით არ შეწყვეტილა. უნივერსიტეტში მისი სამეცნიერო შემოქმედების საჯარო განხილვა მოეწყო. ივანე ჯავახიშვილს აკრიტიკებდნენ, რომ ის არ იყო მარქსისტი, თავის ნაშრომებში სათანადო ადგილას არ უთმობდა „მშრომელი მასების“ ისტორიას. 1931 წელს ივ. ჯავახიშვილს საერთოდ დაატოვებინეს უნივერსიტეტი,

კითხვები

4. 1921 წელს ივ. ჯავახიშვილს საზღვარგარეთ წასვლა შესთავაზეს. რატომ დარჩა იგი საქართველოში, როცა საფრთხე აშკარა იყო?
5. ივ. ჯავახიშვილს საყვედურობდნენ, რომ მარქსისტი არ იყო. შეუძლია თუ არა ისტორიკოსს, წინასწარ დადგენილი დასკვნებით წეროს?



კითხვები

6. სიმონ ჯანაშიას ჩამონათვალით, ჯავახიშვილმა ერის, სამართლის, ეკონომიკისა და მუსიკის ისტორიაც კი შეისწავლა. რატომ იკვლევდა ერთი მეცნიერი ამდენ განსხვავებულ დარგს?
7. ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის“ წერისას „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები კრიტიკულად შეისწავლა და ლეგენდები ფაქტებისგან გამიჯნა. რატომ ვერ მიიღებს ისტორიკოსი მატიანის ყველა ცნობას ერთნაირად სანდოდ?

იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადავიდა სამუშაოდ. XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს ივანე ჯავახიშვილისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა. იგი კვლავ დაბრუნდა უნივერსიტეტში, 1939 წელს კი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია. 1940 წლის 18 ნოემბერს იგი უეცრად გარდაიცვალა თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, საჯარო მოხსენების კითხვის დროს.



ივანე ჯავახიშვილი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სესიის პირველ სხდომაზე 1939 წ.

მეცნიერის თვალსაზრისი

რამდენადაც ვიცით, ივანე ჯავახიშვილი 1930 წლიდან მოყოლებული 1936 წლის იანვრის ჩათვლით სამჯერ გახდა მძაფრი კრიტიკის (კამპანიის ფორმით) ობიექტი. სპეციალურად განიხილავდნენ მისი აზროვნებისა და შემოქმედების ფეოდალურ, ბურჟუაზიულ თუ ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ხასიათს, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და ფუნქციონირების თაობაზე მისი შეხედულებების მიუღებლობას (ანტიმარქსისტულობას). მაგრამ დიდი ისტორიკოსის წინააღმდეგ გალაშქრებამ (სხვანაირად ვერ იტყვი!) 1936 წლის 23 მარტს-2 აპრილს კულმინაციას მიაღწია. ადგილი ჰქონდა დიდი და სპეტაკი სულის პიროვნების იდეურ ჩაქოლვას, რომელსაც ადვილი შესაძლებელია, მალე ფიზიკური ანგარიშსწორებაც მოჰყოლოდა.

პროფესორი გურამ ყორანაშვილი

მეცნიერის თვალსაზრისი

ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა შემდეგი კაპიტალური ნაშრომები: 1) ქართველი ერის ისტორია, 2) ქართული სამართლის ისტორია, 3) საქართველოს ეკონომიური ისტორია, 4) ქართული მუსიკის ისტორია და 5) ქართულ-ქართველურისა და კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით... შეგროვდა უდიდესი და ძვირფასი მასალა ქართული ხელოსნობის ისტორიისათვის.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია



ივანე ჯავახიშვილი თავის მოწაფეებთან ერთად. სხედან: სიმონ ჯანაშია, თამარ კალაშნიკოვა, დგანან: ნიკო ბერძენიშვილი, ანა ივანიცკაია

მეცნიერის თვალსაზრისი

ივანე ჯავახიშვილი და მუსიკა

ივანე ჯავახიშვილმა თავისი რჩევა-დარიგებებით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. მეცნიერის აზრს კომპოზიტორისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ყველა ახალ ნაწარმოებს ზაქარია ფალიაშვილი პირველად ივანე ჯავახიშვილს ასმენინებდა. მეცნიერი აქტიურად ეხმარებოდა კომპოზიტორს ხალხური სიმღერების შეკრებაში. მისი ინიციატივით მოწყობილი ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ქართლის სოფლებში ზაქარია ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის“ ლეკური ჩაუწერია და შემდგომში მას შინაურობაში, ხუმრობით „ივანეს ლეკურს“ უწოდებებდა. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილი ფრიად დიდი მოყვარული იყო მუსიკისა და ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლა მას გადაუდებელ საქმედ ესახებოდა.

აკადემიკოსი როინ მეტრეველი


ეს საინტერესოა

ივანე ჯავახიშვილის, „ქართველი ერის ისტორია“

„ქართველი ერის ისტორია“ ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია. მეცნიერმა უარი თქვა „ქართლის ცხოვრებაში“ არსებულ ლეგენდებზე და ახალი თუ არსებული წყაროების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე საქართველოს ისტორიის ახლებული ანალიზის მოგვცა. „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომი 1908 წელს გამოიცა. 1913 წელს დაიბეჭდა „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის ახალი შევსებული რედაქცია, რომელიც, ავტორის აზრით, ფაქტობრივად, სრულიად ახალი გამოცემა იყო. 1914 წელს გამოიცა მეორე ტომი.

ივანე ჯავახიშვილს უკვე ამ დროს ჩამოყალიბებული ჰქონდა „ქართველი ერის ისტორიის“ გეგმა, იგი ოთხ წიგნად უნდა გამოსულიყო. პირველი წიგნი მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან VII ს. პირველ ნახევრამდე, ანუ არაბების გამოჩენამდე. მეორე წიგნში გადმოცემულია საქართველოს ისტორია არაბთა ბატონობის დამყარებიდან (VII ს. 50-იანი წლები) თამარის მეფობის ჩათვლით. სამწუხაროდ, სიცოცხლეში ივ. ჯავახიშვილმა ვერ შეძლო ყველა ტომის გამოცემა, თუმცა ხელნაწერის სახით მას დასრულებული ჰქონდა მუშაობა მესამე ტომზე და ნაწილობრივ მეოთხეზე. „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე ტომი გამოიცა 1941 წელს. მასში მოთხრობილია XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ისტორია. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში უნდა შესულიყო XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია. ერთი ნაწილი 1924 წელს დაიბეჭდა კიდეც, თუმცა სრული სახით მისი დასრულება ავტორმა ვერ მოახერხა.





დავალებები

1. იმსჯელეთ თემაზე: „გზა ქართული უნივერსიტეტისკენ“. აღნიშნეთ, რა ნაბიჯები გადადგეს ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა 1907-1918 წლებში და რა დაბრკოლებები გადალახეს. მსჯელობა გაამყარეთ პარაგრაფის ორი წყაროთი.

I.20. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები



ზვიად გამსახურდია
(1939-1993 წწ.)
მხატვარი – ბრუნო ვეფხვაძე,
ზუგდიდის საპრეზიდენტო
ცენტრი


დისიდენტური მოძრაობა საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირი ტოტალიტარულ რეჟიმს ემყარებოდა. მოქალაქეებს არ ჰქონდათ თავისუფლად აზრის გამოხატვის უფლება. ასეთ პირობებში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც საბჭოთა რეჟიმს ეწინააღმდეგებოდნენ. მათ დისიდენტები ეწოდებოდათ. დისიდენტები იბრძოდნენ ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლებისა და საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. მათ შორის გამორჩეული როლი ეკავათ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას.

ზვიად გამსახურდია ცნობილი ქართველი მწერლის, აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიასა და მირანდა ფალავანდიშვილის ოჯახში 1939 წლის 31 მარტს დაიბადა. სწავლობდა პირველ ვაჟთა სკოლაში, III კლასიდან მასთან ერთად სწავლობდა მერაბ კოსტავა. „მე და მერაბს გვაკავშირებდა სპორტი, ნადირობა, მუსიკა, პოეზია და სიყვარული საქართველოსადმი“, – წერდა მოგვიანებით თავის ავტობიოგრაფიაში ზვიად გამსახურდია. 12 წლის ასაკში ის ქაშუეთის ტაძარში მოინათლა. ნათლობის რიტუალი კათალიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ თავად აღასრულა. ეს ფაქტი კარგად გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად საბჭოთა რეჟიმის აშკარად გამოხატული ანტირელიგიურობისა, ზვიად გამსახურდია უკვე ბავშვობიდანვე იყო დაკავშირებული ქართულ ტრადიციებთან და სულიერ ცხოვრებასთან.

ერთ-ერთი პირველი არალეგალური ორგანიზაცია იყო „გორგასლიანი“, რომელიც 1956 წელს შექმნეს სკოლის მოსწავლეებმა, ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ თანამოაზრეებთან ერთად. მათ თბილისის ქუჩებში გააკრეს პროკლამაციები, რომლებშიც გმობდნენ საბჭოთა კავშირის მიერ უნგრეთში განხორციელებულ ძალადობას.

ეს იმდროინდელ საბჭოეთში ძალიან გაბედული ნაბიჯი იყო. პროკლამაციაში ეწერა: „ქართველებო! სხვა არავინაა ჩვენი მშველელი, ჩვენი საკუთარი თავის გარდა. ბრძოლით უნდა მივაღწიოთ თავისუფლებას!..“ ამ ფაქტის შემდეგ ზვიად გამსახურდია და მისი მეგობრები საბჭოთა რეჟიმის მხრიდან მუდმივ დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ.



მერაბ კოსტავა
(1939-1989 წწ.).
ეროვნული ბიბლიოთეკა

1970-იან წლებში დისიდენტური მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ დააარსეს „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვას ცდილობდა.

მერაბ კოსტავა პირველად 1956 წელს დააპატიმრეს და სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ციხეში გადაიყვანეს, მოგვიანებით პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს. მეორედ 1977 წელს დააპატიმრეს. ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ბრალდებით მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით გადასახლება მიუსაჯეს. მერაბ კოსტავა მაშინდელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ ყველაზე უკომპრომისო მებრძოლად და ავტორიტეტულ ლიდერად ითვლებოდა.

მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია თანდათან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლები გახდნენ. ისინი ხალხს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ. მიუხედავად რეპრესიებისა, მათი იდეები ხალხში უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა.

ეს საინტერესოა

ჰელსინკის ჯგუფი შეიქმნა XX საუკუნის 70-იანი წლებში საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ქვეყნებში ადამიანი უფლებების დასაცავად. 1977 წელს დაარსდა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვა ქართველი დისიდენტები. ისინი გამოსცემდნენ არალეგალურ ჟურნალებს „საქართველოს მოამბეს“ და „ოქროს საწმისს“. მათში იწერებოდა სიმართლე საბჭოთა რეჟიმის შესახებ, რასაც ხელისუფლება მკაცრად ებრძოდა. დისიდენტებს ხშირად აპატიმრებდნენ, გადასახლებაში აგზავნიდნენ და სასტიკად სჯიდნენ. 1990-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის აღზევებასთან ერთად ჯგუფმა აღადგინა საქმიანობა „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ სახელწოდებით. ამ ორგანიზაციამ წამყვანი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში.

წყარო

XX საუკუნის 70-80-იან წლებში, საბჭოთა საქართველოში, ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დაპატიმრებული იყვნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, თენგიზ გუდავა, ვაჟა ჟღენტი, ავთანდილ იმნაძე, ზაქარია ლაშქარაშვილი, ჯუმბერ პატარიძე, ვიქტორ რცხილაძე, ედუარდ გოლშტეინი, ისაია გოლშტეინი, ვახტანგ ჭითანავა, ზაურ ქობალია, ინდიკო ქობალია, ვახტანგ შონია, ლევან ბერძენიშვილი, დავით ბერძენიშვილი, ვახტანგ ძაბირაძე, თამარ ჩხეიძე, ნანა კაკაბაძე, ლუიზა შაკიაშვილი, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია და სხვ.

ლექსიკონი

დისიდენტები – დისიდენტი არის ადამიანი, რომელიც არ ეთანხმება ხელისუფლების პოლიტიკას ან არსებულ სისტემას და ამის შესახებ ღიად საუბრობს. საბჭოთა კავშირში დისიდენტები ეწინააღმდეგებოდნენ ტოტალიტარულ რეჟიმს, იცავდნენ ადამიანის უფლებებს და ხშირად ქვეყნის თავისუფლებასაც მოითხოვდნენ.

პერესტროიკა – „გარდაქმნა“, ეს იყო 1980-იან წლებში მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებული რეფორმები საბჭოთა კავშირში.

პროკლამაცია – ფურცლებად დაბეჭდილი მიმართვა მოსახლეობისადმი, რომელიც ფარულად ვრცელდება.

კითხვები

1. ვინ იყვნენ დისიდენტები და რისთვის იბრძოდნენ ისინი? რატომ იყო მათი საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლებისთვის სახიფათო?
2. „გორგასლიანის“ პროკლამაციაში ეწერა: „სხვა არავინაა ჩვენი მშველელი, ჩვენი საკუთარი თავის გარდა“. როგორ გესმით ეს სიტყვები? რატომ ითვლებოდა ასეთი მოწოდება „ძალიან გაბედულ ნაბიჯად“?
3. შეადარეთ დისიდენტების საქმიანობა 1950-იან წლებში („გორგასლიანი“) და 1970-იან წლებში („ჰელსინკის ჯგუფი“, არალეგალური ჟურნალები). როგორ შეიცვალა მათი ბრძოლის ფორმები და მასშტაბი?
4. რეპრესიების მიუხედავად, დისიდენტების იდეები ხალხში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. რით აიხსნება, რომ დევნამ და დაპატიმრებებმა ეს იდეები ვერ ჩაახშო?

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება

1980-იან წლებში საბჭოთა კავშირში კრიზისი დაიწყო. ეკონომიკური პრობლემები იზრდებოდა, ხალხი უკმაყოფილო იყო და ბევრ რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის მოთხოვნები გაძლიერდა. საქართველოშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფართო სახალხო მოძრაობად გადაიქცა.

საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობდნენ დისიდენტები, სტუდენტები, მწერლები, მეცნიერები და უბრალო მოქალაქეები. მათი მთავარი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა



ეროვნული მოძრაობის ლიდერები ტელევიზიასთან, 1989 წ. ხელოვნების სასახლე



1988 წლის ნოემბრის აქცია. ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. მოძრაობის ლიდერები იყვნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და სხვები.

1988 წლის თბილისში შიმშილობისა და საპროტესტო აქციების დიდი ტალღა აგორდა. მიზეზი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, მიხეილ გორბაჩოვის მიერ მომზადებული საბჭოთა კონსტიტუციის ცვლილების პროექტი იყო. ამ პროექტის მიხედვით, კონსტიტუციიდან ქრებოდა მუხლი, რომლითაც საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს სსრკ-იდან გასვლის უფლება ეძლეოდათ. ამის გამო თბილისის მთავრობის სასახლის წინ დაიწყო მჯდომარე აქცია, რომელიც ექვსი დღე გაგრძელდა, მასში ათიათასობით ადამიანი მონაწილეობდა. 25 ნოემბრის ღამით, მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე მრავალათასიანი დემონსტრაციების დროს, რუსთაველზე შეკრებილი მომიტინგეები მოულოდნელ სანახაობას შეესწრნენ – საპროტესტო მიტინგის ერთ-ერთი მონაწილე, გაბრიელ ისაკაძე მთავრობის სასახლის სახურავზე აძვრა და იქიდან საბჭოთა საქართველოს დროშა ჩამოაგდო. მომხდარს ხალხში ტაში, ხმამაღალი შეძახილები და სიხარულის ყიჟინა მოჰყვა. ეს ფაქტი საქართველოში საბჭოთა რეჟიმის გარდაუვალი რღევის თავისებური სიმბოლო გახდა.

ეროვნულ მოძრაობას თანდათან უფრო მეტი ადამიანი უერთდებოდა. მიტინგებზე ათასობით მოქალაქე გამოდიოდა. ხალხი უკვე ხმამაღლა საუბრობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა პროტესტის შეჩერებას, მაგრამ მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა.

კითხვები

5. რატომ გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1980-იან წლებში.
6. რატომ იქცა გაბრიელ ისაკაძის მიერ საბჭოთა დროშის ჩამოგდება საბჭოთა რეჟიმის დასასრულის ერთგვარ სიმბოლოდ საქართველოში?

1989 წლის 9 აპრილი

საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა 1989 წლის 9 აპრილი. 1989 წლის 4 აპრილს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, დაიწყო მშვიდობიანი მიტინგი. აქციის მონაწილეები საქართველოს დამოუკიდებლობასა და საბჭოთა ჯარების გაყვანას მოითხოვდნენ. მიტინგს ათასობით ადამიანი შეუერთდა.



მშვიდობიანი მომიტინგეები. ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარო

მერაბ კოსტავას მიმართვა 9 აპრილს

„ძმანო და დანო, საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლის ღვრაში, პირველად ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე“.

საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა აქციის ძალით დაშლა. 9 აპრილის გამთენიისას საბჭოთა არმიის სპეციალური დანაყოფები ტანკებითა და სამხედრო ტექნიკით რუსთაველის გამზირზე შევიდნენ. ჯარისკაცებმა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ გამოიყენეს ნიჩბები, ხელკეტე-

ბი და მომწამვლელი გაზი. ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი იგორ როდიონოვი, ხოლო დარბევის გადაწყვეტილება მიღებული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ.

ტრაგედიის შედეგად დაიღუპა 21 ადამიანი, მათ შორის, ქალები და ახალგაზრდები. ასობით ადამიანი დაშავდა და მოიწამლა. ამ მოვლენამ მთელი საქართველო შეძრა. ხალხმა კიდევ უფრო ნათლად დაინახა საბჭოთა რეჟიმის სისასტიკე.

9 აპრილის ტრაგედიამ საზოგადოება გააერთიანა.

ამ ფაქტს საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში დიდი რეზონანსი მოჰყვა. ნათელი გახდა, რომ საჯაროდ დეკლარირებული „პერესტროიკა“ (გარდაქმნა) და საჯაროობა ფორმალობა იყო.

9 აპრილის მოვლენების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მერაბ კოსტავას სიტყვები, რომელმაც ხალხს ერთიანობისკენ მოუწოდა.

9 აპრილის ტრაგედიამ ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო გააძლიერა. ხალხმა საბოლოოდ დაკარგა ნდობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და დამოუკიდებლობის იდეა საერთო-ეროვნულ მიზნად გადაიქცა. ეს დღე საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.



საბჭოთა ჯარისკაცები და სამხედრო ტექნიკა თბილისის ქუჩებში, 1989 წლის 9 აპრილი, დღის 12 საათი, ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარო

დოკუმენტი:
9 აპრილის დაღუპულები

აზა ადამია, 22 წლის;
ნათია ბაშალეიშვილი, 16 წლის;
ეკა ბეჟანიშვილი, 16 წლის;
ნატო გიორგაძე, 23 წლის;
თამუნა დოლიძე, 28 წლის;
თინა ენუქიძე, 70 წლის;
ნინო თოიძე, 25 წლის;
ზაირა კიკვიძე, 61 წლის;
მანანა ლოლაძე, 33 წლის;
თამარ მამულაშვილი, 50 წლის;
ვენერა მეტრეველი, 46 წლის;
მამუკა ნოზაძე, 22 წლის;
ნანა სამარგულიანი, 41 წლის;
შალვა ქვასროლიაშვილი 35 წლის;
მარინა ჭყონია-სამარგულიანი, 31 წლის;
ელისო ჭიპაშვილი, 25 წლის;
თამარ ჭოველიძე, 16 წლის;
ნოდარ ჯანგირაშვილი, 40 წლის;
მზია ჯინჭარაძე, 43 წლის;
მანანა მელქაძე, 23 წლის;
გია ქარსელაძე, 25 წლის.



9 აპრილის მემორიალი თბილისში, პარლამენტის შენობის წინ

წყარო

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიმართვა საბჭოთა ხელისუფლებას

1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათისთვის, საბჭოთა სახელმწიფოს სპეციალურმა ჯარებმა, სამხედრო ხელისუფლების მიერ წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შემუშავებული გეგმის მიხედვით, შეუბრალებლად დაარბია არასანქცირებული, მაგრამ მშვიდობიანი მიტინგი თბილისში, მთავრობის სასახლისა და ტელევიზიის წინ. მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა – ჯარისკაცები წესრიგს კი არ იცავდნენ, არამედ დასდევდნენ გაქცეულთ – ბავშვებს, ქალებს, სრულიად უიარაღო ახალგაზრდებს და ფოლადის გალესილი ბარებით უმოწყალოდ ჩეხდნენ მათ. ეს იყო საშინელი ბარბაროსული აქტი, რითაც არმიის ამ ნაწილმა დაამტკიცა, რომ იგი გარდაქმნის წინააღმდეგია, ხოლო საქართველოს მთავრობამ დაადასტურა დემონსტრანტთა მიერ მთავრობის გადადგომის მოთხოვნის სამართლიანობა, რადგან მთავრობა, რომელიც თავის ხალხს ტანკებსა და ჯარებს შეუსევს, ხელს აწერს თავის უუნაროობასა და გადადგომას.

უნივერსიტეტი მოითხოვს:

1. შეიქმნას ცხრა აპრილის მშვიდობიანი მიტინგის ჟლეტაში დამნაშავე პირთა დანაშაულის შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისია, რომელიც გამოიკვლევს და დაადგენს მკვლელობის ყოველი ცალკეული შემთხვევის მიზეზს;
2. დაუყოვნებლივ მომზადდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები;
3. 9 აპრილი გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული გლოვის დღედ. შეიქმნას დარბევის მსხვერპლთა დამკრძალავი კომისია;
4. რადგანაც ოფიციალური ცნობა პროგრამა „ვრემიას“ გადაცემისას და გაზეთ „იზვესტიაში“ საქართველოს ამბების, მიტინგების დარბევისა და მსხვერპლის შესახებ ყალბია, გამოცხადდეს ამავე გაზეთში და პროგრამა „ვრემიაში“ აღნიშნული ცნობის უარყოფა და მოვლენის სწორი, ობიექტური შეფასება.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მოუწოდებენ ახალგაზრდობას სიმშვიდისა და გონიერებისკენ საქართველოსთვის ამ უმძიმეს სიტუაციაში და სთხოვენ მათ, ნუ აჰყვებიან შექმნილ ვითარებაში გაუმართლებელ, არარეალურ მოწოდებებს.



კითხვები

7. რა არგუმენტებით ასაბუთებენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მიმართვაში, რომ 9 აპრილს წესრიგის დაცვა კი არა, სადამსჯელო აქცია განხორციელდა? რამდენად დამაჯერებელია ეს არგუმენტები თქვენთვის?
8. მიმართვის ავტორები წერენ, რომ ცენტრალური საბჭოთა მედია („ვრემია“, „იზვესტია“) თბილისის მოვლენებს ყალბად აშუქებდა. იმსჯელეთ, რატომ იყო ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენების ამგვარად წარმოჩენა და რას გვასწავლის ეს ეპიზოდი ინფორმაციის წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ?
9. მერაბ კოსტავამ 9 აპრილის მოვლენებში ერის ერთიანობის „უდიდებულესი წამი“ დაინახა, ტექსტი კი გვეუბნება, რომ ტრაგედიის შემდეგ დამოუკიდებლობის იდეა „საერთო-ეროვნულ მიზნად გადაიქცა“. იმსჯელეთ, როგორ შეიძლება ტრაგედია ერის გამაერთიანებელ და გამაძლიერებელ ძალად იქცეს?

ეს საინტერესოა

ეროვნული მოძრაობის ლიდერის, მერაბ კოსტავას, ტრაგიკული გარდაცვალება

9 აპრილიდან მალევე, 1989 წლის 13 ოქტომბერს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მერაბ კოსტავა დაიღუპა. იმავე ავტომანქანაში იმყოფებოდნენ თამარ ჩხეიძე და ცნობილი დისიდენტი ზურაბ ჭავჭავაძე, რომელიც კლინიკაში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. მერაბ კოსტავას დაღუპვა დიდი დანაკარგი იყო ქართული ეროვნული მოძრაობისთვის. ბორითთან მომხდარი ავარიის გარემოებები დღემდე არაერთ კითხვას იწვევს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა კავშირის დაშლა

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ – ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. ამ გამარჯვებით დასრულდა კომუნისტური პარტიის მმართველობა საქართველოში.



1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები. ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესმა საბჭომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო: 1990 წლის 14 ნოემბერს შეიცვალა ქვეყნის სახელწოდება – „საქართველოს სსრ-ს“ ნაცვლად ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“. დამტკიცდა ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა: ჰიმნი, დროშა და გერბი, ხოლო 1921 წლის 25 თებერვალი შეფასდა ოკუპაციად.

საქართველომ უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირში დაგეგმილ საყოველთაო რეფერენდუმში, რომელიც სსრკ-ის შენარჩუნების მიზნით ტარდებოდა. უარის მიზეზი იყო საქართველოს მისწრაფება, აღედგინა დამოუკიდებლობა.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ (99,08%) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა ხმა. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე გამოაცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს იყო ქართველი ხალხის მრავალწლიანი



1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები. ეროვნული ბიბლიოთეკა




ზვიად გამსახურდია მიტინგზე გამოსვლის დროს. ხელოვნების სასახლე

ლექსიკონი

ტოტალიტარიზმი – პოლიტიკური რეჟიმი, სადაც სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს ადამიანების ცხოვრებას.

წყარო

12 ივნისს ინაუგურაციაზე გამსახურდიამ შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ვფიცავ და საზეიმოდ ვაცხადებ ღვთისა და ერის წინაშე, რომ ერთგულად განვახორციელებ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მოვალეობას, ვიღვაწებ ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის, დავიცავ მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას; განუხრელად განვახორციელებ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, დავიცავ ადამიანის უფლებებს. ღმერთი იყოს ჩემი შემწე ყოველივე ამაში“.



დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.
ეროვნული არქივი

ბრძოლის შედეგი. საქართველო კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

1991 წლის 26 მაისს, პირველად საქართველოს ისტორიაში, გაიმართა დემოკრატიული წესით ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები, მასში ზვიად გამსახურდიამ დიდი უპირატესობით, ხმათა 87,03%-ით გაიმარჯვა.

1991 წლის 15 სექტემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ სსრკ-ის ჯარებისთვის „საოკუპაციო ჯარის“ სტატუსის მინიჭების შესახებ.

ამავე პერიოდში, საბჭოთა კავშირში, მძიმე კრიზისი მიმდინარეობდა. რესპუბლიკები ერთმანეთის მიყოლებით აცხადებდნენ დამოუკიდებლობას. საბოლოოდ, 1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა. მიუხედავად ამისა, მოსკოვი მაინც ცდილობდა გავლენები შეენარჩუნებინა რესპუბლიკებში და არჩევნებით მოსული ეროვნული ხელისუფლება ჩამოეშორებინა ძალაუფლებისთვის. 1991 წლის 22 დეკემბერს ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებულმა გვარდიისა და ოპოზიციის ნაწილმა მთავრობის სასახლეზე შტურმი მიიტანა. თბილისის ომი გაგრძელდა 1992 წლის 6 იანვრამდე. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა და დევნილობაში, ჩეჩნეთში, გადასულიყო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და დისიდენტების ბრძოლამ დიდი როლი ითამაშა საქართველოს თავისუფლების მოპოვებაში. მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას და სხვა ეროვნული გმირების ბრძოლამ ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა დაუბრუნა.

წყარო

ტექსტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტიდან:

„საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად....საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.... რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას, დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება“.

წყარო

ზვიად გამსახურდიას სიტყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დროს:

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი!“

ეს საინტერესოა

ეროვნული გმირი

1993 წლის 24 სექტემბერს პრეზიდენტი გამსახურდია თვითმფრინავით სენაკის აეროპორტში დაეშვა. ხმა დევნილობიდან პრეზიდენტის დაბრუნებაზე საოცარი სისწრაფით გავრცელდა. ათეულ ათასობით ადამიანი გამოვიდა მის შესახვედრად. ზუგდიდის ქუჩები სავსე იყო. 1993 წლის 31 დეკემბერს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში დაიღუპა. თვითმკვლელობის გავრცელებული ვერსია გამოძიების მიერ უარყოფილია 2015 წლიდან. 1994 წლის თებერვალში პრეზიდენტის დამალული ცხედარი სენაკიდან უცხოეთში, კერძოდ, ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში გადაასვენეს, სადაც შესაფერისი პატივით დაკრძალეს.

2007 წელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა პრეზიდენტ გამსახურდიას სამუდამო განსასვენებელი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინა. 2013 წელს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

კითხვები

10. რატომ აირჩია ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოსაცხადებლად სწორედ 9 აპრილი და რატომ დაეყრდნო 1918 წლის 26 მაისის აქტს?
11. რატომ უსვამს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი ხაზს ადამიანის ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებისა და თავისუფლების სამართლის პრინციპებს?
12. იმსჯელეთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი, რომ დამოუკიდებლობა არჩევნებისა და რეფერენდუმის – ხალხის ნების გამოხატვის – საფუძველზე გამოცხადებულიყო?



ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 12 ივნისს საპრეზიდენტო ფიცის დადება.
ფოტო დაცულია ხელოვნების სასახლეში

დავალებები

1. იმსჯელეთ, როგორ მიაღწია ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობის აღდგენას? რა როლი შეასრულა ამ გზაზე დისიდენტურმა მოძრაობამ, 9 აპრილის ტრაგედიამ და 1990-1991 წლების პოლიტიკურმა მოვლენებმა? დაასაბუთეთ, რატომ შეიძლება ითქვას, რომ 1991 წლის 9 აპრილი ხანგრძლივი ეროვნული ბრძოლის შედეგი იყო.

XII საუკუნის საქართველო სხვადასხვა ერების თანაცხოვრებისა და რელიგიური ტოლერანტობის გამორჩეული მაგალითია. არაბი ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ისინი დავითის სამეფოში, თბილისში, უფრო დაცულად გრძნობენ თავს, ვიდრე ბაღდადში. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი XII საუკუნის შუა ხანებში წერდა, რომ თბილისში მცხოვრებ მუსლიმებს საქართველოს მეფემ შეუქმნა ყველა პირობა, რაც მათ მოისურვეს. იმდროინდელ სომეხ ისტორიკოსებსა და სწავლულებს დავითი და თამარი თავიანთ მეფეებად მიაჩნდათ და დიდი პატივითა და სიყვარულით მოიხსენიებდნენ. სომეხი ავტორი მათეოს ურჰაელი XII საუკუნეში, წერდა, რომ „იყო მეფე დავითი წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთისმოსავობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი... დიდის სიყვარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“.

ჩრდილოეთ კავკასიაში თამარ მეფესთან დაკავშირებული არაერთი ლეგენდა და გადმოცემა დღემდეა დაცული. ცნობილი პოეტი ნიზამი განჯევი თამარ მეფეს იხსენიებს თავის ნაწარმოებებში. მისი ერთ-ერთი პოეტური თხზულების, „ისკანდერ-ნამეს", მთავარი გმირის პროტოტიპი სწორედ თამარია. XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე სპარსელი მემატიანე იბნ ისფანდიარი გვიყვება, რომ ნიზამი განჯევის ერთი ბაიათი „თბილისისა და აბხაზიის ფადიშაჰს", თამარს, შეეხებოდა.

XII საუკუნე – ესაა კავკასიის ერთიანობის საინტერესო ნიმუში, ასევე. კავკასის ხალხების კულტურული აღმავლობის ხანა.

9 789941 889325

26.11.10.1.1